114
1938/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

2

სახელგამი
ტფილისი—1938

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეთხუთმეტე

3369

2

Кубанский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

სახელგამი
ტფილისი 1938

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის, 13
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

კანტორა:
ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ა. მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლ. ასათიანი

გად. წარმ. 14/II-38 წ. ხელმ. დასაბ. 17/III-38 წ.
მთავლიტი № 833. შეკვ. № 410. ტირ. 8 500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ივანოვის წერილი და ამხ. სტალინის პასუხი

ამხანაგ სტალინს

საკ. ალკკ კურსკის ოლქის მანტუროვსკის რაიონის რაიკომის შტატის პროპაგანდისტის ივანე ფილიპეს-ძე ივანოვისაგან.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ, დაბეჯითებით გთხოვთ განმიმარტოთ შემდეგი საკითხი: ჩვენში ადგილებზე და, კომკავშირის ოლქკომშიც ორნაირად ესმით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ე. ი. წინააღმდეგობათა პირველ ჯგუფს ურევენ მეორეში. თქვენს შრომებში — საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ბედის შესახებ — ლაპარაკია წინააღმდეგობათა ორ ჯგუფზე — საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებზე.

წინააღმდეგობათა პირველი ჯგუფის შესახებ გასაგებია, რომ ჩვენ ისინი გადავჭერით, — სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის შიგნით.

მე მინდა მივიღო პასუხი წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფზე, ე. ი. სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. თქვენ მიგვითითებთ, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ნიშნავს საგარეო წინააღმდეგობათა გადაჭრას, იმას, რომ გვქონდეს სრული გარანტია ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, კაპიტალიზმის რეტავრაციისაგანაც. წინააღმდეგობათა ამ ჯგუფის გადაჭრა კი მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა ძალღონით შეიძლებაო.

ამხანაგი ლენინიც ამასვე გვასწავლიდა — „საბოლოო გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით, მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა შეერთებული ძალღონით“.

როცა ვიყავი საკ. ალკკ ოლქკომის შტატის პროპაგანდისტთა სემინარზე, მე თქვენს შრომებს დავეყრდენი და ვთქვი, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება შეიძლება მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ოლქკო-

შელი მუშაკები — ურووენკო (კომკავშირის ოლქკომის პირველი მდივანი) და კაზელკოვი (ინსტრუქტორი პროპაგანდის დარგში) ჩემს გამოსვლას აფასებენ, როგორც ტროცკისტულ გამოლაშქრებას.

მე დავიწყე მათთვის ციტატების კითხვა თქვენი შრომებიდან ამ საკითხზე, მაგრამ ურووენკომ წინადადება მომცა დამეხურა სამტომეული და სთქვა, რომ „ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა 1926 წელს, ახლა კი უკვე 1938 წელია, მაშინ ჩვენ საბოლოო გამარჯვება არ გვქონდა, ახლა კი გვაქვს და ახლა ინტერვენციასა და რესტავრაციაზე სრულიადაც არ უნდა ვფიქრობდეთო"; შემდეგ, ის ამბობს — „ჩვენ ახლა გვაქვს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან". ამგვარად, მე ტროცკიზმის ხელშემწყობად ჩამთვალეს, მომხსნეს პროპაგანდისტული სამუშაოდან და დააყენეს კომკავშირში ჩემი ყოფნის საკითხი.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, განმიმარტოთ—გვაქვს თუ არა ჩვენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება თუ ჯერ კიდევ არა გვაქვს? შესაძლოა, მე ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე დამატებით თანამედროვე მასალა ამ საკითხზე, თანადროულობაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მე აგრეთვე ანტიბოლშევიკურად მიმაჩნია ურووენკოს განცხადება, რომ ამხანაგ სტალინის შრომები ამ საკითხზე ცოტათი მოძველდაო და სწორად მოიქცნენ თუ არა ოლქკომის მუშაკები, როცა მე ტროცკისტად ჩამთვალეს. ეს ჩემთვის მეტად საწყენი და შეურაცხმყოფელია.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, უარს ნუ მეტყვით თხოვნაზე და მიპასუხეთ მისამართით: კურსკის ოლქის მანტუროვსკის რაიონი, ზასემსკის 1-ლი სოფლსაბჭო, ივანე ფილიპეს-ძე ივანოვს.

ი. ივანოვი

18. I. 38 წ.

პასუხი ამხანაგ ივანე ფილიპეს-ძე ივანოვს

თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ხართ, ამხ. ივანოვო, ხოლო თქვენი იდეური მოწინააღმდეგენი, ე. ი. ამხანაგები ურووენკო და კაზელკოვი — არ არიან მართალნი.

და აი რატომ.

უეჭველია, რომ ერთ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს **ორი სხვადასხვა** მხარე აქვს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის **პირველი** მხარე მოიცავს ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასების ურთიერთდამოკიდებულებათა პრობლემას. ეს არის **საშინაო** ურთიერთობათა დარგი. შეუძლია თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს დასძლიოს წინააღმდეგობანი ჩვენს გლეხობასთან და მოაგვაროს მასთან კავშირი, თანამშრომლობა? შეუძლია თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს ჩვენს გლეხობასთან კავშირში დაამარცხოს ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია, ჩამოართვას მას მიწა, ქარხნები, მაღაროები და სხვ. და თავისი ძალებით ააშენოს ახალი უკლასო საზოგადოება, სრული სოციალისტური საზოგადოება?

ასეთია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის **პირველ** მხარესთან დაკავშირებული პრობლემები.

ლენინიზმი დადებითად უპასუხებს ამ პრობლემებზე. ლენინი გვასწავლის, რომ „ჩვენ **გვაქვს ყველაფერი, რაც კი საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად**". მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვძლიოთ საკუთარი ძალებით ჩვენს ბურჟუაზიას და ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება. ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვა ვაჟბატონები, რომელნიც შემდეგში ფაშიზმის ჯაშუშები და აგენტები გახდნენ, უარყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, თუ სხვა ქვეყნებში, კაპიტალისტურ ქვეყნებში წინასწარ არ გაიმარჯვებდა სოციალისტური რევოლუცია. ამ ვაჟბატონებს არსებითად უნდოდათ ჩვენი ქვეყნის მობრუნება უკან, ბურჟუაზიული განვითარების გზაზე, ჰფარავდნენ რა თავის განდგომილებას ყალბი მითითებებით სხვა ქვეყნებში „რევოლუციის გამარჯვებაზე". სწორედ ამაზე ჰქონდა დავა ჩვენს პარტიას ამ ვაჟბატონებთან. ჩვენი ქვეყნის განვითარების შემდგომმა მიმდინარეობამ ცხადჰყო, რომ პარტია მართალი იყო, ხოლო ტროცკი და კომპანია არ იყვნენ მართალნი. იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უკვე მოვასწარით მოგვეხდინა ჩვენი ბურჟუაზიის ლიკვიდაცია, მოგვეგვარებინა ძმური თანამშრომლობა ჩვენს გლეხობასთან და ძირითადად აგვეშენებინა სოციალისტური საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ რევოლუციას სხვა ქვეყნებში არ გაუმარჯვია.

ასეთ მდგომარეობაშია **პირველი** მხარე საკითხისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

მე ვფიქრობ, ამხ. ივანოვო, რომ თქვენი დავა ამხ. ამხ. ეროჟენკოსა და კაზელკოვთან ეხება საკითხის არა ამ მხარეს.

მეორე მხარე საკითხისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ მოიცავს ჩვენი ქვეყნის სხვა ქვეყნებთან, კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემას, ჩვენი ქვეყნის მეშჩანობის სხვა ქვეყნების ბურჟუაზიასთან ურთიერთობის პრობლემას. ეს **საგარეო, საერთაშორისო** ურთიერთობის სფეროა. შეუძლია თუ არა ერთი ქვეყნის გამარჯვებულ სოციალიზმს, რომელიც გარემოცულია მრავალი ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნით, სავსებით გარანტირებულად ჩასთვალოს თავი სამხედრო შემოჭრის (ინტერვენციის) საფრთხისაგან, და, მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის ცდებისაგან? შეუძლია თუ არა ჩვენს მუშათა კლასს და ჩვენს გლეხობას საკუთარი ძალებით, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის სერიოზული დახმარების გარეშე, სძლიონ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიას ისევე, როგორც მათ სძლიეს თავის ბურჟუაზიას? სხვანაირად რომ ვთქვათ: შეიძლება თუ **არა** სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში მივიჩნიოთ საბოლოოდ, ე. ი. სამხედრო თავდასხმის საფრთხისაგან და კაპიტალიზმის აღდგენის ცდებისაგან თავისუფლად, მაშინ როდესაც სოციალიზმის გამარჯვება გვაქვს მხოლოდ ერთ ქვეყანაში, კაპიტალისტური გარემოცვა კი განაგრძობს არსებობას?

ასეთია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის **მეორე** მხარესთან დაკავშირებული პრობლემები.

ლენინიზმი ამ პრობლემებზე უარყოფითად უპასუხებს. ლენინიზმი გვასწავლის, რომ „სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ბურჟუაზიულ ურთიერთობათა რესტავრაციისაგან სრული გარანტიის აზრით შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით“ (იხ. საკ. კ. პ. XIV კონფერენციის ცნობილი რეზოლუცია). ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის სერიოზული დახმარება წარმოადგენს იმ ძალას, ურომლისოდაც არ შეიძლება გადაიჭრას ამოცანა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ერთს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითონ ჩვენ, გარედან დახმარების მოლოდინში, გულხელდაკრეფილი უნდა ვისხდეთ. პირიქით, დახმარება საერთაშორისო პროლეტარიატის მხრით შეერთებულ უნდა იქნას ჩვენს მუშაობასთან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისათვის, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის გაძლიერებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის მობილიზაციისათვის სამხედრო თავდასხმასთან და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა რესტავრაციის ცდებთან საბრძოლველად.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

„ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ **სახელმწიფოთა სისტემაშიც,** და საბჭოთა რესპუბლიკის დიდი ხანი არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოსდაბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, გარდუვალია მთელი რიგი უსაშინელესი შეჯახებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუ კი მას სურს ბატონობა და თუ იგი იბატონებს, ეს უნდა დაამტკიცოს თავისი სამხედრო ორგანიზაციითაც“ (ტ. XXIV, გვ. 122).

და შემდეგ:

„ჩვენ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით, მთავრობებით, რომელნიც აშკარად გამოხატავენ სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი თავდასხმისაგან ჩვენ მუდამ ბეწვზე ვკიდივართ“ (ტ. XXVII, გვ. 117).

ნათქვამია მკვეთრად და მაგრად, მაგრამ პატიოსნად და გულმართლად, შეულამაზებლად, ისე, როგორც იცოდა ლაპარაკი ლენინმა.

ამ წანამძღვართა საფუძველზე სტალინის „ლენინიზმის საკითხებში“ ნათქვამი იყო:

„სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არის სრული გარანტია ინტერვენციისა და, მაშასადამე, რესტავრაციის ცდებისაგან, ვინაიდან რესტავრაციის რამდენადმე სერიოზული ცდა შესაძლოა მხოლოდ გარედან სერიოზული დახმარების დროს, მხოლოდ საერთაშორისო კაპიტალის დახმარების დროს. ამიტომ ჩვენი რევოლუციისათვის მხარის დაჭერა ყველა ქვეყნის მუშების მიერ და მით უმეტეს ამ მუშების გამარჯვება, თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში, წარმოადგენს ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდებისაგან პირველი გამარჯვებული ქვეყნის სრული გარანტიის აუცილებელ პირობას, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირობას“ („ლენინიზმის საკითხები“, 1937 წ. გვ. 134).

მართლაც, სასაცილო და სისულელე იქნებოდა თვალები დაგვეხუჭა და არ დაგვენახა კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და გვეფიქრა, რომ ჩვენი გარეშე მტრები, მაგალითად, ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე.

ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ბრმა ბაქიებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ მიაძინონ ხალხი. არანაკლებ სასაცილო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სამხედრო ინტერვენციის სულ მცირე წარმატების — მეამთხვევაში ინტერვენტები შეეცდებიან დაანგრიონ საბჭოთა წყობილება მათ მიერ დაკავებულ რაიონებში და აღადგინონ ბურჟუაზიული წყობილება. განა დენიკინი ან კოლჩაკი არ აღადგენდნენ ხოლმე ბურჟუაზიულ წყობილებას მათ მიერ დაკავებულ რაიონებში? რით სჯობიან ფაშისტები დენიკინს ან კოლჩაკს? სამხედრო ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდების საფრთხის უარყოფა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის დროს შეუძლიათ მხოლოდ უთაურებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ ბაქიობით დაჰფარონ თავისი მტრობა და რომელნიც ცდილობენ ხალხის დემობილიზებას. მაგრამ შეიძლება თუ არა საბოლოოდ მივიჩნიოთ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, თუ ეს ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება და თუ იგი სავსებით არ არის უზრუნველყოფილი ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხისაგან? ცხადია, რომ არ შეიძლება.

ასეთია საქმის ვითარება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის მხრივ.

გამოდის, რომ ეს საკითხი შეიცავს ორ სხვადასხვა პრობლემას: ა) ჩვენი ქვეყნის **საშინაო** ურთიერთობათა პრობლემას, ე. ი. თავისი ბურჟუაზიის დაძლევის და სრული სოციალიზმის აშენების პრობლემას, და ბ) ჩვენი ქვეყნის **საგარეო** ურთიერთობათა პრობლემას, ე. ი. სამხედრო ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხეთაგან ჩვენი ქვეყნის სრული უზრუნველყოფის პრობლემას. პირველი პრობლემა უკვე გადაჭრილია ჩვენს მიერ, რადგან ჩვენი ბურჟუაზია უკვე ლიკვიდირებულია და სოციალიზმი ძირითადად უკვე აშენებულია. ამას ჩვენში ეწოდება სოციალიზმის გამარჯვება, ან უფრო ზუსტად, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება ერთ ქვეყანაში. ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს გამარჯვება საბოლოოა, ჩვენი ქვეყანა რომ კუნძულზე იმყოფებოდეს და მის გარშემო რომ არ იყოს მრავალი სხვა, კაპიტალისტური ქვეყანა. მაგრამ რადგან ჩვენ ვცხოვრობთ არა კუნძულზე, არამედ „სახელმწიფოთა სისტემაში", რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მტრულად ეკიდება სოციალიზმის ქვეყანას და ჰქმნის ინტერვენციისა და რესტავრაციის საფრთხეს, ამიტომ ჩვენ აშკარად და პატიოსნად ვამბობთ, რომ ჩვენს ქვეყანა-

ში სოციალიზმის გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო, მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მეორე პრობლემა ჯერ არ არის გადაჭრილი და ჯერ კიდევ მოგვიხდება მისი გადაჭრა. უფრო ადვილია მეორე პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია იმავე წესით, როგორითაც გადავჭერით პირველი პრობლემა, ე. ი. მარტო ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალღონით. მეორე პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის ძალღონის სერიოზული დაძაბვის შეერთებით მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის ძალღონის კიდევ უფრო სერიოზულ დაძაბვასთან. საჭიროა გაძლიერდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური პროლეტარული კავშირურთიერთობანი ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასთან; საჭიროა მოეწყოს ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასის პოლიტიკური დახმარება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისადმი ჩვენს ქვეყანაზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევისათვის, ისევე, როგორც საჭიროა მოეწყოს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ყოველგვარი დახმარება ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასისადმი; საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შეჭთხვევითობას“ და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელნი...

თქვენი წერილიდან სჩანს, რომ ამხ. ეროჟენკო ადგია სხვა, არასავსებით ლენინურ შეხედულებებს. იგი თურმე ამტკიცებს, რომ „ჩვენ ახლა გვაქვს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. ეროჟენკო სრულიად არ არის მართალი. ამხ. ეროჟენკოს ასეთი მტკიცება შეიძლება აიხსნას მხოლოდ გარემო სინამდვილის გაუგებლობით და ლენინიზმის ელემენტარულ დებულებათა უცოდინარობით, ან კიდევ თავგასული ახალგაზრდა მოხელის ცალიერი ბაქიობით. თუ ჩვენ მართლაც „გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“, მაშინ საჭიროა თუ არა ჩვენთვის ამის შემდეგ ძლიერი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, ძლიერი თავდაცვა-ავიაქიმი, ინტერნაციონალურ პროლეტარულ კავშირურთიერთობათა გაძლიერება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმტკიცება? უმჯობესი არ იქნება მილიარდობით ფული, რაც წითელი არმიის გაძლიერებაზე მიდის, მოვახმაროთ სხვა საჭიროებებს, ხოლო წითელი არმია შევამციროთ მინიმუმამდე, ან სრულიად დავშალოთ კიდევაც? ისეთი ადამიანები, როგორიცაა ამხ. ეროჟენკო, თუნდაც ისინი სუბიექტურად ჩვენი საქმის ერთგულნი იყვნენ, ობიექტურად საშიშნი არიან ჩვენი საქმისათვის, რადგან ისინი თავისი ბაქიობით ნებსით თუ უნებლიეთ (ეს სულ ერთია!) აძინებენ ჩვენს ხალხს, ადემობილიზებენ მუშებს და გლეხებს და ხელს უწყობენ მტრებს მოულოდნელად თავს დაგვესხან საერთაშორისო გართულებათა შემთხვევაში.

რაც შეეხება იმას, ამხ. ივანოვო, რომ თქვენ, თურმე, „მოგხსნეს პროპაგანდისტული მუშაობიდან და დასვეს საკითხი კომკავშირში ყოფნის შესახებ“, თქვენ ამისი არ უნდა გეშინოდეთ. თუ ადამიანები საკ. ალკკ ოლქკომიდან მართლაც მოისურვებენ დაემსგავსონ ჩეხოვის უნტერ-ოფიცერს პრიშიბეევს, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ისინი წააგებენ ამით. ჩვენს ქვეყანაში არ უყვართ პრიშიბეევები.

ახლა თქვენ შეგიძლიათ განსაჯოთ, მოძველდა თუ არა ცნობილი ადგილი წიგნიდან „ლენინიზმის საკითხები“ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე. მე თვითონ ძალიან მინდა, რომ იგი მოძველდეს, რომ ქვეყნად აღარ იყოს ისეთი არასასიამოვნო რამეები, როგორიცაა კაპიტალისტური გარემოცვა, სამხედრო თავდასხმის საშიშროება, კაპიტალიზმის რესტავრაციის საშიშროება და ა. შ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არასასიამოვნო რამეები ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას.

ი. სტალინი

1938 წ. 12 თებერვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. ე. ვოროშილოვი

სტალინი და წითელი არმია

ცარიცინი *

ამხანაგმა სტალინმა თავისი სამხედრო მუშაობა ცარიცინის ფრონტზე დაიწყო, და ეს თითქმის შემთხვევით მოხდა. 1918 წ. ივნისის დამდეგს ამხანაგი სტალინი წითელარმიელთა რაზმით და ორი ჯავშნიანი ავტომობილით მიემართება ცარიცინისკენ, როგორც სამხრეთ რუსეთის მთელი სასურსათო საქმის ხელმძღვანელი. ცარიცინში იგი ხედავს წარმოუდგენელ ქაოსს, არა მარტო საბჭოთა, პროფესიულ და პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ უფრო მეტ არევდარევასა და აბნეულობას სამხედრო სარდლობის ორგანოებშიც. ამხანაგი სტალინი ყოველ ნაბიჯზე აწყდება საერთო ხასიათის დაბრკოლებებს, რომელნიც ხელს უშლიან მას შეასრულოს თავისი პირდაპირი ამოცანა. ეს დაბრკოლებანი გამოწვეული იყო, პირველ ყოვლისა, ყაზახთა სწრაფად მზარდი კონტრრევოლუციით, რომელიც მაშინ უხვ დახმარებას იღებდა გერმანელ ოკუპანტებისაგან. ამ უკანასკნელებს დაჭერილი ჰქონდათ უკრაინა. ყაზახთა კონტრრევოლუციური ბანდები მალე იპყრობენ ცარიცინის მახლობელ პუნქტებს და ამით არა მარტო გვისპობენ შესაძლებლობას გეგმაშეწონილად ჩავატაროთ პურის დამზადება დამშეული მოსკოვისა და ლენინგრადისათვის, არამედ ჰქმნიან ცარიცინისთვისაც მეტად დიდ საფრთხეს.

ამ დროს უკეთესი მდგომარეობა არ არის სხვა ადგილებშიაც. მოსკოვში ხდება მემარცხენე ესერების აჯანყება, აღმოსავლეთით გვღალატობს მურავიოვი, ურალზე ვითარდება და მაგრდება ჩეხო-სლოვაკთა კონტრრევოლუცია, განაპირა სამხრეთით — ბაქოსკენ ინგლისელები მოიწევენ. ყველაფერი ცეცხლის რკალში იწვის. რევოლუცია უდიდეს განსაცდელშია, ლენინისაგან დეპეშა დეპეშაზე მოდის მავთულებით ცარიცინისკენ ამხანაგ სტალინთან და სტალინისაგან ლენინთან. ლენინი აფრთხილებს საშიშროებათა შესახებ, ამხნევებს, გადამწყვეტ ზომებს მოითხოვს. ცარიცინის მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. ვი-

---

* ამოღებულია ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის წიგნიდან „სტალინი და წითელი არმია“.

ნიცობაა დონზე აჯანყება მოხდეს და ცარიცინი დავკარგოთ, ჩვენ მოგველის პურის მწარმოებელი მთელი მდიდარი ჩრდილო-კავკასიის დაკარგვა. და ამხანაგ სტალინს ეს მკაფიოდ ესმის. როგორც გამოცდილი რევოლუციონერი, იგი მალე რწმუნდება, რომ მის მუშაობას — ოპერატიული მხოლოდ იმ პირობით ექნება, თუ იგი შესძლებს გავლენის მოხდენას სამხედრო სარდლობაზე, რომლის როლიც ამ პირობებში გადამწყვეტი ხდება.

„ჯერ კიდევ აღდგენილი არ არის ხაზი ცარიცინის სამხრეთით", — სწერს იგი ლენინს 7 ივლისის ბარათში დამახასიათებელი წარწერით: „ფრონტზე ვიჩქარი, მხოლოდ საქმეზე ვიწერები".

„ვერეკები და ვლანძღავ ყველას, ვისაც ეკუთვნის; იმედი მაქვს მალე აღვადგენთ. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ არ დავინდობთ არავის — არც საკუთარ თავს, არც სხვებს და პურს მაინც მოგცემთ. ჩვენს სამხედრო „სპეციალისტებს" (ფინაჩებს!) რომ არ ეძინოთ და არ უსაქმურობდნენ, ხაზი გაწყვეტილი არ იქნებოდა; და თუ ხაზი აღდგება, ეს სამხედროთა მეოხებით კი არ იქნება, არამედ მათ უნებურად".

ლენინს აფიქრიანებს მემარცხენე ესერების შესაძლებელი გამოსვლა ცარიცინში; სტალინი უპასუხებს ამაზე ლენინს და წერს მოკლედ, მაგრამ შტაიცედ და ნათლად:

„რაც შეეხება ისტერიულებს, დარწმუნებული იყავით, ჩვენ ხელი არ აგვიკანკალდება, მტერთან მტრულად მოვიქცევით".

ამხანაგი სტალინი, რაც უფრო მეტად უკვირდება სამხედრო აპარატს, უფრო რწმუნდება მის სრულ უმწეობაში და იმაშიც, რომ განსაზღვრულ ნაწილს აშკარად არ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა გათავხედებულ კონტრრევოლუციას.

და უკვე 1918 წ. 11 ივლისს ამხანაგი სტალინი ტელეგრაფით ატყობინებს ლენინს:

„საქმეს ის ართულებს, რომ ჩრდილო-კავკასიის ოლქის შტაბი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებთან სრულიად შეუგუებელი გამოდგა. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ჩვენს „სპეციალისტებს" ფსიქოლოგიურად არ შესწევთ კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი ომის უნარი, არამედ იმაშიც, რომ ისინი, როგორც „შტაბის" მუშაკები, რომელთაც მარტო „ნახაზების ხაზვა" და გადაჯგუფების გეგმის მოცემა იციან, აბსოლუტურად გულგრილნი არიან ოპერატიული მოქმედებისადმი... და საერთოდ თავს გრძნობენ, როგორც გარეშე ადამიანები, როგორც სტუმრები. სამხედრო კომისრებმა ვერ შესძლეს ხარვეზის შევსება"...

ამხანაგი სტალინი არ კმაყოფილდება ამ გამანადგურებელი დახასიათებით; ამავე ბარათში იგი აკეთებს თავისთვის ქმედს დასკვნას:

„მე უფლება არა მაქვს გულგრილად ვუყურო ამას, როდესაც კალინინის (მაშინდელი სარდალი ჩრდილო-კავკასიაში — კ. ვ.) ფრონტი მო-

წყვეტილია მომარაგების პუნქტს, ხოლო ჩრდილოეთი — პურის რაიონს. მე მოვახდენ ადგილებზე ამ და სხვა მრავალი დეფექტის გამოსწორებას, მე ვიღებ და მივიღებ მთელ რიგ ზომებს, იქამდეც [illegible] საქმის დამღუპველ მოხელეებს და მეთაურებს, მიუხედავად [illegible] დაბრკოლებებისა, რომელთაც აუცილებლობის პირობებში დავამსხვრევ. ამასთანავე, ცხადია, ჩემს თავზე ვიღებ მთელს პასუხისმგებლობას ყველა უმაღლესი დაწესებულების წინაშე".

მდგომარეობა უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა. ამხანაგი სტალინი კოლოსალურ ენერგიას ანვითარებს და სულ მოკლე ხანში საბურსათო საქმის საგანგებო რწმუნებული,—იგი ხდება ცარიცინის ფრონტის მთელი წითელი ძალების ფაქტიურ ხელმძღვანელად. ეს მდგომარეობა თავის გაფორმებას იღებს მოსკოვში და ამხანაგ სტალინს ეკისრება ამოცანები:

„დაამყაროს წესრიგი, გააერთიანოს რაზმები რეგულარულ ნაწილებად, დააწესოს მართებული სარდლობა, გააგდოს ყველა ურჩი" (რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს დეპეშიდან წარწერით: „ეს დეპეშა იგზავნება ლენინთან შეთანხმებით").

ამ დროისათვის ცარიცინში მიდის უკრაინის რევოლუციური არმიების ნაშთები, რომელნიც, გერმანიის ჯარებისაგან შევიწროვებულნი, უკან იხევენ დონის ველებით.

ამხანაგ სტალინის მეთაურობით იქმნება რევოლუციური-სამხედრო საბჭო, რომელიც იწყებს რეგულარული არმიის შედგენას. ამხანაგ სტალინის დაუცხრომელმა ბუნებამ, მისმა ენერგიამ და ნებისყოფამ ჰქნა ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ შეუძლებლად იყო მიჩნეული. სულ მცირე დროის განმავლობაში იქმნება დივიზიები, ბრიგადები და ლეგიონები, შტაბი, მომარაგების ორგანოები და მთელი ზურგი რადიკალურად იწმინდება კონტრრევოლუციური და მტრული ელემენტებისაგან. საბჭოთა და პარტიული აპარატი უმჯობესდება და წელში სწორდება. ამხანაგ სტალინის ირგვლივ თავს იყრის ძველი ბოლშევიკებისა და რევოლუციური მუშების ჯგუფი და სამხრეთში, კონტრრევოლუციური დონის ბჭესთან, ნაცვლად უმწეო შტაბისა, ალიმართება წითელი ბოლშევიკური ციხე-სიმაგრე.

ცარიცინი მაშინ სავსე იყო ყოველნაირი ჯურის კონტრრევოლუციონერებით, დაწყებული მემარჯვენე ესერებითა და ტერორისტებით და გათავებული აშკარა მონარქისტებით. ამხანაგ სტალინის გამოჩენამდე და უკრაინიდან რევოლუციური რაზმების მოსვლამდე ყველა ეს ვაჟბატონი თითქმის თავისუფლად გრძნობდა თავის თავს და ცხოვრობდა უკეთესი დღეების მოლოდინში. რათა უზრუნველყოფილიყო ფრონტზე წითელი ძალების რეორგანიზაცია, საჭირო იყო ზურგის გაწმენდა დაუნდობლად რკინის ცოცხით. სამხედრო-რევოლუციური საბჭო, ამხანაგ სტალინის

მეთაურობით, ჰქმნის სპეციალურ საგანგებო კომისიას და აცილებს მას კონტრრევოლუციისაგან ცარიცინის გაწმენდას.

ზოგჯერ მტრის მოწმობა ძვირფასი და საგულისხმოა. ეს ეს ... როგორ აგვიწერს ამ პერიოდს და ამხანაგ სტალინის როლს ... ...

მაგრამ შემდეგ თვით ნოსოვიჩი აღიარებს, თუ რამდენად ჰქონდა საფუძველი ამ რეპრესიებს. აი რას სწერს იგი ცარიცინის კონტრრევოლუციური ორგანიზაციების შესახებ:

„ამ დროისათვის ადგილობრივი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც დამფუძნებელი კრების პლატფორმაზე იდგა, საგრძნობლად მომაგრდა; მან მიიღო ფული მოსკოვიდან და ცარიცინის განთავისუფლების საქმეში დონის ყაზახების დასახმარებლად აქტიური გამოსვლისათვის ემზადებოდა. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციის მეთაური, მოსკოვიდან ჩამოსული ინჟინერი ალექსეევი და მისი ორი შვილი ნაკლებად იცნობდნენ საქმის ნამდვილ ვითარებას; მათ შეადგინეს არასწორი გეგმა, რომელიც დაფუძნებული იყო სერბების ბატალიონის ჩაბმაზე აქტიურ გამომსვლელთა რიგებში. ეს ბატალიონი კი ბოლშევიკების საგანგებო კომისიასთან მუშაობდა, რის გამოც ორგანიზაცია აღმოჩენილი იქნა... სტალინის რეზოლუცია მოკლე იყო: „დახვრიტეთ“. ინჟინერი ალექსეევი, მისი ორი შვილი და მათთან ერთად ოფიცრების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთაგან ზოგი ორგანიზაციაში ირიცხებოდა, ხოლო ზოგის შესახებ ეჭვი იყო, რომ ამ ორგანიზაციაში მონაწილეობდნენ, საგანგებო კომისიამ შეიპყრო და დაუყოვნებლივ, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, დახვრიტა“.

შემდეგ ნოსოვიჩი ლაპარაკობს ზურგის (ჩრდილო-კავკასიის ოლქის შტაბისა და მისი დაწესებულებების) დანიავებასა და გაწმენდაზე თეთრგვარდიელთაგან და სწერს:

„ამ გარეკვის დამახასიათებელი თავისებურება იყო სტალინის დამოკიდებულება ცენტრიდან მიღებულ სახელმძღვანელო დეპეშებისადმი. ტროცკი შეშფოთებული იყო იმის გამო, რომ ინგრეოდა მის მიერ ასეთი შრომით მოწყობილი მმართველობა ოლქებისა. მან გამოგზავნა დეპეშა იმის შესახებ, რომ შტაბი და კომისარიატი აუცილებლად წინანდელ პირობებში დაეტოვებინათ და მათთვის მუშაობის შესაძლებლობა მიეცათ. სტალინმა ამ დეპეშაზე კატეგორიული და მრავალმნიშვნელოვანი წარწერა გააკეთა:

„მხედველობაში არ იქნას მიღებული“.

ამგვარად ეს დეპეშა მხედველობაში არ მიიღეს და მთელი საარტილერიო და შტაბის სამმართველოს ნაწილი ახლაც ცარიცინში ბარჟაზე ზის“.

მოკლე ხანში სრულიად გამოიცვალა ცარიცინის სახე. ქალაქი, რომლის ბაღებშიაც დიდიხანი არაა რაც მუსიკა გრგვინავდა, ქალაქი, სადაც სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილი ბურჟუაზია თეთრ ოფიცრობასთან ერთად ხროვა-ხროვად აშკარად დაძრწოდა ქუჩებში, ეს ქალაქი იქცევა წითელ სამხედრო ბანაკად, სადაც ყველაფერში მეფობს უმკაცრესი წესრიგი და სამხედრო დისციპლინა. ზურგის ეს განმტკიცება დაუყოვნებ-

ლივ ახდენს სასიკეთო გავლენას იმ ჩვენი ლეგიონების განწყობილებაზე, რომელნიც ფრონტზე იბრძოდნენ. მეთაურთა და პოლიტიკური შეძადგენლობა და წითელარმიელთა მთელი მასა უკვე გრძნობენ, რომ მათ ხელმძღვანელობს მტკიცე რევოლუციური ხელი, რომელიც ბრძოლას მუშებისა და გლეხების ინტერესებისათვის და დაუხდობლად სჯის ყველას, ვინც კი ამ ბრძოლას ეღობება.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობა კაბინეტით როდი ისაზღვრება. როდესაც დამყარებულია აუცილებელი წესრიგი, როდესაც აღდგენილია რევოლუციური ორგანიზაცია, იგი მიდის ფრონტზე, რომელიც ამ დროისთვის ექვსას კილომეტრზე არის გადაჭიმული. საჭირო იყო სტალინობა და მისი უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი, რომ გარეშე რაიმე სამხედრო მომზადებისა (ამხანაგ სტალინს არასოდეს არ უმსახურია სამხედრო სამსახურში!..) ასე კარგად გარკვეულიყავი სპეციალურ სამხედრო საკითხებში მაშინდელ მეტისმეტად ძნელ ვითარებაში.

მშვენივრად მახსოვს 1918 წ. აგვისტოს დამდეგი. კრასნოვის ყაზახთა ნაწილები უტევენ ცარიცინს, ლამობენ კონცენტრიული დაკვრით ვოლგისკენ გადაყარონ წითელი ლეგიონები. მრავალი დღის განმავლობაში წითელი ჯარები, კომუნისტური დივიზიის მეთაურობით, რომელიც მხოლოდ დონბასის მუშებისაგან შესდგებოდა, იგერიებენ საუცხოოდ დარაზმულ ყაზახთა ნაწილების განსაკუთრებული ძალით მოტანილ იერიშს. ეს იყო უდიდესი დაძაბულობის დღეები. უნდა გენახათ მაშინ ამხანაგი სტალინი!.. როგორც ყოველთვის, დამშვიდებულს, თავის ფიქრებში ღრმად წასულს, მას დღე და ღამე არ ეძინა და თავის ფრიად ინტენსიურ მუშაობას ანაწილებდა საბრძოლო პოზიციებსა და არმიის შტაბს შორის. მდგომარეობა ფრონტზე თითქმის კატასტროფული ხდებოდა. კრასნოვის ნაწილები, ფიცხალაუროვის, მამონტოვის და სხვათა უფროსობით, კარგად მოფიქრებული მანევრით ავიწროებდნენ ჩვენს დაქანცულ ჯარებს, რომელნიც უდიდეს ზარალს განიცდიდნენ. მოპირდაპირის ფრონტი, აგებული ნალისებურად, რომელიც თავის ფლანგებით ვოლგას ებჯინებოდა, დღითი დღე უფრო და უფრო იკუმშებოდა.

ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვქონდა. მაგრამ სტალინი ამისთვის არც ზრუნავდა. იგი გამსჭვალული იყო ერთი შეგნებით, ერთადერთი ფიქრით—გაემარჯვნა, დაემარცხებინა მტერი, რათაც არ უნდა დაჯდომოდა. და სტალინის ეს ურყევი ნებისყოფა გადადიოდა მის ყველა უახლოეს თანამებრძოლზე და მიუხედავად თითქმის გამოუვალი მდგომარეობისა, არავინ არ იყო დაეჭვებული გამარჯვებაში.

და ჩვენ გავიმარჯვეთ. განადგურებული მტერი შორს დონისკენ გადავრეკეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

შავი ქაღაქის გაზაფხული

მზემ რომ დილა გაათენა,
ერთი ღამეც გაუფრინდა,
ნელა ადგა ასაფრენად
აბრეშუმის საბუდრიდან.

არ უნდოდა, ადგა ძალით,
ვარსკვლავებთან ყარა წილი,
გვიან ადგა პატარძალი
და ჩიტების გატყდა ძილი.

გამოვიდა, გადახედა,
ხის ტოტები გათბენ ნელა
და ყაყაჩო ბალახებთან
დაჯდა, როგორც ხატპეპელა.

დაჯდა როგორც კამათელი
შავთვალა და გიშრიანი,
მან რა იცის სადარდელის,
მწვანე ფერით, ტყის შრიალით,
ყვავილების დასტა მთელი
გასაფრენად კვირტში არი...

და ტყემალი ყვავილისფერს
მთებზე თოვლის ნარჩენს პარავს,
ტოტზე ლეჩაქს გაშლით იფენს,
ზღვის ქაფისფერს დასცემს კარავს.

Библиотека
имени при ЦК ВКП (б)
Тбилисский филиал
საქართველოს
სარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შავ ქალაქში ჩუმად შედის,
ქალაქს თეთრი არ უხდება,
ფერს შეირჩენს შუადღემდის,
შუადღიდან გარუხდება.

ნელა-ნელა შავი მტვერი...
ღამისმთევლის თავშალს ღებავს,
ეკარგება ყვავილს ფერი,
სალამომდის გაშავდება.

გაზაფხულის დგება ხვავი,
მწვანე კაბას მოლი კერავს,
ატმის ტოტი გაშლის ყვავილს
გახურებულ თორნის ფერად...

მაგრამ მტვერი შავად მოდის,
ყვავილებზე მტვერი წვება.
ცისკრის ფერი სალამომდის,
მწუხრისფერით შეიცვლება.

და მერცხალიც მიმალული
გამოჩნდება მოწინავედ,
სიყვარულით, სიხარულით
თბილქვეყნიდან მოფრინავენ.

მოაქვთ თეთრი გულისპირი,
მოაქვთ კუდი მაკრატელა
განა არი ცუდი გმირი?..
ამდენი მთა გადათელა...

— პატარა ვარ?.. — გავჩნდი ისევ,
დიდი თუა მოდის სპილო?..
გაედება შავი ქვის მტვერს
ვაი, თეთრო გულისპირო...

ცხოვრობს უხნავ, უთესავი,
გადმოლახავს ლაღი ქედებს,
დევის თვალის უპესავით
კლდეზე ბუდეს გაიკეთებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამით უდევს მხრებში თავი
და ბუდეში ჯდება თვითონ...
მკერდიც შავი, ფეხიც შავი...
— ინდოეთში ველარ იცნონ...

— : —

ჩამოურბის ტყეებს, ქოხებს,
ჩვენში მთის წყალს რა არ ჰქვია,
თუ კი სადმე ღელე მოჰყეფს
სახელი არ დაჰკარგვია.

მოაბრწყინებს მთიდან ცოცხალს,
ჩაივაკებს სავალს ქვიანს,
რა არ ჰქვია ქვეყნად მთის წყალს,
ყვირილა კი არსად ჰქვია....

ჩვენში ორი ლიახვია,
სამიოდეც არაგვია,
ჩვენში მთის წყალს რა არ ჰქვია,
ყვირილა კი არსად ჰქვია —
არ იყვიროს, აბა რა ჰქნას,—
გზა კლდეებით გარაგვია...

თითქო თეთრი ქალალდია
ზოგან ფსკერის მოჩანს ჭიქა,
ზოგან კალმახს ახატია
ფორაჯების მოზაიკა.

ეგერ ბრწყინავს ტალღის ქაფი,
გზებს რომ შუქი გადაჰფინოს,
აგერ, მოსდევს მგზავრი ნაპირს,
გზებს მოჰყვება სანაპიროს...

მგზავრს მდინარე შფოთით მოსდევს,
ვაჟკაცს მოგავს გულჯავრიანს,
მთიდან ერთად მოდიოდენ,
მგზავრთან ერთად უმგზავრია.

უმზერს მგზავრი მაღლობიდან:
წყალს ნაკადი შავად მისდევს,
გაოცება დატყობია
სახეს ოდნავ ნაყვავილევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალს ზევიდან შავი ღელე
ერთვის შავად შეწამლული,
წყალი შავად გაიელვებს,
ფერი დაჰკრავს მეწამული.

თითქოს მოაქვს შეშა ტივით,
შავ წყალს ერთგან დაიგუბებს,
მერე შავი ვეშაპივით
ჩაიშავებს თვალის გუგებს...

შეგორდება მძივზე მძივი,
შხეფმა მძივი იცის ბევრი,
ჯერ წითლდება სპილენძივით,
მერე ხდება გიშრის ფერი.

— როგორ ჰქონდა თეთრად კალთა,
რა სუფთა და რა კამკამა...
ამ ქალაქის შესავალთან,
რა ეშმაკმა ჩააღამა...

აი, სტიქსის ნაკადული,
ჯოჯოხეთი დასამხობი,
როგორც წიგნში დახატული,
ან ზღაპარში ნაამბობი...

მიდის მგზავრი ახალგაზრდა...
მიაშურა საშევარდნოს, *
აი, უკვე ქალაქს გასცდა,
რომ ალმართით გაემართოს.

თითქო განგებ აემართოთ,
კლდე შეჰყურებს ცას და ბურანს,
ისევ იქ დგას საშევარდნო —
შევარდნები სად წასულან?!..

მგზავრს კლდის ლანდი მოსდევს ჩრდილად,
კლდემ ვის უთხრას არ აქვს ენა...

---

* საშევარდნო — კლდეს ჰქვიან ჰიათურაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს, არწივი მოფრენილა
შევარდნების ასაფრენად...

მზე ვის ეტყვის ფერდობიდან,
მზე, ღრუბლებით დადაფნული:
ეს ბელადი შემოვიდა
და პირველი გაზაფხული...

ია-ია თვალს ახელდა,
აცილებდა გზაზე ბელადს
და ყაყაჩო ბალახებთან
იჯდა, როგორც ხატპეპელა...

— : —

რა პატრა, რა ულონო,
გეგონება ანი, ბანი...
უბედური არ ყოფილა,
დაჰყოლია თან ილბალი.

და სარდაფში სტამბის დაზგა
სხვის ხმას აღარ გაგაგონებს,
მიდი-მოდის, კვალსაც აჩენს,
აწყობს ნაბეჭდ კაბადონებს...

ჰა, ფურცელიც გადიკეცა,
მერცხალივით გადაფრინდა,
ჯულაშვილის მაგიდაზე
ამოფრინდა სარდაფიდან...

თვითონ წერს და ხელნაწერთან
ნაბეჭდს თვითონ შეაჯერებს,
თვითონ ჩარბის ბნელ სარდაფში,
ამწყობს აწვდის ხელნაწერებს.

და პატარა დზგის შფოთი
შუალამეს ბოლოვდება,
რომ დილამდე მალაროში
გაჩნდეს ცეცხლის მოწოდება.

— : —

რა პატარა,
რა ულონო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეგდო ცალკე
ანი...
ბანი...
ჯულაშვილის სტრიქონებში
ჩადგა, როგორც ჰანიბალი...

— : —

მზევ შინა და მზევ გარეთა,
მზე ყველასთვის გერქვას ნეტავ,
გინდ გიმღერონ, გინდ გილოცონ —
ბნელ მაღაროს ვერ ჩახედავ...

ჩაგეხედა, დაგენახა,
შიგ მუშები შავ დღიანი,
მათი ცა და სახლის ჭერი
შავი მიწის თაღი არი.

აი, შედის, კართან გტოვებს,
და სინათლეს ეთხოვება,
იქნებ ველარც გამობრუნდეს,
ჩალად ულირს ეს ცხოვრება...

მოიხედავს ქვესკნელიდან,
კარებამდის მოსულს გხედავს,
კარებს იქით სინათლეა
ეკრანივით ოთხკუთხედად,

მიბრუნდება მიაბიჯებს,
რა ბნელია, რა ტიალი,
აღარც ქრება, არც ანათებს,
ჭრაქი ბჭუტავს ჭვარტლიანი.

აი, დაწვდა ოხვრით წერაქვს,
— ეს რა მოხვდა ხელში რბილად...
დაიხარა: თეთრი იყო,
თვალი ველარ მოაცილა...

გაიოცა, არ ელოდა,
დაანათა ჭრაქი უცებ:
მარცვალ-მარცვალ გაჭირვებით
გაადევნა თვალი ფურცლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქო რაღაც გაახსენდა,
დააშტერა თვალი დიდხანს,
მიიხედა, — მოიხედა
და ხელახლა გადიკითხა...

ფიქრში იყო, ვერ გაიგო,
კაცის ლანდი მოდგა ჭრაქთან,
ბროწეულის ყვავილივით.
ყალიონი მოანათა.

შეკრთა მუშა, მოტრიალდა,
შედგა, ნაბიჯ გადუდგმელი,
მის წინ თვალებ ანთებული
მუშა იდგა ბათუმელი.

დგას და ჩუმად ჩაჩურჩულებს,
თან დაკეცილ ფურცელს დასცქერს,
— ამ საღამოს კრება არი,
თვითონ ნახავ მაგის დამწერს...

თქვა და ვითომ არაფერი,
არხეინად ჩაიარა,
მიდიოდა სიბნელეში,
აბოლებდა ჯავრიანად...

— : —

ვინ დაკეტა ცის კარი,
ამოფრინდი, ვარსკვლავო —
ამოფრინდი, ფუტკარო,
ბნელი ღრუბლის ფიჭიდან...
ღამე იყო უმთვარო,
გზის განგება გიჭირდა,
ღამე იყო უმთვარო...

ცას არ ჰქონდა ნიშანი
თვალნი ბადახშისანი,
მაგრამ როცა მიხვედი,
მაღაროსთან ისეთი
ცა გამოჩნდა,
კრიალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭიქასავით კი არა....
ამღვრეული ქართულდ,
ხონჩასავით ხატულა,
თავს დაგადგა სართულად...

ეს ცა რატომ გაგონებს
გადალოცვილ ბატონებს...
ცას სად შეხვდა წითელა,
ათასჯერ გაითენა,
ათასჯერ მოიხადა,
რალათ შეხვდა წითელა...
ზობოდიშე ვინ ყავდა...
— არ გაბედონ ცისკართან,
არსად დაჰკლან საკლავი...
— აგერ მოწყდა ვარსკვლავი
— სადით წახველ ცდომილო?
ცა თამაშობს დომინოს...

აგერ ზეცის დარბაზში
შემოვიდა კაშკაშით,
ცის კაბადონს ცალი მხრით,
ვით კალენდარს თარიღი,
რამე დიდი თარიღი —
ზოემატა მარიხი...

— ჰა, „გიგიას ვარსკვლავი“,
ერთად შედგა ცხრამკლავი,
დაიყვირეს: „შაბაში“...
ჭრაქის შუქის თამაშით
მაღაროდან ღამეში,
დაქანცული ცხრა კაცი
გამოვიდა ბარბცით...

ზეცას მდურვით ახედეს,
საჩივარი გაბედეს:
დაწყევლილო ვარსკვლავო,
ასე რათ აგვიანებ...
დღის სინათლე გვაღირსე
შავებს და შავქვიანებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იდგნენ შაოსანები,
როგორც გამოცანები,
არსად თეთრი ნიშანი,
ერთიც კი ვერ იცანი.

ძლივს სახე გამურული
გაარჩიე გურული,
მაწყევარი მნათობის.
— ბათუმელო სალამი!..
მუშამ, იცნო ნაცნობი
ხმა და გახსნა წამწამი,
თითქო მზე დაენახა,
გაუბრწყინდა თვალები
და ბალღივით შესძახა:
— წინამძღვარო, შენა ხარ?..

დაიარა ბათუმელმა
უსახლო და ბინადარი,
მთელს უბანში ხმა დავარდა:
ჩამოსულა წინმძღვარი...
მაღაროსთან ულრან ტყეში
მოდგა ხალხის ნიაღვარი.

მოდიოდენ ბნელი ტყისკენ,
შუქი ნახეს შიგ ჩამდგარი,
ულრან ტყეში ჯუღაშვილი
იდგა, როგორც ჩირაღდანი...

მოდიოდენ, იყო მართლა
სანახავი საოცარი,
ჭაბუკს ირგვლივ შემორტყმოდა
უთვალავი შაოსანი.

იდგა თვალებ ანთებული,
თითქო იყო გულთმისანი,
ჯერ პატარა იგავი თქვა
წერაქვის და გუთნისანი,

მერე დაგმო ხალხის ბედი,
განა არი ასატანი?.. —
ვინც მუშაობს, მას არა აქვს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არც მინდორი, არც მადანი,
არჩევანი მდიდარს ერგო,
თქვენ არ დაგრჩა არადანიც...

კაცის სახეს აღარა გავს
თქვენი სახე უსახური,
მაღაროში უნდა ჩაკვდეთ,
რომ იშოვოთ ლუკმა პური,
— ნულარ გინდათ ბორკილები
და სიცოცხლე ტუსაღური...

თუ ბატონი ერთი არი,
მეტი არი მონა ასჯერ...
ესა თქვა და წუთით შედგა —
ტყეში სტვენდა მოდარაჯე,
გაიხედეს, დაინახეს
გზაზე გზირი მოალაჯებს...

— : —

ნეტავ ვისი სახლი არის,
ვისი იყო ნასახლარი,
გარეგნულად უბრალოა
ახურია სახლს ყავარი —
შიგ რომელმა დაიქადოს
მასზე დიდი გასახარი...

დღისით სახლთან არვინ მიდის,
დაბალ ჭერქვეშ არვინ შევა,
ღამ-ღამობით შუქი ამხელს
რიჟრაჟამდის ღამის მთევარს...

ღია სარკმელს გვერდით უზის
და სანთელი უდგას წყვილი...
— შუალამე გადავიდა,
ნეტა რას სწერს ჯუღაშვილი?..

მაგიდაზე წიგნებია
და ლენინის „ნაპერწკალი" —
ეს პირველი მოფრენილა
მახარობლად აქ მერცხალი,
რომ რიჟრაჟი გააღვიოს
და პირველი ნაკვერცხალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბელადი თვალს არ ხუჭავს
შუალამე გადავიდა,
ნაპერწკალი გადავარდა
მოწყვეტილი ვარსკვლავიდან,
თაბახები გადაჭრელდა
სტრიქონების ქარავნითა...

ეს პატარა სტრიქონები
ხვალ ბრძოლებში წავა ლაღად,
ამ პაწაწა კალმის წვერმა
ქვეყნის ცეცხლი გააჩაღა
დასდო კობამ კალმისტარი
და ხანძარი დარჩა ქალალდს.

ადგა კობა დასაწოლად,
ტახტი ედგა გაუთლელი,
იატაკზე ტახტის ახლოს
იწვა ორი ბათუმელი,
ზედ საბანი არ ეხურათ,
ქვეშ არ ედოთ სასთუმალი...

დააცქერდა: როგორ სძინავთ,
საცოდავად, ყაჩაღურად,
უბედური ხალხის ბედი
მტრულის ხელით გაჩარხულა...
თვით გადიძრო ფარაჯა და
მძინარს მუშებს გადახურა...

გააღილა თვალი მუშამ,
წახე ჰქონდა მიწისფერი:
თვითონ იხდი, მე მახურავ,
რა ხარ აგრე ღვთისნიერი!

ადგა, აღარ დაეძინა
მადლიერი თვალით მზირალს,
ღამის მთევლებს მიაჩერდა,
გაბნეულებს ცაში ხშირად,
— ეს გიგიას ვარსკვლავია...
თქვა და ხელი გაიშვირა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა არის ჩვენი ცხოვრება,
ჰაერსაც ვნატრობთ რიგიანს,
— საბნადაც ჯავრი გვახურავს,
ლოგინად ჯავრი გვიგია...
ჩვენი სიცოცხლის პატრონი
ბრეგვაძე არი გიგია...

სადაც მადანი გამოჩნდა,
სადაც კი მთა გამოხრულა,
ყველას პატრონი ის არი,
სუყველა დარჩეს ოხრულად,
რაკი ბნელეთში ჩაგვრეკა
ქვესკნელის კარი მოხურა,

რაკი გვირაბში შეევდი
დღე ალარ ვიცი რას ქვია,
სინათლე ალარ მინახავს,
მზე მომენატრა შავქვიანს,
თეთრი პერანგი არ ვიცი,
შავი პერანგი მაცვია...

ეგ ვარსკვლავი ადრე ქრება,
კვლავ ამოსვლა იცის გვიან,
ეგ გიგიას ვარსკვლავია
და სახელიც მისი ჰქვია.

ხედავ... — სხვაზე ადრე გაჰქრა,
ღამე უკვე გაათია,
გიგიას სძულს სხვა საათი,
ეგ გიგიას საათია.

დილით, როცა ეგ ჩაქრება,
ვით ნიშანი დანიშნული,
მაშინ შევალთ მაღაროში
ზმორებით და შარიშურით.

შევალთ, ვანგრევთ,
რომ გაუძლო,
უნდა იქცე კაჟადევად,
მზის ჩასვლამდი ვერ მოიცლი
წუთით წყალის დასალევად...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და როს მთვარე მიანათებს
ზეცას ბინდით მინაბინდარს,
ძლივს ამოვა ეგ ვარსკვლავი—
ჩვენც ამოვალთ გვირაბიდან.

ჩვენისთანა ხალხის ბედი
უღვთოს ხელით გაჩარხულა,
ცა წაგვართვა მოწმენდილი,
შავი მიწა გადაგვხურა...

— : —

ღამე იყო, დაღლილები
დამსხდარიყვნენ მაღაროსთან
შავფერდობზე მიწოლილნი
ყურს უგდებდენ ჭაღაროსანს,
არც ფარავდათ სახლის ჭერი,
არც სინათლე დაჰხაროდათ.

წინ უგდიათ ცივი ჭადი,
უფენიათ სუფრად ველი,
ცივი დოქით წყალი უდგათ;
შხამად ჩადის ლუკმა სველი
და ძილის წინ მართალ ამბავს
ზღაპრად ამბობს მუშა ძველი...

„რა შავქვად მინდა“, იტყოდენ,
არვის უნდოდა შავი ქვა,
მერე სუყველას მოუნდა,
როცა სახელი გაითქვა,
ამ ღამის ფერმა მთაგორამ
ოქროს სახელი დაირქვა...

სხვა სიმდიდრე არ ყოფილა
თურმე მისი დასადარი,
მის საშოვრად წამოვიდა
ფრანგი, რუსი და თათარი,
უცებ გაჩნდა მეპატრონე,
მეურმე და ჩალვადარი.

სხვის ქვეყნებში გაურეცხლად
აგზავნიდენ მადანს ერთხანს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე გაჩნდა ქარხნის ბოლიც,
მიუშინეს მარად თეთრ წყალს.
და ყვირილა მიუყენეს
დაზგებს მადნის გასარეცხად.

ეს მდინარე გამჭვირვალე
თეთრი იყო, მსგავსად სუფრის,
რეცხდა მადანს, შავდებოდა,
ფერი ედო მარტის ღრუბლის,
დაზგებიდან შემზარავად
გადგა, როგორც შავი კუპრი...

თევზებს უყვართ თეთრი წყალი,
თევზებს უყვართ გრილი ჯილე,
სიცხემ, რომ არ შეაწუხოთ
ტირიფები მიიჩრდილეს.

თევზმა ფხებით დაიქადოს,
გაუხუნებს თავთუხს თავთავს,
ბოლოწითლის უცხო შლეიფს
განთიადი გადუხატავს.
ქაშაპს გული არ უდგება,
ქროლვა უყვარს ქაშაპური,
თითქო იყოს გასაპნული.

ღლავს უბრალოდ ვერ დაიჭერ,
ვერც ლაყუჩით, ვერც კისერით,
კაცს წააქცევს, ბადეს გახევს,
პაწაწინა თევზის მტერი...

და კალმახის საქებარი
ყველას ყოფნის გატოლებით,
ჩქერში ყოფნა დაჰყოლია
და წითელა ბატონები.

სისწრაფეში ელვას ჯობნის,
ახტება და გადასცურავს,
ტანი ხშირად მოუწინწკლავს,
მოაბრწყინებს ატლასურად —
ნეტავ წვეთი სად შეესხა,
ბროწეული სად დასწურა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეტავ ბადე ვინ ისროლა,
წყალს ვინ დასცა ძალის ძალათ,
თაფლით სავსე ფიჭასავით
წყალში ბადე გაიშალა.

ბადე მძიმედ დაიძირა,
თითქო მოხვდა მძლავრი ტალღა,
ვით ბალახმა ნაწვიმარზე,
თევზმა ისე დაიძახა...

გარედ ველარ გამოვიდა,
რაკი თავი გაჰყო ფრთხილად,
სიყვარულის მზგავსად თევზიც
ორივ თვალით ბრმა ყოფილა...

მებადურმა თოკს მოზიდა,
მკლავი ველარ გააწვდინა,
თოკის ბოლოს ოქროს ქისა
დაეკიდა პაწაწინა...

ამ ხნის არი მებადური,
არ უნახავს ამისთანა:
ნაპირამდის ორი ბადე
ძლივს ძლივობით გაიტანა.

შორალ ნაპირზე უწყლო თევზი,
ფეთქავს, როგორც საფეთქელი,
და მესამედ მებადურმა,
რომ მოსწყვიტა ბადეს ხელი —

გაუფითრდა უცებ სახე,
მოელანდა თითქო რაღაც:
შავი წყალი მოდიოდა —
უფსკრულს გავდა თითო ტალღა
მოდიოდა და თევზები
გამოექცენ თურმე შავ წყალს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადეს მიტომ მოწყდომოდენ —
დაეძებდენ ბუდეს ახალს.
და ზვირთები შავი, როცა
მებადურთან დაიბადენ,
მებადურმა თოკს მოზიდა,
ველარ იცნო შავი ბადე...

ველარ იცნო: ბადეს ტყვია
თეთრად ალარ უპრიალებს,
მუხლებამდის მომდგარ მორევს
თვალი შავად უტრიალებს,
და ყვირილა შავად მოდის,
შხეფებს ისვრის კუპრიანებს.

თითქო სურდა დაჯერება,
წყალს დახედა ალმაცერად,
რომ უნდოდა მოშორება,
თვალი უფრო დააშტერა,
ვერც ხმის დაძვრა მოახერხა,
ველარც პირჯვრის გადაწერა.

მერე, როგორც შეპყრობილი,
მთელი ტანით აკანკალდა,
არც შარვალი გაახსენდა,
აკეცილი გაჰყვა კალთა,
ეზოს კართან მიიჭრა და
გულწასული გადაქანდა...,
ვინ გაიგებს, ვისი დარდით,
სადით მიდის სადაური,
თეთრი ჩოხით, თეთრი ცხენით
მოდიოდა აზნაური.

თეთრი ნაბდით, თეთრი ქუდით
ველ-მინდორზე მოთარეშე,
თავმომწონე აზნაური
მოდიოდა მოყვარეში.

მოდიოდა თეთრი შარაც,
მოუჩანდა ბოლო ლანდათ,
კოხტა იყო ცხენოსანი
და სიმჩატით ფოთოლს გავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოდიოდა ნიავივით,
ჭალა გადაინავარდა...
უცებ დაფრთხა ბედაური
ჭიათურის მისავალთან.

გახტა გვერდზე, ყალყზე შედგა,
ძლივს უჭერდა აღვირს მერანს,
ძირს დახედა ცხენოსანმა
და პირჯვარი გადიწერა.

მოდის ზლაზვნით შავი წყალი,
ვეშაპივით გაშხლართული,
როგორც წარღვნა, როგორც წყევლა,
ტალღა მოაქვს ცხრასართული.

ვის უნახავს შავი წყალი,
იქნებ იყოს მოლანდება,
გაიჩეჩავს შხეფის ქოჩორს
და შლეგივით მოვარდება.

დააფეთებს ცხენის თვალებს,
კლდეზე ზათქით გადასული,
— თავი აქ აქვს, ბოლო სად აქვს?..
აღარა აქვს დასასრული.

იღუპება?.. ვეღარ ნახავს
ბაღს და ეზოს ალუბლიანს?...
— რა შესცოდა, ეშმაკებმა
გზები რატომ აუბნია.

რა ყოფილა ეშმაკის გზა, —
ჩამოწნული ცხენის ძუა,
მოყვარეში წამოსული
ჯოჯოხეთში შეიტყუა.

გადისახა კვლავ პირჯვარი,
და დაწყევლა გზა ნაძრახი,
ფერგამკრთალი მოტრიალდა,
მოალანდა რაშს მათრახი,
მიფრინავდა თეთრი ცხენი
და გაშლილი ყაბალახი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირგვლივ ერტყენ მუხები
ძველი საყდრის გალავანს,
დაეფინათ ტოტები
ქარიშხლისგან მფარავათ,
იდგენ ახოვანები,
თითო გავდა ფალავანს.

გადაეჭდოთ რტოები,
დამდგარიყვენ თავდახრით,
თითო ჩრდილი დაედგათ, —
აბრეშუმის ჩარდახი,
თითო ტოტი გაეშვათ, —
ტარიელის მათრახი!

და მოჩანდა რკოსავით —
ტოტზე ზარი ეკიდა.
შორით მოგანათებდა
ზარი დასარეკიდან,
ახლოს გეგონებოდა
კურდღლის ყური ეკიდა!

ღარიბების საფლავზე
დადიოდა ნახირი,
ზოგგან ლოდიც არ იდო
და ხის ჯვარი წახრილი,
სანთლად არვის დაენთო
მათი ამოძახილი!

და მდიდრების საფლავზე
ვარდი იყო დარგული,
ცას წვდებოდა ძეგლები
რკინით შემორაგული,
სხვანაირი დაედგათ
სამუდამო სადგურიც!
საღამო ხანს საყდართან
მუუდროება დამყარდა..
თითქო ღამის ჩრდილები,
შეეფარენ ვერხვიანს,
ისხდენ სმენად ქცეულნი,
ყაბალახი ეხვიათ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩუმად ისხდენ გლეხები,
შრიალებდენ ვერხვები
და ხავერდათ დაეგოთ
ხეებს ხავსის ფარდაგი,
გავდა ქარის მოტანილს
მენშევიკის ქადაგი.

რა ენა აქვს, მთელ სოფელს
საქალამნედ ეყოფა,
ლამის გადაიბიროს
თავის მხარეს გლეხობა,
ენაწყლიანს ვერავინ,
ველარ გადაელობა!

შეედავენ მუშები,
ეკამათა მტვირთავი,
ვერაფერი გააწყეს —
სიტყვით სჯობდა პირშავი,
ალარავინ დატოვა
მწარედ გაუქირდავი.
რომ შეატყო, ხეირი
ალარ იყო დავიდან,
ადგა ერთი მნგრეველი
და უჩუმრად გავიდა.

აი, მიდის საძებრად,
დაიმალა ულრანში,
დიდის ვაივაგლახით,
ძლივს მიაგნო ჯუღაშვილს!

და როს გალალებული
ჭექდა კრების მოთავე,
შეუმჩნევლად შევიდენ
საყდრის ტყეში ორთავე.

დაინახეს, განათდენ,
ტაში დაჰკრეს გლეხებმა —
ნაწვიმარი ფოთლები
დაიბერტყეს ვერხვებმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეშინებულ ორატორს
გულზე ჯავრით ეყრება!!

დაიშალენ, კრების შემდეგ,
ლაპარაკით შოდიოდენ,
ჯუღაშვილი ბრუნდებოდა,
გლეხი ახლდა ორიოდე.

ღამე იყო ბნელზე ბნელი,
ბინდი ეკრა ცას და მთიებს,
ერთმა უთხრა: ახლო ვცხოვრობ,
მოდი ჩემთან გაათიე!

თითქო ერთად, რომ ეთხოვათ
მოელოდა ყველა ნიშანს,
მეორემაც, მესამემაც
თავის სახლში შეპატიჟა!

დაილოცოს იმერელი,
თუ გაგიცნო, მოგიხათრებს,
არაფრისთვის არ გაგიშვებს,
ჩამოგახევს ჩოხის კალთებს.

და ღარიბი იმერელი
სტუმრისათვის ეფეთება,
ერთმანეთის დასათმობად
კობა არცერთს ემეტება.

— აგერ ვცხოვრობ ორ ნაბიჯზე,
ა, ბატონო ჩემი სახლი,
ამ მოსახვევს, რომ გასცდები
ყეფა ისმის ჩემი ძაღლის.

ჰო და მალე ამ ორ ნაბიჯს
იცნობ ფიცით ნათავდებარს,
მიდის,
მიდის მასპინძელი,
მიდიხარ და არ თავდება!..
მაგრამ გრძელ გზას ვერც გაიგებ,
აღარც გახსოვს კაცს საათი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზას და მანძილს დაგავიწყებს
მოსწრებული მასლაათი.
რას არ იტყვის, რომ გაერთო,
ეშმაკობას რას არ იხმარს,
— შორს ვართ კიდევ? — რომ იკითხავ,
მაშინ აღებს დაბალ ჭიშკარს!

მოგაგებებს მანდილოსნებს,
მოგასვენებს რბილად დაღლილს,
ერთი წუთით ბოდიშს იხდის,
თვალს ანიშნებს დიასახლისს.

აგერ ყვინჩილს თავი წასჭრეს,
წითლად შერჩათ ხელში წალდი,
ჯერ ყივილიც არ იცოდა,
მოუსწრაფეს წელიწადი!
ცეცხლის პირას სუფრა დადგეს,
კედელს სცემდა კედლის ლანდი,
დამწვარ კაკლის ფოთლებიდან
ამოაგდეს ცხელი ჭადი!

თეთრი, ყურის ბალიშივით,
წინ დაგიდვეს ჭყლინტი ყველი,
ეკალა და ცხელი ჭადი...
ბუხარი და ისიც ცხელი,
არ გშიოდეს, არ გციოდეს,
მათკენ მაინც მიდის ხელი!

მაგრამ რა ვქნა, სულ სხვა არი
ჩვენი კაცის ხასიათი,
სულ არაფრად არ ჩაგიგდებ,
თუნდ ამ სუფრით გატიალდი,
— ღვინო თუ არ მომიტანე
ფერად, როგორც განთიადი!
და ღარიბი მასპინძელი,
ჭიქაც არ აქვს სამი ცალი,
ღვინოს მაინც მოისესხებს,
ქვას გააპობს ძალის ძალით,
ისევ მოაქვს მხიარულად,
თითქო ჰქონდეს ნატვრის თვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრ ჭიქაში შავი ღვინო
ფერს მეტადრე ჩაიკუპრავს,
დარდიმანდი მასპინძელი
ბოდიშს მოხდის ღარიბ სუფრას.

ბროლის ყელზე ტუჩებს დახრის,
ადღეგრძელებს მზეს და ვაზებს,
სტუმარს ღვინოს ჩამოუსხამს,
თან ჭინჭილას შესთავაზებს!

პატარაა ეს ჭინჭილა,
გაცურება იცის დიდის,
რომ გგონია დავცალეო,
დასაცლელი ძირში იცდის,
ყელში ისე ჩაიმღერის,
თითქო მღერის ინდიმინდის:
დილ-დილაო, დილ-დილაო
დილ-დილ, დილ-დილ!..

დაილოცოს შავი ღვინო
ამოგიყვანს მტრის ჟინიდან
ფეხწითელა მტრედის ფეხამ
შავ მტევნებზე იჯირითა —
ახლა გულის გასახარად
ყელში ჩადის ჭინჭილიდან.

პატარაა ეს ჭინჭილა,
მაგრამ ღვინო ჩადის ბევრი,
დაიცლება, მოქცეული
დაეღლება კაცს კისერი,
ულვაშებზე მარგალიტი —
წვეთი ჯდება ვარდისფერი.

ყველამ შესვა თითო-თითო,
გამოსცალეს თითო წყება,
ფეხზე დგება მასპინძელი,
იცინის და ილოცება:

— იდღეგრძელე ჯუღაშვილო,
სიტყვას ამბობს გაწაფული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ სინათლე მოგვიტანე
და პირველი გაზაფხული!

იდღეგრძელე, შენს სახელზე
ათასი მზე ენთოს მეტი,
შავ მაღაროს სიბნელეში,
შენ შუქივით შემოხვედი!

შენ თვალები აგვიხილე,
ბინდით გვქონდა დაბინდული,
კაცობაში დაგვაჯერე,
გაგვიცოცხლე მკვდარი გული!

მწყურვალები გეწაფებით,
ძლივს გიპოვეთ წმინდა წყარო,
სიკვდილამდი შენი გვჯერა,
წინ გაგვიძეხ, წინამძღვარო!

შავ ქალაქში სიცხე არი
და ნიავი არ ქრის წყნარი,
ხეთა ჩრდილში, კლდეთა ჩრდილში
ჩამალულა ნახიზნარი. *)

მაღლობიდან დასცქერს ქალაქს
თვითონ ჩრდილში შეხიზნული,
დაბლა შავი ჭიათურა
მოჩანს, როგორც ხელის გული.

მზე ჩავიდა, კლდეს რომ ჩრდილი
კიდევ უფრო ჩაუშაოს,
და მუშები სწრაფად, თითქო
იჩქარიან სამუშაოდ,

აივლიან აღმართს ჩუმად,
გაჰქრებიან ნახიზნართან...
მწუხრი იყო და მუხების
ჩრდილი უფრო გაიზარდა!

*) ადგილის სახელია ჭიათურაში, სადაც ამჟამად ობელისკი დგას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელ მხრიდან არ მოსულან,
დათვლი, მაგრამ განა რამდენს,
დიდი კრება შეიკრიბა,
ნახიზნარში დაბანაკდენ.

დიდი დავა უნდა იქნას,
ყველამ აქით მიაშურა,
ამ საღამოს უნდა ითქვას,
ვისთან არი ჭიათურა.
ვილაც ხალხში იქადება:
დღეს ვაჩვენებთ ბოლშევიკებს!
აი, ადის კლდეზე ვილაც
და საომრად ლონეს იკრებს..

ლაპარაკობს მოქადაგე,
შეეხება ათას საგანს,
მენშევიზმის საბუთები
სულ ერთბაშად დაალაგა.

ენა ყველას წყლიანი აქვს,
მაგრამ საქმე არი ძნელი,
გაათავებს ხომერიკი,
ქვაზე ადის „პარიზელი“.
ისიც მორჩა, სხვა გამოჩნდა,
როდი უყვართ დახანება,
რომ შეატყეს, არ გავიდა
ხალხში მათი სახარება, —
სეტყვასავით გაახშირეს
გინება და გაცხარება.

და მეხუთე გამობრწყინდა
ფერდაკარგულ თაიგულთან,
ვერ მოიგო ხალხის გული
გაცხარდა და გაიბუტა...
ნელმა სიომ ფოთლებს დაჰკრა —
ტაში იყო კანტიკუნტად...

იგი აქამდი მუშებში იჯდა,
წამოდგა მტრისთვის ანაზდეული,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიყო წრე და ღიმილით, დინჯად,
ის მიდოდა თვალანთებული.

შედგა, გულმკერდი გადაღელოდა,
თმა ჩამოშლოდა ხშირი თვალტანადს,
მკლავი გაეძრო ცალ სახელოდან
და ხელში ჰქონდა წიგნი პატარა.

გაშალა ხელი, როგორც არწივი
ფრთას გაშლის ხოლმე დამშვიდებული,
რა ბრძნული იყო სიტყვა მარტივი,
რა აზრიანი და დიდებული!

შემოხვეოდენ, გადიქცენ სმენად
და შეჰყურებდენ ფართო მხრებიანს,
ასე უმზერენ მზის გამოჩენას
და მზის ამოსვლას ასე ხვდებიან.

— თქვენ, რომ გიყურებთ, ქართული
გამახსენდება ზღაპარი:
ერთმა ვაჟკაცმა იცხოვრა,
დღედაღამ ზიდა ჭაპანი,
ვერც აიშენა სამყოფი,
ვერც გადიხურა საბანი!

ულაზღვრო ჰქონდა ყანები
შიგ ტრიალებდა ღვთის თვალი.
შიგ ტრიალებდა ვაჟკაცის
ოხი, ბარი და ფიწალი,
ზღვასავით იდგა ჯეჯილი,
ნაყოფი ჰქონდა დიდძალი!

მაგრამ ამაოდ შრომობდა
საწყალი ადამიანი,
პურად რომ გადიქცეოდა
თავთუხი თავთავიანი, —
კარს დევი მოადგებოდა
საშიში, ცხრა თავიანი.

ხმასაც ვერ შეუბედავდა,
თუმცა არ იყო ჯაბანი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუყველა იმ დევს მიჰქონდა
ნაშრომი და ნაჯაფარი,
მას მარტო შრომა რჩებოდა
და გასაწევი ჭაპანი.

ზვარეში ჰქონდა ზვარები,
ვაზები ედგა რქიანი,
ღვინობისთვეში საწნახლის
ღარებს გაჰქონდათ თქრიალი,
ღვინო მელვინის არ იყო,
კარს დევი ადგა ტიალი.

საწნახლის ღართან პატრონის
კოკაც არ იყო მიმდგარი,
სუყველა იმ დევს მიჰქონდა,
გაიღებოდა ჭიშკარი,
დევის ქვევრში და მარანში
ღვინო დიოდა შვიდგვარი.

დააღონა ბოლოს ვაჟი
ულელმა და მონის ბედმა,
— ან სიცოცხლე, ან სიკვდილი!
გადასწყვიტა დევთან შებმა,
ვერც ცხრა თავმა შეაშინა,
ველარც დევის ულვაშებმა.

შეება და შეეჭიდა,
ან რა ჰქონდა მოსარიდი,
დევი სულს რომ მოითქვამდა,
ქვენა ქარი ქროდა დიდი,
ლამის ვაჟმა გადასძლიოს, —
ნახა ხელის მოსაჭიდი?!

მაშინ ერთი დედაბერი
გაჩნდა დევის სასახლიდან,
ვაჟს, რომ ფეხი არ მოედგა,
ვაჟის ფეხქვეშ წყალსა ღვრიდა,
დევს რომ ფეხი მოეკიდა —
დევის ფეხქვეშ ნაცარს ყრიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხზე დადგა,
გაძლიერდა,
დევის სულის შენაბერი,
მაშინ ვაჟმა გაიფიქრა:
ვერ გავაწყო ვერაფერი —
დროზე თუ არ მოვიშორე
ეს წყეული დედაბერი!

შუაში მდგარი ხუნხუზა *)
გზას ეძებს უკან დასახევს,
მუშები მიხვდენ, ბელადი
სადით იქნევდა მათრახებს,
გაეღიმათ და ხმამაღლა
დედაბრის საქმე დაძრახეს.

ბელადი სიტყვას აგრძელებს
მტრებისთვის შხამად მომდინარს:
— დევს ხელი უშვა ვაჟკაცმა,
როდი გარდიქცა ლოდინად,
დედაბერს ერთი შემოჰკრა
და სული გააფრთხობინა!

მერე კვლავ დევს მიუბრუნდა,
ასწია და დასცა მიწას,
აღარც ხვეწნას გაუგონა,
აღარც დევის დანაფიცარს,
ჯერ ცხრათავი დაალაგა,
მერე გულში დანა მისცა!...

...ის ვაჟკაცი თქვენ ხართ, ხალხო,
ვეფხებს გავხართ ტყედ გასულებს,
დევი იგი „მეფე არი,
მემადნე და მემამულე,
თქვენით ტახტი აიშენეს, —
თქვენ სიცოცხლე შეგაძულეს.
თქვენ აქამდიც აჯობებდით,
რას იზამდა თქვენთან მტერი,

*) ხუნხუზა — ნ. ხომერიკი.

ასხამსტრეულნელი
ბიბლიოთეკა

მაგრამ აქაც გამოუჩნდა
დევს მსახური შესაფერი,
— მუშის ფეხქვეშ წყალს რომ ასხამს
აი, თქვენი დედაბერი!

ეს თქვა და ხელმა გაწვდილმა
მოპირდაპირე აჩვენა,
ფეხზე წამოხტა ხუნხუზა:
— ხელი შემახმეს მარჯვენა,
თუ შენ ცოცხალი გაგიშვა,
არ მინდა ცოცხლად დარჩენა!...

აჩერებენ, არ ჩერდება,
დაებურა სახე ბინდათ,
ცოტა ახლო რომ მივიდა,
უცებ შედგა და შეშინდა:
მის წინ შავი წერაქვები
წამით გადაჯვარედინდა!

შავქვიანმა ორმა მკლავმა
ხუნხუზას გზა გადაღობა,
ცალმხარეზე მტერი იდგა,
ცალმხარეზე გადგა კობა,
არც მუქარამ შეაშინა,
აღარც უიარაღობამ!

დაიძახა:
გეყოთ, ხალხო,
რაც სამარე გაგითხარეს,
ვისაც თვალი აეხილა,
ჩამოშორდით საზიზღარებს,
ვისაც ხსნის და ბრძოლის ჯერა —
გადმოდექით აქით მხარეს!...

ნიჩბებით და წერაქვებით
ხალხმა მისკენ დაიხუვლა,
დგას და ხალხი მისკენ მიდის
მტერი ცალკე გარიყულა,
გამცემების მცირე რაზმი
მარტო დარჩა ღარიბულად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგუგუნდა სიმღერები, —
გავდა ქარის გადანატანს,
ზღვად მოადგა ბელადს ხალხი,
როგორც იმედს და სამართალს
მერე დროშა გაიშალა
და ცა წითლად გაანათა!

მტრის გზას ზურგი შეაქციეს,
გარდუვალი ჩადგეს მიჯნა,
მას შეფიცეს ერთგულება,
ქვა დაადეს ქვაზე ნიშნად,
ჭიათურა გამყიდველებს
სამუდამოდ გაეთიშა!!!

ეპილოგი

მზის დასავალზე ნისლი ელავდა,
თითქო დაჭრილ ფრთას ხრიდა დურაჯი —
მზე ჩადიოდა დიდწიფელადან,
მე შევდიოდი ჭიათურაში.

შევედი მკვიდრი და მოგზაური,
შევხედე, მაგრამ ველარ ვიცანი:
ბაღში პალმები აღმოსავლური,
მთებზე სახლები ფერად ქვისანი!

და მწვანე მოგვდევს სულ გაყოლებით,
ავყვებით ქუჩებს ასფალტიანებს,
აი, ნახიზნარს ვუახლოვდებით
და გაოცება დამატრიალებს.

აღარც ეკლები, აღარც ბუჩქნარი,
ლოდებზე ძეძვი სუროს არ ხრიდა,
მარად გაშლილი და დაუმჭკნარი
ვარდი შემომხვდა უცხო ბაღიდან.

ნახიზნარიდან,
სადაც ბელადი
არხევდა წითელ დროშის ყაყაჩოს,
წამომართულა ძეგლი ფერადი, —
იმ დიდ ბრძოლებზე რომ იღაღადოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ დღის ხსოვნას, ახლაც ცხოველი,
ძეგლი დგას, როგორც იმ დღის აჩრდილი,
ძეგლ ქვეშ ისვენებს სტახანოველი
და მუხლზე უდევს წიგნი გაშლილი.

ვიცი ამ წიგნის ავტორი თვითონ,
ვიცი ამ ძეგლის ხუროთმოძღვარი,
მან ნარინჯების შუქი აგვინთო,
როგორც რიჟრაჟი გასაოცარი,
მან ბილიკები შარად აქცია,
და ბაღნარებად — ნაჭაობარი!

მან ააშენა თეთრი სართული,
სადაც ჭრაქივით ენთო გოძური,
მან აღადგინა ლექსი ქართული
და მწიფობისთვე შემოდგომური.

იგი ბოლომდე გაჰყვა სასწაულს
ლენინის საქმეს, ქვეყნის თაოსნად,
საქმედ აქცევდა აზრად განზრახულს,
ხალხი მიჰყავდა ბედის წყაროსთან
და საქართველო ახალ გაზაფხულს
კითხულობს, როგორც „ვეფხისტყაოსანს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

ახალგაზრდები

მოთხრობა

თავი პირველი

მთელი საღამო მერიმ და ოსიკომ ერთად ირბინეს, სულ დაიარეს ქალაქის გარშემო მდებარე გორაკები და დაღლა არ უგვრძნიათ. ხან მინდვრის ყვავილები აგროვეს და თაიგულები შეჰკრეს, ხან ღელეში თევზები ეძებეს და კენჭები ისროლეს. შემდეგ ტბიდან ამოხოხებული კუ დაიჭირეს და მთელი საათი ერთობოდნენ მისი სასაცილო სიარულით.

გორაკებზე ახლად წამოზრდილი ბალახი ჯერ კიდევ არ იყო გადარუჯული სიცხისაგან და მაისის სიმწვანით ელვარებდა. უცნაურად თბილი იყო ჰაერი, თან ისეთი სასიამოვნო, რომ სიხარულით ავსებდა ადამიანის გულს. ყველაფერი საყვარელი იყო: ეს ფერადი ქვები, მწვანე კვირტებიანი ძეძვები, ცაში ამართული აგურხანის მილი, ხეობაში გრძელ ზოლებად ჩახაზული ქალაქი და შორს ლურჯად გადაგრაგნილი გომბორის მთა. ქვემოთ ქალაქის განაპირა უბნის პატარა სახლები იყო მიმოფანტული. აქა-იქ ამ სახლების წინ გარეცხილი თეთრეული გაეფინათ და თოკებისათვის გრძელი ჯოხები შეეყუდებინათ. ამ უცნაურ სიწყნარეში ხანდახან მოისმოდა ან ძაღლების ყეფა ან მამლების უთავბოლო და უდროო-დროს ყივილი. მცხეთისაკენ მიმავალ ფართო შოსეზე ახალგაზრდები ველოსიპედებს დააქროლებდნენ, ხანდახან გამოჩნდებოდა ავტოც, რომლის ბორბლებიდან ცაში ბურღივით დახრახნილი მტვრის კორიანტელი ადიოდა.

შეუმჩნევლად გაირბინა საღამომ. მერისაც და ოსიკოსაც სრულიად დაავიწყდათ დროის არსებობა. როდესაც კუს ოინებით გული მოიჯერეს, თითქო ერთი წუთით შეისვენეს და ერთმანეთს თვალებში შეხედეს. მხოლოდ ახლა გაახსენდათ განმარტოება და ერთმანეთის სიახლოვე. მერიმ თვალები უცბად დახარა, შებრუნდა და სხეულის ზანტი რხევით ქვისკენ წავიდა. უცნაურად შეუთამაშდა მხრები და აბრეშუმის კაბაც ისე შეირხა, თითქოს ჟრუანტელით აღსავსე თბილმა გრძნობამ დაუარაო.

მერი ქვაზე ჩამოჯდა. კაბა ფეხებთან შეისწორა და ოსიკოს ალმაცერად ახედა.

— დაჯექი, არ დაიღალე? — წყნარად უთხრა მერიმ მოახლოებულ ოსიკოს და ცოტა გვერდზე მიიწია, რომ ადგილი დაეთმო.

ოსიკო ნელა მიუახლოვდა და ჩამოჯდა.

ორივენი სდუმდნენ.

ქვევით შოსეზე ახალგაზრდები ისევ დააქროლებდნენ ველოსიპედებს. პატარა ეზოში, გზის პირად, შიშველ-წვივებიანი ქალი თოკიდან თეთრეულს ხსნიდა.

ოსიკომ მერის ხელი აიღო და თითების თვლა დაუწყო. ისევ შეხედეს ერთმანეთს თვალებში, გაიღიმეს და ოსიკომ განაგრძო მერის ხელებით თამაში. ახლა ხელის გულით ისროდა მერის ხელს ზემოთ, თითქო შაურიანს ათამაშებსო. საერთოდ მერიმ იცოდა, რომ ხელების ამგვარი თამაში კოცნის შესავალს წარმოადგენდა და თუ ხელს გამოგლეჯდა, მაშინ ეს იმას ნიშნავდა, რომ კოცნა არ შეიძლებოდა.

მერიმ გაღიმებული თვალებით ისევ შეხედა და ხელი არ გამოგლიჯა. მაშინ ოსიკომ გადაიწვინა მუხლებზე და ტუჩებზე დაეკონა. მერი ჯერ თითქო გაუძალდა, მაგრამ შემდეგ ორივე მკლავი მოხვია კისერზე.

მათი გულები ახლო იყო და საკანში მომწყვდეული ტუსაღებივით უკაკუნებდნენ ერთმანეთს.

მერის თავიდან ბერეტი მოსძვრა და ძირს დავარდა. ზედ მაშინვე გზად მიმავალი ჭიანჭველა შეღოღდა, უმაღლეს წერტილზე მოექცა და მაღლა აიხედა. გრძელი ულვაშები შეათამაშა, გოლიათები შეათვალიერა და შემდეგ აუჩქარებლად ქვემოთ დაეშვა. ბერეტზე მან საყურადღებო ვერაფერი ვერ აღმოაჩინა, და განშორდა.

სიწყნარე იყო, შორიდან ქალაქის ყრუ ხმაური ისმოდა. ორივემ თვალები დახუჭა და ამგვარად სრულიად განმარტოვდნენ.

მოულოდნელად მსხვილი თბილი წვეთი დაეცა თვალზე მერის. გაიხედა და დაინახა ცაზე გადაფენილი ტვიის-ფერი მძიმე ღრუბლები, რომლებიც დინჯად მიცურავდნენ აღმოსავლეთისაკენ.

ორივე ზეზე წამოხტა.

— წვიმა! — წამოიძახა მერიმ.

— როგორ წამოგვპარვია ეს უნამუსო! — გაეცინა ოსიკოს.

— გავიქცეთ, წამო! შეხედე, როგორ გვიახლოვდება!

მართლა სწრაფად ახლოვდებოდა. შორიდან ისმოდა შრიალი და ზემოთ, მათ თავზე, რამდენჯერმე იელვა. წვეთამ უხშირა და სანამ ორივენი რაიმეს მოისაზრებდნენ, უცბად ისეთი სისწრაფით დაუშვა, რომ ფეროდბზე იმ წამსვე ხვლიკებივით ამოძრავდნენ პატარა რუები.

— გავიქცეთ! — იყვირა თმა-აწეწილმა მერიმ.

— მოიცა, რა გეჩქარება, — უპასუხა ოსიკომ. — სულ ერთია ვერ-სად დავიმალებით და დასველება არ აგვცდება. ისევ წყნარად წავიდეთ.

მაგრამ მაინც გაიქცნენ. ფერდობი უცბად ატალახდა — და ფეხი აუცურდათ. ორივენი მარდად ხტებოდნენ თხრილებზე და მალე შოსეზე გავიდნენ. ველოსიპედისტები უკვე აღარა ჩანდნენ, მხოლოდ ერთმა მანქანამ ჩაიქროლა შრიალით და მოსახვევში მიიმალა.

მალე ორივენი მთლად დასველდნენ და ნაბიჯსაც უკლეს, რადგან სირბილით მაინც ვეღარ უშველიდნენ თავს. მერის, ტანზე მიეკრა სველი კაბა და ყოველ წუთს იძულებული ხდებოდა შეჩერებულიყო, რათა კაბისთვის ნორმალური სახე მიეცა. ხან მუხლებზე ეკრობოდა, ხან მკერდზე. ოსიკოც სასაცილოდ იყო დასველებული. გახამებული თეთრი საყელო სრულიად დაულბა, ჰალსტუკი გვერდზე მოექცია და ჯიბეებში წყალი ჩაუდგა. წვიმა კი ისევ ენერგიულად ურახუნებდა ორივეს ზურგში, მირბოდა წინ, ქუჩაზე, სახურავებზე და მთელ ქალაქში შხეფების კორიანტელს აყენებდა. ისმოდა განუწყვეტელი ზუზუნი. ქუჩებში უკვე აღარავინ არა ჩანდა, მხოლოდ ალაყაფებში და კარებებში მოჩანდა წვიმისაგან თავშეფარებული ხალხი. თეთრკაბიანი ქალები შეშფოთებულნი იცქირებოდნენ გარეთ და ნერვიულად შესცქეროდნენ ცას.

წვიმდა და წვიმდა. შხუილით დაქროდნენ ავტოები, აპობდნენ წუმპეებს, და გაჩქარებული გარბოდნენ აქეთ-იქით, თითქო მათაც უნდოდათ წვიმისაგან თავი შეეფარებინათ.

როდესაც ოსიკო მერისთან ერთად თავის ქუჩაზე გავიდა, წვიმამ თითქმის უკვე გადაიღო, და ახლა არსენალის გადაღმა მიცურავდა მისი ჩამოკიდული სიმები. ჩამავალმა მზემ დასავლეთიდან გამოიჭყიტა და ალაყაფის კარებებში შემალულმა ხალხმაც ნელ-ნელა იწყო ქუჩაში გამოსვლა. ფეხის წვერებით მოდიოდნენ თეთრად გამოწყობილი ქალიშვილები. შემთხვევით კისერში წვეთის ჩავარდნის დროს ცივად ჰკიოდნენ და იცინოდნენ.

მერი და ოსიკო ერთ წუთს ალაყაფის კართან შეჩერდნენ. ოსიკომ სახლისკენ შეუხვია და მერის ხელი მოჰკიდა.

— წამოდი, პიჟამა მაქვს, იმას ჩაიცვამ.

— შენთან? — გაკვირვებით ჰკითხა მერიმ.

— ჰო! აბა აგრე სახლში როგორ მიხვალ. წამოდი ჩემთან. მართალია, მარტოხელა კაცი ვარ, მაგრამ ყველაფერი მაქვს ხომ იცი. ელექტრონის უთოცა მაქვს. ხელათ გაიშრობ ტანსაცმელს...

— სულელო, მერე რა ჩავიცვა?

— წამოდი, პიჟამა მაქვს, იმას ჩაიცვამ.

სანამ მერი ყოყმანობდა და რაიმე გადაწყვეტილ პასუხს გასცემდა, ოსიკომ ჩაავლო ხელი და ორივემ სწრაფად აირბინეს ფართო კიბე. კა-

ბებთან, სანამ ოსიკო სველ ჯიბეებში კლიტეს ეძებდა, მერიმ წასჩურჩულა:

— მხოლოდ ეს იცოდე, ოსიკო, რომ... კოცნა აღარ [illegible]

— არა, არა, — ღიმილით უპასუხა ოსიკომ, კარები გააღო და მერის თავაზიანად გზა დაუთმო.—გინდა წერილობით დავდოთ თავდაუსხმელობის პაქტი?

— კარგი, თანახმა ვარ. მხოლოდ ჯერ ტანსაცმელი გავიშროთ. იცი რა, ოსიკო... სჯობდა შინ წავსულიყავ...

— არა, არა, აი აგერ პიჟამა და მისი შარვალი, შეხედე, სულ ახალია, ჯერ არც ჩამიცვამს. აგერ შირმა, იქ გადი და ჩაიცვი...

— ეს რა შირმაა! ყველაფერი მოჩანს.

— ლანდი მოჩანს, მეტი არაფერი...

— იცი, რა გითხრა, შენ აი ესე შებრუნდი და კუთხეში დადექი. სანამ მე ტანსაცმელს გამოვიცვლიდე, მოხედვა არ გაბედო. ლანდი მოჩანს! საქმეც ისაა რომ ლანდი მოჩანს... იცოდე, თუ მოიხედე, მაშინვე სამუდამოდ გამოემშვიდობე მერის.

— კარგი ჰო! არ მოვიხედავ, თუმცა...

— არავითარი თუმცა...

— არა, მე ის მინდოდა მეთქვა, თვალები რომ მომერიოს და თავი შემაბრუნებინონ?

— ოსიკო! — დაჰკრა ფეხი იატაკს მერიმ და მისმა სასპორტო ფეხსაცმელმა სასაცილოდ დაიძახა „ტყაპ“.

ორივემ გადიხარხარა...

— მერი, მე აბაზანის ოთახში გამოვიცვლი ტანსაცმელს, ასე სჯობიო, თორემ შემცივდა, შენ კი აქა. მარტო ხომ არ შეგეშინდება? ჩემი პიჟამა აი აქ არის.

— წადი, წადი, — წაუტყაპუნა კისერში ხელი მერიმ ოსიკოს, ოთახიდან გააგდო და ტანისამოსის გამოცვლას შეუდგა.

გარეთ ნელა ეშვებოდა ბინდი. აქა-იქ სახლებში სინათლე აანთეს. სახურავებიდან ჩამოიწრიტა წყალი. გაჩუმდნენ აღიღინებული საწვიმარი მილები. ქუჩა ისევ მხიარულად ახმაურდა. მოსეირნენი გამოეფინენ გარეთ, ხოლო მწვანედ ალაპლაპებულ ხის ფოთლებში ისევ აჩურჩულდა მაისის თბილი ჰაერი.

მერიმ სწრაფად გაიძრო სველი ტანსაცმელი, ჩაიცვა ოსიკოს პიჟამა და ახლა ფანჯარასთან იდგა უთოს გახურების მოლოდინში. ფანჯრის ფიტონზე თვალი მოჰკრა ტენისის რაკეტას და უცბათ მოაგონდა, როგორ გაიცნო ოსიკო. მაშინ მერისთან ვერც ერთი ახალგაზრდა ვერ პოვდა ნაცნობობას. მერიმ ის იყო შესდგა ფეხი სრულწლოვანობის ასაკში და მისმა თანატოლმა რაინდებმა, რადგან მერი ვერავისთვის ვერ გაი-

მეტეს, ყველას აუკრძალეს მასთან ნაცნობობა. ამიტომ ამ პატარა ხულიგნებმა ბევრი უსიამოვნება მიაყენეს მაშინ მერის. ერთხელ მისი დეიდაშვილი, ახალგაზრდა კოტიკო შინ აცილებდა [illegible] კუთხეში გაიტყუეს და მაგრა მიბეგვეს. ერთხელ კიდევ ქიმიის [illegible] ლოცენტი, მერის მოტრფიალე საშუალო ხნის კაცი წინ იფრინეს და სამუდამოდ დაუკარგეს მიჯნურობის სურვილი. ბიჭებმა ფიციც კი შემოიღეს და როდესაც თავის სიმართლეს ამტკიცებდნენ, ამბობდნენ:

„მერის ვფიცავ“.

ან კიდევ:

„მერის წამწამებს ვფიცავ“.

და ეს იმას ნიშნავდა, რომ ფიცის მთქმელი არა ტყუოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ამ პატარა რაინდებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს და მხრები შეიშმუშნეს.

— ვვვაააა! — წამოიძახეს და მორიდებულად ჩაჩუმდნენ, რადგან დაინახეს, რომ მერის ოსიკო მიაცილებდა და თან უდარდელად უამბობდა რაღაც სასაცილო ამბავს.

მერე და როგორ გაიცნეს ერთმანეთი?

ოსიკო სამთო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო. ძალზე იყო გატაცებული სპორტით. მაშინ მოხდა მთელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება, რომელიც სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა. ტფილისის გუნდმა, რომლის მეკარეც ოსიკო იყო, მოუგო ყველას და უკანასკნელი შეხვედრა სვერდლოვსკის გუნდთან მოხდა ტფილისში.

ოცი ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო ამ შეჯიბრებას, რადგან, ჯერ ერთი, ეს იყო გადამწყვეტი შეხვედრა პირველობაზე და, მეორე, ტფილისელთა მოულოდნელმა გამარჯვებამ ზედიზედ ინტერესის უმაღლესი დაძაბვა გამოიწვია.

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა ოსიკო, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის გაჭირვებიდან გამოჰყავდა თავისი გუნდი და იშვიათად თუ გაუშვებდა ბურთს კარებში. შველის ნახტომებს აკეთებდა კუთხიდან კუთხეში და ელვის სისწრაფით იჭერდა ტყვიასავით წამოსულ ბურთს.

იმ დღეს საშინლად გამძაფრდა თამაში. პირველი ტაიმის დროს ტფილისის მარცხენა გარემარბმა გაიტანა პირველი ბურთი, და ოციათასმა მაყურებელმა აღტაცებით იქუხა. ყველანი ქუდებს ისროდნენ ჰაერში. ერთმა ხანში შესულმა მოქალაქემ ცოლის ქუდი ისროლა ჰაერში, რადგან თითონ საერთოდ ქუდს არ ატარებდა. ათ წუთს არ შეწყვეტილა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი. მერიმ და მისმა მეგობარმა გოგოებმა აღტაცებისაგან ერთმანეთი დასჩქმიტეს.

მეორე ტაიმში „მოწინააღმდეგეებმა“ თავგამეტებულად შეუტიეს, მაგრამ ოსიკო წამდაუწუმ იჭერდა ბურთს და ფეხის დარტყმით აბრუნებდა მოედნის შუა გულისკენ. რაც უფრო უახლოვდებოდა თამაში დასასრულს, მით უფრო მეტი მღელვარება ეტყობოდა ხალხს და უფრო ცხარდებოდნენ მოთამაშენი. მეორე ტაიმი უშედეგოდ თავდებოდა და ცხადი იყო, რომ გამარჯვება ტფილისელებს უნდა დარჩენოდათ. ბურთის ყოველი მიახლოვება ტფილისის კართან საერთო დაძაბვას იწვევდა, ყველანი ფეხზე დგებოდნენ და გულის ცემით ადევნებდნენ თვალს ბურთის მოძრაობას.

ტაიმის დამთავრებას სულ ორი წუთი აკლდა.

მაყურებლები ხან საათს დასცქეროდნენ, ხან ბურთს, რომელიც მოწინააღმდეგის გარემარბმა გაიტაცა, მიიტანა სულ ახლო, გაჰკრა ფეხი და გაუშვა ბადისაკენ. ამ დროს აქედან შესახვედრად გაქანებულმა მცველმა თავი ვეღარ შეიკავა და ბურთი ზედ მკლავზე მოხვდა.

ტფილისელები დაჯარიმდნენ პენალტით.

მაყურებელთა გმინვა ცას ასწვდა, მაგრამ ასეთი წესი იყო, და როდესაც მსაჯმა ბურთი საჯარიმო წერტილზე დასდო, ყველას სუნთქვა შეეკრა.

მერე რა უდარდელი, მოქნეული ნაბიჯით მოუახლოვდა ბურთს მოთამაშე დემენტიევი. ეს ის დემენტიევი იყო, რომლის დარტყმული ბურთი არასოდეს არ აცდენია ბადეს, ისე მძლავრად ურტყამდა ბურთს, რომ მეკარეს ხელებს წვავდა მისი დაჭერა. ამბობდნენ, ასეთი დარტყმით დემენტიევმა რამდენჯერმე ბადე გაგლიჯაო. პენალტიდან კი მისი ბურთის დაჭერა წარმოუდგენელი იყო.

ამიტომ ბევრმა მაყურებელმა უნუგეშოდ ჩაიქნია ხელი და გასასვლელისკენ გაეშურა. უმეტესობა კი მაინც დაიძაბა, მერი და მისი მეგობრები კანკალით ერთმანეთს მიეკრნენ და გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ მშვილდივით დაჭიმულ ოსიკოს.

დემენტიევმა ბურთიდან რამდენიმე ნაბიჯი უკან დაიხია, გაქანდა, და დაიძახა თუ არა ბურთმა — „ძინგ“, — ოსიკო ალმაცერად ნასროლი ისარივით ავარდა მარცხენა კუთხისკენ და ბურთი ხელებში მოიგდო.

— უუ... — იგუვლა ყველამ.

— გენაცვალე, გენაცვალე! — იკივლეს გოგოებმა.

დააწყდა მაშინ ხალხს მკლავები ტაშის ცემით. მატჩის დამთავრების შემდეგ მთელი ტფილისი ლაპარაკობდა ოსიკოს მიერ აღებულ ბურთის შესახებ.

სულ რამდენიმე თვის შემდეგ ახალი სენსაციური მატჩი გაიმართა, და ახლა ყურადღების ცენტრში მერი მოექცა. ფრანგ ჩოგბურთელ ქალთან მოუხდა მერის შეჯიბრება და როდესაც მოედანზე გამოვიდა, აღელვე-

ბისაგან კინალამ მიატოვა თამაში, რადგან ამოდენა მოზღვავებული ხალხის ცქერა თავის დღეში არ განეცადა — როდესაც ერთი წუთით ბარიერთან მივიდა, ვიღაცამ აღტაცებით წასჩურჩულა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ ღელავთ, მშვიდად ითამაშეთ.

ოსიკო იყო. ბარიერთან იდგა ჯიბეებში ხელებ-ჩაწყობილი და მზადებას უცქეროდა.

ეს იყო პირველი სიტყვები, რომელიც მერიმ ოსიკოსაგან გაიგონა. მხიარული გამომეტყველებით შეხედეს ერთმანეთს თვალებში და ორივემ გაიღიმა.

— ნუ ღელავთ.

— არა ვღელავ.

— თუ წყნარი გულით ითამაშებთ, აუცილებლად გაიმარჯვებთ, — ოლიმპიური სიმშვიდით უთხრა ოსიკომ.

მერის სულ დაავიწყდა მოზღვავებული ხალხის ამაღელვებელი ზეგავლენა. კიდევ ერთხელ შეხვდა მისი თვალები ოსიკოს თვალებს და შემდეგ მოედანზე გავიდა.

როგორ დამთავრდა შეჯიბრი, აღარც კი ახსოვდა, მხოლოდ ტაში კვლავ განაგრძობდა გუგუნს მის ყურებში. გამოერკვა მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიღაცამ მაგრამ ჩამოართვა ხელი და ნაცნობი ხმით უთხრა:

— ხომ გითხარით, თუ არ აღელდებით, გაიმარჯვებთ მეთქი, მომილოცავს.

აიხედა და ისევ ოსიკოს თვალებს შეხვდა. მხიარულ თვალებს.

ასე გაიცნეს ერთმანეთი, და როდესაც ოსიკომ იმ საღამოს შინ გაიცილა, სწორედ ასეთივე თბილი მაისის საღამო იყო და ამგვარადვე საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ ლაპლაპა მწვანე ფოთლები.

ოთახში ოსიკო შემოვიდა და მერიც გამოერკვა ფიქრებისაგან.

— ოსიკო, გახსოვს, მაშინ რომ გევედრებოდი, ნუ გამაცილებ, ჩვენი უბნის ბიჭები გცემენ მეთქი...

— ა? ჰო, მახსოვს, როგორ არა. რატომ არ გააშუქებ ოთახს? — ჰკითხა ოსიკომ, გადაატრიალა შესაერთი და ოთახი გაანათა.

ოთახს ოსიკოს მარტოხელობა ეტყობოდა, ყველაფერი არეულ-დარეული იყო. კავკასიის გეოლოგიურ რუკაზე, რომელიც გადაფენილი იყო მაგიდაზე, არხეინად მოთავსებულიყვნენ ერთად ცარიელი კონსერვის კოლოფი, ჰოგის ისტორიული გეოლოგიის სქელი ტომი, ძეხვის ნაჭერი, საბოქსო ხელთათმანები, ფარგალი, სახაზავი და ბარათაშვილის ლექსთა კრებული. წიგნის თაროზე ისე იყო ყველაფერი არეულ-დარეული, თითქო იმ საბრალო წიგნებს დიდი ომი გადახდომოდეთ. ზოგი თავდაყირა ეგდო, ზოგი ველზე გულაღმა წაქცეული ხელებ-გაშლილი მეომარივით, ზოგს ყდა მოწყვეტილი მკლავივით ეკიდა თაროზე, ზოგი მათგანი ისევ

ფეხზე იდგა, ხოლო ერთი სქელი წიგნი გულმოდგინედ მიკრეფნობოდა ორასიოდე მიწოლილ წიგნს, თითქო ყველანი გაქცევას აპირებენ და ეს არ უშვებსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერიმ სინათლეზე ოთახს თვალი მოავლო და [illegible] ეშეამჩნია ასეთი არევ-დარევა.

— რას გიგავს ოთახი, არა გრცხვენია? ფიჰ! მოდი დავალაგოთ. მოშეცი აქ ეგ ტილო, ტილოა ეგ თუ რა არის? აბა მოიტა.

— მოიცა, მერი, მე თითონ დავალაგებ, — აფუსფუსდა ოსიკო.

— შენ აქამდე უნდა გეზრუნა თუ შეგეძლო.

მერიმ სწრაფად აიფარა ოსიკოს ხალათი წინსაფრად, დაიმკლავა და ელვასავით დატრიალდა ოთახში. ხანდახან მოკლე და მკაფიო ბრძანებას აძლევდა ოსიკოს და ისიც უსიტყვოდ ასრულებდა დავალებას. ერთი საათის შემდეგ ოთახი სულ სხვა გვარად გამოიყურებოდა. წიგნები სპორტსმენებივით ჩამწკრივდნენ თაროზე. საბოქსო ხელთათმანებმა ჯერ ოსიკოს კინკრიხოზე გაისეირნეს და შემდეგ შკაფისკენ გაემგზავრნენ, რუკა ისევ აეკრა კედელს, ხოლო კონსერვის კოლოფმა რახანი მოადინა სანაგვე ყუთში. აქა-იქ მიმოყრილი ტანსაცმელიც მილაგდა. პირისაბანი გაკრიალდა და მრავალსახის ფეხსაცმელმა, ბუცებმა, ალპიურმა მოჭედილმა ფეხსაცმელმა, შევროს ლამაზმა ტუფლებმა, ჩექმებმა და რბილმა წაღებმა, თითქოს აღლუმზე ჩამწკრივებულებმა ტახტის ქვეშ დაიკავეს ადგილი.

მერიმ თავისებურად გადაალაგა ავეჯი და ისე შეიჭრა დიასახლისის როლში, რომ სულ დაავიწყდა, რა სამოსელში იყო მორთული. მის ტანსაცმელს კი გაუთოება ეჭირვებოდა.

— დაიცა, ეს სავარძელი აი აქ იდგას. ამ შკაფს, ასეთი უზარმაზარი რომ არ იყოს, აი აქ დავდგამდით...

— ეგ მერე, როდესაც ჩემი სახლის დიასახლისი გახდები საბოლოოდ...

— რაო? რაო? განა ავეჯი უნდა გილაგო?

— არა, ჩემო მერი, — მოეფერა ოსიკო და მკლავები მოხვია, — ავეჯს მე დაგილაგებ, შენ მხოლოდ ავეჯეულის მიზანსცენებს დაამუშავებ...

თვალებში ჩახედა ოსიკომ და ორივეს ისევ დაურბინა სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელმა, თითქო ელექტროდენს შეხებოდეს, ოსიკოს თვალებში მერი მოჩანდა და იღიმებოდა, მერის თვალებში კი ოსიკო.

არა ოსიკოს, რასაკვირველია, სიტყვის გატეხა არა სურს, მაგრამ როდესაც მათ შეუძლიათ ასე ახლო იყონ, რატომ არ უნდა აკოცონ ერთმანეთს? აი ოსიკო ნელა დაიხრება და თუმცა მერი თვალებით წინააღმდეგობის გაწევას აპირებს, ტუჩებით მაინც მიიწევს მისკენ. ოსიკო ნელა. სულ ნელა შეეხო მერის ტუჩებს, თითქო უნდოდა მარტო სითბო ეგრძ-

ნო მისი, მაგრამ შემდეგ ისე მაგრა დაეკონა ტუჩებს, რომ ორივეს სუნთქვა შეეკრა.

მოულოდნელად გაისმა კარების ძლიერი ბრახუნი. [illegible] ცა შეწყვიტა და შემკრთალმა მიიხედა.

ბიბლიოთეკა

— ვინ არის? — გასძახა ისე, რომ ადგილიდან არ დაძრულა და არც მერისთვის გაუშვია ხელი.

— განაღე ბჭენი შენი ოთახისანი! — გაისმა კარებს იქით რიხიანი ხმა.

— უიმე ბიძაჩემი! — იტკიცა ლოყაზე ხელი მერიმ, სწრაფად დაუსხლტა ხელიდან და ოთახში მიმოიხედა. — ვაიმე სად წავიდე? ეს რა მაცვია?!

ოსიკო ადგილიდან ვერ დაიძრა, სულ დაიბნა.

მერიმ სწრაფად გამოალო ძველებური დიდი კარადის კარები, შეხტა შიგ და კარები მიიხურა.

თავი მეოთხე

შესანიშნავია მაისის დღეები ტფილისში. განსაკუთრებით საღამოები, როდესაც ხალხი ხარბად ეტანება გაზაფხულის სიგრილეს, ყველა ქუჩებში და ბაღებში მიეშურება. ტფილისელს მაშინ ყველაზე უფრო უჭირს ოთახში ან კაბინეტში ჯდომა და საქმიანობა. ამიტომ იყო, რომ სამთო საქმართველოს უფროსის კაბინეტში შეგროვილი დარბაისელი ხალხი ცდილობდა დროზე დაემთავრებინა კრება, მაგრამ თავმჯდომარეს საკითხების მიფუჩეჩება არ უყვარდა და მეტად გულდასმით არჩევდა საკითხებს.

— დაამთავრეთ? — მიუბრუნდა თავმჯდომარე მოლაპარაკეს — ძალიან კარგი. შემდეგი საკითხია, ამხანაგებო, საქართველოში ვოლფრამის ძიების საქმე. ჩვენს სახელზე მოსულია საკავშირო გეოლოგიური სამართველოს მომართვა, რათა მიმდინარე წელს ჩავატაროთ ვოლფრამის ძიება. საჭიროა მხოლოდ წინასწარ გავარკვიოთ, შესაძლებელია თუ არა ჩვენი ბუნების წიაღში არსებობდნენ ისეთი მთის ჯიშები, რომელნიც შეიცავენ ვოლფრამს. გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი ამის შესახებ.

— მმმ... ნება მიბოძეთ!

— ბრძანეთ.

ერისთავი ადგა, ჩაახველა, მცირე პაუზა გააკეთა და ის იყო დააპირა ლაპარაკი, რომ ამ დროს კარი მოულოდნელად გაიღო და დარბაზში ჭარმაგი და ახოვანი მოხუცი შემოვარდა. სახეზე ეტყობოდა, რომ განსაკუთრებული თვისებების კაცი უნდა ყოფილიყო: მხიარული ახალგაზრდული სულით, მოუსვენარი და ცოტა აბნეული. შემოსვლისთანავე ხმამაღლა მიესალმა ყველას და მაშინვე დაარღვია დარბაზის მყუდრო და მოსაწყენი განწყობილება.

— გამარჯობათ არწივებო და რაინდებო! აა... ჩვენს არწივს, სამთო საქმეების თავმჯდომარეს, სალამი და პატივისცემა, ოჰ... ჩვენს საკალბასე ბებერს, როგორა ხარ?.. ოჰ! ცხვირას ვახლავარ, რა ... სიგრძე ცხვირი... როგორა ხართ, ყმაწვილებო, რა თავპირი ... არწივებო, რაინდებო...

სუყველამ თითქო თავისუფლად ამოისუნთქა. სიამოვნებით შეიშმუშნენ და ერთმანეთს გადახედეს. ზაალმა ქუდი დაჰკიდა, თავმჯდომარეს გვერდით მიუჯდა და პაპიროსი ფშუილით გააბოლა.

— რატომ დაიგვიანეთ, ზაალ ივანიჩ? — ღიმილით ჰკითხა თავმჯდომარემ.

— სტუდენტებს ვჭრიდი.

ყველამ გაიცინა.

— სულ ფოქსტროტი ვაცეკვე ყველას, მაგრამ, უმადური არავინ არა მყავს, პირიქით, მადლობას მეუბნებიან. ამაშია ბიჭობა. თქვენი საქმე როგორაა, რა საკითხები გაარჩიეთ.

— აი ვოლფრამის საკითხს ვარჩევთ. უკაცრავად მიხაილ ნიკოლაევიჩ, თქვენია სიტყვა.

ზაალი გაჩუმდა და ერისთავს შეხედა.

— ჰმ! ჰმ! მე მინდოდა მეთქვა, რომ... — დაიწყო ერისთავმა. — კავკასიის მთები შედარებით ახლად წარმოშობილი მთებია და, სამწუხაროდ, ამ სისტემაში მოქცეულ მთის ქანებში არ მოიპოვება ისეთი სახის ძვირფასი ლითონები, როგორიცაა ვოლფრამი, მოლიბდენი, სურმა, ოქრო და სხვა. მე მგონია, რომ...

— არაფერიც არა გგონია!.. — დაჰკა მუშტი მაგიდას ზაალმა და ერისთავი შიშისაგან შეხტა. — მიჰქარავ!..

— ჰმ... მოითმინეთ, მე ვასაბუთებ, — შეედავა ერისთავი.

— ხვიშტი! რის საბუთი, რა საბუთი! მიჩვენე შენი საბუთი!

— მე ვამბობ... რომ...

— სისულელეს ამბობ.

— თქვენ რა იცით, რას ვიტყვი?..

— სისულელეს იტყვი, ვიცი. საბუთი. მიხაილ ნიკოლაევიჩ თქვენი საბუთები ერისთავების საგვარეულო სიგელივით მოძველდა და გაცვდა. აი რა გითხრათ, ყმაწვილებო... უკაცრავად, ხომ შეიძლება?

— ბრძანეთ, — დაარღვია საერთო წესი თავმჯდომარემ.

ზაალი ადგა და რუკასთან მივიდა.

— აი ხომ ხედავთ: ეს მწვერვალები წარმოადგენენ ამონთხეულ ქანს. კავკასიონის ქედის ეს ნაწილი — და საკმაოდ დიდი ნაწილიც — სრულიად შეუსწავლელია. აი აქ უნდა ვეძიოთ ეს მადნები.

ზაალი თავის სკამს დაუბრუნდა, დაჯდა და ისევ გააბრალა პაპიროსი. ერისთავმა ირონიულად გაიღიმა და იმის ცხადსაყოფად, რომ ზაალის დასამარცხებლად უკვე საკმაოდ დიდი საბუთები ჰქონდა თავში, კმაყოფილებით გადახედა დამსწრეებს.

— შეიძლება პასუხი გავცე? — მიუბრუნდა ერისთავი თავმჯდომარეს.

— ბრძანეთ.

— საქმე ისაა, რომ ზაალის გამოსვლა მაგონებს ცნობილ იგავს მეჩექმისა და მეპურის შესახებ. მას რუსულად რომ იტყვიან, „слышал звон, да не знает откуда он". მართალია, რომ გრანიტ ფიქალების კონტაქტის ხაზზე არის ასეთი ჰიდრო-თერმალური პროცესების დროს წარმოშობილი მცირე ძარღვები. ეს მე ძალიან კარგად ვიცოდი, მაგრამ ეს როდია მთავარი, თუ ნებას მომცემთ, უფრო დაწვრილებით შევჩერდები ამ საკითხზე.

— აბა, აბა, გაგვახარე ერთი, თუ კაცი ხარ, — წაულაპარაკა ზაალმა აქა-იქ ჩაიცინეს. თავმჯდომარემ ოდნავ ზარი შეარხია.

— თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, — განაგრძო ერისთავმა, — რომ ადამიანს შეუძლია ცხოვრება მხოლოდ შედარებით ნორმალურ სიმაღლეზე ზღვის დონედან. რადგან ცოცხალი ორგანიზმი დიდ სიმაღლეს ვერ იტანს. ორიათას მეტრზე მაღლა ხე უკვე ვეღარ ხარობს. სამიათას მეტრამდე კი მხოლოდ ბალახი იზრდება. სამიათას მეტრს ზევით ცოცხალი ორგანიზმი სრულიად ვეღარ ხარობს და იქ მხოლოდ კლდისა და ყინულის სამყაროა. გრანიტ ფიქალების კონტაქტის ხაზი კი ოთხიათას მეტრზე დაბლა თითქმის არსად არ არის. ამ სიმაღლეზე ასვლა, რასაკვირველია, შეიძლება. მაგრამ იქ მუდმივად ცხოვრება შეუძლებელია. ამიტომაა, რომ ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეს ფასი აქვს მხოლოდ შესაფერ რაიონებში და არა იქ, რომლის სიმაღლეც ორნახევარ ათას მეტრს აღემატება. გარდა ამისა, ამ სიმაღლეზე მადნის დამუშავება შეუძლებელია იმიტომ, რომ ზედაპირი მიუდგომელია. ფრიალო, დაკიდული კლდეები, გამოფიტული დაშლილი ქანები ქვისა და თოვლ-ყინულის მუდმივი ზვავები მიუვალს ხდიან ყოველგვარ მადანს, თუ კი საერთოდ იგი მოიპოვება ჩვენში. ასეთ ხუთ სანტიმეტრიან სისქის ძარღვს ძალიან სუსტი გამადნებია, მეც შევხვედრივარ. მე მგონია, დიდი ბრიტანეთის გეოლოგიური ჟურნალი. სადაც სწორეთ ამ საკითხზე ჩემი მეცნიერული შრომაა დასტამბული, საკმაო ავტორიტეტის მქონედ უნდა ჩაითვალოს, და თუ ეს მოსაზრებები ინგლისის მეცნიერი გეოლოგებისთვის დასაჯერებელია, ზაალისათვის მით უმეტეს სარწმუნო უნდა იყოს. მე, რასაკვირველია, წინააღმდეგი ვარ იმ აუარებელი სახსრების წყალში გადაყრისა, რომლებიც ამ უმიზნო ექსპედიციას დასჭირდება. ჰმ! ჰმ! მე დავამთავრე.

ერისთავი დაჯდა. თავმჯდომარემ გადახედა ზაალს, რომელმაც პაპიროსი საფერფლეზე დააქრო და სიტყვა ითხოვა.

— შეიძლება? ნება მიბოძეთ ვუპასუხო. მიხეილმა იფიქრა, გვრეხვა თავში და აშკარად გაბრუება დაგვიპირა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, მიხაილ ნიკოლაიჩ, რომ ინგლისს ჩვენ კარგა ხანია ბევრ რამეში აღარ ვეთანხმებით. ჩვენ არ გვჭირდება ინგლისური ჟურნალის შუბლზე მოფარება. მართალია, მეტად მიუვალია ამ სიმაღლეებზე მთები, ციცაბო კლდეები, ყინვარები, გამოფიტული ქანები. ყველაფერი ეს ძლიერ აძნელებს იქ მუშაობას. მაგრამ ადვილი, როგორც მიხეილს მოეხსენება, არც ფაფის ჭამაა, თუ არ გააცივე. მით უმეტეს ადვილი არაა მთაში მუშაობა. მიხეილს ერთი რამ დაავიწყდა, რომ საქმე სურვილი და ხალისია. თუ მოისურვებ, ყველაფერს შესძლებ, მთასაც დაიპყრობ და ბარსაც. იქ მადანი არის. მხოლოდ მოძებნა უნდა. ეძიებდით და ჰპოებდეთო. ასე არაა? თუ არ მოძებნი, ისე რა ხვიშტს იპოვი.

— რა საბუთით უნდა ვეძიოთ? — ესროლა გულმოსულმა ერისთავმა.

— იმ საბუთით, რომ ამას გვიკარნახებს როგორც თეორიული მოსაზრება, ისე აღმოჩენილი ნიმუში. კვლავ გიმეორებ, არის სრული საფუძველი, ვეძიოთ ჩვენში ვოლფრამი. მე ვკისრულობ საძიებო ექსპედიციის ხელმძღვანელობას, მიუხედავად იმისა, რომ მხრებზე სამოცდა თორმეტი წელი მაწევს.

— იმასაც ვნახავ, რა ვოლფრამს აღმოაჩენ, ვნახავ! — ირონიულად ესროლა ერისთავმა.

— ვნახავთ!

თავმჯდომარემ ზარით შეაჩერა ორივე. ზაალის და მიხეილის შეჯახებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია, უმრავლესობა ზაალს უჭერდა მხარს, და ერისთავი თითქმის გარიყული აღმოჩნდა. კამათის დასასრულს მოთმინებიდან გამოსულმა ერისთავმა ველარ შეიკავა აღელვება, ზეზე წამოხტა და აცახცახებულმა მიაძახა ყველას:

— როგორ გნებავთ, აფრინდეთ, იქ? ვინ უნდა ავიდეს იმ მიუვალ კლდეებზე? როგორ უნდა გამოიკვლიოს ის ადგილები გეოლოგმა? როგორ უნდა ავიდნენ მუშები? ათას მეტრიან ვერტიკალურ კედლებზე როგორ უნდა ეძებოთ მადანი? რით უნდა ახვიდეთ, რით უნდა აიყვანოთ ხალხი, აიტანოთ მანქანები, ჩამოზიდოთ მადანი? იქამდე არწივებიც ვერ აღწევენ... მითხარით...

ზაალმა გაიღიმა, მოჭუტული თვალით გადახედა მიხეილს და შემდეგ ღიმილით უთხრა:

— ავლენ?

— ვინ?

— ვინ და ჩვენი ახალი თაობა. სხვანაირი ბიჭები დაზარდნ ამ ბოლშევიკებმა, ჩემო მიხეილ. მე და შენი ახალგაზრდობის დროის ხალხს როდი გვანან. აღარ გახსოვს, უნივერსიტეტში გაზაფხულზე ქოლგითა და კალოშებით რომ დავდიოდით მე და შენ. გაციებისაგან ძალიან ვაჟკაცები ვიყავით. ახლა ვერ ხედავ? აქეთ არქტიკა, იქით მწვერვალები. მოფლიო რეკორდებზე ისე ლაპარაკობენ ყოველ დღე ჩვენი გაზეთები, თითქო ბალი ორი შაურიაო. ჰო და რაც უნდა საშინლად დაგვიხატო ის მთები, ჩვენ მათ მაინც მოვერევით.

აქა-იქ სიამოვნებით გაიღიმეს, მხოლოდ ერისთავი შეიშმუხნა.

— ზაალ, თქვენ გჩვეულია საერთო პათეტიური ტონით ლაპარაკი, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ...

— ჩუმად! — დაიჭექა ზაალმა და ერისთავი კვლავ შეხტა. — პათეტიკაა ყოველი საქმის მამოძრავებელი. თქვენ მტკიცებას კი თავი ანებეთ. ამ საქმის შესრულებას მე ვკისრულობ. მე დაგიმტკიცებ, რომ ამ საქმეს მოვერევით. მაშინ მობრძანდით თქვენი ძველი თეორიული სიბრძნით და პირიქით დამიმტკიცეთ.

— ვნახოთ...

— ვნახოთ!

კამათის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე უკარნახებდა მდივანს.

„...მოეწყოს საძიებო ექსპედიცია პროფესორ ზაალ გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით. დაევალოს ექსპედიციის ხელმძღვანელს, დეკადის ვადაში მოამზადოს და გაამგზავროს საძიებო ექსპედიცია. საძიებო ექსპედიციისათვის საჭირო სავარაუდო თანხა ოცი ათასი მანეთის რაოდენობით გამოიყოს საკვლევაძიებო ფონდიდან“.

კრება გვიან დამთავრდა. დამსწრენი მხიარულად დაიშალნენ. ზაალი მოუსვენრად ტრიალებდა. უბის წიგნაკში რაღაც ცნობები ჩაიწერა და ხან ერთს ეცა და ხან მეორეს.

— აბა, ბიჭებო, დამეხმარეთ. ვის გეგულებათ კარგი გეოლოგები? ხომ იცით, რა ხალხი მინდა. ნამდვილი ყოჩაღები უნდა იყვნენ. აქ რომ ვტრაბახობდი, ის კი არ მეყოფა. იქ მართლა იმისთანა კლდეებია, რომ რიტი ვერ აფრინდება.

— ამხანაგო ზაალ, მე გირჩევთ წაიყვანოთ ერთი ახალგაზრდა ინჟენერი, — მიუბრუნდა სამმართველოს უფროსი.

— აბა, აბა! მიშველე, შენ გენაცვალე! — უბის წიგნაკი მოიმარჯვა ზაალმა. — მისამართი, გვარი... ამალამვე დავეცემი თავზე...

— მეც შემიძლია გირჩიოთ...

— მეც გირჩევთ... — შემოესივნენ ზაალს.

— ჰო, ჰო! თქვენი ჭირიმეთ, მეც ვიცნობ ბევრს, მაგრამ თქვენც გეცოდინებათ კარგი ბიჭები. ეს იმისთანა საქმეა, რომ განსაკუთრებული

ბიჭები მჭირდება. სად შემიძლია მე, ამ ხნის კაცს, მთებზე სიარული! კლდის ძირიდან თუ ვუხელმძღვანელებ, თორემ მაგისი თავი სადა მაქვს. ჰო და ისეთი ბიჭები მინდა, რომ ერთნაირად უნდა შეეძლოთ ვაკაცობის გამოჩენა ზღვაშიც, მთაშიც, ჰაერშიც, ერთი სიტყვით, ყველაფერში. ეგეთ? ყველაფერში პირველობა უნდა შეეძლოთ. ერთის სიტყვით მოკლეთ რომ ვთქვა კომკავშირლები მჭირდება.

— აბა, ჩაიწერეთ...

ერისთავმა ქუდი დაიხურა, დარბაზში უხერხულად მიმოიხედა და, რადგან ყველანი ზაალს შემოხვევოდნენ, კაბინეტიდან ჩუმად გავიდა. ეს პირველი იყო, როდესაც მის მოსაზრებებს ასე უტიფრად ესხმოდნენ თავს. ზაალმა სულ მასხრად აიგდო. გაცვეთილია შენი საბუთებიო. ახლად გამოჩეკილი გეოლოგების მოსაზრებას იზიარებს. ესენიც უჯერებენ. ეეჰ! სადღაა ის ძველი დრო, როდესაც კავკასიის სამთო სამმართველოში წყდებოდა საკითხები, და ამისთანა თავხედურ გამოსვლებს ვინ გაუბედავდა. სადღაა...

კაბინეტში დარჩენილებიც მალე დაიშალნენ. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ზაალმა სამმართველოს უფროსს უთხრა:

— შენი მანქანა უნდა მათხოვო ამაღამ. უნდა დავიარო სუყველა და ამაღამვე ავაჩახმახო...

სიამოვნებით. აი ჩაბრძანდით. მე მაინც ფეხით მინდოდა წასვლა. ცოტას გავისეირნებ ან, თუ გვიან არაა, კინოში წავალ, თორემ დამჭანცა ამდენმა მუშაობამ...

— ჰო, კულტურულად დაისვენე. მე კი ჩემ საქმეს შევუდგები.

თავი მესამე

ოსიკო, როგორც იქნა, გამოერკვა და კარები გააღო. ზაალი სწრაფი ნაბიჯით შევიდა ოთახში და მიმოიხედა.

— ჩემს ოსიკოს ვახლავარ!

— გ... გამარჯობათ, გამარჯობათ, — დაიბნა ოსიკო. — დაბრძანდით. აი სკამი.

ზაალმა კიდევ მიმოიხედა და ჰაერი მეძებარივით მოყნოსა.

— ერთი ეს გამაგებინე, თუ კაცი ხარ, როდის დაიწყე ოდეკოლონების სხურება? მამაშენიც ოდეკოლონში ჩაიხჩო საწყალი, იმისმა სუნმა მოუსპო სიცოცხლე ცხონებულს. აბა, მოდი, აქ დაჯექი. საქმე მაქვს შენთან. ერთი ეს მითხარი, შენ კომკავშირელი ხარ ხომ?

— ვარ.

— აბა ეს მითხარი თუ კაცი ხარ, ცურვა იცი?

— ვიცი?! — უპასუხა გაკვირვებულმა ოსიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხენზე ჯდომა?

— ეგეც ვიცი.

— სირბილში როგორ ხარ?

— თქვენ რა, ბიძია ზაალ, შრომისა და თავდაცვის ნიშანზე გამოცდას ხომ არ მაბარებინებთ?

— არა შენ მიპასუხე რასაც გეკითხები, სირბილში როგორა ხარ?

— ბარემ გეტყვით, ბიძია ზაალ, რომ „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ — მეორე საფეხურის ნიშანი მაქვს.

— ეგ რას ნიშნავს?

— ეგ იმას ნიშნავს, რომ რასაც თქვენ მეკითხებით, ყველაფერი ორმაგი გადაჭარბებით შემიძლია შევასრულო.

— კიდევ რა შეგიძლია?

ოსიკომ გაიცინა.

— ჯერ გამაგებინეთ, რა საქმე გინდათ დამავალოთ? — ოსიკომ ქალაუნებურათ რამდენჯერმე მიიხედა კარადისკენ. — მერე გიპასუხებთ, რა შემიძლია და რა არა.

— რა და ჩემო ოსიკო, დიდი საქმე მოგვდვეს მე და შენ ზურგზე. ვოლფრამი უნდა მოვძებნოთ, ბიჭო. ასე მითხრეს, შენ და ოსიკოს მეტი ამ საქმეს ვერავინ ვერ გააკეთებსო. რას იცინი, სწორეთ ასე მითხრეს. ერთად შეერთებული შენი მამაძაღლობა და ოსიკოს სიმარჯვე ვოლფრამის აღმოჩენას მოისწავებსო. შენ რას იტყვი, ჰა?

— მკერავთ, ზაალ ივანიჩ.

— ჯერ ერთი, ზაალ ივანიჩ რა ქართულია. ამხანაგო ზაალ, ბოლოს და ბოლოს, ბაბუა ზაალ კიდევ მესმის... ჰო და მეორე ის, რომ რომელი თერძი მე მნახე, რომ შეგკერო, ან შენ რა თივთიკის შალი ხარ, ბუღასავით გაგსიებია ეგ კისერი. რაშია ახლა, ჩემო ოსიკო, საქმე, იცი? მე და ერისთავი შევეჯახეთ ერთმანეთს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გვაქვს საქმე. ისე დამიყენა საკითხი, რომ ან მე უნდა ვიყო და ან ვოლფრამი აღმოვაჩინო. ის ხომ იცი, ბიჭო, გეოლოგიის პროფესორია და უჭრის. კინაღამ გამომდვა სარმა, მაგრამ მე მოგვერდი ვუქენი და ამ პირველ შეჯახებაში ვაჯობე. მაგრამ ვაი ამ გამარჯვებას! თუ ვერ აღმოვაჩინეთ, გათავებულია ჩემი საქმე, და ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. შენ ეს მითხარი, ტიტიკო სად ცხოვრობს, თუ იცი?

— აქვეა, მეორე თუ მესამე სახლში ცხოვრობს.

— მიშველე, შენ გენაცვალე, გავარდი და ახლავე აქ მოიყვანე. ორივეს ერთად გეტყვით ბარემ სათქმელს. მე აქ დაგიცდი. აბა ჩქარა, ისიც უნდა ჩავაბათ ამ საქმეში.

ოსიკო დაიბნა.

— აბა, აბა, ჩქარა, — აუცაცხანა ზაალმა. — ამ წუთშივე აქ გაჩნდით ორივე, ხვალ დილიდანვე ჯარასავით უნდა დავტრიალდეთ. გავარდი, შენ გენაცვალე, ერთი ფეხი აქ, მეორე იქ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ წუთში, ბიძია ზაალ! — აფაცურდა ოსიკო. ... , მერის ნახევრად მშრალი ტანსაცმელი სწრაფად ჩამოიღო, დაახვია, კარადის კარები ოდნავ შეაღო და შიგნით შეაგდო. შემდეგ ზაალის ყურადღება რომ სხვა რამეზე გადაეყვანა და ეჭვი არ დაებადებინა, წიგნებში ქექვა დაიწყო.

— ტიტიკოს წიგნი მქონდა, ბარემ წავიღებ.

— წადი, წიგნი მერე წაიღე! — მიაძახა თავის უბის წიგნაკით გართულმა ზაალმა. — ჩქარა.

ოსიკომ ერთი კიდევ შეხედა კარადას და ოთახიდან გავარდა. სულ ბრიგინ-ბრიგინით ჩაირბინა კიბე.

ოსიკოს დაბნევამ მერიც დააბნია. როდესაც ტანსაცმელი ცხვირში მოხვდა, ვერ მიხვდა, თუ რისთვის შემოუგდო ეს ნახევრად სველი კაბა ოსიკომ. ნელა ადგა ზეზე და წარმოუდგენელის სიფხიზლით დაიწყო პიჟამის გახდა. შემდეგ გაიძრო პიჟამის შარვალიც. ყური ძალზე ფრთხილად ეჭირა, რომ არაფერი გახმაურებულიყო და ზაალს არ გაეგონა რამე. ყველაზე ძნელი კაბის ჩაცმა აღმოჩნდა. კარადაში შემალულს კი არა, როდესაც თავისუფლად იდგა ოთახში, მაშინაც უჭირდა ამ კაბის ჩაცმა. ისეთი ვიწრო იყო და წელში გამოყვანილი, რომ შევროს აზიური ჩექმის დაგვარად უნდა ექაჩა ტანზე. ის იყო გააძვრინა მხრები კაბაში და ახლა ქვედაწელის გასწორება დააპირა, რომ მოულოდნელად ხელი კარადის კარს მოხვდა და ისიც საოცრად უზრდელი ჭრიალით გაიღო.

თავზარდაცემულმა დააპირა კარების უკან მიხურვა, მაგრამ გვიან იყო. ზაალის და მერის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მერიმ განძრევაც კი ვერ მოახერხა, ისე გაშეშდა.

ზაალი განცვიფრებული უყურებდა ამ სურათს. მერი ვერ იცნო და ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ისიც დააბნია.

— უ... უკაცრავად, — წაიბურტყუნა ზაალმა — მე გავალ აქედან... უცბად იცნო.

— შენ... მერი ხარ?

— ჰო!

მერი გამოერკვა. მალულობა აღარ გასჭრიდა და საჭირო იყო პირდაპირობა.

— მერე და აქ როგორ გაჩნდი? — დაიჭექა ზაალმა. — გამოდი!

მერი გამოვიდა, კარები მიხურა და კაბა შეისწორა.

— მე და ოსიკო წვიმაში მოვხვდით. ტანისამოსი დამისველდა. აქ ვიცდიდი, სანამ კაბა გამიშრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, რა გეცვა? — ისევ მჭექარეთ ჰკითხა ზაალმა.

— ოსიკოს პიჟამა.

— ერთმანეთი გიყვართ?

— ჰო! — თავი დახარა მერიმ.

— კარადაში რატომ დაიმალე?

— მაშ პიჟამაში ხომ არ დაგიხვდებოდი აქ.

ზაალმა ერთხანს გულმოსულად უცქირა მერის. აათვალიერ-ჩაათვალიერა. მერე ისე გადიხარხარა, რომ ფანჯრებმა ზრიალი დაიწყეს. მერი კი იდგა დამნაშავესავით თავდახრილი.

— ხა! ხა! ხა! — გულიანად ხარხარებდა ზაალი. — ერთი ეს მითხარი, დიალექტიკური პროცესი ხომ არ დაგიჩქარებიათ, ა? შე ცულლუტო, შენა! კარგი ბიჭი კი მოგინახავს. მაგრამ ეს დეკამერონისებური ოინი მაინც და მაინც არ მომწონს. თუმცა არა უშავს რა, ოსიკო ჩვენი ბიჭია. ვარგა სასიძოდ.

დაბნეულმა და დარცხვენილმა მერიმ სწრაფად მოიდო კინკრიხოზე ნოტიო ბერეტი და წასვლა დააპირა.

— მიდიხარ, შვილო?

— ჰო! — ლიმილითა და ტუჩების კვნეტით უპასუხა ლოყებ-აწითლებულმა მერიმ. — ოსიკოს ნურაფერს ეტყვი, ბიძია ზაალ.

— ჰო, კარგი, კარგი. შერცხვება, არაა? — გადიხარხარა ისევ ზაალმა. — კარგი, არ ვეტყვი.

მერი წავიდა, ხოლო ზაალი თავის წიგნაკს მიუბრუნდა ისე გაერთო ფიქრებში, რომ მომხდარი ამბავი სრულიად დაავიწყდა.

ოსიკომ, როგორც იქნა, წამოაგდო ზეზე ტიტიკო. ის ლოგინში ადრიანად გაშხლართულიყო და ტკბილად ეძინა. ატეხილმა ბრახა-ბრუხმა გამოაღვიძა. საცვლების ამარა მივარდა და გააღო თუ არა კარები, ოსიკო ბურთივით შეხტა ოთახში.

— რა მოგივიდა, კაცო, გძინავს?

— შენ თითონ რა მოგივიდა?

— ადე ჩაიცვი, ზაალი გეძახის, ჩქარა!

— მოიცა, ვინ ზაალი? რა მოგივიდა, ნიშადური ხომ არ გიცხია, ერთ ადგილზე რომ ვერ ისვენებ! — შეწვა ლოგინში ტიტიკო.

— თუ ძმა ხარ ადექი. ზაალია ჩვენი, გარსევანიშვილი, ჩემთან მოვიდა და ტიტიკო მომიყვანე ამ წუთშიო... ე კაცო, ადექი.

— რა მინდაო? — მთქნარებით ჰკითხა ტიტიკომ და გაიზმორა. — ამ შუალამეზე რამ გადარია.

— ადე, თუ ძმა ხარ... რა მომივიდა, იცი? მერი იყო ჩემთან და...

— მერე? — ინტერესით სცქვიტა ყური ტიტიკომ.

— შარვალი, ხალათი სადაა შენი? მერე მე და მერი ქალაქ გარეთ ვიყავით სასეირნოდ და... თუ ძმა ხარ, ჩაიცვი რას მტანჯავ.. ჰო და წვიმაში დავსველდით. მერი ჩემთან იყო, ტანსაცმელს იშრობდა და ჩემ პიჟამაში იყო გამოწყობილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, მერე? — შეიკრა ხალათის ფოლაქები ტიტიკომ და სარკეში ჩაიხედა.

— მერე და კარადაში მყავს დამალული...

— ა? რაო? ხა! ხა! ხა!... — ტახტზე ზღართანი მოადინა ტიტიკომ. — მიშველეთ, დავიხრჩვი... ხა! ხა! ხა!... არ გაბმულხარ მახეში! ზაალი იქ ზის ახლა?

— ჰო. ე კაცო, წამოდი, ნუ დამტანჯე. —

— ამ წუთში. არ გაიგუდოს კარადაში ჩვენი მერი, — უცბად შეწყვიტა სიცილი და სერიოზულად უთხრა ტიტიკომ. — აბა, წავიდეთ. აქ ვერ წამოიყვანე ის ბებერი, რას სტოვებდი შენს ოთახში?

— რა ვიცი, კაცო, სულ თავგზა დამებნა. ვერაფერი ვუთხარი, და იმას კი, ალბათ, სიარული ეზარებოდა. შეიძლება დაღლილიც იყო, არ ვიცი. თუმცა, მგონია, ავტოთია მოსული ჩემთან. მანქანა დგას და ელოდება.

— წამოდი, წავიდეთ — ტიტიკომ სინათლე ჩააქრო და კარები დაკეტა.

— რამ ააწრიალა ამ შუა ღამისას ის მოხუცებული? — ჰკითხა ტიტიკომ.

— მგონი ექსპედიცია ეწყობა მთებში.

ზაალი ისევ მაგიდასთან იჯდა და რაღაცებს იწერდა უბის წიგნაკში. ოსიკომ შესვლისთანავე კარადისკენ გაიხედა, შემდეგ ზაალს შეხედა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეამჩნია და დამშვიდდა. ზაალმა წერას თავი ანება.

— ჩემს ტიტიკოს ვახლავარ!.. მოდი დაჯექი, როგორ გიკითხოთ, ტიტიკო ჩემო, ხომ კარგად?

— გახლავართ, ბიძია ზაალ...

— თქვენი საქონელი ხომ კარგადაა.

ტიტიკომ გაიცინა.

— რომელი საქონელი? ჰო, კარგად გახლავთ.

— თქვენი ცხვრის ფარა?

— ისიც კარგად...

— ვენახები როგორაა თქვენსკენ? — არ ეშვებოდა სახუმრო საუბარს ზაალი.

— დიდებულად.

— სიმინდის მოსავალი კარგი უნდა იყოს, მგონია წრეულს.

ოსიკომ რამდენჯერმე გაიხედა კარადისკენ, მოუსვენრობა დაეტყო. რა უცნაური კაცია ეს ზაალი. თუ საქმეზე ლაპარაკობს, ბარემ მორჩეს. რას

მოჰყვა ამ წილადობილას, ზაალი კი აღუშფოთებლად და დინჯად განაგრძობდა თავისებურ დიალოგს ტიტიკოსთან.

— ერთი ეს მიბრძანე, ჩემო ტიტიკო, შენი მინერალოგიური კოლექცია როგორ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესანიშნავად, ბიძია ზაალ.

— ხომ არ უბარტყეებია?

— როგორ არა.

— კარგი და პატიოსანი. ვოლფრამის ნიმუშებს ხომ ვერ წავაწყდებით იმ შენს ჯიშიან ფერმაში?

— მაქვს, მაგრამ ძალიან სუსტი გამადნებით, ამასთან ასეთი ნიმუშები მხოლოდ ერთ რაიონშია ნახული.

— ხვდები ახლა რაშია საქმე?

— ოდნავ, ვოლფრამის ძიების საკითხი წამოიჭრა, ალბათ.

— წამოიჭრა და როგორ მერე. ასე მითხრეს, რომ შენსა და ტიტიკოს მეტი ამ მადანს ვერავინ ნახავსო.

ოსიკომ გაიცინა.

— უკაცრავად, შენსა, ოსიკოს და ტიტიკოს მეტიო, ასე მითხრეს და დაგეცით თავს.

— ვცადოთ, ბიძია ზაალ.

— ჰო და თქვენთან რატომ მოვედი, იცით? ამ საქმისთვის ძალიან მაგარი ბიჭები მჭირდება. კავკასიონის გრანიტებზე სიარული სახუმრო საქმე როდია. თქვენ მეგულებით ამ საქმეში გამოსადეგად და იმიტომ მოგძებნეთ. ახლავე ბარემ იმასაც გეტყვით, რომ იმისთანა ადგილებში მოგვიხდება მუშაობა, სადაც სიცოცხლე შეიძლება ჩიტივით გაგიფრინდეს ხელიდან. რომ გითხრათ, ადვილი სამუშაო-მეთქი, ტყუილი იქნება. ყოველ ას ფეხის ნაბიჯზე იმ კლდეებში ოთხმოცდა ცხრამეტჯერ სიკვდილის საფრთხეს გადააბიჯებთ. ამიტომ თუ რამე ხინჯი გაქვთ გუნებაში და გეშინიათ, ახლავე მითხარით.

ოსიკომ და ტიტიკომ ერთმანეთს გადახედეს. გაეცინათ.

რას იცინით. მართალია ჩემ მიერ თქვენი გაფრთხილება იმას უდრის მეზღვაურს რომ უთხრას კაცმა, ზღვაში ადვილია დახრჩობაო, მაგრამ რა ვიცი, კაცნი ვართ...

— ჩვენ მაგისი არ გვეშინია, ბიძია ზაალ — უპასუხა ტიტიკომ მართალია მე ალპინისტი არა ვარ ოსიკოსავით, მაგრამ მთაში სიარული მეც შემიძლია.

შენც კომკავშირელი ხარ ხომ? ჰო და აბა მეტი მე არაფერი მინდა. მადნების გულთმისანი შენ ხარ და ოსიკო ხომ მთაში ისე დასეირნობს, თითქო პროსპექტზე ქალიშვილს მიაცილებსო. ასე მითხრეს, მყინვარწვერს ბარე სამჯერ აჯდა ზურგზეო და ახლა მჭირდება თქვენი დახმარება.

— ჰო, მაგრამ აქ სამსახურს რა ვუყოთ — შეეკითხა ტიტიკო.

— ხვიშტი! თქვენ ახლა ჩემთან მსახურობთ უკვე. ამწუთში დავწერ. ბრძანება ნომერი პირველი, ჩაირიცხოს...

— თქვენი ბრძანება რას გვიშველის. არ გაგვანთავისუფლებენ.

— ვინ? ვინ არ გაგანთავისუფლებს? მიმიშვი მე ვაჩვენებ იმათ სეირს. ხვალვე მივაფენთ შუბლზე საჭირო დადგენილებას. შენ იმისი დარდი ნუ გაქვს, ხვალ დილის ცხრა საათზე ჩემთან გაჩნდით, — გახსენებაზე საათს დახედა ზაალმა — უჰ! რამდენი დრო გასულა, აბა წავედი, ბიჭებო. კიდევ ვინ უნდა მენახა? ხომ არავინ დამვიწყნია. რუბენა ვნახე, გოგი ბექაური ვნახე, ესენი აქ არიან, ჰო თითქმის ყველა აბა წავედი, ნახვამდის, ყმაწვილებო.

— მეც თქვენთან მოვდივარ, ბიძია ზაალ, — დაედევნა ტიტიკო. კარებთან ერთ წუთს შეჩერდა, ოსიკოსკენ მიიხედა, დაეჭყანა და გარეთ გავარდა. ოსიკომ კარები მიხურა, გამობრუნდა, კარადის კარს მივარდა და გამოაღო.

მერი იქ აღარ იყო.

ოსიკოს თვალები გაუფართოვდა და სუნთქვა შეეკრა. კარადის შუაგული ხელითაც კი მოსინჯა. პიჟამა ძირს ედგო.

— ფოკუსია თუ სიზმარში ვარ, — უნებურად წამოიძახა ოსიკომ ხმამაღლა და მიმოიხედა. — სად გაქრა ასე შეუმჩნევლად? თუ ზაალმა ნახა, რატომ არაფერი წამოსცდა, თუ არა და ასე შეუმჩნევლად როგორ გაქრა ოთახიდან?

მოულოდნელად ოთახის კარი ოდნავ გაიღო და ზაალმა და ტიტიკომ თავები შემოჰყვეს. ორივეს ეშმაკურად უღიმოდა თვალები. ოსიკომ დამნაშავესავით სწრაფად მიხურა კარადის კარი და იქვე გაშეშდა.

— „გაგიფრინდა სიხარულის ფრინველი...

მიზეზისა გამო სხვისა და სხვისააა“ — ძველი ბაიათის ხმაზე ჩაუღიღინა ზაალმა, კარები უცბად გაიხურა და ორივემ ხარხარით ჩაირბინა კიბე.

ოსიკოსაც გაეცინა და გულზე მოეშვა.

თავი მეოთხე

დილას, გამოცხადდნენ თუ არა ყველანი ზაალთან, ის უკვე ფეხზე დაუხვდათ. პერანგის ამარა იჯდა საწერ მაგიდასთან და საექსპედიციო მოწყობილების სიას ადგენდა. თითქმის ყველანი ერთსა და იმავე დროს მივიდნენ. ზაალს მეტად ესიამოვნა ახალგაზრდების ასეთი პუნქტუალობა. მხოლოდ ოსიკოს ეტყობოდა ძილნაკლებობა და წამდაუწუმ ამთქნარებდა.

— მოხვედით, ჩემო არწივებო? გამარჯობათ, გამარჯობათ! დაბრძანდით! — მიეგება ყმაწვილებს ზაალი. — შენ რაღა დაგემართა შაშვივით რომ აღებ მაგ პირს? ნელა, ყბა არ ამოგივარდეს. არ გიძინია?

— ჰო, არ დამეძინა რაღაც.

— ვიცი, ვიცი, — ჩაიღიმა ზაალმა და ტიტიკოს გადახედა. იმანაც ისეთი თვალებით შეხედა ოსიკოს, თითქოს ეუბნებოდა, ნეტარ დამეძინებოდა შენს მდგომარეობაშიო.

ოსიკოსა და ტიტიკოს გარდა, ზაალთან გამოცხადნენ რუბენა ანასოვი და ტოპოგრაფი გოგი ბექაური.

— აი რა გითხრათ, ყმაწვილებო, — მიუბრუნდა ზაალი ყველას, — სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ უნდა მოვსპოთ ერთი ფრიად უხერხული სიტყვა. თქვენი ლექსიკონებიდან უნდა ამოშალოთ სიტყვა „არ არის“.

— მე, ზაალ ივანიჩ, არა მაქვს ლექსიკონი და ჩემი ძმის წიგნში რომ რამე წავშალო, ცოცხალს არ გადამარჩენს, — წამოილაპარაკა რუბენამ.

— ერთი ამ ჩერჩეტს დამიხედეთ! ბიჭო, მაგ გოგრაში რომ ლექსიკონი გაქვს, იმის შესახებ გეუბნები.

ოსიკო დამთქნარებას აპირებდა, მაგრამ რუბენას სიტყვებზე გულიანად გაეცინა. რუბენაც მიხვდა და დარცხვენილმა ჩაილაპარაკა:

— ჰოო! მე მეგონა, მართლა ლექსიკონში უნდა წაგვეშალა...

— გოგრაში, გესმის, გოგრაში! ჰო და იმას გეუბნებით, რაც არ უნდა დაგავალოთ, სიტყვა „არ არის“ არ გამაგონოთ. ყველაფერზე ერთი უნდა მიპასუხოთ: „არის“ ან „იქნება“. ასე რომ „ეს ვერ ვიშოვე“ ან „ის ვერ ვიშოვე“ არ გამაგონოთ. ასე, ამხანაგებო. არის ხომ?

— არის, — უპასუხეს ერთხმად.

ზაალმა ყველას მიუჩინა საქმე და იმ დილიდანვე ახალგაზრდები მთელ დღეებს გაჭენებული ცხენებივით დარბოდნენ ქალაქში. ოსიკო ალპიურ მორთულობას აგროვებდა, ტიტიკო — გეოლოგიურ ინსტრუმენტებს, გოგი—თეოდოლიტსა და სხვა მოწყობილობას, ხოლო რუბენა თავის სამნეო და საფინანსო საქმეებზე დარბოდა. ზაალი თავის ოთახში ათას ქაღალდში ჩაფლული თავ-აუღებლად მუშაობდა, სწერდა, ძველ ლიტერატურას ათვალიერებდა, გეოლოგების შრომებს კითხულობდა და იმავე დროს წამდაუწუმ განკარგულებებს იძლეოდა. ბიჭები ერთი წუთით ფეთიანებივით შეევარდებოდნენ ზაალთან ოთახში, ყოველ წუთს ახალ განკარგულებას ღებულობდნენ და ისევ გარბოდნენ დავალების შესასრულებლად.

რამდენიმე დღის განმავლობაში გაფაციცებით ეწყობოდნენ. ბოლოს ყველაფერი მოამზადეს და სადგურის პერონზე შეიკრიბნენ: ზაალი, ტიტიკო, გოგი და რუბენა. ყველანი დატვირთულები იყვნენ ალპენსაკებით, პორთფელებით, საველე კომპასებით, ანეროიდებით, ფოტო-აპარატებით, გეოლოგიური ჩაქუჩებით და ათასი ამგვარი მოწყობილობით. ერთი ალიაქოთით და ყიჟინით შეუდგნენ თავის ვაგონის ძებნას. ყველას წინ ზაალი მიუძღოდა და ხმა მაღლა აქეზებდა ბიჭებს:

— აბა! ჰო! არწივებო, მარჯვეთ, არ დავრჩეთ. ბრძოლით, ბიჭებო, ბრძოლით. ამხანაგო კონდუქტორო, ეს არის ვაგონი შეექვსე?

— ადგილი არ არის... არ არის! — უყვიროდა ეარეებთან მისეულ ხალხს კონდუქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტიკო უნუგეშოდ შეჩერდა და აწრიალდა:

— დავიღუპეთ! ჩვენ აქ როგორ შევალთ. რუბენა, რა გითხარი: გეშოვა რბილი ან პლაცკარტიანი ბილეთი, რა იქნებოდა!

რა ვქნა ვერ ვიშოვე და ხომ არ დავრჩებოდით.

— ადრე უნდა აგელო, რამდენიმე დღის წინათ.

— ამისათვის გოგრაა საჭირო! — წაილაპარაკა გულმოსულმა გოგიმ, რადგან იმასაც დაეკარგა ვაგონში შესვლის იმედი.

— არაფერია, ბიჭებო! — იჭექა ისევ ზაალმა. — აბა მოქალაქენო, გზა! მოდით!

ეკვეთნენ ბიჭები ვაგონს, გაარღვიეს ხალხი, მაგრამ ახლა კონდუქტორი გაჭირვეულდა.

— ნაზად! აქ საბარგო ვაგონი კი არ არის. რა ამბავია ამდენი ბარგი. ნელზია ვაგონ სტოლკო ვეშჩი. ნაზად, ვამ გავარიატ!

ზაალმა კვლავ მძლავრად გაიწია ვაგონისკენ და კოდუქტორს გადაუბღვირა.

— არ მომაკვლევინო თავი! მოდით, ბიჭებო! კიდევ ერთი იერიში და ვაგონი აღებული იქნება.

ერთის ყიჟინით გაგლიჯეს ხალხის ჯებირი, ბოხჩები და ალპენსაკები ხალხის თავებზე გადააგორეს და დერეფანში გაიჭედნენ.

— ავჭალამდე, ბიჭებო, ავჭალამდე, იქ მთელი ვაგონი დაიცლება და მერე ნუ გეშინიათ. მაგრამ ოსიკო სადაა? სად არის ის თათარი ისა?

ოსიკო ჯერ კიდევ მერის ეთხოვებოდა თავის ოთახში.

კარგა ხანია, რაც მთელი ბარგი-ბარხანა გამზადებული აქვს, ყველაფერი ჩალაგებული და შეკრული. ახლა მერის წელზე ხელი მოხვია და თვალებში ჩააცქერდა.

— არ მინდა, ნუ მიდიხარ, — თითქოს გაბუტულმა უთხრა მერიმ.

— მერე?

— აქ დარჩი.

— მართლა?! მე ხომ სულ სამი თვით მივდივარ.

— უჰ, რამდენი დროა! მთელი ასი დღე. ორი ათას ოთხასი საათი.

ერთმანეთის სხეულის სითბოს გრძნობდნენ. არასოდეს ასე მძიმედ არ განუცდიათ განშორების სიძნელე. გარეთ გაზაფხულის მშვენიერი საღამო იყო. დასავლეთისკენ მოსჩანდა გახუნებული აბრეშუმის ფერი ცა, ხოლო მარჯვენა ფანჯარაში სახე გაღიმებული თავგასიებული მთვარე. სიწყნარე იყო და მხიარული განწყობილება, აივნიდან პატეფონზე დაკრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმბა ისმოდა. ეს ხმა მხიარულად აღიზიანებდა მათ სმენას და საცეკვაოდ იწვევდა.

— წერილებს მომწერ? — ჰკითხა მერიმ.

— აუცილებლად.

— ჩვენი ვარჯიშობა? შენს ჩამოსვლამდე გადავდებ.

— რატომ? დათიკოსთან და სანდროსთან ერთად ივარჯიშე. ან, თუ გინდა, დამიცადე. მე რომ ჩამოვალ, მაშინ ერთად გადმოვხტეთ.

— ნუ მიდიხარ...

ოსიკომ გაიცინა, თმაზე ხელი გადაუსვა, თავი გადაუწია და ტუჩებზე დაეკონა.

მეზობელ აივანზე პატეფონზე ჩინური სერენადა დაუკრეს.

მერიმ თვალები მინაბა, შემდეგ თავი გააქნია, ტუჩები მოაშორა და ორივემ მძიმედ ამოისუნთქა.

— დამახრჩე, გიჟო.

— ერიჰაა! — წამოიძახა შეშფოთებულმა ოსიკომ, როდესაც საათს დახედა — ამას ხედავ?

მატარებლის გასვლას ოცი წუთიღა აკლდა.

ძალიან უძნელდებოდა ოსიკოს მერის მოშორება, მაგრამ სწრაფად ხელი უშვა და ბარგს ეცა. მერიც აფაცურდა.

— რომ დაგაგვიანდეს, ზაალი შენ კი არა, მე ამიკლებს, — უთხრა მერიმ, დაავლო ხელი ოსიკოს მსუბუქ ბარგს და ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

სწრაფად გაირბინეს ვიწრო ქუჩა და მოედანზე მიმოიხედეს. არსად ეტლი არა ჩანდა, არც ტრამვაი გამოჩნდა. ოსიკო მოუთმენლად ცმუკავდა და ვერ ისვენებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ტრამვაი, მაგრამ ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ შეუძლებელი გახდა შიგ შესვლა.

— დავიღუპე! — ამოიკვნესა ოსიკომ. — აშკარად დავრჩი.

უცბად დანჯღრეულმა და ალაყლაყებულმა მანქანამ გაუარა წინ. ოსიკომ შიგ ნაცნობი შოფერი დაინახა.

— სერგო, სერგო! — მიაყვირა ოსიკომ და მანქანისკენ გაექანა.

სერგომ მანქანა გააჩერა და მოიხედა.

— გამარჯობა ოსიკო!

— სერგო, სად მიხვალ? მიშველე, წამიყვანე სადგურზე. ვიღუპები. მატარებელზე მიგვიანდება.

— წამოდი, წაგიყვან, — უთხრა სერგომ და ძირს ჩამოვიდა, რომ გაჩერებული მოტორი ისევ აემუშავებინა.

— მერი მოდი! — მიაძახა ოსიკომ და კარებს ეცა. ბევრს ეჯაჯგურა, მაგრამ ვერ გააღო. აიღო და პირდაპირ გადაალაჯა.

— მე როგორღა დავჯდე? — იკითხა მერიმ.

— მოდი, სპორტსმენი არა ხარ! — უთხრა ოსიკომ და მერიც იმავე წესით გადაახტუნა.

— ეს დასამტვრევი, — გალურჯებული სახით ეჯაჯურებოდა მოტორის სახელურს სერგო, მაგრამ ვერაფრით ვერ აამუშავა. — ბატონო, — სარემონტო სახელოსნოში მიმყავს კაპიტალური რემონტისთვის. ძლივს ავამუშავე ამ საღამოს. ახლა რა ჯანდაბა მოუვიდა. რას გაიგებ, სად რა აქვს მოშლილი...

ბუზღუნებდა სერგო და თან მანქანას ათვალიერებდა. წინა ნაწილს ფრთები აუშალა და მოტორს ჩხიკინი დაუწყო, ამასობაში ტრამვაიც მოვიდა მთლად ცარიელი და ოსიკო ისევ აწრიალდა.

— ე, კაცო, ცარიელი ტრამვაი, მიშველე, დავიღუპე, გადმოდი მერი! სერგო, ვატყობ, რომ შენ მაგას ვერ აამუშავებ ამ საღამოს, — მაგრამ სანამ გადმოხტებოდა და ბარგს გადმოზიდავდა ტრამვაი უკვე წავიდა.

— მოიცა, ნუ გეშინია, — ანუგეშა სერგომ, — ტრამვაის მაინც გაუსწრებთ. ამ წუთში ავამუშავებ.

— ბიჭო, ისე ვატყობ, მღუპავ ამაღამ. რას გავიხადე სარისკოდ საქმე! ახლა კიდევაც რომ აამუშავო, გზაში რომ სადმე გაჩერდეს, ხომ დავიღუპე კაცი!

— ნუ გეშინია, ამუშავდა, — უპასუხა ხვითქ-გადადენილმა სერგომ და მართლაც მანქანა ისე აჭახჭახდა და ალაყლაყდა, რომ ორივე კარი თავისით გაიღო. ოსიკომ კარები მიხურა, და სქელ ბოლში გახვეული მანქანა გაუდგა გზას.

სადგურზე ოსიკო კვლავ შეეცადა კარების გაღებას, მაგრამ ვერ შესძლო. მატარებლის გასვლას რამდენიმე წამი აკლდა. ისევ გადმოალაჯა მანქანიდან და მერის დაუძახა.

— შენც გადმოდი, ჩქარა.

მერი ვერ გადმოვიდა. კაბა მოჰყოლოდა კარებში. შოფერმაც კი ვერ გააღო, თუმცა გულმოდგინედ ეჯაჯგურა კარებს.

— რა უცნაური მანქანაა, — ამბობდა მერი და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა კარების გაღებას.

ოსიკომ სწრაფად გადაითრია მთელი ბარგი, უკან მიუხედავად აირბინა კიბეები და პერონზე გავარდა. შოფერი ისევ კარებს ეჯაჯგურებოდა.

— მოითმინეთ, მანქანას ავამუშავებ, იქნებ მაშინ ისევ გაიღოს, — უთხრა სერგომ თვალაცრემლებულ მერის, და, მართლაც, აამუშავა თუ არა მანქანა, ავტო ისევ ალაყლაყდა და კარებიც გაიღო. მერი გადმოხტა და სადგურისაკენ გაიქცა. პერონზე გავარდა და გახედა... თვალებზე ცრემლი მოადგა.

მატარებელი ლიანდაგზე აღარ იდგა.

თავი მეხუთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს აციმციმებული ელექტრო-ლამპები სიბნელეში ციმციმებენ და ჩაქრნენ. ფანჯრები ჩაბნელდნენ. ხანდახან აშრიალებული ხის სილუეტი თუ გაიელვებდა ხოლმე. მხიარული შხუილით მიჰქროდა მატარებელი. დახუთულ ვაგონში ზაალი და მისი თანამგზავრები სულს ძლივს ითქვამდნენ. მთელი ვაგონი გაჭედილი იყო კალათებიანი მგზავრებით, რომელთაც ბალი, მარწყვი და ხენდრო ჩამოეტანათ ტფილისში გასასყიდათ ახლო სადგურებიდან და ახლა უკან ბრუნდებოდნენ ცარიელი კალათებით. კუპეში ერთი ალიაქოთი იდგა. ყველანი ხმამაღლა უამბობდნენ ერთმანეთს ახალ ამბებს. ზაალი ძალზე გაბრაზებული იყო ოსიკოს ჩამორჩენით და სულ ცეცხლს აფრქვევდა.

— სად არის ის არამზადა, ისა...

სანამ მატარებელი დაიძროდა, კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ოსიკო გაჩნდებოდა. მაგრამ როდესაც მატარებელი დაიძრა და ოსიკო არ გამოჩნდა, ზაალის რისხვამ მთელი ვაგონი შესძრა. რუბენმა მაინც მონახა სანუგეშო მოტივი.

— იქნება დიდუბეში დაგვეწიოს.

— რაო? — იმედიანად შედგა ზაალი. — შენ ასე ფიქრობ?

— რატომაც არა, — მიეშველნენ ბიჭები რუბენს.

— ალბათ, დაგვეწევა, — ჩაილაპარაკა ტიტიკომ, — ის დღეს აეროდრომზე იყო. პარაშუტით უნდა გადმომხტარიყო. ხანგრძლივი ხტომის რეკორდი უნდა დაამყაროს.

— სისულელეა! დაიჭექა ზაალმა, — ახლა ვიცი, მივხვდი. ის ხანგძლივი კოცნის რეკორდებს ამყარებდა, ალბათ. იმიტომ ჩამორჩა.

როდესაც დიდუბის სადგურს გასცდნენ და ოსიკო მაინც არ გამოჩნდა, ზაალმა ძველი ფელდფებელივით იჭექა:

— სმენა?

ბიჭებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს და ზაალს უპასუხეს:

— არის, ბიძია ზაალ.

— გაშალეთ თქვენი აზროვნების ლექსიკონი!

— გავშალეთ, — ღიმილით უპასუხა ტიტიკომ.

— ამოშალეთ იქიდან სახელი „ოსიკო“! გაიგეთ?

— გვარით? — ჰკითხა გოგიმ.

— გვარით და მამის სახელით. ამოშალეთ? ძალიან კარგი. დახურეთ თქვენი ლექსიკონები. ჩემთან არავინ გაბედოს იმის სახელის ხსენება.

ზაალი ბორგავდა და ვერ ისვენებდა. კასპს იქით, თითქმის მთელი ვაგონი დაიცალა. კალათებიანები ნელნელა გალაგდნენ და ჩვენი მგზავრები თავისუფლად მოეწყვნენ დასაძინებლად. თაროებზე სამგზავრო ლოგინები

გაშალეს და ზედ არხეინად გაიშოტენ. მხოლოდ ზაალი იჯდა მოღუშული და გაბრაზებული სწევდა პაპიროს. კარგა ხანს იბორგა, მაგრამ ბოლოს იმასაც დაძლია ძილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილას ყველა ტიტიკომ გააღვიძა:

— მივედით ქუთაისში, მივედით. ადექით!

ფანჯარაში მოჩანდა საღორიის ტყე და დილის მზით აფერადებული მთები. ყველანი წამოიშალნენ, ხოლო ზაალმა, გაახილა თუ არა თვალი, მაშინვე იკითხა:

— მაშასადამე, ის დარჩა?

— დაგვეწევა, ბიძია ზაალ, — ანუგეშა ტიტიკომ.

— ჩუმად! — მრისხანედ შესძახა ზაალმა, ლოგინზე ჩამოჯდა და ფანჯარაში გაიხედა. — რა შესანიშნავი დილაა, რომ ოსიკო არ ჩამოგვრჩენოდა.

სადგურზე რომ გადმოვიდნენ და ბარგი-ბარხანა გადმოალაგეს, ტიტიკომ უცბად იყვირა:

— შეხედეთ, შეხედეთ, ხანგრძლივი კოცნის რეკორდსმენს შეხედეთ!

მიიხედეს და საერთაშორისო ვაგონის კარებში გაღიმებული ოსიკო დაინახეს. ზაალი მიუბრუნდა ბიჭებს და იჭექა:

— სმენა! გაშალეთ თქვენი აზროვნების ლექსიკონი. ჩასწერეთ შიგ ოსიკო გვარით და მამის სახელით. ფრთხილად! შეცდომა არ მოგვიდეთ. რუბენ, შენ ლამაზი ხელი გაქვს და ტიტიკოს ჩაუწერე.

ზაალი ბავშვივით აღტაცებაში მოვიდა. ჩვეულება ჰქონდა, უკიდურეს მრისხანებას უკიდურესი ლმობიერებით შესცვლიდა, და ახლა მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— შესდექ! — მიაძახა ოსიკოს! — დაამყარე თუ არა რეკორდი? დაამყარე? ჩვენც დაგვეწიე. ყოჩაღ! მიყვარს მარჯვე ხალხი. არაფერს არ იკლებს ცხოვრებაში.

ოსიკო ყველას მხიარულად მიესალმა.

— მიყვარს, მიყვარს, მარჯვე ხალხი, — განაგრძობდა ზაალი. — რუბენას უთაობით ამ ხმელ ვაგონში გვერდები დაგვემტვრა, მაგან კი სხვა სიკეთესთან ერთად, საერთაშორისო ვაგონიც არ დაიკლო. ასე უნდა ეს ცხოვრება. ამ დილას ერთი ხაშიც დავაყოლოთ ზედ და... აბა რუბენ, ბარგი გამოიხსენი.

რუბენამ საბარგოდან გამოიხსნა ბარგი-ბარხანა და მალე ყველანი ჯაჭვის ხიდთან გაჩნდნენ.

გარშემო დილით აფუსფუსებული ხალხი ირეოდა. მეეტლეები „კნუტით“ ხელში იქვე ტრიალებდნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ:

— აბა ერთი ადგილი ონჭეიშამდე...

— მექვენა, ერთი ადგილი, მექვენა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენმა მგზავრებმა ბარგი ეტლიდან „ზემო რაჭის“ სასადილოს წინ გადმოალაგეს, მაშინვე მეეტლეები შემოეხვივნენ.

— აბა ონჭეიში...

— მექვენა...

— ცაგერი...

— ონი, ონი...

ზაალმა მრისხანედ გადახედა აბეზარ მეეტლეებს.

— ჩვენ, პრიმიტიული ეტლების სასტიკი მოწინააღმდეგენი ვართ...

მეეტლეები მაინც არ მოშორდნენ. მათ აინტერესებდათ ამ უცნაური მგზავრების ვინაობა. ერთი მათგანი ყველაზე წინ წამოდგა და ზაალს ჰკითხა.

— სად მიბრძანდებით, ბატონო, ამდენი ხაბაკით.

— ონში.

— ა, ბატონო ლინეიკა. ორ დღეში ჩაგიყვანთ. ცხენები მყავს მისთანა რო...

— ჩვენ ავტომობილით უნდა წავიდეთ, ამხანაგო, — ამაყად უპასუხა ტიტიკომ.

— კაი ერთი შენ გენაცვალე! — ცინიკურად გადაულაპარაკა თამამმა მეეტლემ. — ავტომობილს მოუკვდა პატრონი. საცხა იმისთანა ადგილას გაგიჩერდებათ, რო შეიძლება ერთ თვეს ვერ დასძრათ ადგილიდან და ამდენ ხაბაკს რას უშვებით მერე? აგერ ლინეიკა და...

— შენი სახელი? — უცბად შეეკითხა ზაალი მეეტლეს.

— აპალონა, ბატონო!

— რომელი, ბელვედერელი?

— არა, ოფშკვითელი ვარ...

ბიჭებმა გულიანად გადაიხარხარეს. აპალონა ამ სიცილზე დაიბნა და ონჭეიშელმა მეეტლემ შორიდან გამოსძახა:

— წამო, წამო, არ არიან შენი მუშტრები, ვერ ხედავ?

ნახევარი საათის შემდეგ აქაქანებული რუბენა მოვარდა და ბარგს დაუფათურდა.

— აბა, ბიჭებო, ვიშოვე საბარგო მანქანა. შოფერი მირავოი ბიჭია! მთელი მანქანა ჩვენს განკარგულებაში იქნება. აბა, ბარგი აიღეთ, ამ წუთში ჩამოდგება.

მაგრამ „ამ წუთში“ დიდხანს გაგრძელდა და რუბენას ერთი ათჯერ მაინც დასჭირდა გარაჟში გაქცევა.

მეეტლეებს გული მოეცათ და შორიდან იძახოდნენ.

— საღამომდი ტყუილია თქვენი წასვლა, იცადეთ, ბიძია იცადეთ.

რამდენიმე ეტლი კიდევაც გაუდგა გზას. იშოვეს მუშტრები — ბავშვიანი ქალები და მოხუცები.

დიდი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მოვიდა ავტომანქანა. ამ ხნის განმავლობაში ბიჭებმა უკვე მოასწრეს ხაშის ჭამა, სწრაფად ეცნენ ბარგს და შეაწყვეს მანქანაზე. ზაალი შოფერს მოუსვეს გვერდით, თითონ ბარგზე შესხდნენ და დაიძრნენ. ატრიალდნენ მთები, გაიქცა მიხვეულ-მოხვეული გზა, ხოლო ხელებ-გაშლილი ხეები ტოტების რხევით მოცეკვავებივით უკან გარბოდნენ.

წინ წასული ეტლები უკან ჩამოიტოვეს და ახლა ბიჭებმა დაუწყეს დაცინვა ძველი ეტლების პატრიოტებს.

— მარილი, მარილი კუდ ქვეშ! — მიაძახა რუბენამ.

— მარილი კი არა, პილპილი, — გაუსწორა გოგიმ.

სამოცძალიანი ავტოკარი სასიამოვნოდ გუგუნებდა და მძლავრად — მისრიალებდა ალმართებზე. სოფლებთან შარაზე გამოსულ ბიჭებს პატარა კალათებით ბალი გამოეტანათ. ავტოს მგზავრებს ყვირილით და ფეხების ტყაპუნით მისდევდნენ.

— მანათი... მანათი...

— გააჩერე, ბიძია! — ემუდარებოდნენ შოფერს.

გზა მიხვეულ-მოხვეული იყო. ხან რიონის ნაპირს მიუყვებოდა, ხან კი სულ მაღლა ადიოდა და რიონი სადღაც ქვემოთ იკარგებოდა. ამწვანებული მთები ერთი ერთმანეთს სცვლიდნენ და ფერდობებზე აქა-იქ მოსჩანდა ბაღებში ჩადგმული პატარა სახლები. ხანდახან ზაალი კაბინის ფანჯრიდან თავს ამოჰყოფდა და დასჭექავდა:

— როგორა ხართ, არწივებო?!

— ვართ, ვართ, ბიძა ზაალ, — უპასუხებდნენ ყველანი ერთად.

ონში ღამით მივიდნენ. სასტუმრო ტურისტებით სავსე დაუხვდათ. დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ, როგორც იქნა, მოეწყვნენ და იატაკზე გაშლილ ლეიბებზე გაგორდნენ. დაღლილებს სწრაფად ჩაეძინათ.

დილით, ადგნენ თუ არა, რუბენა ცხენების საშოვნელად გაისტუმრეს, თითონ კი მოედანზე გავიდნენ. მოედანი სავსე იყო ხალხით. საბაზროდ ჩამოსული დედაკაცები ჰყიდნენ ქათმებს, კვერცხს, კარაქს, ყველს, კაკალს და ათას რამეს. მრავლად იყვნენ იქ აგრეთვე ტურისტი კაცები და ქალები. ქალებს მოკლე სარაფანები ეცვათ, ხოლო ტიტველ ფეხებზე — თეთრი სასპორტო ჩუსტები. ტიტიკო, ოსიკო და გოგი მაშინვე აედევნენ ტურისტ ქალებს, გაიცნეს და მუსაიფი გააბეს.

ზაალი სოფლის პროდუქტების თვალიერებაში იყო და, ბიჭებს რომ თვალი მოჰკრა, მხიარულად დასჭექა:

— ჰაიტ, თქვე მსუნაგებო, რა ამბავში ხართ!

ბიჭებმა გაიცინეს და ტურისტი ქალები ზაალს გააცნეს.

— ვესმა რად, ვესმა რად, — ჩამოართვა მხიარულად ზაალმა ხელი ქალიშვილებს. — старый сердцеед Заал Гарсеванишвили...

ქალებმა გაიცინეს.

ზაალმა უცბად ყველანი აიყოლია, გაამხიარულა. აქეთ ეცა, იქით ეცა, ხილი იყიდა, ყველას გაუმასპინძლდა. ჭორფლიანმა ზოსიამ ოსიკოს ალტაცებით ჩაუჩურჩულა:

— კაკი სიმპატიჩნი ვაშ პროფესორ!

ამ დროს რუბენაც გაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხენები მზად გახლავთ ზაალ ივანიჩ, — უპატაკა ზაალს.

შუა დღის პაპანებაში შესხდნენ ცხენებზე. ბარგით დატვირთული ჩალვადრები, უკვე კარგა ხანია წინ იყვნენ წასული. ახალგაზრდები დიდხანს ეთხოვებოდნენ ტურისტ ქალებს. რუბენამ განსაკუთრებულად არჩეული კარგი ცხენი ზაალს დაუთმო.

— ამაზე შებრძანდით, ზაალ ივანიჩ.

— შენ, ბიჭო, შენ?

— ჩემზე ნუ დარდობთ, ჯორი ვიშოვე შესანიშნავი, იმითი მოვდივარ.

— აბა, აბა! — მკვირცხლად მოევლო ცხენს ზაალი და ბიჭებს გამოეკიდა. მათ თავიანთ ჯახრაკა ცხენებზე სულ ძუნძულით გაიარეს ონის მტვრიანი ქუჩები.

რუბენა ჯორთან მივიდა. პატრონს სადავით ეჭირა ეშმაკურად გატრუნული ჯორი. დააპირა თუ არა რუბენამ ზედ შეჯდომა, ჯორმა მაშინვე ტლინკები ჰყარა და განზე გახტა.

— ჰააა! — დაუყვირა გულმოსულმა რუბენამ. — რა მოგივიდა! ტრრრრ... მოიცა!

მაგრამ ჯორმა არ მოიცადა. არაფრის გულისთვის არ მიიკარა შესაჯდომად. რუბენა სიბრაზისაგან მთლად გაფითრდა, ხან აქედან უარა, ხან იქიდან. ხალხი მიიშველია, ჯორი გააკავეს. მაგრამ მან ტლინკები ჰყარა, ხალხი მიფანტ-მოფანტა და ბაზარში გავარდა. ხალხმა ერთი სტვენა და კივილი დასცა.

— რა ღირს შენი ჯორი? — სიბრაზისაგან აცახცახებული ხმით შეეკითხა რუბენა ჯორის პატრონს.

პატრონმა კითხვა ვერ გაიგო. რა შუაში იყო ამ დროს ჯორის ღირებულებაზე ლაპარაკი?

— რა ღირს მეთქი შენი ჯორი?

— რავა რა ღირს! რა ღირს და სამოცი თუმანი ღირს.

— გაძლევ სამოც თუმანს, ოღონდ მომაკვლევინე ამ წუთში, რაათ გინდა, მაგისთანა საქონელს რომ ინახავ, ჰკარი ტყვია და გააგორე!

ატყდა ერთი სიცილი.

— აჰ! რას ლაპარაკობ, მაგისთანა ჯორი რაჭაში არ იშოვება, ცოტა შეჯენაზე უარობს, თორემ მერე რომ წავა, ბედაური ვერ დაეწევა.

— კაი მასალა კლებია: თუ ვერ შევჯექი ისე, რა ჯანდაბად მინდა!

— არა, ისევ ხანდახან იცის, თორემ.

ისევ გაქაჩეს ჯორი. ფეხები ღვედებით შეუკრეს, თვალები აუხვიეს და რუბენა, როგორც იქნა, შეჯდა ამ მგლისაგან შესაშინელ ბედაურზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

სოფლის დასაწყისში პატარა მოედანზე, რომელიც რიონს თავზე დასცქერის, ხანში შესული სოფლელები შეგროვილიყვნენ და მუსაიფობდნენ. ზოგი მათგანი ჩიბუხს ეწეოდა. ბაგრატ გავაშელი სანადირო ბანდულებს ჰკერავდა, ხოლო თეთრწვერა ისმაილ გოგრიჭიანი ჯოხს ჩლიგნიდა.

— ბაგრატო, გზა არ უნდა გამოვიდეს ამ ჩვენ სოფელში — შეეკითხა ისმაილი ბაგრატს. — რამდენი ხანია რაჭაში მინდა წასვლა და ავტომობილი რო იყოს, მე დაგირჩი, მაგას რა აჯობებდა!

— ჭალაში გაუყვანიათ ავტომობილის გზა, — გადააპურჭყა გრიგოლამ და ულვაშები მოიწმინდა.

— მაგას არ ვამბობ! — განაგრძნო ისმაილმა. — ჭალაში ქვე გაუყვანიათ გზა და ჩვენ რა დავაშავეთ!

— ი, შე კაცო. ჭალაში მადანია და იმიტომ გაიყვანეს გზა, — უპასუხა ბაგრატამ და ბანდული ხელში შეათვალიერა. — რო მიაყარეს მუშა ხელი, თვენახევარში გაჭრეს გზა, მერე რავარ კლდეებში, შენ ქე ყოფილხარ გონია, ისმაილ, ჭალაში.

— მეც ქე ვყოფილვარ იმ დასალუპავში, — ჩაერია გრიგოლა.

— იქ თუ გზა გევიდოდა, იფიქრებდი? — განაგრძნო ბაგრატამ, — რა დალუპული და დაქცეული ადგილებია მაინც ი ოხერში.

— ახლა იმ მადნის გულისთვის გეიყვანეს ის გზა? რა ძალა ქონია იმ მადანს, შე კაცო, ამდენი რო შეძლებია. ნეტაი ჩვენში ამოჩნდებოდეს რამე, რო გზას გამოიყვანდეს. არ გვეშველება ღებელებს! — ინატრა ისმაილმა.

— გაჩუმდი, შე კაცო, ჩვენში გზას ვინ შემოიყვანს. მაინც რანაირათ ვართ გვერდზე მიგდებული. საგლოლოდან, იჯინერია თუ დოხტური, სუყველა შოვისკენ მიდის, ჩვენ ქვე ვისლა ვახსოვართ, აქ მადანს ქვე ვინ შოძებნის!

— ეს ვინაა, ნეტავი, — შეაჩერა ისმაილმა გრიგოლა და ხვარგულის გალმა მიმავალ ცხენოსანს დააკვირდა. — ეს ზაკნაჭოს ჯორი არ არი? ქვე ვინ ჯის ზედ ნეტავი?

ყველამ იქით გაიხედა. მხედარი სწრაფად მიათოხარიკებდა ჯორს. მარდად ჩამოიყვანა მდინარის ტერასაზე ჩამოჭრილ გზაზე და თქარა-თქურით შეიჭრა ხვარგულის ფონში.

— ძალიან მოსიარულე ჯორი არ არი! — წამოიძახა ისმაილმა, როდესაც ჯორი გამოლმა ბეგს ამოეფარა.

— თუ შეჯექი ზედ, იცოცხლე, მერე მაგ წავიდეს, — დაამარწმა ბაგრატა და ბანდულის ფეხზე მოსინჯვა დაიწყო.

— გამარჯობათ, თქვენი! — უცბათ თავს წაადგა მოსაუბრეებს რუბენა, ჯორი შეაჩერა და ჩამოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი წამოიშალნენ.

—აი გაგიმარჯოს! — უპასუხეს აქეთ-იქიდან უცხო სტუმარს.

— საიდან მობრძანდებით ამ ჩვენს ყრუ ქვეყანაში? — შეეკითხა ისმაილი და თავაზიანობის ნიშნად ჯორი ჩამოართვა.

— ტფილისიდან, ბიძია, ტფილისიდან, მოვედით თქვენთან, მადნები უნდა მოვძებნოთ, გზა გამოვიყვანოთ, ქარხნები აგიშენოთ, არ გინდათ ქარხანა?

— კაი, ერთი შენ გენაცვალე! გამოცხადებასავით ქვე ნუ კი გადამრევ კაცს! — გაოცდა ისმაილი. — მართალს ამბობ მაგას?

— მართალს, მაშ. აგერ საცაა მოვლენ ერთი პრაფესორი და სამი ინჟენერი. ერთი თქვენი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე სადაა, ვერ მაჩვენებთ?

ნახევარი საათის შემდეგ უკვე მთელმა ექვსასმა მოსახლემ გაიგო ახალი ამბავი, რომ მადნების საძებრად ინჟენერები მოდიანო, და როდესაც ხვარგულას ნაპირას ჩვენი მგზავრების ქარავანი გამოჩნდა, მათ მთელი სოფელი შეეგება, ცხენები ჩამოართვეს და თეთრწვერა ისმაილ გოგრიჭიანმა ხმა მაღლა დაიძახა:

— მშვიდობა თქვენ მობრძანებას, სიხარული ნუ მოგიშალოთ გამჩენმა, რო გვიკადრეთ და ამ ჩვენ დაკარგულ ქვეყანაში მობრძანდით.

ზაალს ძალიან ესიამოვნა ეს გულთბილი მიღება და ისმაილს მხარზე ხელი დაჰკრა.

— მოვედით, მოხუცო, მოვედით, მადნები უნდა ვნახოთ, ქარხანა აგიშენოთ, გზები გავიყვანოთ, ავტომობილი უნდა მოვაგრიალო თქვენ სოფელში.

— იჰ! იჰ! კაია შენ ნუ მომიკვდები, კაი... მაგ კი არა, ზღაპარივით მქონდა გაგონილი, რომ იტყოდნენ პრაფესორიო. ქე რა ვიცოდი, რა იყო პროფესორი, მე წიგნი და წერა არ ვიცი. ჰო და იმას მაინც მოვესწარი პროფესორი ვნახე ჩემი თვალით...

საბჭოს თავმჯდომარემ სასწრაფოდ გამოუნახა მგზავრებს ოთახი სკოლის შენობაში, და დიდი ორსართულიანი სკოლის აივანზე მთელი საღამოს განმავლობაში არ შეწყვეტილა ლებელების მხიარული ხორხოლი. განუწყვეტლად მოდიოდნენ სოფლელები, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, რომ ეს უცხო სტუმრები თავიანთი თვალით ენახათ და მათი მოსვლის მიზეზი გაეგოთ. ბოლოს, კარგა გვიან, ისევ ერმალომ გარეკა ყველანი.

— წადით ახლა, ხალხს დასვენება უნდა, დაღლილები არიან. ხვალ საერთო კრება გვექნება და ყველანი მოდით.

ყველაზე მეტად ისმაილა იყო აღტაცებული ამ მოულოდნელი სტუმრების მოსვლით და ერთი მეასეჯერ მაინც ჰკითხა ბაგრატს:

— ბაგრატო, არ გიკვირს?

— მართლა, კაცო, რავა ნანატრივით გამოჩნდნენ, — ... სიტყვაზე მოსულიყვნენ. ასე რომ შენ სიცოცხლეში ნატვრა აგსრულებოდეს, რაღა გიჭირდა, ჩემო ისმაილ, — მეასეჯერვე უპასუხა ბაგრატამ.

— თუ მართლა მაგათმა მოსვლამ გაამართლა ჩვენი იმედი ერთ პამიატნიკს არ დამიდგამთ ღებელები? — მიუბრუნდა ისმაილი მეზობლებს.

— კი გეკუთვნის, შენ სიკვდილს ნუ დაიზარებ და პამიატნიკს მე დაგადგამ, — გაეხუმრა გრიგოლა.

— შენ რა შუაში ხარ? — შეედავა ყბა-მოქცეული სტეფანე ისმაილს.

— ი შე კაცო, მე ვინატრე, შენ ხო არ გინატრია! — სიცილით უთხრა ისმაილმა.

— შე კაცო, შენ შარშან რომ წისქვილში აგრაფინა მოიმწყვდიე, მაშინაც ბევრი ინატრე, ძალა რო მოგცემოდა... ძველებურათ, მარა არ შეგასრულდა, — გაახსენა ყბა-მოქცეულმა სტეფანემ! — ნატვრას რა ჭკუა აქვს.

ყველამ გაიცინა.

— კაი ერთი შე კაცო, მართალი ეგონება ხალხს, — მორცხვად შეიშმუშნა ისმაილი. — თუ მაგათ ახლა მადანი ნახეს, მართლა ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფს.

— არა, შენ სიტყვას ნუ გვიბრუნებ, — არ ეშვებოდა სტეფანე ისმაილს, — ამ ხალხს მოუყევი, რავა იყო ის საქმე.

— რავა იყო, რავა, გვიამბე ისმაილ? — შეუჩნდნენ აქეთ-იქიდან.

— ეჰ! რა რავა იყო, შე კაცო, ტყვილა გეევემასხრე, თვარა ქვე სადღა მაქ მისი თავი.

— არა მე გიამბობთ როგორ იყო, — წინ წამოდგა სტეფანე. — მაგ არ ამხელს, რაც სირცხვილი ჭამა. აგრაფინას ამბავი არ იცით? მე დაგირჩი, ღებში ერთი ვაჟკაცი ვერ მოჰკიდებს ხელს. ჰო და ჩვენმა ისმაილმა რო შეაპარა თურმე ხელი, მოუბრუნდა აგრაფინა კატასავით აიტაცა თურმე ეს ჩვენი ისმაილი, გამოიყვანა გარეთ და წისქვილის ღარის ქვეშ ჩააჯინა წყალში.

— ტყუილი, შენ ნუ მომიკვდები! ტყუილს ამბობს! გჯერათ ახლა ეგ თქვენ? — სცადა საერთო სიცილის შეჩერება ისმაილმა.

— რამ გაფიქრებია შე სულწაწყმედილო მაგისთანა საქმე? — შეეკითხა ერმალო ისმაილს.

— ი, მართალი ხო არ გგონია, შე კაცო, სტეფანეს მასხრობის ამბავი არ იცი?

— თუ ახლა მაგათმა მოსვლამ გაამართლა, არ ავშენდებით ხალხი! — შესცვალა საუბარი ერმალომ და ისევ ჩამოსულების ამბავს დაუბრუნდა.

— აბა, შე კაცო, — დაემოწმა ისმაილი.

— მაგრამ, იცით, რა გითხრათ, იმ მეგრელს რომ ეკენით, იმისთანა ცოგნობა არ დაიწყოთ ამასთან, — გააფრთხილა ყველანი ერთბალომ. — ბიჭებს უთხარით, წესიერათ მოიქცენ, მასხრობას ნუ ეტაბუებენ! თვარა თქვენ გიყვართ სისულელეები.

— ეჰ! რა იყო, შე კაცო, აბა არ უნდა ვიხუმროთ?—წამოილაპარაკა მოხუცმა მამუკამ. — მე დაგირჩი, და კაცს ხუმრობა ქვე შვენის. რავა იტყვი ისმაილ?

— ეჰ! მართალს ამბობ, მართალს, — დაამთქნარა ისმაილმა. ხალხო არ გეძინებათ? წავიდეთ ჩვენ ჩვენს სახლში.

ნელნელა დაიშალნენ და მალე მოედანი სულ დაცარიელდა.

სკოლის ოთახში კი ჩვენ მგზავრებს ჯერ კიდევ არ ეძინათ. საველოგინები გააწყეს, „ლამურა“ ფარანი აანთეს და ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

ნავახშმევს ყველანი აივანზე გავიდნენ. მთვარე კარგა მაღლა აწეულიყო. ჰაერი სრულიათ არ იძროდა და სასიამოვნოდ გრილოდა. სოფელში უკვე სიჩუმე იყო. ერთმანეთში არეული მოსჩანდა კოშკის მაგვარი ძველი შენობები. ქვემოთ, კლდესთან, რიონი შხუოდა. პირდაპირ გადაგრაგნილიყო მთების მკვეთრი სილუეტი.

ერთხანს ყველანი ჩუმად გასცქეროდნენ მთვარით განათებულ სოფელს და ბინდში ამართულ მთებს.

— დაიძინეთ, ხალხო, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ! გამოსძახა რუბენამ ოთახიდან ყველას. თქვენ როგორც გენებოთ, მე კი უნდა დავიძინო.

მალე ჩვენმა მგზავრებმაც დაიძინეს. მხოლოდ რიონი შხუოდა განუწყვეტლივ და ხანდახან სადღაც ძაღლი თუ დაიყეფდა.

თავი მეშვიდე

იმავე საღამოს ტფილისს ჯერ კიდევ არ ეძინა. დღის განმავლობაში სიცხით და შრომით დაქანცული ხალხი ახლა გამოდიოდა გარეთ. ყველანი მიეშურებოდნენ საზაფხულო კინოებში, ბაღებში და უფრო მეტად ქუჩებზე სასეირნოდ და დასასვენებლად.

ჯერ კიდევ ადრე იყო, როდესაც მერი სანდროსთან და დათიკოსთან ერთად აეროკლუბის შენობიდან გამოვიდა. სამივემ თავისუფლად ამოისუნთქა.

— უჰ, დავიხრჩვი იმ დარბაზში! — წამოიძახა დათიკომ და ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა.

სამივემ დღეს საპარაშუტო სასპორტო ნათლობა მიიღეს და ამ საღამოს დიდის ზეიმით დაჯილდოებულ იქნენ სპეციალური ნიშნებით.

დათიკო და სანდრო მთამსვლელები იყვნენ. ოსიკომ დააწყებინა მათ მოსამზადებელი ვარჯიში. მერიც აიყოლია ამ სივრცეების დაპყრობაში,

მაგრამ რადგან ოსიკოს მოულოდნელად მოუხდა მთებში წასვლა, მერის დაუბარა — გადმოხტომა მის ჩამოსვლამდე გადაედო. მერისაც უნდოდა ოსიკოს სიტყვა აესრულებია, მაგრამ აეროდრომზე შექმნილმა სასაცილო მდგომარეობამ აიძულა სიტყვა გაეტეხა და გადმოხტომა [illegible] ეფიქრა. ეს სასხვათაშორისოდ გაჰყვა სანდროს და დათიკოს. ინსტრუქტორი მათ მხიარულად შეეგება და მაშინვე ოსიკო იკითხა, სად არისო.

— მთაში წავიდა ქვევიდან ზევით ასახტომად, — იხუმრა სანდრომ.

აეროდრომზე ბევრი ხალხი იყო. ცოტა მოშორებით თვითმფრინავები იდგნენ. რამდენიმე მათგანის პროპელერი ამუშავებული იყო და ზუზუნებდა. მარცხნივ, ღობის გასწვრივ, მოჩანდნენ ფრთაზე დაყრდნობილი პლანერები. აქა-იქ პარაშუტისტები ჩამწკვრივებულიყვნენ. აეროკლუბის ინსტრუქტორები იქით-აქეთ დარბოდნენ და ხმა მაღლა განკარგულებას იძლეოდნენ. ერთი თვითმფრინავი დაიძრა, ოდნავი ხტუნვით გაირბინა მოკლე მანძილი და მერის ჯგუფს თავზე გადაუარა. მათ უნებურად გააყოლეს თვალი. მალე მეორე თვითმფრინავი დაიძრა.

— წადით, პარაშუტები მიიღეთ და მერე აი იქ მოდით, — მიუთითა მათ ინსტრუქტორმა ერთ თვითმფრინავზე, რომლის პროპელერსაც გულმოდგინედ ექაჩებოდა რამდენიმე კაცი.

სამივენი წავიდნენ პარაშუტების მისაღებად.

— გადმოვხტეთ? — ჰკითხა დათიკომ სანდროს.

— აბა რა ვქნათ?

— ბიჭო, რომ არ გაიშალოს ეგ დასაღუპავი?

— კაცო, ათასჯერ აგვიხსნეს, ქვეყანა ხტება, რამდენჯერ ნახე და კიდევ არ გჯერა? — უთხრა სანდრომ, მაგრამ კილოზე ეტყობოდა, რომ ამ გადამწყვეტ ჟამს თითონაც ეპარებოდა ეჭვი.

— თქვენ რაო, შეგეშინდათ? — ჰკითხა მერიმ.

— შიში რა შუაშია, — ვითამ მტკიცე ხმით, მაგრამ ყოვლად უნიათოდ უპასუხა დათიკომ, ისე, რომ თითონაც ძლივს გაეგონა თავისი პასუხი: — შიში კი არა, ისე ვამბობ... რო არ გაიხსნას მეთქი...

— ბოლოკი ხომ არა ვარ, რომ მეორედ ამოვიდე? — იხუმრა სანდრომ.

მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშობის ყოველგვარი სტადია ჰქონდათ გავლილი და წინასწარი მომზადებაც ჩინებულად ჩაატარეს, უშუალო გადმოხტომის წინ მაინც შიში იგრძნეს. არ ღელავდა მხოლოდ მერი, რომელიც სულ არ აპირებდა გადმოხტომას და პარაშუტი ისე, სხვათაშორის გაიკეთა, თვითმფრინავშიაც გადმოხტომისათვის კი არ აპირებდა ჩაჯდომას, არამედ უნდოდა დათიკოსა და სანდროსათვის ეცქირა.

სამივენი პარაშუტასხმულნი გამოცხადნენ ინსტურქორთან. მან გულდასმით გასინჯა პარაშუტები, ღვედები, რგოლები, შემდეგ რაღაცა ჰქონდათ ტანზე მიმაგრებული და თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ უთხრა:

— იცოდეთ, თუ შეგეშინდეთ, არ გადმოხტეთ, გაიგეთ? ბერა ჩავსხდეთ.

პროპელერი აზუზუნდა, და სწრაფად აცურდნენ ჰაერში. მალე თვითმფრინავმა აეროდრომის გარშემო დაიწყო ფრენა. ქვემოთ ჩანდნენ და დაინახეს კოლოფისმაგვარი სახლები, რკინიგზის ხაზი და მარჯვნივ ალაპლაპებული კუმისის ტბა. როდესაც გადმოსახტომ ნიშანს გაუსწორდნენ ინსტრუქტორმა ანიშნა, მაგრამ ვერც სანდრო და ვერც დათიკო ადგილიდან ვერ დაიძრა. მერიმ შეატყო, რომ ორივე ყოყმანობდა. ერთმანეთს ელოდებოდნენ, თუ რომელი მათგანი გადმოხტებოდა პირველად. მაშინ მერიმ მოუცადა თვითმფრინავის შემდეგ ვირაჟს და როდესაც ინსტრუქტორის ნიშანზე არც სანდრო და არც დათიკო ადგილიდან კვლავ არ დაიძრა სწრაფად ადგა, გაღებულ კარებთან მივიდა და მოხდენილი ნახტომით თავით დაეშვა სივრცეში. სხეულს რეზინივით მკვრივი ჰაერი დაეტაკა და რამდენჯერმე გადააყირავა ჰაერში. მერიმ დაითვალა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... და გაჰკრა ხელი რგოლს. შრიალით ავარდა ჰაერში აბრეშუმის თეთრი ზოლი და მერი ქოლგაზე დაეკიდა.

დათიკო და სანდრო პირდაღებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს. შემდეგ ისევ ფანჯარას მიეკვრნენ, კიდევ გადახედეს ერთმანეთს და დათიკომ თავისი ჩვეულებრივი ბურდღუნით ჩასძახა ყურში სანდროს:

— ხედავ, რა გვიყო მერიმ, კაცო?

სანდრომ არაფერი არ უპასუხა და მეორე ვირაჟზე სასწრაფოდ წამოხტა ზეზე და სანამ გაკვირვებული და თვალებ-დაპრაწული დათიკო რაიმეს მოისაზრებდა, ისიც გადაეშვა კისრით ქვემოთ. დათიკოს აღელვებისაგან გული შეეკუმშა და კინაღამ ფანჯარა გაამტვრია შუბლით. სანდრო თევზივით დაეშვა ქვემოთ. მერე უცბად ზურგიდან ამოუსრიალდა აბრეშუმის გრძელი ენა, და მალე ისიც დაეკიდა უზარმაზარ ქოლგაზე.

მერი უკვე უახლოვდებოდა მიწას, სანდრო ჯერ ისევ მაღლა იყო. აეროპლანი დინჯად შებრუნდა, მოუხვია მარცხნივ და ისევ შემოხაზულ წრისკენ გაემართა. დათიკო მოემზადა. გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. ცხოვრებაში დათიკო წარმოუდგენლად უშიშარი იყო, ორას კაცს დაუხვდებოდა წინ და არავითარი საფრთხის წინაშე არ დაიხევდა, მაგრამ აქ რატომღაც უცნაური აღელვება იგრძნო. ერთ წუთს კინაღამ ისევ არ დაიხია უკან, მაგრამ როდესაც ქვემოთ მერისა და სანდროს ქოლგებს მოჰკრა თვალი, ბევრი აღარ უფიქრია. სწრაფად მივიდა კარებთან, ერთხელ კიდევმოშინჯა რგოლი და გადაეშვა სივრცეში... ფეხებს ისეთი მკვრივი ჰაერი დაეტაკა, რომ მაშინვე გადაყირავდა. დედამიწა ზემოთ მოექცა, აეროპლანი კი ქვემოთ. რგოლს ხელი მაგრა გამოჰკრა და მაშინვე იგრძნო, რომ პარაშუტმა გაშლა დაიწყო. ნელნელა დედამიწა ისევ გადმოყირავდა და დათიკომ კვლავ იგრძნო სამყაროს ჩვეულებრივი განლაგება. როდესაც მიმოხედვის საშუალება მიეცა, დაინახა, რომ ჰაერში დაკიდულიყო და

თავზე გადამხობოდა პარაშუტის უზარმაზარი გუმბათი. ისეთ კარგ გუნებაზე დადგა, რომ კინალამ სიმღერა დაიწყო.

— იჰ! რა შესანიშნავი ყოფილა, — გაიფიქრა გულში, — მგონია, ძირს არც კი ვეშვები და ჰაერში გავჩერდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემოთ აეროდრომის მოედანი მოჩანდა. მარცხნივ — ფეხებიდან შემდეგ ტაფაში მოქცეული ტფილისი, შორს კი უზარმაზარი მთები. მარჯვნივ მთელი კავკასიონი ჩანდა თავისი თოვლიანი მწვერვალებით. დათიკომ ისევ ქვემოთ ჩაიხედა. მერი უკვე დაშვებულიყო და მის პარაშუტს კეცავდნენ. სანდროც რამდენიმე წუთის შემდეგ დაეშვა, პარაშუტი უცბად დაჭკნა და თავზე გადაეფარა. დათიკოს გაეცინა, მერე ფეხებზე დაიხედა და რატომღაც აზრად მოუვიდა ფეხის წვერები აეთამაშებია, თითქო ჰაერში ლეკურს ცეკვავდა. რამდენჯერმე კიდევაც გააქან-გამოაქანა ფეხები, მაგრამ შერცხვა და ისევ პარაშუტის გუმბათს ახედა.

როდესაც ძირს დაეშვა, პარაშუტი შეიხსნა და მხიარულად მიუახლოვდა მერის.

— ძალიან არ გადმოვხტით! რა ადვილი ყოფილა, მე რაღაცა მეგონა.

— მერი არ გადმომხტარიყო პირველად, შენ როგორაც გადმოხტებოდი, იმასაც ვნახავდი, — გულწრფელად უთხრა მოახლოვებულმა სანდრომ.

— კარგით ერთი, ორივე კარგი ვაჟკაცები ხართ, — ღიმილით უთხრა მერიმ. — წამოდით, გადმოხტომა უნდა გავიმეოროთ. ასე მითხრა ინსტრუქტორმა.

— ჰოო, აბა ახლა ვნახოთ! — ნიშნის მოგებით სთქვა დათიკომ.

— წავიდეთ, პირველი მე ვხტები!

— წავიდეთ!

იმ დღეს მათთან ერთად ორმოცდაათი კაცი „მოინათლა“ პარაშუტისტებათ და ყველანი სამ-სამჯერ გადმოხტნენ თვითმფრინავიდან.

საღამოს კი აეროკლუბში საზეიმო სხდომაზე ყველას პარაშუტისტების ნიშნები ჩააბარეს და მიულოცეს ახალი სპორტის დაუფლება.

— რა ნიშანი გვაკლია ახლა მე და შენ? — ჰკითხა დათიკომ სანდროს. — სნაიპერობის ნიშანი გვაქვს, მზათ ვარ შრომისა და თავდაცვისათვის ორივე საფეხურის ნიშანი გვაქვს, ალპინიზმის ოსტატობის ნიშანი გვაქვს. ახლა ეს გულზე არ დაგვეტევა, ყველა ერთად რომ გავიკეთოთ. მერი შენ რა ნიშნები გაქვს? ჰო, მართლა, შენ სნაიპერობის ნიშანი არა გაქვს. უნდა მოგნათლოთ აუცილებლად.

ნიშნები მაშინვე დაიმაგრეს გულზე.

— აბა წავიდეთ ახლა, თორემ დავიხრჩვი ამ დარბაზში, გავიდეთ გარეთ, — უთხრა მერიმ და სამივენი გარეთ გავიდნენ.

— სად წავიდეთ? — იკითხა სანდრომ.

— მუსიკ-ჰოლში. არა?

— არა. კულტურისა და დასვენების პარკში წავიდეთ. იქ შესანიშნავი ტავერნაა მტკვრის პირად, — სიგრილეა. მუსიკ-ჰოლში დავიხუთებით.

დათიკოს აზრი მოიწონეს.

— წავიდეთ, წავიდეთ, აი ტრამვაიც დადგა, — წამოიძახა მერიმ და ტრამვაისკენ გაიქცა. სწრაფად შეხტნენ ტრამვაიში.

კულტურისა და დასვენების პარკი სავსე იყო ხალხით. [illegible] ატრაქციონს უხვად ესეოდნენ მაყურებლები და ერთობოდნენ.

შორიდან მოისმოდა სასულე ორკესტრის გრიალი. აქა-იქ გამართული აუზების გარშემო შადრევნები ჩქეფდნენ. შუა აუზში ზანტად დაცურავდნენ ყელმოღერებული გედები. გარშემო პატარა გოგო-ბიჭები იდგნენ და შესცქეროდნენ. ხეივნები სავსე იყო მოსეირნებით.

დათიკომ, სანდრომ და მერიმ ენერგიულად გაარღვიეს შესასვლელთან ძიზღვავებული ხალხი და რაინდული ნაბიჯით გაიარეს მთავარი ხეივანი. ატრაქციონებს გვერდი შეუარეს და მწვანით შემოსულ, ღელვავით განათებული ტავერნისაკენ გაემართნენ.

მერიმ, სანდრომ და დათიკომ ძლივს მონახეს თავისუფალი მაგიდა. მიუსხდნენ თუ არა, სანდრო მაშინვე შეუდგა ოფიციანტის მოწვევის თადარიგს. ხან დანა არახუნა საინზე, ხან მუშტები აბაგუნა მაგიდაზე, ხან უძახა, ბოლოს, როგორც იქნა, მიიტყუა ერთი მათგანი და ვახშამი შეუკვეთეს.

მერიმ მოულოდნელად გაიგონა, რომ მეორე მაგიდაზე ზაალი ახსენეს და უნებურად მიიხედა. ყურადღებით ათვალიერა ყველანი. ახალგაზრდობა იყო. მხოლოდ ერთი მათგანი იყო ხანში შესული და სწორეთ მან ახსენა ზაალი.

— მერი, რას იტყვი, არ აჯობებს... — რაღაც უნდოდა ეკითხა დათიკოს, მაგრამ მერიმ შეაჩერა, მოიცაო, და მეზობელ მაგიდას მიაყურა. დათიკომ და სანდრომ გაკვირვებით მიიხედეს.

— ოჰ, ვიცნობ იმ მოხუცს, მიხეილ ერისთავია, — სთქვა დათიკომ.

— მოიცა, დათიკო, — ისევ შეაჩერა მერიმ.

მეზობელ მაგიდაზე კი მიხეილ ერისთავი ხმა მაღლა განაგრძობდა:

— ...ასეთი ინტრიგა მომიწყო ზაალმა, მაგრამ რას იზამ.

— თქვენ რატომ უფრო მაღლა არ მიმართეთ? — ჰკითხა ერთმა ოქროს კბილებიანმა.

— წარმოიდგინეთ, მინდოდა, მაგრამ მირჩიეს, რა გეჩქარება, იქიდან ბელცარიელი რომ დაბრუნდება, ამაზე უკეთესი საბუთი რათ გინდათ, და მართალიც არის... გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო, ხომ გაგიგონიათ: მეც ველოდები...

— საინტერესოა, იქიდან რომ დაბრუნდებიან, რა პირით უნდა გამოჩნდნენ ქალაქში. ამიტომაა, რომ არ ვარგა წინასწარ ტრაბახი, — ბრძნუ-

ლად შენიშნა ერთმა მელოტმა თანამესუფრემ. — წაგიხდა საქმე, მერე რას შვრები? ჯერ უნდა გააკეთო კაცმა და მერე წაიტრაბახო.

— რა გვეშველება, კაცო, ამდენ მეტიჩრებში! — [illegible] სთქვა ოქროს კბილებიანმა. — კაცს პატიოსანი შრომის [illegible] უნდა გქონდეს? შენთვის რომ ხარ აგერ, გამოგიხტება ვიღაც, ზაალის მაგვარი მატრაკვეცა და სულ აგირევს ყველაფერს. ახლა განა ზაალმა თითონაც არ იცოდა, რომ ის რაღაც მადანი ყოფილა, ჩვენში არ მოიპოება? იცოდა, მაგრამ პატივმოყვარეობამ წასძლია და ფეხებზე მოიკიდა ამხანაგები, ეთიკაც, კოლეგიალობაც, წაიმეტიჩარა და...

— ეჰ! რას იზამ! — ამოიოხრა მიხეილმა.

ეტყობოდა, ძალიან ესიამოვნა ასეთი თანაგრძნობა და სულ მოისაწყალა თავი.

მერიმ ზიზღით გადახედა მოლაპარაკეებს და ნერვიულად დაფლითა ხელსახოცი ქალალდი.

— რა თაიგული შეკრებილა, ხედავთ?

— მართლა და რა ხალხია! — წაიჩურჩულა სანდრომ.

მთლად წაუხდათ ამ საღამოს შესანიშნავი განწყობილება. ყველას გუნება გაუფუჭდა. მათ ჯგუფს მერის ორი მეგობარი ქალიშვილი მიემატა, ჟუჟუნა და ელიკო. სცადეს გართობა, მაგრამ ვერ მოახერხეს. ვახშამი მიატოვეს და დანსინგში წავიდნენ საცეკვაოთ. მერიმ მაინც ვერ შესძლო გართობა. მოწყენილი მიყრდნობოდა სვეტს და ნერვიულად წეწდა ცხვირსახოცის ბოლოს. ვერც ცეკვით გაერთო. დათიკოც მოწყენილი იჯდა, რადგან ცეკვა არ იცოდა.

მერი სულ მთაში წასულებზე ფიქრობდა და გული ეკუმშებოდა. ვინ იცის, ახლა სად არიან, სად სძინავთ ან ხვალ როგორი დილა გაუთენდებათ. აქ კი ასეთი ხალხი დადის და ცინიკობს.

დათიკოს ვიღაც ქალიშვილი ეპატიჟება საცეკვაოდ, ის კი უარობს. სირცხვილისაგან წითლდება. მერიმ თვალი მოჰკრა, გაეცინა, დათიკოს მაგივრად მივიდა ქალიშვილთან, ხელი მოხვია და გავიდა საცეკვაოდ. ატრიალდა დანსინგის შესუდრული სვეტები, თვალის მომჭრელი ელექტროლამპები, და მერიმ თავბრუდახვევა იგრძნო. არა არ შეუძლია ცეკვა. ქალს ხელი უშვა და დანსინგიდან გამოვიდა. ჯაზ-ორკესტრი ისევ განაგრძობდა ნერვიულად არგენტინურ ტანგოს დაკვრას. ბაღში ხალხი უკვე შეთხელებულიყო.

— მერი, რა მოგივიდა? — შეეკითხა უკან დადევნებული დათიკო.

— არაფერი. რაღაც ცუდათ ვარ. იმ საუბარმა გუნება გამიფუჭა...

— ეჰ, მოგიცლია ერთი! მაგისთანებს რომ ყური ვათხოვოთ, თავი უნდა მოვიკლათ ყველამ. წამოდი გავიაროთ, აგერ ჩვენებიც მოდიან.

გვიან დაიშალნენ. ჟუჟუნა და თამარა სანდრომ და დათიკომ გააცილეს. მერი გამოეთხოვა ყველას და მარტო წავიდა ბინისკენ. მოწყენილი

მიაბიჯებდა. რაღაც სიმძიმე აწვა გულზე. საშინლად განიცდიდა მარტოობას.

შინ რომ დაბრუნდა, უკვე ყველას ეძინა. უგუნებოდ მოიხსნა ბერეტი და ლოგინთან გაჩერდა. სარკეში თავისი თავი დაინახა და: იმას შეესწორა. ახლა სადღაც მთის სოფელში, ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე ძინავს ოსიკოს. რა კარგი იქნებოდა, რომ მერიც იქ იყოს. მივიდოდა მძინარ ოსიკოსთან. თმაზე ხელს გადაუსვამდა.

უცბად გაახსენდა, ოსიკოსთან ზაალმა რომ მოასწრო და კარადაში. დაიჭირა. გაეცინა. ტუჩზე იკბინა. თითქო შერცხვაო, ლოგინზე გაწვა და თავი ბალიშში შერგო.

შესანიშნავი ბალიში იყო, რბილი, ნაზი და ოსიკოსავით ალერსიანი.

ფანჯარაში ხეს შემოეყო თავი. მისი ფოთლები ჭორიკანებივით ჩურჩულებდნენ.

თავი მერვე

— აბა ერმალო ჩემო ,დატრიალდი ამ წუთში და რაც ღებში საუკეთესო მონადირეებია, ყველა აქ მომგვარე. პარტიულებსაც დაუძახე, ვინც არიან, სუყველას. დიდი სამუსაიფო საქმე მაქვს მათთან. თქვენც ადექით, ბიჭებო, ჩქარა! — გაისტუმრა ერმალო ზაალმა და პირის ბანას შეუდგა.

რუბენა წამოხტა და საუზმის თადარიგს შეუდგა.

— ერმალო, ერმალო, მოიცა, მეც მოვდივარ, — დაეწია კიბეზე რუბენა, — სანოვაგის საქმე როგორ იქნება, ვიშოვით თუ არა აქ?

— სანოვაგის?

— ჰო!

ერმალო ჩაფიქრდა.

— შოვნით, ჰო, როგორ ვერ იშოვით, მაგრამ...

— მაგრამ რა?... ფულს მივცემთ, შე კაცო, ტყუილა კი არ გვინდა. ბევრი კი არაფერი გვინდა — კვერცხი, რძე, ყველი...

— იშოვით როგორ არა... მაგრამ... იშოვით, იშოვით. ვეტყვი აქ და თითონ მოგიტანენ... თქვენ ნუ სწუხდებით...

ერმალო წავიდა, რუბენა კი ოთახში ამაყად დაბრუნდა და ჩაცმაში გარეულ ბიჭებს უთხრა:

— გავაკეთე უკვე საქმე.

— რა საქმე? — შეეკითხა ტიტიკო.

— ახლავე მოგვივა პურმარილი...

— არიქა მიშველეთ, ვკვდები შიმშილით, — წამოიძახა გოგიმ.

— ბიჭო ასე უცბათ რა გააკეთე, გარეთ არ გასულხარ?

— ის იცის ბიჭმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგვიკლე ახლა ტრაბახით, იცის ბიჭმა! — [illegible]ალმა. — შენ წადი და ჩვენი ბარგი ნახე, რა უყვეს ჩალვადრებმა.

— ახლავე, ბიძია ზაალ...

— ახლავე, როდისღა ახლავე? მარჯვნისაკენ! — სამხედრო წესით უბრძანა ზაალმა. — ნაბიჯით იარ! ერთი, ორი...

რუბენამ მოუსვა და სულ ბრიგინ-ბრიგინით ჩაირბინა კიბე.

— შესანიშნავი ამინდები გვიდგება, ყმაწვილებო... დღეს შუადღემდე სოფლელებთან საუბარი უნდა დავამთავროთ და ამ საღამოს ბანაკი უკვე კირტიშოს ძირში გავშალოთ.

— მზიდავები დაგვჭირდება? — შეეკითხა ოსიკო.

— არა, იქამდე ცხენებით შეიძლება ბარგის მიტანა.

სკოლის ეზოში თანდათან შეგროვდნენ ღებელი მონადირეები. ერმალომ ისინი ქვემოთ სკოლის ოთახში შეიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ სტუმრებიც მოვიდნენ, ყველას მიესალმენ და ზაალმა დაწვრილებით გააცნო გლეხებს მათი მოსვლის მიზეზი.

— ჰო და აბა ახლა თქვენ იცით, ამხანაგებო, ვაჟკაცებო, როგორ შეგვიწყობთ ხელს. თქვენ მთებში ხშირად დადიხართ ჯიხვებზე სანადიროდ და შეიძლება წასწყდომიხართ სადმე მადნების ძარღვებს, და გვიჩვენეთ, თუ ჩვენ აქ სახეირო მადნებს აღმოვაჩენთ, იქნება თქვენთანაც ავაგუგუნოთ ქარხანა. ჩვენ, მართალია, დავივლით ამ ადგილებს, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ მადანს ადვილად შეიძლება შეუარო გვერდი და ვერ შეამჩნიო. ამ მიუვალ კლდეების დავლა არც ისე ადვილი საქმეა. ყველგან ხომ ვერ დააბიჯებ ფეხს. ერთი გზით გაივლი და შეიძლება სადმე მოფარებულად, კლდის ძირში, იმისთანა საბადო იყოს, რომ მტერს თვალი დაუყენოს. აი ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა. ჩვენ დღეს შუადღემდე აქ ვიქნებით, წადით, გაიკითხ-გამოიკითხეთ, იქნება სხვებსაც აქვთ მადნის ნიმუშები, თქვენც თუ გაქვთ, მოიტანეთ და გვაჩვენეთ.

ბაგრატა ფეხზე წამოდგა და ერმალოს მიმართა:

— თუ შეიძლება, ორი სიტყვა უნდა ვთქვა.

— თქვი, ბაგრატა, თქვი...

ერთ წუთს ახმაურებული დარბაზი ისევ მიჩუმდა.

— მე ის მინდა ვთქვა, რომ მეტათ სასიხარულო მოვლენათ დაგვრჩა ღებელებს ამ პატივცემული სტუმრების მობრძანება, რომელიც რომ მადნების საძებნელად ჩამოსულან აქ და უნდათ ამ ჩვენ ღარიბ სახლში სინათლე შემოიტანონ. რაც შეეხება მადნებს, ამის ნიმუშები აქვთ ბევრს და ყველას მათ ვეცდებით, რომ გაჩვენოთ.

ხალხი აიშალა და ყველანი ეზოში გავიდნენ. ზაალი, ოქროკ, ტიტიკო და გოგი ზემო სართულში ავიდნენ სასაუზმოდ.

ის იყო ჩვენმა მადნების მძებნელებმა საუზმე გააბოლოვეს, გამოვიდნენ, რომ ერთი ვილაც ხანში შესული ღებელი ზაალს მიუახლოვდა, სალამი მისცა, ხელი ჩამოართვა და მორიდებულად უთხრა:

— მე ბატონო, თქვენთან ძალიან საიდუმლოთ მინდა ლაპარაკი და ამიტომ, თუ შეიძლება, ოთახში შევიდეთ.

— შენი სახელი?

— პავლე!

— მოდი აბა, პავლე, მოდი! ვნახოთ, რა იქნება შენი საიდუმლო ამბავი.

ზაალი ოთახში შევიდა და პავლე მაგიდასთან დასვა. კარები მიხურა.

— აბა რაშია საქმე, პავლე ჩემო?

პავლემ მიმოიხედა და ხმა დაბლა უთხრა:

— ოქროს მადანი მეგულება ერთ ადგილას. ნიმუშიც მაქვს და...

ზაალს გაეცინა.

— მაჩვენე შენი ოქრო, აქა გაქვს?

პავლე შეყოყმანდა.

— არა მე ის მინდოდა მეკითხა და გამეგო, რომ ვინაიდან ამ მადანს მთავრობას ჩავაბარებ მომცემს ალბათ, მთავრობა რამეს. ჰო და სწორეთ ამის კითხვა მინდოდა. თუ მამცემენ იმდენს, რამდენიც მე მინდა, მაშინ ქე ვიტყვი, სადაცაა და ნიმუშსაც მოვიტან, მაგრამ თუ არაფერს მამცემენ ისე რა მრჯის, რაზე შევიწუხო თავი. იყოს იქ. წინათ აქ ერთი იტალიელი იყო, შაპირო, და იმან ათასი თუმანი მაძლია, მაჩვენე სად არიო. მოვტყუვდი მე საწყალი, არ ვაჩვენე. ახლა თქვენ პატიოსან კაცათ გიყურებთ და იმიტომ გკითხეთ.

— სად ნახე ეგ შენი მადანი?

— ნადირობის დროს ვნახე მთაში.

— მაჩვენე იქნება ოქრო არ არის.

პავლემ ჯიბიდან ჩითის ნაჭერში შეხვეული ქვები ამოიღო, გახსნა, ერთი მათგანი ამოარჩია და ზაალს მიაწოდა. ზაალმა დახედა და ქვის ნატეხი მაგიდაზე დააგდო.

— ეს ოქრო არ არის, პავლე ჩემო. ესაა გოგირდის ალმადანი.

პავლეს თავზარი დაეცა.

— არ არის?

— არა, ჩემო პავლე, ოქრო არ არის.

— არც არაფერი გამოსადეგია?

— არაფერი. თუ ძალიან ბევრია მაგის მადანი, შეიძლება გოგირდის სიმჟავის დამზადება, მაგრამ მთაში, რაც უნდა ბევრი იყოს, მაგის დამუ-

შავებას არავინ შეუდგება. სხვა ხომ არაფერი გაქვს მაგ ნაჭერში საინტერესო. აბა მაჩვენე.

— არაფერია. ეს ნახე, მგონია, რკინა უნდა იყოს, — გაუწოდა მუშტის ოდენა ნატეხი პავლემ და ზაალის ხელში ლურჯად მბრეგავ ვოლფრამის მადნის კრისტალმა.

— ეს სად ნახე? ესაა რაცაა. სწორედ ამისათვის წამოვედით ღებში...

პავლეს თვალები გაუბრწყინდა.

— მართლა? მართალს მეუბნები?

— მართლა, მაშ... ბიჭებო, აქ მოდით! — ველარ მოითმინა ზაალმა და გარეთ გასძახა, — ოსიკო, ტიტიკო, აქ მოდით.

— რა მოხდა, ბიძა ზაალ? — შემოცვივდნენ ბიჭები ოთახში.

— ნახეთ! — და გაუწოდა ზაალმა ნიმუში.

ტიტიკომ ნიმუში შეატრიალა სინათლესთან მიიტანა, დააკვირდა და...

— ვოლფრამი! — წამოიძახა იმანაც.

— მაჩვენე, მაჩვენე! — ხელში ეცა ოსიკო.

— ვინ მოიტანა? შენ მოიტანე, ძია?

— მე მოვიტანე, მარა... — რაღაც უკმაყოფილოდ გადახედა ზაალს პავლემ.

ზაალი კი ისე იყო აღტაცებული ამ აღმოჩენით, რომ პავლეს უკმაყოფილებას სრულიად ვერ ამჩნევდა. ის თავისი წარმოდგენით უკვე თავზე ადგა ვოლფრამის ძარღვს, აღტაცებული შლიდა ხელებს და გაიძახოდა:

— აშენდით, ბედი გქონიათ. ჰო და... — ოცნება უცბად შეწყვიტა ზაალმა და პავლეს მიუბრუნდა: — აბა, პავლე ჩემო გავარდი ახლავე. ჩაიცვი შენი სანადირო ტანსაცმელი და საათნახევარში გავდივართ აქედან. ხვალ დილას ამ მადნის თავზე უნდა დაგვაყენო. ერთი ფეხი აქ. მეორე იქ.

ყველანი აფუსფუსდნენ. გოგი რუბენას დასაძახებლად გაიქცა, რომ ბარგი შეეკრათ.

პავლე ადგა ნიმუში ისევ შეახვია ჩითის ნაჭერში, ჯიბეში იკრა, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა.

— წადი, რაღას უცდი, შე კაცო! — მიმართა ოსიკომ.

— სად წავიდე? — ხეპრედ მიუბრუნდა ოსიკოს პავლე და მერე ზაალს მიმართა: — მე წელან რო გითხარი, იმის პასუხს არ მეტყვით?

— რა მითხარი ჰოო, ფულის შესახებ?

— რა ფულის? — იკითხა ოსიკომ.

— რას მომცემენ, ეს მადანი რომ გიჩვენოთო? — განუმარტა ზაალმა. — რას მოგცემენ, ჩემო პავლე, და საავტომობილო გზას, ქარხანას, სამთომადნო წარმოებას, ელექტრო-სადგურს, განათებას, განათლებას და კეთილ ცხოვრებას, აი რას.

— მასჩარად მიღებთ, თუ მართლა მეუბნევით?

— აბა რა გინდა?

— მაგ ისედაც უნდა გააკეთოს მთავრობამ. მე რას მომცემენ, ის მანდა ვავიგო.

— შენ რა უნდა მოგცენ? მოგცემთ საჩუქარს. ერთ ას თუმანს მოვაკერხებ როგორმე, რას იტყვით, ბიჭებო, მე მგონია, დათანხმდებიან...

— რასაო?

— რასა და ერთ ას თუმანს. მეტი რა გინდა?

— ჰა!

— ჰო, აბა მეტი რა გინდა? ამას გარდა, გაზეთში დავწერთ, რომ ეს მადანი ამან და ამან აღმოაჩინაო. მთელ სოფელში შენ იქნები პირველი და სახელოვანი კაცი „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“, არ გაგიგონია შოთას სიტყვები?

— რა გითხრა, იცით? მე შაპირო ათი ათას მანეთს მაძლევდა ოქროს ფულზე, ოღონდ მითხარი, სადაა ის მადანიო. ოცი ათას მანეთს კაპეიკი არ დააკლდება. პავლეს თქვენ ვერ მოატყუებთ. თქვენ აშენება გინდათ და მე ქე უნდა დამღუპოთ და დამაქციოთ...

— რრრაოო!.. — დაიჭექა ზაალმა. — რამდენი გნებავს, ყმაწვილო? აბა გამასწარი აქედან, თორემ არ ვიცი, რა დღეს, დაგაყრი. შენ რა გითხრა, ჩემო ძამია, იცი, გონს ვერა ხარ მოსული და გირჩევ პატარა შეასცენო ეგ თავი და ჭკუაზე მოხვიდე. ამერიკაში ხომ არ გგონია შენი თავი!

— ამერიკაში ქე ვიყავი, მაგრამ ისევ აქ ჩემეული.

— ოჰო! აბა შენ ინგლისურიც გეცოდინება. აი სპიკ ინგლიშ?

— აბა არ გამოვა ეს საქმე? — იკითხა ისევ პავლემ.

— რა, კაცო! თუ ხუმრობ, ჩემო ბიძია, ეგ სხვა საქმეა, თუ არა და ავად თუ ხარ, ტერმომეტრი გვაქვს და სიცხეს გაგიშინჯავთ, წამლებს დაგალევინებთ, — თითქოს ხუმრობით, მაგრამ უფრო სერიოზულად უთხრა ტიტიკომ. — სადღაც მთაში ქვას ფეხი წამოკარი და ამაში ოცი ათასი მანეთი გინდა აიღო?

— ციგნები და მასხარები ყოფილხართ თქვენ! — ბრაზიანათ წამოიძახა პავლემ და გარეთ გავარდა.

სამივემ ერთმანეთს გადახედა. არ მოელოდნენ ასეთ შემკობას.

— ძალიან არ გაუზრდიათ ამერიკაში! — წამოიძახა ზაალმა და სიცილი წასკდა.

— სულელია ვილაცა, ეგ ოჯახ-დაქცეული! — ჩაილაპარაკა ტიტიკომ. — რა იმედი მქონდა, მე ვთქვი, ხვალ ძარღვს ზედ თავზე დავადგები მეთქი და ფიქრით დეპეშა უკვე გაგზავნილი მქონდა ტფილისში.

— ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, დავძლევთ უკულტურობის ჯებირებს, აღმოვაჩენთ მადანს. მხოლოდ, ოსიკო, შენ უნდა დატრიალდე. ჩვენ დღეს

ალარ გავდივართ. ამ სალამოსვე შეკრიბე ყველა პარტიული და კომკავშირელი ვინც კი მოიპოვება ღებში, და შენებურად დაამუშავე. ჩვენ შევცდით, თავიდანვე ასე უნდა მოვქცეულიყავით...

წასვლა მართლაც გადასდეს. სალამოს ერმალოს დახმარებით სკოლის ერთ-ერთ ოთახში ისევ შეიკრიბნენ ღებელი კომუნისტები და კომკავშირლები და როდესაც ოსიკომ უამბო მათ დილის ამბავი, ყველანი აღშფოთდნენ. ბაგრატა ზეზე წამოვარდა და გაბრაზებულმა წამოიძახა:

— ახლავე აქ მოვიყვან იმ უნამუსოს, მაცალოს იმან...

მაშინვე გარეთ გავარდა.

— ერმალო გიბარებს თქო, უთხარი, — მიაძახეს დანარჩენებმა.

ცოტა ხნის შემდეგ ბაგრატამ მართლა მოიყვანა პავლე, რომელმაც მეტად გულუბრყვილო სალამი მისცა ყველას და კარებთან გაჩერდა.

— შენ მიბარებდი, ერმალო?

— ჰო, მე გიბარებდი, მოდი აქ. ეს პატიოსანი ხალხი, ხომ იცი, რისთვისაა მოსული. მთავრობა ამდენ დახმარებას გვიწევს და ჩვენ ვთქვით, გვეშველა თქო. გზა ჩვენ არა გვაქვს, ორიოდე კაპეიკისთვის ცხრა მთას იქით უნდა გადავიკარგოთ და ასეთი ბედი გვიახლოვდება, რომ ღებში ქარხანაც შეიძლება ქე აშენდეს და შენ ის მადანი, რომელსაც ეს პატიოსანი ხალხი დაეძებს, გინახავს და არ ამხელ სად არის რას გავს ეს?

პავლემ გაიცინა, ისე გაიკვირვა, თითქო ეს ამბავი პირველად ესმოდა, და ოსიკოს მიუბრუნდა:

— შე კაცო, ამ ხალხს მართალი ეგონება, რავა არ ვამხელ, ვამხელ კი არა, ქეც გაჩვენებთ საცა ვნახე...

ოსიკოს თვალები გაუბრწყინდა. დანარჩენებმაც წამოიწიეს:

— სად ნახე?

— რა?

— რა და მადანი.

— მადანი? ჰო, ეს ნიმუში ხვარგულას პირზე ვნახე, რიყეში, ობლების წისქვილთან.

ღებელებმა სიამოვნებით და სიხარულით გაიღიმეს, რადგან პავლეს ეშმაკობას ვერ მიუხვდნენ. მხოლოდ ოსიკო გააბრაზა ასეთმა პასუხმა. უნდოდა მკვახეთ ეპასუხა, მაგრამ თავი შეიკავა და წყნარად უთხრა:

— რატომ ცრუობ?

— შე კაცო, რავა ვცრუობ, მართალს გეუბნები.

— არა, სტყუი!

— ცოლშვილი დამეხოცოს, თუ ტყუილს გეუბნებოდე! რა მაქ მოსატყუარი. დილაზე, შე კაცო, ის ისე ვთქვი, გამოგცადეთ. მე რომ ოქრო მეგონა, ის მართლა მთაში მაქ ნახული და ქე ვიცი ის ალაგი, ეს კი ობლების წისქვილთან ვნახე, ვაი, მე თუ ამას ტყუილს ვამბობდე, არ გამოვინოს ხვალ დილა.

არავითარმა მუდარამ, ხვეწნამ და დარწმუნებამ არ [illegible] პავლე ისევ თვისას გაიძახოდა. იმდენი იფიცა, იმდენი [illegible] ყველანი თავის სიმართლეში, რომ ბოლოს ოსიკოც დაეჭვდა, იქნებ მართალს ამბობდესო, და ხელცარიელი დაბრუნდა უკან.

ოთახში ყველანი მოუთმენლად ელოდნენ ოსიკოს დაბრუნებას. ღელავდნენ, რადგან თუ პავლე ადგილს დაასახელებდა, ცხადი იყო, რომ ძიებისათვის გათვალისწინებული რამდენიმე თვე სრულიად აღარ იყოს საჭირო. პირდაპირ შეუდგებოდნენ გვირაბების გაჭრას, გზის გაყვანას და მთელ რიგ მშენებლობას. გარდა ამისა, მადნის პოვნა თვით ზაალის აზრის გამარჯვებას ნიშნავდა და ყველას წარმოდგენილი ჰქონდა ის სიხარული, რომელსაც ტფილისში მათი დეპეშა გამოიწვევდა.

— როგორაა საქმე? — შესვლისთანავე ეცნენ ოსიკოს.

ოსიკომ ხელი ჩაიქნია და ჩუმად მაგიდასთან ჩამოჯდა. შემდეგ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— არაფერია, ბიჭებო, — სთქვა ზაალმა. — მთავარი ისაა, რომ ნიმუში უკვე ვნახეთ. მაშასადამე, საბადო სადღაც არის. ვაჟკაცურად შეუდგეთ საქმეს. ზურგს აქაური პარტიულები და კომკავშირლები გაგვიმაგრებენ. დანარჩენი ჩვენი საქმეა. ხვალ დილის 6 საათზე გავდივართ საიერიშოდ. სულ გადავატრიალოთ ეს მთები. რუბენ, დილის ხუთ საათზე ბარგი უკვე ცხენებზე იყოს აკიდებული!

— არის! — უპასუხა რუბენამ და სამხედრო წესის მიხედვით ხელი აუღო.

თავი მეცხრე

მთელი თვის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდნენ ყველანი. არც ისე ადვილი გამოდგა მთების „ყირამალა გადატრიალება". ციცაბო და დანაპრალებული კლდეები ძალიან მკაცრნი და პირქუშნი აღმოჩნდნენ. დანის პირივით ბასრი კლდის წახნაგები ან ერთმანეთზე იყვნენ მიჯრილნი ან კიდევ განცალკევებით ამართულიყვნენ. მთების ფერდობები დაღარული იყო ათასგვარი დერეფნებით, კოდებით, კულუარებით. ქარისა და თოვლისაგან ისე იყვნენ გამოფიტულნი, რომ ხელის ყოველ შეხებაზე ქვის ზვავები გრიალით მიდიოდნენ ძირს. ძალიან გულდასმით გამოიკვლიეს ადგილები, მაგრამ როდესაც გამოკვლეული რაიონი რუკაზე გადაიტანეს, თავზარი დაეცათ. მათ ისეთი მცირე ფართობი დაეთვალიერებიათ, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა ზაფხულში მთელი ზოლის გამოკვლევა. რამდენიმე ადგილას წააწყდნენ ვოლფრამიტის ძარღვებს, მაგრამ ისე მცირე გამადნებით, რომ ყურადღების ღირსიც კი არ იყო. მართალია, მათ ჯგუფს ოთხი გამოცდილი სტუდენტი კოლექტორი მოემატა, მაგრამ

უხდებოდათ ათასხუთას — ორი ათასი მეტრის ვერტიკალურ კლდეებზე ასვლა, მთელი დღის განმავლობაში გაუვალ სიპებზე ბობღვა და ისევ უკან დაბრუნება, რადგან ზემოთ ბანაკი ვერსად ვერ მოაწყეს. მონადირეები განცვიფრებაში მოიყვანა ქალაქელი ხალხის ასეთმა ამბავმა. — ბაგრატა, ისმაილა, ერმალო, — ყველანი, ვინც მათ ახდენდენ, ხულ ვერარ ითქვამდნენ ისე მოიქანცნენ.

— ბარაქალა თქვენს ბიჭობას! მართლა ვაჟკაცები ჰყოფილხართ, ძმაო, — ამბობდნენ ისინი.

განსაკუთრებით ოსიკოთი იყვნენ აღტაცებულნი. ხშირად შეჩერებულან მონადირეები სახიფათო კლდესთან, შეშინებულან, მაგრამ ოსიკო ისე გაივლიდა ციცაბო ფერდობზე, თითქო შარაზე მისეირნობსო, და პირდაღებულ გამყოლებს გადმოსძახებდა ხოლმე:

— გამოდით, კაცო, რას უდგეხართ?

გამყოლები მიდიოდნენ, მაგრამ ვაი იმ გასვლას! სადაც ოსიკო ერთ წუთში გავიდოდა, დანარჩენები საათზე მეტ ხანს ანდომებდნენ. მართალია, ფეხზე ბანდულები ეცვათ, მაგრამ იმდენად ფეხის დაცურება არ იყო საშიში, რამდენადაც დაშლილი ქვების დასხლეტა.

მაგრამ ყველაზე მეტად აღტაცებაში ოსიკომ ღებელები თავისი ჭკუამახვილობით მოიყვანა.

ჯერ ღებელებმა ჩვეულებისამებრ მათთან გახუმრება დააპირეს, და ერთხელ, როდესაც ქვაციხურს ჩაუარეს, ისმაილმა ოსიკო შეაჩერა და ძალიან დინჯად უთხრა:

— ოსიკო ბატონო, შენ ნასწავლი და განათლებული კაცი ხარ და შეიძლება არც ქე დაიჯერო, მაგრამ მე მაინც უნდა მოგახსენო, იმიტომ რომ შვილივით მიყვარხარ. ჩვენში ასეა მამაპაპადან დაწესებული, რომ ვინც ამ ქვას გვერდს ჩაუვლის პირველად, თუ სამჯერ არ უკბინა, შენი მტერია, გაითვალება და ცოცხალი ვეღარ დაბრუნდება უკან. სამ დღეში გასძვრება სული. შენ ამას ახლა კი არ დაიჯერებ, მაგრამ მე ვალდებული ვარ გითხრა და აწი შენი ნებაა. თუ იზამ სიკეთეს, დაგვიჯერებ, უკბენ და შენ თავს სადარდებლად არ გაგვიხდი, ხომ კარგი, თუ არა და შენი ნებაა. ჩვენ ყურადღებას არ მოგაკლებთ, მარა რო რამე შეგემთვას ჩვენი ბრალი აღარ იქნება.

ოსიკო შეჩერდა, ყველას გადახედა. დანარჩენებსაც ასეთივე დამაჯერებელი გამომეტყველება ჰქონდათ. მაშინ ოსიკომაც სერიოზული სახე მიიღო და ისმაილს უპასუხა:

— მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, ჩემო ისმაილ, მთის ადათებს. მართალია, ღმერთი არ მწამს, მაგრამ მთებში მოგზაურობის დროს ყოველთვის ვასრულებ ხალხის მიერ შემოღებულ სავალდებულო რიტუალებს. ახლაც ძალიან მინდა თქვენი თხოვნის შესრულება, მაგრამ, სამწუხაროდ, მაგ აღთს ვერ დავიცავ. ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით მე დი-

დი ცოდვიანი კაცი ვარ და ვერც ხატს და ვერც ამისთანა წმინდა ქვას ჩემი კოცნით ვერ წავბილწავ.

— კი არ უნდა აკოცო, უნდა უკბინო, შე კაცო!

— მით უმეტეს, კბენა უფრო არ შემიძლია, რადგანაც მე ბაყაყის ხორცის ჭამას ვარ დაჩვეული და ჩემი ცოდვილი პირით ვერ შევბილწავ თქვენ წმინდა ქვას. ერთი ნათესავი მღვდელი მყავს და რამდენიც შემხვდება ქუჩაში, იმდენი „ვიჯმნი ეშმაკისაგანო“ იძახის.

— შე კაცო, რას გვატყუებ ახლა შენ, ბაყაყის ჭამა ვის გაუგონია?— დაეჭვდა ისმაილი.

— თქვენში ხო იშოვება ბაყაყები?

— შე კაცო, ბაყაყების მეტი რა არი ქვეით, ჭარებში.

— ჰო და, რო განახვებთ ამ სალამოს, აღარც მაშინ დაიჯერებთ?

— ჭამ?

— დიახ.

— ქვე კი ნუ გადამრევ, შე კაცო, მართალს ამბობ?

— ბიჭოს, როგორ დაგიმტკიცოთ სხვა ნაირათ?

— ი! თუ შენ მართლა იზამ მაგას, ხალხო, მოწმე იყავით, ერთ ცხვარს მოგგვრით ხვალ დილისთვინ.

— კი ბატონო.

— შენ გენაცვალე, რა სანახავს ვნახავ?!

— ა, ეს ხუთი მანეთი მიეცი ვინმე ბიჭუნას და დააჭერიე ბაყაყები.

— ვინმეს კი არა, მე დავიჭერ. მე დაგირჩი, იმისთანა ბაყაყები მოგგვარო, რო თითო ბატის ხელა იყოს. ხვარგულის გუბე თლათ სავსეა ბაყაყებით.

მართლაც ისმაილმა მთელ სალამოს სდია ქარებში ბაყაყებს, და კარავიდან ხედავდნენ ყველანი, თუ რა აძბავში იყო ისმაილი. კატასავით დაუდარაჯებდა გუბის პირად და ამოჰყოფდნენ თუ არა წყლიდან თვალდაკუსულ თავებს შეშინებული ბაყაყები, ქორივით დააცხრებოდა, იჭერდა და კალთაში ამწყვდევდა. ზოგჯერ ტლაპოში ქალამნიანი ფეხი უცურდებოდა, და ერთი ორჯერ ყირამალაც გადავიდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. ერთი საათის შემდეგ აღმართი ამოიარა, დაღლილ-დაქანცული კარვებს მიუახლოვდა და ოსიკოს დაუძახა. ყველანი კარვებში იყვნენ განგებ შეყუჟულნი, რომ ისმაილს ეჭვი არ აეღო. ოსიკომ გაიგონა თუ არა ძახილი, მაშინვე გარეთ გავიდა. სხვებიც გაჰყვენ.

— ა, ჩემო ოსიკო, მოგიყვანე.

— ყოჩაღ! აბა მაჩვენე, ჩემო ისმაილ.

ისმაილმა ჩოხის კალთა გახსნა. ოსიკომ დახედა თუ არა, მაშინვე შუბლში იტკიცა ხელი.

— აუიპ! ეს რა გიქნია, ისმაილ?

— რა იყო, შე კაცო, არ ვარგა თუ? — შიშნაკრავი ეჭვით ჰკითხა ისმაილმა.

— რა და, მე მამალ ბაყაყებს ვჭამ, შენ სულ დედლები დაგიჭერია.

ბაგრატა კინაღამ დაიხრჩო ხარხარით, ერმალომ სულ თავი არახუნა ხეზე და სული ველარ მოითქვა, დანარჩენებიც ერთმანეთს ეხეთქებოდნენ.

ისმაილმა განზე გადაყარა ბაყაყები, ახალუხის კალთა [illegible] ითხა და ჩაფიქრებულმა თავი ჩაჰკიდა. მერე გაეცინა, თავი [illegible] მიყო ამ ქალაქელმა ბიჭმაო, და გული მოიფხანა. ისევ გაეცინა და კიდევ გადიქნია თავი.

— არ გეწყინოს, ჩემო ისმაილ, — უთხრა ოსიკომ.

— არა, შე კაცო, ხუმრობა ქვე რავა მეწყინება, მარა ჩემ სიცოცხლეში არ მახსოვს, რომ ასე მოვტყუებულიყო. ამ ხნის კაცს ბაყაყები მაჭერიე, — კიდევ გაეცინა ისმაილს. — ქვე სადღა გამოვყო თავი, ცოლი აღარ შემიშვებს სახლში, სხვა რომ არა იყოს რა.

— რა იყო მერე, შე კაცო, ქირა ქვე მოგცა ხუთი მანეთი, მეტი რაღა გინდა? — უთხრა ბაგრატამ და ისევ იფეთქა სიცილმა.

— არ გაგამხელ, ისმაილ, რას იძლევი ქირას?

— არა, ღირსი ქე ხარ, — გააწყვეტინა გაგნიას სიტყვა ერმალომ და ისმაილს მიმართა: — არ გეუბნებოდი, მასხრობას ნუ დაიწყებთქო. ახლა ხო გაები შენ თითონ!

— რა უყოთ მერე, შე კაცო, — მხიარულად უპასუხა ისმაილმა. — მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, ხომ გაგიგონიათ. მაჯობა ამ პატიოსანმა კაცმა და ვკაკვავ თითს. რაღა გინდათ მეტი?

— აი, მიყვარს პირდაპირობა, — მხიარულად წამოიძახა ზაალმა და ისმაილს ხელი მოხვია. — ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასო, ხომ გაგიგონია, ჩემო ისმაილ? მე და შენ ახალგაზრდობისას ამათზე უფრო მამაძაღლები ვიყავით, მაგრამ ახლა გვჯობნიან, რა ვუყოთ მერე. მოვხუცდით და იმიტომ.

რამდენიმე დღის შემდეგ წააწყდნენ ძარღვს, რომელსაც შესაძლებელი იყო საექსპლოატაციო მნიშვნელობა ჰქონოდა.

ყველას იმედი გაეღვიძა.

აღტაცებულმა ზაალმა მაშინვე გასცა განკარგულება შედგომოდნენ ძარღვის გამოკვლევას.

ბაგრატა და ოსიკო სწრაფად მოემზადნენ სოფელში ჩასასვლელად, რათა საჭირო იარაღები გადმოეზიდათ და მუშები ამოეყვანათ. ხელში წერაყინები დაიჭირეს და ქვა ღორღიანი ფერდობი სულ ხტუნვით ჩაირბინეს.

შებინდებისას უკვე სოფელში იყვნენ.

იქ ღამეს სოფელში ელვის სისწრაფით გავარდა ხმა მადნის აღმოჩენის შესახებ. მთელი სოფელი აწრიალდა. მარინემ წყაროზე გაიგო ეს

ამბავი. ქალები ჩაფებს ავსებდნენ და ერთმანეთს გადასცემდნენ ახალ ამბავს.

— უნახავთ, ქალო, უნახავთ!

— ვის უნახავს?

— ბაგრატას, ასი თუმანი საჩუქარი მიუციათ.

— მართლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალია, ახლა თურმე ტელეგრამას უგზავნიან მთავრობას, რომ ბაგრატამ აღმოაჩინა მადანიო და გაზეთებში დაწერენ. რავა გეითქვა სახელი...

— დედა, დედა, რას მოესწრო ბაგრატა!

— ამ გორებზე რაც მადნებია, სულ უნდა ამოვაჩინოთო. ბაგრატას უთქვამს, ერთი ხუთ ადგილას მეგულება და თითოჯერ თუ ამდენი საჩუქარი მომცეს, ამ წელიწადში მე მეტი არ მინდაო...

მარინემ ჩაფი აავსო, ქალებთან მუსაიფი გაბა და შინ რომ დაბრუნდა, ბუხართან მიმჯდარ პავლეს ეცა.

— დაგიდგა მაგ თვალები, ხომ უნახავთ ის მადანი!

პავლე ზანტად შებრუნდა და ცოლს შეხედა.

— უნახავთ?

— ბაგრატას დაუყენებია თავზე. ასი თუმანი მიუციათ — შენ დაგიდგა თვალები. იჯექი მად ბუხართან. გაკეთება შეინდომე?

— რა გაკეთება, ქალო? მე ეს ნიმუში საჯიხვეზე ვნახე. კლდის ძირას ეყარა დიდი ქვები, ზეიდან ჩამოცვენილი. იმ კლდეზე მე კი არა, ეშმაკი ვერ ავა. ერთი ვერსი ექნება სიმაღლე, სულ ასე კედელივითაა, ხელი გულივით მოლიპული.

— ჰო და შე სულელო, მაგრე თუ იყო, გეჩვენებია პირველათ. ასი თუმანი ჩემთვის კაი იყო, კოოპერატივში ფარჩა მოსულა და იმდენ რამეს ვიყიდდი, რომ ზამთარში არაფერი გვიჭირდა. შენ გწამს ღმერთი? ადე ეხლავე წადი. აქ ყოფილა იმათი ინჟენერი, უთხარი, ერთ ადგილას მეგულება მადანი თქო...

— კი, მარა მაშინ უარი ვთქვი და...

— შე სულელო, ასე უთხარი, სანადირობ ვიყავი, გუშინწინას ვნახეთქო...

პავლე შეფიქრდა. ცოლის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ მაინც შეჩერდა...

— წავალ, მარა ახლა დაღამდა და რაღა დროისაა...

— რა უდროსია? წადი, შენი გამჩენი არ იყოს, შენი. აგდიხარ ამ ბუხართან და ყალიონის წევის მეტს არაფერს აკეთებ.

მარინემ ხმას აუწია. პავლემ კარგად იცოდა, რომ მარინეს გულის მოსვლა კარგს არას მოასწავებდა. მაშინვე წამოხტა და წასასვლელად მოემზადა.

— მივდივარ, შე ქალო. ამბავს მაინც გავიგებ.

— ამბავი კი არა, ის ნახე, თვარა მე თითონ ვნახავ ამ საღამოსვე და ოცხალს არ გადაგარჩენ, მე დაგირჩი... ბავშვებს დაუმახე, აქ მოეთრენ, ვახშმომობამდი სახლში არ უნდა შემოეთრიონ? — მიაძახა ქმარს მარინემ და ოჯახის თადარიგს შეუდგა.

პავლე მოედანზე გავიდა. საღამოს ბინდში შეგროვილი გლეხების გამოცნობა მარტო ხმით შეიძლებოდა, და პავლემ იმ ჯგუფს მიაშურა, საიდანაც ბაგრატას ხმა მოისმოდა. სოფლელები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ყველას აღელვება ეტყობოდა.

პავლემ კარგა ხანს უსმინა მოსაუბრეებს, თან თვალით დაეძებდა ინჟენერს. ხავერდივით შავი ცა მოჭედილი იყო ვარსკვლავებით და ისეთი სასიამოვნო წყნარი ღამე იყო, რომ არავინ არ ფიქრობდა შინ წასვლას.

სოფლის საბჭოს შენობის ფანჯარაში სინათლე მოსჩანდა. პავლემ ინჟენერი მოედანზე რომ ვერსად ნახა, საბჭოს შენობისაკენ წავიდა, რათა ფანჯარაში შეეხედა. მოულოდნელად კარები გაიღო და პავლემ იცნო გარეთ გამოსული ოსიკო.

— ოსიკოს გაუმარჯოს! — მიესალმა პავლე და შორი ახლოს დადგა.

— გამარჯობა, რომელი ხარ, ბნელაში ვერ გიცანი?

— პავლე ვარ.

— რომელი პავლე?

— მაშინ რო ნიმუში გაჩვენეთ, ის.

— ჰოო... — გააგრძელა ოსიკომ. მაშინვე მიხვდა, რომ პავლე ტყუილ-უბრალოდ არ იყო მოსული. გზაში ბაგრატა ეუბნებოდა, პავლე აუცილებლათ მოვაო. ცოტა ხანს ჩუმად იდგნენ.

— მადანი გინახავთ, — დაარღვია სიჩუმე პავლემ.

— შენ არ გვაჩვენე, ჩემო პავლე. გეგონა, ვერ ვნახავდით. და...

— ოსიკო! ცოლშვილს გეფიცები, თუ ის წისქვილებთან არ მენახოს...

— არა, შე კაცო, გეხუმრები, მჯერა...

— ჰო-და გუშინის წინ ვიყავი სანადიროდ, იქ ვნახე იმისთანა მადანის ნიმუში. იმას ქე გაჩვენებთ, თუ გინდა.

— სად ნახე, ბევრია? — ვითომ უგუნებოთ ჰკითხა ოსიკომ.

— ბევრი კი არა, უთვალავია.

— შორსაა აქედან?

— არ არის შორს, საჯიხვეზეა გათენებისას რო წავიდეთ აქედან, საღამოს ისევ მოვასწრებთ ღებში დაბრუნებას.

— წამოხვალ ხვალ, რო წავიდეთ დილას?

— რატო არ წამოვალ შე კაცო. ბაგრატამ თუ გაჩვენა მაგისთანა მადანი. მე ვერ გიჩვენებ თუ!..

— ყოჩაღ! თუ შენმა აჯობა, მაშინ უნდა ნახო ხეირი, საჩუქარსაც მოგცემთ და გაზეთშიაც დავწერთ — მეორე დღეს პავლემ უკეთესი ნიმუში გვაჩვენათქო. აქ იმისთანა საქმე დატრიალდება, რომ ბთანი წელიწადი რომ გავიდეს, შენი სახელი მაინც დაუვიწყარი იქნება.

პავლეს მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— ხვალ წავალთ, ოსიკო, შენი ჭირიმე? — შეეკითხა პავლე იმის შიშით, ვაი თუ ოსიკომ ხვალვე წასვლაზე უარი სთქვასო.

— ხვალ წავიდეთ. დილას, სანამ გათენდებოდეს.

— კარგი აბა და მე წავალ სახლში. ამაღამვე მოვემზადები. შენ ქალაქში გაზრდილი კაცი ხარ და გვიან გეყვარება ადგომა. მე ცოტა ადრე მოვალ...

— ნუ გეშინია, შენ ვერ ამასწრებ. გათენებული არ იქნება რომ აქედან უნდა გავიდეთ.

— კარგი, კარგი, — ჩაილაპარაკა პავლემ და სიბნელეში გაქრა. ოსიკომ ბნელაში მონახა ბაგრატა, განზე გაიხმო და ჩუმად უთხრა:

— იცი, პავლე იყო ახლა ჩემთან.

ბაგრატა შეხტა. იგრძნო, რომ პავლე ტყუილად არ მოვიდოდა ოსიკოსთან და ყურადღებად გადაიქცა.

— მართლა? ხომ გეუბნებოდი. მერე, რაო?

— რაო და მადნის საბადოს გაჩვენებო.

— ჰოო?! იფიქრა, ალბათ, სულ ერთია მაინც ნახავენ უჩემოთო და მოვიდა, არა? მერე შენ გენაცვალე შენ რა უთხარი?

— მივდივართ ხვალ დილას სანახავად. შენ ადი და ზაალს აცნობე. მე, ალბათ, ხვალ საღამოს დავბრუნდები.

— სად არიო, რა გითხრა?

— საჯიხვეზე...

— შეხედე, სად ყოფილა და ჩვენ სად ვეძებდით!

— ზაალს უთხარი, ხვალ საღამოს დავბრუნდებითქო. ის ვიცი ვერ მოითმენს და ხვალ აქ ჩამოვა. ვოლფრამის ძარღვი თუ აღმოჩნდა, ხომ იცი, ზაალი გაგიჟდება სიხარულით. აბა, ჩემო ბაგრატ, ხვალ ჩვენ გათენებამდე წავალთ და შენც ნუ დააგვიანებ ბანაკში ასვლას.

— კი, ჩემო ოსიკო, მაგაზე არ დაგზარდები. წერილები გაგზავნე ქალაქში?

— არა ჯერ, მოვასწრებ კიდევ? ხომ არ ეძინება ჯერ იმას... აი რა ქვია თქვენ ფოსტის მოხელეს?

— წავიდეთ, დომენტი ქვია ჯერ არ ეძინება, კიდევ მოვასწრებთ და მერე ვივახშმოთ. რუბენაც წავიყვანოთ. შენ გენაცვალე! თუ ახლა პავლეს მადანმა გაამართლა, ერთ ქეიფს გადვიხდი, მე დაგირჩი.

თავი მეათე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს მერისთან ახალგაზრდები შეიკრიბნენ საცეკვაოდ, უმთავრესად კი იმისთვის, რომ ეცქირათ დათიკოს ვარჯიშობისათვის. მერიმ დათიკო ბუქსირზე აიყვანა და ევროპული ცეკვის სწავლა დააწყებინა. ის ჯერ უარზე იდგა, რა ჩემი საქმეა ცეკვაო, მაგრამ მერი არ მოეშვა და ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავის არ გაეგო ამის შესახებ. მერიმ დააპირა ამ ამბის საიდუმლოდ შენახვა, მაგრამ თითონ დათიკოს წამოსცდა მეგობრებთან. გაიგეს თუ არა, დათიკო ცეკვას სწავლობსო მაშინვე აიშალნენ და მერის ესტუმრნენ.

როდესაც მერისთან მივიდნენ და ოთახში მოკრძალებით შევიდნენ, დაინახეს, რომ მერის და დათიკოს მაგიდა განზე გაედგათ და თაროზე შესკუპულ პატეფონის ხმაზე მერი გულმოდგინედ უხსნიდა დათიკოს ტანგოს ილეთებს. დათიკო ვერ ახერხებდა კოხტად სიარულს, მოუხეშავად ალაჯებდა. ოთახში შეკრებილმა ახალგაზრდებმა გულიანად გადიხარხარეს.

მერი განაგრძობდა ახსნას:

— ჯერ მარჯვენა ფეხი უნდა გადადგა, მერე მარცხენა, შემდეგ უნდა მობრუნდე... უჰ! რა მოუხეშავი ხარ, შე ბეგემოტო შენა!..

დათიკო ოფლს იწურავდა, გულმოდგინედ აბიჯებდა, მაგრამ მაინც არაფერი არ გამოუდიოდა. ერთი ორჯერ ისე მაგრად დაადგა ფეხზე, რომ მერის კინალამ გული შეუწუხდა.

— როგორც ბებიაჩემი ვერ ისწავლის ცურვას, ისე მაგ ვერ ისწავლის ცეკვას, — გაიხუმრა სანდრომ. ახალგაზრდებმა ისევ გადიხარხარეს.

— ბიჭო, რა მოგივიდა? ამ მთებზე შესანიშნავად დადიხარ და იატაკზე ვერ ახერხებ გავლას? — შეეკითხა სიცილით სოსო დათიკოს.

— დამცინეთ ახლა, ჰო! თქვენ ჯიბრზე მაინც ვისწავლი, ათასი რომ დამცინოთ, — თითონაც სიცილით უპასუხა დათიკომ და ისევ მერის მიუბრუნდა: — მერე, მერე შენ გენაცვალე, მერი. ერთი ამათ ჯიბრზე მასწავლე, თუ ქალი ხარ...

მერი მტკივან ფეხზე ხელს ისვამდა.

— რაღა გასწავლოს, ფეხები დაამტვრიე ქალს, შე დალოცვილო, — მიმართა ისევ სოსომ. — ძალიან მაგარი ქალი ყოფილხარ, ჩემო მერი, რკინის ფეხები გქონია. მაგან რომ ფეხი დამაბიჯოს შაშვივით ამომძვრება სული.

მერი კვლავ შეუდგა ვარჯიშობას. ახალგაზრდების საერთო სიცილ-ხარხარს ბოლო არ ეღობოდა. დათიკომ, როგორც იყო, ერთი ილეთი შეითვისა. ახალგაზრდებმა ფირფიტა გამოსცვალეს და ყველამ ცეკვა დაიწყო. დათიკო კი კუთხეში მარტო ტრიალებდა და ვარჯიშს იმეორებდა.

— მერი, ოსიკოსაგან წერილი არ მიგიღია? — შეეკითხა სოსო, როდესაც ცეკვა დაამთავრეს და ყველანი შესასვენებლად დასხდნენ.

— როგორ არა, დღეს მივიღე. გინდათ წაგაკითხო, საინტერესო წერილია...

ბიბლიოთეკა

— წაგვიკითხე, თუ ძალიან ინტიმური არაა, — ინტერესით მიაძახეს აქეთ-იქიდან.

მერიმ შკაფის უჯრიდან წერილი ამოიღო, მაგიდაზე ჩამოჯდა და კითხვა დაიწყო.

— დასაწყისი არ არის თქვენთვის საინტერესო...

— არა წაიკითხე, წაიკითხე, — ხუმრობით მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— დაიცათ. დასაწყისი არ არის საინტერესო... თვალი გააყოლა სტრიქონებს ბუტბუტით მერიმ — მმ...მმ.. იყო... მაგრამ. ჰო „ტიტიკო ჭამის მეტს არაფერს აკეთებს და ისე გასუქდა, რომ ზაალი სულ ეჩხუბება, აქ ინჟენერების გასასუქებელი ფერმა კი არ გამიხსნიაო. გასუქებით თუმცა ყველა გავსუქდით, მაგრამ ტიტიკოს ღიპი უჩნდება და გვეღუპება ეს შესანიშნავი ახალგაზრდა. მართლა, დამავიწყდა, ზაალმა მეტსახელი დამარქვა, ხანგრძლივი...“ ეს არ არის საინტერესო...

— არა, წაიკითხე, წაიკითხე, — წამოხტა ზეზე სოსო და მერის ზურგიდან მოუარა, რომ წერილში ჩაეხედა.

მერიმ წერილი დამალა და სოსოს ხუმრობით შეუტია:

— წადი, დაჯექი შენ ადგილას!

— არა, წაიკითხე, რა დაარქვა?

— კარგი წავიკითხავ. დამშვიდდით. „...ზაალმა მეტსახელად დამარქვა ხანგრძლივი ხტომის რეკორდსმენი...

— ტყუილია! — წამოხტა ისევ ზეზე სოსო. — ეგ რა მეტსახელია, ეგ ვგ რა მეტსახელია?

— მივხვდი, მივხვდი, — წამოიძახა ქეთომ. — მანდ „კოცნის“ სწერია.

— აა, მართალი ხარ, მართალი, — წამოხტა სანდრო. — ყოჩაღ ქეთო, მიხვდი!

— ტყუილი, ტყუილი — სთქვა წამოწითლებულმა მერიმ და რომ მიეფუჩეჩებია, კითხვა განაგრძო: მე რომ გწერდი ერთი გლეხის შესახებ, ნიმუში გვიჩვენა მეთქი, ის მოვიდა და მითხრა საბადოს გიჩვენებო. ხვალ დილას მივდივართ ამ საბადოს სანახავად. თუ კარგი აღმოჩნდა, ამ ხანად ჩემი მისია დამთავრებული იქნება და მალე ჩამოვალ“.

მერი ერთ წუთს შეჩერდა და წერილის თვალით კითხა განაგრძო, ხმა მაღლა წარაკითხი ადგილების შესარჩევად, მაგრამ ასეთი ადგილი, როგორც ეტყობოდა, ვეღარ იპოვა და წერილი შეინახა.

— სულ ეგ იყო შენი საინტერესო წერილი? — ჰკითხა სოსომ, — რა იყო მანდ საინტერესო?

— გააჩნია ვისთვის, — უთხრა მერიმ, — ჩემთვის შიგ ბევრი რამ სწერია საინტერესო, მაგრამ ყველას ხომ არ წავიკითხავ?

— არა, ვხუმრობ, რასაკვირველია. მე მაინტერესებდა, ვინ ფრამი თუ იპოვეს მეთქი. ამას წინათ მოვხვდი გეოლოგებთან და ზაალის ექსპედიციაზე ჰქონდათ საუბარი.

— მერე?

— ჰო-და, ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. მე მათი ვერაფერი ვერ გავიგე, რაღაც ტრიასიო, მეზოზეიო, იურაო, დევონიო, რა ვიცი, რას არ ლაპარაკობდნენ, და რას წარმოადგენდნენ ეს მათი უცნაური სახელწოდებანი, აკაკისა არ იყოს, ბოზბაშს, ფლავს თუ ფსტანს ვერაფერი გავიგე. იმას კი მივხვდი, რომ ზაალის ექსპედიცია საეჭვოდ მიაჩნდათ.

— ჰო-და, ხომ ხედავ, წერილში რას იწერება.

— მეც მაგას ვამბობ, როგორც ეტყობა, არც ისეა საქმე...

— გვეყოფა ლაპარაკი, ვიცეკვოთ, — სთქვა სანდრომ და პატეფონი მომართა.

ახალგაზრდები ისევ წამოიშალნენ საცეკვაოდ. მერიმ კი კვლავ დათიკოს დააწყებინა ვარჯიში. ცდილობდა მუსიკის ხმისთვის აეყოლებინა ფეხი, მაგრამ დათიკო ისევ უხეიროთ დააბოტებდა, რადგან სმენა არ უვარგოდა და ტაქტს სრულებით ვერ იჭერდა.

გარეთ ახლად ანთებული ელექტრო-ლამპების სინათლე ჯერ კიდევ ვერ დაერეოდა საღამოს ბინდს. გაღებულ ფანჯრებთან აშრიალებული ხეების ფოთლები მწვანედ ლაპლაპებდნენ. საღამოს წვიმამ გადაიარა და ახლა სასიამოვნოდ გრილოდა.

ახალგაზრდებმა ის იყო ცეკვა დაამთავრეს და პატეფონის მომართვის მოლოდინში ცოტა შეისვენეს, რომ მოულოდნელად კარები გაიღო და ოთახში გაფითრებული ბორისი შევარდა.

— ააა, ბორის, ბორის! — მხიარულად შემოეხვივნენ ქალიშვილები, — აი ნამდვილი მოცეკვავე გვეწვია.

ბორისმა ქალების სალამი უპასუხოდ დასტოვა.

— დათიკო, სანდრო, სოსო, მოდით აქ! — დაიძახა მან და ისევ კარებისკენ გაიწია.

— რა მოხდა, ბორის? — შეეკითხა დათიკო.

— მოდით მეთქი აქ, ეხლავე!

ქალიშვილებმა მხრები შეიშმუშნეს.

— რა მოხდა, არ შეიძლება ჩვენც ვიცოდეთ?

ვაჟები ყველანი გარეთ გავიდნენ, ბორისმა ისინი ეზოში ჩაიყვანა, აივნის სვეტზე მიმაგრებულ ელექტრო-ლამპასთან გაჩერდა და გაზეთი „საღამოს ტფილისი“ გაუწოდა.

— წაიკითხეთ პირველ გვერდზე.

სოსომ გამოართვა გაზეთი, გაშალა, დახედა და გაზეთი ხელიდან გაუვარდა. დათიკო უცბად გაბრაზდა.

— რა მოგვიდათ, კაცო ვერ გვეტყვით, რა მოხდა? — დაბნეულ სწრაფად გაზეთს, შეათვალიერა და ხმის კანკალით წაიკითხა:

„ტფილისი. ელვა. ღების საძიებო მუშაობის დროს დაიღუპა ინჟენერი მთასვლელი ოსიკო მინდელი და მეგზური პავლე გავაშელი. ღების საუკეთესო ძონადირეები სამი დღეა განუწყვეტლივ დაეძებენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, მაგრამ უშედეგოდ. ღების საძიებო ესკპედიციის უფროსი, პროფესორი ზაალ გარსევანიშვილი.“

თავზარდაცემულებმა ხმის ამოღება ვერ მოახერხეს. იდგნენ და გაფართოებული თვალებით ერთმანეთს შესცქეროდნენ.

აივანზე ქალიშვილები გამოვიდნენ და მერიმ ხმამაღლა გადმოსძახა ყმაწვილებს:

— რა მოხდა? აღარ მოდიხართ? რა ამბავია?

გამოერკვნენ.

დათიკომ გაზეთი ჯიბეში ჩაიდო.

— რა ვქნათ?

სულ დაიბნენ.

— მერის ვუთხრათ? — იკითხა დათიკომ.

— აბა, რას სულელობ! — შეუტია ბორისმა.

— ვუთხრათ, სულ ერთია მაინც გაიგებს, — შეედავა სანდრო.

მერიმ უცბად ინსტინქტით იგრძნო ცუდი ამბავი. ეზოში ჩაირბინა და ბორის მივარდა.

— ბორის, რა მოხდა?

— ა... არაფერი. ექსპედიციაში მარცხი მოსვლიათ და...

— დაიღუპა? — შეჰკივლა მერიმ და ისე შეანათა თვალები, რომ ბორისმა ვერ გაუძლო მერის ცქერას, სახურავისაკენ გაიხედა და აბნეულად უთხრა:

— არა, ჯერ არაა გამორკვეული, ჯერ გამორკვეული არაა...

— მაჩვენე! — ბრძანების კილოთი მიმართა მერიმ დათიკოს და იმანაც მორჩილად გაუწოდა დაჭმუჭნული გაზეთი.

მერიმ აკანკალებული ხელით გაშალა გაზეთი და ცნობის ძებნა დაიწყო. ვერ ნახა, ნერვიულად გაკრა გაზეთს ხელი.

— სად არის?

დათიკომ თითით აჩვენა და მერიმ დაგუდული ხმით დაიწყო კითხვა:

„ტფილისი, ელვა... ღების საძიები მუშაობის... დაიღუპა ინჟენერი მთასვლელი ოსიკო...“

ხმა ჩაუწყდა, გაზეთი ხელიდან გაუვარდა და გულშეწუხებული კინაღამ ძირს დაეცა, რომ დათიკოს არ დაეჭირა.

— წყალი, წყალი!

ბოლოს ქალიშვილები ჩამოცვივდნენ, ვილამაც წყალი მოარბენინა და მერის სახეზე აპკურეს. ყველანი დაიბნენ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. ქალიშვილებმა ტირილი დაიწყეს. ბოლოს, როგორც იყო, მოასაზრეს, მერი ოთახში აიყვანეს და იქ ძლივს მოაბრუნეს. როდესაც მერის დედამ ეს უბედურება გაიგო, ლოყაზე ხელი იტკიცა და გულამომჯდარმა წამოიძახა:

— ვაი შენს დედას, შვილო!

შემდეგ იქვე სკამზე ჩამოჯდა და აქვითინდა.

დათიკო კედელს მიყრდნობილი ქვითინებდა, სოსო ტუჩებს იკვნეტავდა და რაღაცაზე გამწარებული ფიქრობდა, ტირილით თვალებ-დაწითლებული ქალიშვილები მერის მისხდომოდნენ და ვითომ ამშვიდებდნენ.

სოსომ უცბად თავი აიღო და მეგობრებს მიმართა:

— ყმაწვილებო, არ გვარგებს ასე დგომა.

— მაშ რა ვქნათ? — შეეკითხა ბორისი.

— რა და ახლავე უნდა მოვაწყოთ საძიებო ექსპედიცია. დათიკო, ყური მიგდე, ტირილი არას გვიშველის. ახლა ცხრას ოცდახუთი წუთი უკლია. პირველ საათზე გადის უკანასკნელი მატარებელი ქუთაისისაკენ. გამგზავრებას კიდევ მოასწრებთ, მხოლოდ საჭიროა წინასწარ შეეუთანხმოთ ამალამვე საკითხი ვისაც ჯერ არს. რას იტყვით?

— მართალი ხარ, —დაეთანხმა და მაშინვე აფუსფუსდა სანდრო, — წავიდეთ და მოვემზადოთ. მაგრამ მოიცა, ჯერ სია შევადგინოთ, ვინ წამოვა მაშველ ექსპედიციაში.

— მოიცა, მაგას მოასწრობთ, — შეაჩერა სოსომ. — ჯერ კომკავშირის რაიკომში წავიდეთ, იქ ყველაფერს გამოვარკვევთ. ერთ წუთში დააყენებენ ფეხზე ყველას, ვინც საჭიროა. აბა გავსწიოთ, შორს მაინც არაა.

რაიკომში სწრაფად ამუშავდა ტელეფონები, გაიცა განკარგულებები, ყველა ამოძრავდა. ალპიურ კლუბში მაშინვე დაიწყეს ბარგის ჩალაგება, გამოუძახეს ყველა ალპინისტებს.

— აბა, ახლა სამთო სამმართველოში წადით, — უთხრა ბიჭებს რაიკომის მდივანმა. — იქ სხდომა ყოფილა ამ ამბის გამო. გვთხოვეს, მოდითო. გავარდით. იქ ბევრი რამე გამოირკვევა.

ბიჭებმა სწრაფად ჩაირბინეს კიბეები და სულ ჯიქურ გაარღვიეს საყურნოდ მავალი ხალხი. სამთო სამმართველოს ფართო და განათებული კიბეები სულ ქოშინით აირბინეს და სამმართველოს უფროსის კაბინეტის კარები შეარღვიეს.

გრძელი მაგიდის გარშემო მსხდომნი გულმოდგინედ უსმენდენ მოწეულ ინჟენერ ერისთავს, რომელიც მეტად აღელვებული ლაპარაკობდა. ამიტომ დარბაზში მყოფთ ყმაწვილების შესვლა არც კი გაუგიათ. ერის-

თავი კი ხელებს იქნევდა, შუბლზე ოფლს იწმენდდა და ხმის კანკალით ლაპარაკობდა:

— რა საჭირო იყო ეს მსხვერპლი? ერთი მითხარეთ, რა საჭირო იყო, რომ შევწირეთ უშესანიშნავესი ახალგაზრდა ამ სრულიად ფუჭ საქმეს? განა მე არ ვამტკიცებდი იმ სხდომაზე, რომელზედაც გადაწყდა ამ საბედისწერო ექსპედიციის გაგზავნა, რომ შეუძლებელია მეთქი იმ სიმაღლეებზე ძიების წარმოება?

მაგრამ დაე, იმ უმანკო ახალგაზრდას სისხლი მის კისერზე იყოს, ვინც აიძულა ჩვენი სამმართველოს უფროსი, რომ ეს ექსპედიცია მოწყობილიყო...

თავმჯდომარეს, როგორც ეტყობოდა, არ მოსწონდა ერისთავის ლაპარაკი და თავჩაღუნული რაღაცას გამალებით ხაზავდა ქაღალდზე. რამდენჯერმე თავი ასწია, მოლაპარაკეს შეხედა და ისევ უსიამოვნოდ შეჭმუხვნილმა განაგრძო ქაღალდზე უთავბოლო ხაზვა.

უეცრად დათიკო წინ წამოდგა, ერისთავს სიტყვა შეაწყვეტინა და თავმჯდომარეს მიმართა:

— ამხანაგო თავმჯდომარევ, ჩვენ ძალიან სასწრაფო საქმე გვაქვს და თუ შეიძლება მოგვისმენეთ.

თავმჯდომარეს თითქოს რაღაც მოაგონდა, შეჩერდა და შემდეგ უცბად ჰკითხა:

— უკაცრავად, თქვენ ვინა ხართ, ამხანაგებო?

— ალპინისტები.

— ააა! სასიამოვნოა — წამოდგა ზეზე თავმჯდომარე, — დაბრძანდით. ახლა დამირეკა კომკავშირის რაიკომის მდივანმა და ისეთ საკითხს ვარჩევდით, რომელიც სწორედ თქვენ დასწრებას საჭიროებს. ალბათ, გაიგებდით, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი საძიებო ექსპედიციის...

— დიახ, — შეაწყვეტინა სანდრომ, — სწორეთ იმ საკითხის შესახებ მოვედით.

— კარგი, ძალიან კარგი. ჩვენმა ამხანაგებმა აქ გამოსთქვეს აზრი, რომ დაღუპულების ძებნას შეიძლება ახალი მსხვერპლი მოჰყვესო და...

— შეიძლება მოგახსენოთ? — შეაწყვეტინა სოსომ.

— ბრძანეთ.

— ჯერ ერთი — ისინი შეიძლება არც კი არიან დაღუპული. მე ვიცნობ ოსიკოს, ის საუკეთესო მთასვლელი იყო ჩვენს შორის და შესაძლებელია კატასტროფის დროს სადმე იყოს ნაპრალში, ან ყინვარში ჩავარდნილი, ცოცხალი ან მძიმედ დაშავებული. ამიტომ სანამ მათ გვამებს ნახვენ, ყოველთვის ნახევარი პროცენტით მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისენი ცოცხლები არიან. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს საძიებო ექსპედიცია. ჩვენ, თუ თქვენი დასტური იქნება, ამაღამვე გავდივართ ტფილისიდან, რადგან ღებში მხოლოდ მესამე დღის ბოლოს

ვიქნებით. იქიდან კი, სანამ კატასტროფის ადგილას მივიდოდეთ, კიდევ ერთი დღე დაგვჭირდება. კარგად ხედავთ, რომ არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება. მატარებლის გასვლამდე უნდა მოვასწროთ საექსპედიციო ალპინისტური საჭურველის ჩალაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარემ თავისუფლად ამოისუნთქა და გაბრწყინებული თვალებით გადახედა დარბაზში მყოფთ. ყველას სასიამოვნო გამოცოცხლება დაეტყო. მხოლოდ ერისთავი შესცქეროდა ამ უცნაურ ახალგაზრდებს ხახადაღებული.

— მაშ თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ისინი ცოცხლები არიან? — შეეკითხა თავმჯდომარე სოსოს.

— აუცილებლად. სანამ არ აღმოგვიჩენია, უნდა ვფიქრობდეთ, რომ ისინი ცოცხლები არიან. ამიტომ საჭიროა დაუყონებლივ მაშველი ექსპედიციის გამგზავრება.

— მაშ თქვენ ამ საღამოსვე გაემგზავრებით, ყმაწვილებო, არა?

— ამ საღამოსვე.

— ძალიან კარგი, რამდენი წახვალთ?

— ოთხნი, — გადახედა ამხანაგებს სოსომ. — ოთხი საკმარისია.

— კარგი, მე ეხლავე დავურეკავ რკინის გზის სადგურს და ოთხ ბილეთს იქ დაგახვედრებენ.

თავმჯდომარემ ტელეფონის მილი აიღო და ავტომატით საჭირო ნომერის რიცხვების შეკრება დაიწყო.

— იქნება თვითმფრინავით მოხერხდეს, — უცბად წინ წამოდგა სანდრო.

თავმჯდომარე ჩაფიქრდა.

— თვითმფრინავი?

— რასაკვირველია, — დაემოწმა სოსოც. — თუ თვითმფრინავით დილას გავფრინდებით, საათნახევრის შემდეგ ღებში ვიქნებით, ისე კი სამი დღე უნდა მოვუნდეთ.

— კარგი, ეგეც ვცადოთ, — ღიმილით დაეთანხმა თავმჯდომარე, ახლავე დაველაპარაკები სამოქალაქო ავიაციის უფროსს.

დარბაზში მყოფმა ხნიერმა ხალხმა ერთმანეთს გადახედა.

— რა ყოჩაღი ბიჭები არიან, ა?! — ველარ მოითმინა ერთმა მაათგანმა.

თავმჯდომარემ ტელეფონის მილი აიღო და ლაპარაკი დაიწყო. სამოქალაქო ავიაციის უფროსმა აცნობა, რომ გაფრენა შესაძლებელია, მაგრამ ღებში დასაშვები მოედანი არ არის და გარდა ამისა, თვითმფრინავი მხოლოდ სამი კაცის წაყვანას შეძლებსო.

— იყოს, სამი! — აფუსფუსდა სანდრო.

— ჰო, მაგრამ დასაშვები მოედანი რომ არ ყოფილა?

— არა უშავს რა, — ეცა ისევ სანდრო:—პარაშუტებით დავეშვებით.

— რაო? — გაკვირვებით მოხედა თავმჯდომარემ სანდროს. — პარაშუტებით? დაიცა შალვა, — ჩასძახა ტელეფონში [illegible] მოუბრუნდა სანდროს. — როგორ?

ბიბლიოთეკა

— პარაშუტებით, დიახ. ჩვენ პარაშუტისტებიც ვართ, აი ნიშნებიც გვააქვს...

— შალვა, გესმის? პარაშუტებით დავეშვებითო... არა, კაცო, ესენი პარაშუტისტებიც ყოფილან, ალპინისტებიც და პარაშუტისტებიც, გაიგე?.. ჰო... რაო, სანდრო? რომელი ხართ სანდრო, — მოუბრუნდა ახალგაზრდებს თავმჯდომარე.

— მე ვარ. დათიკოცაა-თქო უთხარით, გვიცნობს ყველას.

— ჰო, ისაა, — განაგრძობდა თავმჯდომარე. — დათიკოც ყოფილა.

— რაო? ჰო!.. ჰო!.. მაშ ასე, — მოუბრუნდა ყმაწვილებს თავმჯდომარე, როდესაც სამოქალაქო ავიაციის უფროსთან ლაპარაკი დაამთავრა და ტელეფონის მილი დასდო: — მეტეოროლოგიური პირობები კარგი ყოფილა, ხვალ დლის ხუთ საათზე აეროდრომზე უნდა იყოთ. სამი კაცი. იმათი მანქანა წაგიყვანთ ავიოსადგურში. გაფრენის საფასურს ჩვენ გადავიხდით. აბა, ყმაწვილებო, თქვენ იცით, სამნი, მაშასადამე, გაფრინდებით, დანარჩენები მატარებლით წადით. ფულს ხვალ დილას დეპეშით გადმოგიგზავნით ქუთაისში. მატარებლით ვინც წავა, ის მიიღებს, სამთო სამმართველოში მიაკითხეთ.

ყმაწვილებს ხელი გაუწოდა.

— გმადლობთ, უღრმესად გმადლობთ! — გულის სიღრმიდან განსაკუთრებული გრძნობით უთხრა დათიკომ და ხელი ჩამოართვა.

— არაფერს, რას ამბობთ, პირიქით, ჩვენა ვართ დიდად მადლობელნი, რომ ასეთ დროს მოგვეშველენით. აბა, თქვენ იცით.

ყმაწვილებმა სუყველას ხელი ჩამოართვეს.

— კეთილი მგზავრობა!

— გამარჯვებას გისურვებთ!

როდესაც ახალგაზრდები გარეთ გავიდნენ, კაბინეტში მყოფნი კარგა ხანს სდუმდნენ. ყველას კმაყოფილების ღიმილი უკრთოდა სახეზე.

— აბა რას იტყვით, მიხეილ ნიკოლაიჩ, არ გვივარგა ახალგაზრდობა? — შეეკითხა თავმჯდომარე მოხუც ინჟენერს, — ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობა?

ბიჭები კი ქუჩაში თავგამეტებით გარბოდნენ. ისევე ენერგიულად მიარღვევდნენ ხალხს.

ქალიშვილები კვლავ მერისთან დაუხვდნენ. ყველანი ჩუმად ისხდნენ ორ მათგანს მერის ხელები ეჭირა, ანუგეშებდნენ ახალგაზრდა ქალს. ის კი წყნარად იჯდა, არ ტიროდა მხოლოდ სივრცეში იცქირებოდა.

ბიჭების შესვლისთანავე ყველანი ფეხზე წამოიშალნენ. დათიკო მაშინვე მერის მიუჯდა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— მერი, ხვალ დილით მივდივართ. მე და სანდრო თვითმფრინავით, დანარჩენები მატარებლით. ახლა ყველანი ალპიურ კლუბში წავალთ და ბარგს ჩავაწყობთ. მატარებელი თორმეტ საათზე გავა. ... ...

გახარებული დაბრუნდა ზაალი კირტიშოდან, როდესაც გაიგო, რომ ოსიკო და პავლე წასულიყვნენ იმ ადგილის სანახავად, სადაც ძარღვი ეგულებოდათ. მაშინვე ღებში ჩავიდა. იმავე საღამოს მოუთმენლად ელოდა ოსიკოს და პავლეს დაბრუნებას. მაშინაც გათენებამდე ალ დასძინებია.

— ალბათ, ხვალ ჩამოვლენ. გზაში თუ შეჩერდნენ სადმე, — იხუგეშა თავი ზაალმა და ამ იმედით მიწვა დასაძინებლად.

მაგრამ მეორე დღესაც არ დაბრუნდნენ. ეჭვი აღარ იყო, რომ მათ რაიმე მარცხი შეემთხვათ და ყველას აღელვება დაეტყო. ზაალი ვერაფრით ვერ შერიგებოდა ამ აზრს და თავს იქნევდა:

— რა მოუვიდათ? რატომ აქამდე არ გამოჩნდნენ ის არამზადები? ცუდი არაფერი შეემთხვათ!

მათი წასვლის ამბავი მთელმა სოფელმა იცოდა და რაკი მგზავრები მეორე საღამოსაც არ გამოცხადნენ, ზაალთან მონადირეები მივიდნენ.

— იმათ, ალბათ, მარცხი შეემთხვათ, — უთხრა ბაგრატამ ზაალს. — უნდა მოვძებნოთ. მეტი გზა არ არის. ჩვენ ამაღამვე წავალთ.

— იქნება ხვალ დაბრუნდნენ, ჰა!? — კიდევ შეებღაუჭა მათი დაბრუნების იმედს ზაალი.

— არა, მოცდა არ შეიძლება. ახლა ჩამოვიდნენ მწყემსები თევრეშოდან. აქედან მიმავალი უნახავთ, მაგრამ შემდეგ აღარ შეხვედრიან...

ზაალს გული შეეკუმშა და თავი ჩაჰკიდა. შემდეგ უცბად წამოხტა და მონადირეებს მიუბრუნდა:

— მიშველეთ, ბიჭებო, მიშველეთ, თქვენი ჭირიმე! აბა თქვენ იცით!

— წავიდეთ, ჩვენც მოვდივართ, — წამოხტა ტიტიკო და გოგიასთან ერთად მზადება დაიწყო.

იმავე ღამეს წავიდნენ, ფარნებით. ზაალმა კარგა მანძილზე გააცილა. დილას რუბენამ სურსათი წაუღო მონადირეებს. საღამოს დაბრუნდა და მოწყენილი შევიდა ოთახში.

— იყავი? — მძიმედ შეეკითხა ზაალი.

— ჰო! ჯერ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს. ხვალ საღამოს ბაგრატა ჩამოვა.

ახლა პავლეს ოჯახშიც შეწრიალდნენ. მარინემ კივილი გაბა და მთელ სოფელს გული შეუღონა მისმა მოთქმამ. ზაალი განერვიულდა. მთელი დღის განმავლობაში გარეთ არ გასულა. სადღაც გაჰქრა მისი მხიარული ბუნება და მრისხანე ტონი. არაფრით არ მოელოდა ასეთ შემთხვევას. წინათ შეიძლება უფრო მტკიცედ შეხვედროდა ასეთ უბედურებას, მაგრამ ახლა მოხუცობამ დასძლია. სამოცდათორმეტი წელი არც ისე იოლი ყოფილა, როგორც მას ეგონა. ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ საშინელი სისუსტე იგრძნო მუხლებში.

მესამე საღამოს ბაგრატა ჩამოვიდა. ზაალი აკანკალებული ეცა.

— როგორაა საქმე, ჩემო ბაგრატ?

— ცუდათ, შენი ჭირიმე. ა ეს წერილი ვნახეთ მარტო, — უთხრა ბაგრატამ და ოთხად მოკეცილი ქაღალდის ნაგლეჯი გაუწოდა.

ზაალმა გაშალა და წაიკითხა:

„... 1 საათი და 25 წუთი. ვცდილობთ ავიდეთ [illegible] ლაგლეთის კედელზე. პავლეც ჩემთან მოდის“.

— მეტი არაფერი? — ყრუდ შეეკითხა ზაალი.

— მეტი არაფერი. იმ ადგილას, სადაც ეს წერილი ვნახეთ, იმ მადნის ნამტვრევებია. ეტყობა ზევიდანაა ჩამოცვენილი. ასე ღარივით მიუდევს, მაგრამ იმისთანა კედელია, რომ იმაზე ფრინველიც ვერ აფრინდება. ჩვენ ბევრი ვეცადეთ, ხან აქედან, ხან იქიდან მოუარეთ, მაგრამ ვერსაიდან ვერ მივუდექით. ტიტიკომ სცადა ასვლა, მაგრამ დაგორდა და ისეა დაძეძგვილი, რო სულ დალურჯებული აქვს მთელი ტანი. მერე ჩვენც აღარ გავუშვით. ისინი ამაღამ დაბრუნდებიან, მე ცოტა ადრე დავბრუნდი. ერმალო, ისმაილა, რაჟდენი და სხვები ეცდებიან იქნება კვდრები მაინც ნახონ, ცოცხლების იმედი აღარ მაქვს.

ახლა კი გატყდა ზაალი. თავი მძიმედ ჩაჰკიდა. მწუხარებამ ისე შეაშფოთა, რომ ლანდი ღა დარჩა. მთელი სოფელი განიცდიდა ზაალის ასეთ მწუხარებას.

— ნეტავი მაგ არ დაგვანახვა, როგორ წუხს საწყალი, — ამბობდნენ აქა-იქ.

— მაგ უფრო საცოდავია იმათზე.

— ამ ხნის კაცს კიდევ მაგ ეჭირვებოდა?

ბებერი მამუკა მუხლების კანკალით ავიდა სკოლის მეორე სართულში და ზაალის ნუგეშისცემა სცადა. მივიდა, ხელი ჩამოართვა, მაგრამ ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა და მოაჯირთან დადგა. შემდეგ ჩიბუხი გაიწყო, კვესი გაჰკრა, აბოლებული აბედი ცერით დაატენა ჩიბუხს, გააბოლა და აივნიდან ქვემოთ გადააპურჭყა.

ზაალმა კარგა ხანს იარა აივანზე ბოლთის ცემით, ბოლოს უნუგეშოდ ხელი ჩაიქნია და რუბენას გასძახა:.

— რუბენ!

— აქ გახლავართ, ბიძია ზაალ!

— მოდი აქ!

— ოთახში შევიდა, დაჯდა. საწერ-კალამი მოიმარჯვა, ერთ წუთს ჩაფიქრდა, შემდეგ დეპეშა დასწერა და რუბენს გაუწოდა:

—წაიღე ეს დეპეშა ფოსტაში, ელვა. უთხარი ამ წუთშივე გაგზავნოს, გაიგე? უთხარი, თუ რაიმე ცნობა მოვიდეს ტფილისიდამ იმ წამსვე გვაცნობოს დაუყოვნებლივ.

— ახლავე, — სტაცა რუბენამ ხელი დეპეშას და ფოსტისაკენ კისრის ტეხით მოუსვა.

სოფელში დეპეშის გაგზავნის ამბავი მაშინვე გაიგეს. ისიც გაიგეს რომ მონადირეები ამაღამ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ყველანი შეწუხდნენ. სოფლის მოედანი ხალხით გაივსო, მაგრამ აღარ ისმოდა ბევრი ხმა-მაღალი მასლაათი. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და ნელა-ნელა ზემო სართულს შესცქეროდნენ. ხანდახან ზოგიერთნი კიბეზე ადიოდნენ და ზაალთან ოთახში შედიოდნენ, იქნებ ახალი რამე გავიგოთო, ჩუმად ისხდნენ ტახტზე და ზაალის კუთხიდან კუთხემდე სიარულით თავ-გაბეზრებულნი ისევ უკან ბრუნდებოდნენ.

ნაშუადამევს სოფელში ხმაურობა ატყდა. მოედნიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა, და ზაალი დაფეთებული გარეთ გავარდა. ერთ წუთს კიდევ გაუელვა იმედმა და გულისფანცქალით გახედა მოედანს.

ვიღაც ფანრიანს რამდენიმე კაცი შემოხვევოდა. ლაპარაკობდნენ.

— დაბრუნდნენ? — იკითხა გაღვიძებულმა რუბენამ და აივანზე გავარდა.

— მგონია. წავიდეთ ვნახოთ, რა ამბავი ჩამოიტანეს.

ბნელაში ძლივს გაიკვლიეს გზა. ფანრიან ჯგუფს მიუახლოვდნენ. ისმაილი იყო.

— როგორაა საქმე ისმაილ? — გაარღვია ჯგუფი ზაალმა.

ისმაილი ზაალს მიესალმა, უამბო, რომ დღამეებამდე კიდევ ეძებნათ. კლდეზე ვერ ასულან, მაგრამ ქვემოთ სულ გადაებრუნებიათ მთელი მიდამო. ყინვარის ნაპრალებიც კი დაუთვალიერებიათ. არც ერთს ყელი აღარ უვარგოდა იმდენი ეყვირათ, იქნება ხმაზე მაინც მიეგნოთ, თუ ცოცხლები იყვნენ, მაგრამ არავინ არ უპასუხებდა მათ ძახილს.

— დანარჩენები სადღა არიან? — ჰკითხა ზაალმა.

— მალე მოვლენ. ახლა ხიდთან იქნებიან, შენი ჭირიმე. მე წინ წამოვედი.

— ტიტიკო და გოგიც წამოვიდნენ? — ჰკითხა რუბენამ.

— ჰო, ახალგაზრდებიც წამოვიდნენ, ნამეტანი დაღლილები არიან. მერე მარტო რაღას გააკეთებდნენ იქ.

მალე ჩამორჩენილებიც გაჩნდნენ. ყველანი ოთახისაკენ გაემართნენ და ღამის ოთხ საათამდის გაგრძელდა ამბების მოყოლა. ბოლოს ყველას დაღლილობამ დაძლია და მიწვნენ. არ ეძინა მარტო ზაალს. მთელ ღამეს განუწყვეტლივ დადიოდა აივანზე. როგორ მოქცეულიყო? მეტი გზა არ იყო, უნდა დაბრუნებულიყო ტფილისში, და ყოველ ასეთ გაფიქრებაზე სიმწარისაგან ჟრუანტელი უვლიდა ტანში.

ამგვარად დაათენდა თავზე ზაალს. რუბენა ადრე ადგა და პირის დასაბანათ წყაროზე წავიდა. სოფელმაც გაიღვიძა. სოფლის ქუჩებში და მოედანზე დედაკაცები ახმაურდნენ. ეკითხებოდნენ ერთმანეთს წუხელ დაბრუნებული ხალხის მიერ ჩამოტანილ ამბებს.

ზაალი ჩამოჯდა. პაპიროსი გააბოლა. ტიტიკოს, გოგის და კოლექტორებს ჯერ კიდევ ეძინათ. ოთახში სიჩუმე იდგა, მხოლოდ ფანჯარაზე მიმჯდარი შავი უცნაური ბუზი გულშემზარავად ზუზუნებდა—და მინას წამდა-უწუმ ეხეთქებოდა.

ზაალს თავი მოაბეზრა ბუზის გამუდმებულმა ზუზუნმა, სწრაფად წამოდგა, ქუდი მოუქნია, და გაბრუებული ბუზი იატაკზე დაეცა. ზაალმა დახედა. ბუზი ფეხებს აფართხალებდა..

ზაალს ისევ მოესმა ზუზუნი. გულმოსულმა მოავლო თვალი ოთახს, რომ მეორე ბუზისათვისაც ასეთივე დღე დაეყარა...

მოულოდნელად შეაშფოთა ბავშვის ხმამაღალმა ყვირილმა:

— აეროპლანი, აეროპლანი...

ზაალი აივანზე გავარდა.

გარეთ, ქუჩაში, ბავშვს თითი შოდისკენ გაეშვირა და ყვიროდა:

— აეროპლანი, შეხედეთ!..

სახლებიდან გამოიხედეს. გარეთ გამოცვივდნენ და ძუნძულით მოედნისაკენ გაიქცნენ. ყველანი ზევით იხედებოდნენ, და ზაალმა მხოლოდ ახლა გაიგონა ზემოდან:

— ვვვუუ...უუ...

თითქოს გული გადმოუტრიალდა და ყირამალა დაუდგა სწრაფად შევარდა ოთახში, დურბინდს ხელი დაავლო და ბიჭებს დასჭყივლა:

— ადექით ზეზე!

ბიჭები სწრაფად წამოხტნენ. რუბენამაც ყვირილით ამოირბინა კიბე:

— ბიძია ზაალ, აეროპლანი...

შორიდან კი ისევ ისმოდა არაჩვეულებრივი:

— ვვვუუუ... უუუ.... უუუ...

ზაალმა დურბინდი მოიმარჯვა.

შოდის წვერზე გადაიარა და ცაზე თანდათან დაიწყო ზრდა ფოლადის ფრინველმა. ხმაც თანდათან გაძლიერდა, და ახლა მთელი სოფლის მოზღვავებულ ხალხის ღრიანცელიც კი ველარ ფარავდა მის გუგუნს.

— აეროპლანი, აეროპლანი!... აეროპლანი!... — ყვიროდნენ ყველანი.

ღების მთელი ხუთიათასი სული შეგროვდა მოედანზე. მოხუცები, ავადმყოფები, ყველანი გარეთ გამოცვივდნენ. არავინ ალარ დარჩენილა სახლში. გარბოდნენ ქვემოთ, მდინარის პირისაკენ, თან ცას კი თვალს არ აშორებდნენ.

თვითმფრინავი კი თანდათან მოახლოვდა, დაბლა დაიწია. მისი პროპელერი ისე მძლავრად ზუზუნებდა, რომ ყურთა სმენა ალარ იყო.

ხალხი მიწყნარდა. ყველანი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს თვითმფრინავს.

მალე იგი დაბლა დაეშვა, ღებს თავზე გადაუარა, შემდეგ წრე გაკეთა და ისევ მაღლა აწევა იწყო.

მისი პროპელერის მძლავრი ზუზუნი ყველას ერეკებოდა. ბაგრატას აღტაცებისაგან რაღაც მოაწვა ყელში და ხმამაღლა აღმოხდა:

— თქვენი ჭირიმე, თქვენი!

ზაალი კი შესცქეროდა ცას და თვალებიდან, ცრემლი სდიოდა. წამდაუწუმ ყლაპავდა ცრემლს და თვალს არ აშორებდა თვითმფრინავს, რომელიც მთავარ ქედს გარს უვლიდა.

— ხედავ, ქედს ზვერავენ, — წამოიძახა ტიტიკომ.

— იქნება აღმოაჩინონ, სადარიან, — კანკალით წამოიძახა გოგიმ და ზაალს გადახედა.

ხალხი კი ისევ გარინდული შეჰყურებდა თვითმფრინავს, რომელმაც კირტიშოს ქედისკენ აიღო მიმართულება, გაუარა ედენას, წითელ წვერს, ვაცის წვერთან მობრუნდა და ისევ ღების თავზე დატრიალდა.

მოულოდნელად თვითმფრინავის ფრთას ერთი წერტილი მოსწყდა და...

— უუუჰ! — აღმოხდა ხალხს.

წერტილი ჯერ ტყვიასავით დაეშვა, შემდეგ თეთრი წვრილი ზოლი ავარდა ზემოთ, და პარაშუტი ჰაერში დაეკიდა.

— გადმოხტა, გადმოხტა! — იყვირეს აქა-იქ და ხალხის მძლავრმა ყიჟინამ ყურთასმენა წაიღო.

ზაალმა დურბინდი მოიმარჯვა. დანარჩენებმაც მოიმარჯვეს დურბინდები და პარაშუტს დააკვირდნენ.

— ეს კაცი არ არის, — უთხრა ტიტიკომ ზაალს : — ბარგი გადმოაგდეს.

— რა ბარგი? — იკითხა ზაალმა. — პროდუქტებს ხომ არ გვიყრიან?

— არა მე მგონია, ეს სამიზნო პარაშუტი უნდა იყოს. შეხედე. თვითმფრინავი წრეხაზის გარშემო ტრიალებს და ელოდება, სად დაეშვება პარაშუტი, რომ შემდეგ ადგილი ამისდამიხედვით გადაინაცვლოს.

მართლაც, თვითმფრინავმა რამდენჯერმე შემოხაზა წრე. ქარმა პარაშუტი ჩრდილის გალმა გაიტანა, და ღებელი ბავშვები ერთი კივილით და სტვენით გავარდნენ გალმა. ერმალომ რამდენიმე კაცს მიმართა:

— წადით, კაცო, იმ ბავშვებმა არ გააფუჭონ რამე, დაგლეჯენ იმ ქოლგას.

რამდენიმე კაცი პარაშუტისკენ გაიქცა.

მალე თვითმფრინავმა ადგილი გადაინაცვლა, და ახლა ღებელებმა აშკარად დაინახეს მის ფრთებზე გასული წერტილები. ცოტა ხნის შემდეგ ფრთას ერთი მათგანი მოსწყდა, თეთრი ზოლი ჩამოხაზა და გაშლილ ქოლგაზე დაეკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხტებიან, ხტებიან! — იგრიალა ისევ ხალხმა.

— კაცია, კაცი, შეხედეთ, ფეხებს აქნევს...

— მეორე, მეორე, შეხედეთ!...

ასოციწლის ქავთარამ გულზე მჯიღი დაირტყა და ჩაილაპარაკა:

— ვაჟკაცები ახლა დაზრდილან. ჩვენი ვაჟკაცობა მონაგონია ამასთან შედარებით...

— მესამე, მესამე! — იყვირა ისევ ხალხმა.

ჰაერში მესამე ქოლგა დაეკიდა. თვითმფრინავი კი თითქო განზე წავიდა და უფრო მაღლა აიწია.

მთელი ეს ზღვა ხალხი ქვემოთკენ გაიქცა, პატარა ღების ბოლოსკენ, სადაც დიდი მოედანი იყო. იქეთკენ უსწორეს პარაშუტისტებმა, ძალზე ნელა, მაგრამ თანდათან მაინც ეშვებოდნენ ძირს.

მოედანისკენ ყველაზე წინ ბავშვები გარბოდნენ, მათ დანარჩენები მისდევდნენ. ქალები, კაცები, მოხუცები ერთმანეთს თავს ახტებოდნენ, ლობეებს ევლებოდნენ, და ხალხის მთელი ეს მასა მოვარდნილი ღვარივით გაიშალა ნაპურალზე: ყვირილით, ხტომით, ყიჟინით შეეგებნენ პარაშუტისტებს.

პირველად მერი დაეშვა და ხალხმა იგი ჰაერში დაიჭირა.

— ვაშაააა!... — იყვირა ყველამ.

პარაშუტი თავზე გადაეფარა ჯგუფს და ატყდა ერთ სიცილ-ხარხარი. უეცრად ერთმა გაკვირვებით იყვირა:

— ხალხო, ქალიშვილი ყოფილა!

— ქალიშვილი გადმომხტარა!

— შენ გენაცვალე, მართლა?

იგუვლა ხალხმა და ერთმანეთს მიაწყდა. ყველას სურდა ამ გულადი ქალის დანახვა. ქალებმა მუშტი-კრივით დაიწყეს მამაკაცებში გზის გაკვლევა. ქალებს წინ მხარბეჭიანი პელა მიუძღოდა და ცნობისმოყვარე მამაკაცებს პანტასავით აქით-იქეთ ჰყრიდა. როგორც იქნა მიაღწია, ხალხი მირეკ-მორეკა და მერის აღტაცებით ხელი მოხვია.

— დედა, რა ლამაზი ყოფილა! შენ გენაცვალე! შეხედეთ, ქალებო, გვასახელა. გეიწით იქით! — მწყრალად შეუტია პირდაღებულ ვაჟკაცებს პელამ. — რას დაგიღიათ ეგ სამიწე პირები, ქალიშვილი ნუ შეაწუხეთ! გეიწით მეთქი, თვარა მამაჩემსა აქვს ცხონება... წამოდი, შენ გენაცვალე, წამობრძანდი...

აქა-იქ ჩაილაპარაკეს:

— შე ქალო, ჩვენც გვინდა დავინახოთ.

— კი არ შევჭამთ, დაგვანახვე ჩვენც.

— ახლა ქალიაო და მარტო თქვენ უნდა შეხედოთ.

ქალები კივილით შეეგებნენ მერის. გაისმოდა დაუსრულებელი „შენ გენაცვალე“.

— ჯვარი გწერია და კალამით დახატული ყოფილხარ, შვილო...

— ქალი მქვიაო, შენ უნდა თქვა, ქვე რაფერ გადმოხტი იქიდან, შენ გენაცვალე?...

მაგრამ ამ დროს კვლავ იგუვლა ხალხმა: არც დათიკო და არც სანდრო ძირს კი არ დაუშვეს, ჰაერში დაიჭირეს.

— გამარჯობათ თქვენი! — ჯერ კიდევ ზევიდან ჩამოსძახა ყველას დათიკომ.

ქვემოდან ერთხმად უპასუხეს:

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!

ისმაილმა თავი გადააქნია და წამოიძახა:

— კაცო, სიზმარში ვარ თუ ცხადში, რავა წმიდა-გიორგისავით ზეციდან გვეუბნება გამარჯობას ხალხი. მე დაგირჩი და ძალიან დროს მოვესწარით...

ზაალმა ძლივს მიაღწია პარაშუტისტებამდე. ქალებმა მერი მიჰგვარეს და წინ დაუყენეს. ზაალმა პირველად ვერ იცნო. შემდეგ გულაჩუყებულმა გაშალა ხელი და გადაეხვია.

— მერი, შვილო, ჩემო გიჟო გოგონავ, მაშ ეს შენა ხარ, მერი...

მეტი ველარაფერი სთქვა, სული შეეგუბა. კინალამ ცრემლები წასკდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და სიცილი დაიწყო.

— ა! მერი, მოხვედი? შე საძაგელო, სულ არ გელოდი. ხომ კარგი ძმისწული მყოლია, ქალებო, ა? ხომ...

— ი! თქვენი ძმისშვილია? შენ გენაცვალე, მართლა?

— ქალი ეგ ყოფილა!

— ა? ხომ? მეც აგრე მგონია, — მხიარულად დაეთანხმა ზაალი და მერის კვლავ მოხვია ხელი. თვალებიდან ცრემლები სდიოდა. აა, ჩემს დათიკოს ჩემს არწივს, ჩემს სანდროს, ე ყოჩაღ, ბიჭებო, არ დამივიწყეთ ბებერი.

— ბიძია ზაალს ვახლავართ! როგორ დაგივიწყებთ, ბიძია ზაალ...

— დავიჩაგრე, ბიჭებო, დავიჩაგრე! — ყრუდ წარმოსთქვა ზაალმა, ხელსახოცი ამოიღო და თვალები მოიწმინდა.

— ნუ გეშინიათ, ბიძია ზაალ, — მტკიცედ ანუგეშა დათიკომ. — ჯერ ადრეა გულის გატეხა.

— ვითამ? — იმედიანად შეანათა თვალები ზაალმა. — შენ ასე ფიქრობ?

— რასაკვირველია! მაშ რისთვის მოვედით?

— ჰაიტ! მიყვარს ამისთანა ხალხი, — დაჰკრა მხარზე ხელი დათიკოს ზაალმა და წელში გაიმართა. — მიყვარს. მასახელეთ, ბიჭებო. ცხოვრება თქვენია და მეც ნუ მიმატოვებთ, დამადევნეთ ახალ ცხოვრებას.

— ბიძია ზაალ არ შეგვიშინდე. თუ ოსიკო ცოცხალია, ვიხსნით მთის ტყვეობიდან, — უთხრა სანდრომ.

— ახლა ერთი ეს მითხარით, ყმაწვილებო, — საქმიანი კილოთი შეეკითხა ზაალი: — რას აპირებთ?

— ახლავე წავალთ საძებრათ, ბიძია ზაალ. ხვალ საღამოს ნაბეი საუკეთესო მთასვლელი კიდევ მოგვემატება, მაგრამ, მე შგონია ამათ მოსვლამდის ვიპოვნით დაკარგულებს. ალპინიზმის საკავშირო ოსტატები განა ტყუილად გვქვია?

— ო, თქვენი ჭირიმეთ, თქვენი! ესენი, კაცო, ერთი კლდე ყოფილა და იმაზე ვერ ასულან. სხვაგან ყველგან ეძებეს და იმ კლდეზე არ აისვლებაო, ასე ამბობენ.

— ჩვენ ავალთ, ბიძია ზაალ, ავალთ. ოღონდ ოსიკო იქნებოდეს ცოცხალი და მეტი დარდი არაფრისა არ უნდა გვქონდეს.

მხიარული ყიჟინი და ხმაურობა არა ცხრებოდა.

ყველანი სოფლისკენ გაეშურნენ. აღტაცებული ბაგრატა გაბრწყინებული თვალებით მხიარულად მიაბიჯებდა ხალხში და დაუღალავად ქაქანებდა.

— აი ესენი მართლა ნახავენ...

— იქიდან გადმომხტომი კაცი მართლა ყველაფერს შეიძლებს, მე დაგირჩი, — დაემოწმა რაჟდენი.

— რა ვნახე, ეს რა ვნახე! — ჩაილაპარაკა მოხუცმა ქავთარმა.

— კაცო, ქალი რაფერ გადმოხტა?..

— არ გჯობიათ ვაჟკაცებს? თქვენც დაიტრაბახებთ, ვაჟკაცები ვართო, — ყველას გასაგონად მიაძახა მამაკაცებს ლოყა-წითელა პელამ.

მცირე თათბირის შემდეგ მთასვლელები სწრაფად მოემზადნენ და მთელი საექსპედიციო მორთულობა ზურგჩანთებში ჩააწყეს.

ზაალი უცბათ გამოცოცხლდა. თითქო ფრთები შეესხაო, აღტაცებით დატრიალდა. ისევ დაუბრუნდა ძველებური მჭექარე ხმა.

— რუბენ!

— არის!

— ათი ცხენი ჩქარა!

— არის! — სთქვა და გავარდა რუბენა.

— აბა, ბიჭებო, დროს ნულა დავკარგავთ. ყოველი წუთი ძვირფასია. მონადირეებო, მოდიხართ ჩვენთან ხომ?

— რა საკითხავია, მე უკვე მზადა ვარ, — უპასუხა ბაგრატამ.

— თუ თქვენ იმ კლდეზე მოახერხებთ ასვლას, არ ვიცი. მე ისიც არ მჯერა, რომ იმაზე ოსიკო ავიდოდა, — უთხრა დავითს ისმაილმა.

— ძნელი ასასვლელია?

ისმაილმა გაოცების ნიშნად მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა.

— ასასვლელი კი არა, იმაზე ასვლა არ შეიძლება. ასე ბუხრის ყელივით მიდევს მაღლა, ქე იქნება ასე ასი საჟენის სიმაღლის. იმაზე ქვე თუ აფრინდები, თორემ ისე, მე დაგირჩი, იქ როგორ ახვალ!

— ძალიან ფართოა ნაპრალი? — ჰკითხა სანდრომ. — ასე ხელები რომ გაშალო ამაზე ფართო იქნება?

— არა, მაგაზე ფართო ქვე რავა იქნება, მაგდენი ... , მარა სულ გალიპულია ხელის გულივით, ფეხს ვერსად ვერ დადგამ და ხელს ვერაფერზე ვერ მოკიდებ და ისე ქვე რაფერ ახვალ? კიბეს ქვე მიადგამ-და კაცი, მარა ას საჟნიან კიბეს ვინ გააკეთებს. ჯერ იქამდი მისვლაც ხომ იმისთანა ძნელია, რომ ამ ხნის კაცი ვარ, სანადიროდ ბევრი მივლია, სულ დავლილი მაქვს ეს ქედები, მარა მაგისთანა დაღუპული ადგილის მნახველი არა ვარ.

— ნაპრალი ყოფილა, ხედავ? — უთხრა დათიკომ სანდროს და ისევ ისმაილს მიუბრუნდა: — რომ იცოდე, ჩემო ბიძია, რა ადვილია მაგისთანა ნაპრალში ასვლა....

— ი? რავა ადვილი?

— რავა და ისე, ქართული ანდაზა არ გაგიგონია: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა. ხერხი უნდა იცოდე კაცმა და მორჩა.

— აბა, გეყოფათ მუსაიფი! — სჭექა ზაალმა. —

ცხენები უკვე მზად იყვნენ და ეზოში ელოდებოდნენ. ზაალმა რამდენიმე განკარგულება გასცა, კოლექტორები სოფელში დასტოვა და მათ კავშირის დამყარება დაავალა. შემდეგ ყველანი შესხდნენ ცხენებზე და თქარათქურით გაუდგნენ გზას თევრეშოს მიმართულებით. ხალხმა ისინი კარგა მანძილზე გააცილა.

ცა არეული, მაგრამ უძრავი ღრუბლის ნაგლეჯებით იყო დაფარული და იმდენად არა ცხელოდა. გზა ჯერ რიონის პირს მისდევდა, შემდეგ ვიწრო ბილიკით მარჯვნივ უხვევდა და ტყე-ტყე მიდიოდა. ყველანი ჩუმად ისხდნენ ცხენებზე, ფიქრებში გართულნი; ბუნებაც რაღაც საზეიმოდ მდუმარებდა. მხოლოდ მდინარე შხუოდა, აქაფებული გადარბოდა ქვებზე და ჰაერში შხეფებს ისროდა.

ნაშუადღევის სამ საათზე დათიკო, სანდრო, მერი, ტიტიკო, ისმაილ და ბაგრატა უკვე იმ საარაკო ვერტიკალურ ნაპრალთან იდგნენ, რომელზედაც ვერავინ ვერ მოახერხა ასვლა. დანარჩენები ზაალთან ერთად ქვემოთ დარჩნენ, სადაც კარვები უნდა დაედგათ და სადილი მოემზადებინათ.

— ა, ჩემო დათიკო, აქ იყო რომ დავდექით. ამ ნაპრალის ძირში ვნახეთ წერილი, — უთხრა ისმაილმა, როდესაც ნაპრალამდე ააღწიეს.

— აჰა, ცხადია აქედან ასულან, — აიხედა დათიკომ ზევით. — სანდრო, მოიტა თოკი! მერი, შენ მე მომყევი! მერე შენ სანდრო! ერთი მანდ, ჩანთაში, რკინის პალოებია, ამოვიღოთ.

ისმაილმა კისერი მოიფხანა და მაღლა აიხედა.

— ამაზე ახვალ?

— ჰო, რა გიკვირს ჩემო ისმაილ? შენ არ გჯეროდა და აბა მიყურე ახლა.

დათიკო ნაპრალში შეძვრა, ერთ კედელს ზურგით და ხელებით მიეყრდნო, მეორე კედელს მოკბილული ფეხსაცმელი მიაბჯინა და ხოხვით სწრაფად დაიწყო ზევით ასვლა. ისმაილი და ბაგრატი განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ. მერიც და სანდროც ასეთივე ხერხით შეუდგნენ ასვლას, და მართლაც მალე გამოჩნდა მათი ოსტატობა. სამივეს მკლავები და მუხლები ერთნაირად ჰქონდათ განვითარებული. თუ კი სადმე მოსჭიდებდნენ ხელს კლდეზე, მაშინვე აიტანდნენ ტანს და ქიმს ზემოთ მოექცეოდნენ. ამიტომ ძალიან სწრაფად მიიწევდნენ ზევით. მალე შვეულ კლდეს მიადგნენ. დათიკომ შეამჩნია ნაპრალი კლდის გასწვრივ, მაშინვე შეჰყო ხელები, და სამივე ამგვარად გადავიდნენ კედლის ბოლოში. აქ ცოტა შეისვენეს. მალე ჩამორჩენილებიც ავიდნენ, და სამივე რომ კედელს იქით დაინახეს, განცვიფრებაში მოვიდნენ.

— კაცო, როგორ გადით ამ კედელზე? — გასძახა ბაგრატამ.

— ნაპრალია კლდეში. ხელით დაეკიდეთ და ისე გამოდით. ნუ გეშინიათ.

სცადეს მაგრამ გასვლა ვერ მოახერხეს. მაშინ დათიკო ისევ გავიდ> კედელზე, თოკი გაჭიმა და წელზე თოკის რგოლები გაუკეთა ყველას. გაჭიმული თოკი რგოლებში გაუყარეს და შემდეგ ყველანი თამამად გაჰყვნენ ნაპრალს — ხელებით დაკიდულნი.

გულდასმით ათვალიერებდნენ ყოველ კუთხეს. ქვებთან სანდრომ პაპიროსის ნამწვავი იპოვა.

— სწორი გზით მივდივართ, შეხედეთ!

ისევ შეუდგნენ კედელზე ასვლას, ვერტიკალური ნაპრალი დასძლიეს და მალე მცირე ბაქანზე მოექცნენ. ორი საათის შემდეგ ალტიმეტრმა 4.150 მეტრის სიმაღლე უჩვენა. დათიკომ გულმოდგინებით შეათვალიერა ადგილი და ჩრდილოეთისაკენ დაშვავებულ ქვებს დააკვირდა.

— წერაყინი! — დაიძახა დათიკომ.

სამივემ ჩაიხედა და აშკარად დაინახა უზარმაზარ გადაგრაგნილ ძარღვზე დაგდებული წერაყინი.

— მომეცით თოკი, — მიუბრუნდა დათიკო. — რა არის ნეტავი ეს ძარღვი? ერთი აქ კარგად დავამაგროთ ეს თოკი, თორემ ხომ ხედავთ, როგორ დაშლილია ქვები.

თოკი დაამაგრეს, დათიკო ფრთხილად დაეშვა, ძარღვზე დადგა და წერაყინი აიღო.

— ოსიკოს წერაყინი, — ამოსძახა ზემოთ.

მერე სრიალით დაეშვა თოკით ძირს და წერაყინს ხელი სტაცა.

— შეხედე, ვოლფრამიტის ძარღვი. აი ესაა, რასაც ეძებდნენ. რამოდენაა და რა შესანიშნავი გამადნება! ხედავ, რამსიშორეზე მიდის?

ნდროც დაეშვა თოკით.

— ცხადია, მათ მარცხი სწორედ ამ ადგილას შეემთხვათ ანბ დავათვალიეროთ... ამხანაგებო...

ფრთხილად დაეშვნენ იქითკენ სადაც წვეტიანი კლდეები ჩაჩქანებივით ამართულიყვნენ. დათიკომ სასტვენი ამოიღო და რაც შეეძლო ისუნტვინა.

გაირინდნენ და ყური დაუგდეს.

არავინ არ უპასუხა.

თავი მეთოთრმეტე

დღიური.

„5 ივლისი, დილის ცხრა საათი.“

„დღეს დილით გათენებული არ იყო, როდესაც პავლე მოვიდა და გამაღვიძა. საშინლად მეზარებოდა ადგომა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და, როგორც კი წყაროს ცივი წყალით პირი დავიბანე, სწრაფად გამოვფხიზლდი. ზურგჩანთაში ჩავიწყვე საჭირო ხელსაწყო, საგზალი და გზას გავუდექით. სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. რიონის ჭალაში დილის ნისლი ჩაწოლილიყო და ეს თავისებურად ამართული კლდეები ისე გამოიყურებოდნენ ამ თეთრ ნისლში, რომ თავი ზღაპარში მეგონა. პავლე ძალიან მხიარული გუნების კაცი აღმოჩნდა და სრულიად დამავიწყა ის წყენა, რომელიც პირველი გაცნობის დროს მოგვაყენა. ათასგვარ საოხუნჯო ამბებს მიამბობს თავისი მოგზაურობის შესახებ. ამერიკაში ყოფილა. ნიუიორკი უნახავს და ამბობს, რომ დედამიწაზე იმაზე უკეთესი ქალაქი არ შეიძლებაო. რამდენიმე სიტყვაც იცის ინგლისურად და მიხსნის: „მონე“ ფულია და „ზეინკიუ“ მადლობელი ვარო. შემდეგ მიამბო, რომ კანადაში უმუშავნია და იქ ქერა ქალი შეყვარებია — ერთი ინჟენრის მოახლე, მაგრამ რადგან ვერაფერი ვერ გავაგებინე, ჩემმა სიყვარულმაც ჩაილურის წყალი დალიაო.

ამ შესვენებაზე ვისაუზმეთ. პავლემ დესერტად უზარმაზარი ალპიური ქოლგა-ბალახი მოსჭრა. მისი ღერო ბამბუკის მილსა ჰგავს. დანით გათალა და ჭამა დაუწყო. მეც შემომთავაზა, მითხრა, მარილმოყრილი მშვენიერი საჭმელიაო. მე მაინცა და მაინც არ მომეწონა. სვანები რომ ბალახს სჭამენ, ლღეს რომ უწოდებენ, ის უკეთესია.

ნისლი გაიფანტა და მზემ სწრაფად დააცხუნა. თუმცა ჯერ არა გვიშავს რა. ტყეში გვაქვს გზა. ჩანჩქერთან წყალი დავლიეთ, ბარგი ავიკიდეთ და გავწიეთ.

12 საათი და 15 წუთი.

კიდევ შევისვენეთ. საშინლად ცხელა. ალპიურ საბალახოებს თითქმის ავცდით. ამდენი კორაბუზი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ეტყობა, რომ აქ საქონელი დღისით სრულებით ვერ ძოვს ბალახს, ბუზი აწუხებს. შესანიშნავი სურათი ვნახე საბალახოებზე გავლის დროს. ორი ცხენი ერთმანეთს მიყრდონობოდა თავბოლო შექცევით. ბუზებს უგერებდნენ ერთმანეთს ეს ჭკვიანური ხერხი იმიტომ დასჭირდათ, რომ საკუთარი ძუა თავიანთ ნიჩამდე არ სწვდება და ეს ხერხი მოუგონებიათ, რადგან წამდაუწუმ თავის ქნევა შეუძლებელია.

პავლე მეუბნება, რომ იმ ადგილამდე, სადაც მადანია, შორი არ არისო, — ვფიქრობ, ორი-სამი საათის სიარულის შემდეგ უკვე იქ ვიქნებით.

4 საათი და 25 წუთი

ეს არის მოვედით იმ ადგილას, სადაც პავლეს მადანი ეგულებოდა, და შევისვენეთ. საშინელი კლდეებია, გამოფიტული და დაშლილი. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ აქ ძარღვი არ არის. პავლემ დამანახვა ერთი დიდი ნატეხი, რომელიც ვოლფრამიტის ელვარას შეიცავდა, და მითხრა, ეს არისო. ამ არე-მარეში სულ ასეთი ქვები ჰყრიაო, ძირითადი ძარღვი კი არ უნახავს და ახლო-მახლო ვერც მე ვნახე, თუმცა ბევრი ვეძებე. ეტყობა ეს ნიმუში ზევიდან არის ჩამოცვენილი. საჭიროა ასვლა, თუმცა კლდე მეტად მიუვალი ჩანს და პავლეც მეუბნება, ზევით ასვლა შეუძლებელიაო. მაინც გადავსწყვიტე ასვლა, რადგან იმდენად მიტაცებს ძირითადი საბადოს ნახვა, რომ მგონია ზევით ავფრინდე, არა თუ ავიდე. პავლე უარობს და მეუბნება, ცოლშვილიანი კაცი ვარ და თავს ვერ გავწირავო. მაგრამ დავითანხმე. აქ კარგად შევისვენეთ, შევნაყრდით, მათარები წყლით ავავსეთ და მოვემზადეთ წასასვლელად. მე პატარა ბარათი დავწერე და თვალსაჩინო ადგილას დავდე — ყოველ შემთხვევისათვის. პირდაპირ მეტრიანი სიგანის ვერტიკალური ნაპრალია, დაახლოვებით ორმოცი მეტრის სიმაღლისა. აქ ასვლა არ არის ძნელი, თუ პავლე მომყვა.

8 საათი და 12 წუთი.

ისევ ვისვენებთ. მართლა საარაკო კლდეებს მივადექით. დავიწყეთ თუ არა ქვემო ბანაკიდან ვერტიკალურ ნაპრალში ასვლა, მაშინვე გამოჩნდა მთელი სიძნელე. მე ზურგით და ფეხებით კედლებზე მიყრდნობილი სწრაფად ავდიოდი, მაგრამ ზედ შუა ადგილას წინ გადამეღობა ნაპრალში გაჩხერილი ლოდი. აკრობატული ხერხის გამოყენება დამჭირდა. ხელებით ლოდის ნაპირზე ჩამოვეკიდე და ტანი ისე ავიტანე, ღერძზე რომ ადიან

ხოლმე ყირით. ლოდი ქანაობდა, მაგრამ იღბლად არ გადავარდა. ძარღვი არსად არ შეგვხვედრია, თუმცა ძალიან გულდასმით ვათვალიერებ. მაშინებს ის, რომ შეიძლება ძარღვს ვერტიკალური გავრცელება ჰქონდეს მაშინ ამ კლდეების ჰორიზონტალური ტრავერსებია საჭირო. ძარღვის ძებნას რამდენიმე თვე დასჭირდება. მაინც მაქვს იმედი, რომ ბაბალოს ვიპოვნით და ამიტომაც სულ წინ მივიწევთ. თითქმის ვერტიკალურ კედელს მივადექი. კედლის ძირში უზარმაზარი ჩამოსხლეტილი ლოდებია და ისე ალმაცერად არიან შეყუდებული, გეგონება, სადაც არის ქვემოთ დაგორდებიანო. პავლემ სცადა კიდეც ერთი მათგანის დაგორება, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ცხადია, ვერ დასძრავდა. მე ყველაზე პატარა ლოდი გავზომე, მოცულობა გამოვიანგარიშე და როდესაც ხვედრითს წონაზე გადავამრავლე, ოცდა ხუთი ათასი ფუთი გამოვიდა. პავლე კინაღამ გაგიჟდა და შუბლზე ხელი ირტყა, მე ამას როგორ დავძრავდიო.

ნახევარი საათი შევისვენეთ ამ ლოდებთან. მე პატარა ბარათი კიდევ დავწერე და თვალსაჩინო ადგილას დავდე. შემდეგ დავიწყეთ პირდაპირ კედელზე ასვლა. პავლე ამაგრებდა თოკს წერაყინზე, მეორე ბოლოს ვიბამდი მე და ისე ავდიოდით ზემოთ, სანამ მყოფნიდა თოკის სიგრძე, შემდეგ ვამაგრებდი თოკს და პავლე ამ თოკის საშუალებით ამოდიოდა ჩემამდე. დაქანების კუთხე 75 გრადუსს უდრის. ამგვარად ავედით პატარა ბაქნამდე. ალტიმეტრმა მიჩვენა, რომ 3.900 მეტრზე ავსულვართ. ბაქანიდან შვეული კედელია ზემოთაც და ქვემოთაც. კედელში ნაპრალი მისდევს, სადაც ხელის შეყოფა შეიძლება. პავლე დავტოვე ბაქანზე, მე წელზე თოკი შევიბი, ნაპრალში ხელები შევყავი და ამგვარად გავედი ოცდაათი მეტრი. იქ კულუარი შევამჩნიე. პავლეც გამოვიდა, მაგრამ მეუბნება, რომ აქედან დაბრუნება ძალიან ძნელიაო. მოულოდნელად შემოგვაღამდა. რა უცბად გარბის დრო! ვინაიდან აქ შეიძლება ღამის გათევა, გადავწყვიტეთ აქ დარჩენა, რადგან საგზალი ხვალამდის გვეყოფა ხვალ კი უკან დავბრუნდებით.“

6 ივლისი. დილა.

ხუთ საათზე ავდექით. დავიწყეთ კულუარში ასვლა. მთლად ვერტიკალური ნაპრალია. მუხლები და ხელები მივაყრდნე კედლებზე და ისე ავდივარ. მეტისმეტად მოვიქანცე. თოკის სიგრძე არ მეყო. პავლეს ვუთხარი, ხელი ეშვა თოკისათვის. ზევით ავითრიე და ისევ განვაგრძე ასვლა. ათი მეტრის შემდეგ მოვნახე პატარა ჩამოსაჯდომი ბაქანი და პავლეს დავუძახე, რომ ამოსულიყო თოკამდე. ჯერ ვერ ბედავდა, მაგრამ მერე გაბედა და ძლივს მოაღწია ჩემამდე. ბაქანზე დავტოვე და ისევ განვაგრძე ასვლა. ეს იყო ყველაზე ძნელი მანძილი: ოცდახუთი მეტრის ასვლას ორ საათზე მეტი მოვუნდი. ათი საათის ცოცვის შემდეგ მხოლოდ 120

მეტრის სიმაღლეზე ავსულვართ. პავლე მთხოვს, უკან დავბრუნდეთ, მაგრამ მე უარზე ვარ....

ერთ წუთს შევისვენეთ. თუ მალე არ დავიწყეთ უკან დაბრუნება, დაგვალამდება, და მეორეთ მოგვიხდება ღამის გათევა კლდეებში. სურსათიც აღარა გვაქვს, მაგრამ ზემოთ, ასიოდე მეტრის მანძილზე, რაღაც ძარღვი მოჩანს. აუცილებლად უნდა ვნახოთ. პავლე ჯიუტობს, არ უნდა წამოსვლა, მაგრამ ზემოთ შევახედე, აი მადანი მეთქი და შეჩერდა. ზაალი, ალბათ, ღელავს, რომ წუხელ არ დავბრუნდით, მაგრამ თუ საბადო აღმოვაჩინეთ, მაშინ ვნახავთ მის აღტაცებას. შევუდექით ძნელ გზას.

7 საათი და 10 წუთი.

აღმოჩნდა, რომ იმ ძარღვთან მისვლა არც ისე ადვილი ყოფილა და იძულებული ვარ მარცხნიდან მოვუარო. ამისათვის საჭიროა ბევრად უფრო მაღლა ასვლა და შემდეგ ძარღვთან დაშვება. კიდევ კარგი, თუ ის მადნიანი ძარღვია და ტყუილად არ ვიტანჯებით. როგორც ეტყობა, ამაღამაც მოგვიხდება მთებში ღამის გათევა.

8 საათი და 32 წუთი.

ქედზე ავედით. აქედან უნდა დავიწყოთ ჩასვლა საბადოსთან. ძალიან დავიღალენით და რამდენიმე წუთი შევისვენეთ. ყოველ შესვენებას მე დღიურის საწერად ვიყენებ. ნეტავი ის ძარღვი გამადნებას შეიცავდეს! ზემოდან დავსცქერი და ვხედავ, რომ კილომეტრზე უფრო შორს არის გადაგრეხილი. ვიწყებთ დაშვებას.

6 ივლისი. ღამის 11 საათი.

ბნელაში ვწერ, რადგან ვშიშობ, ვაი თუ ველარ გავათენო. საღამოთი უკვე 4.150 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით. მე ზევით ვიდექი, პავლე თოკს მოჰყვებოდა. უცბად ფეხი დაუცდა, თოკმა წერაყინს დაკრა. კლდე, რომელზედაც ვიდექი, მოზვავდა და დავგორდით. ქვების ხროვის ზემოთ მოვექეცი, მაგრამ მთელი სხეული დამეკაწრა. მოულოდნელად გვერდი დანასავით ბასრ ფიქალს გავკარი. დავიჭერი. როდესაც კლდის ქიმზე გადავეკიდეთ, კლდეს შუბლი მივარტყი და გრძნობა დავკარგე. მხოლოდ ეხლა მოვედი გონს. საშინელ სისუსტეს ვგრძნობ. შორი-ახლოდან პავლეს კვნესა მესმის, დავუძახე, ხმა არ გამცა, ისევ კვნესის. ჭრილობა მოვიშინჯე, ღრმა არ არის, მაგრამ ეტყობა ბევრი სისხლი გამომსვლია. ტანისამოსი ზედ მიმკრობია და სისხლი გამხმარა. ასანთის სინათლეზე, ჩანთიდან ამო-

ვიღე ჯიბის სამგზავრო აფთიაქი. იოდში ბამბა დავასველე და ჭრილობაზე დავიდე. პავლეს კვნესა ისევ მესმის. ნეტავ როგორ არის? ვაი რომ არ შემიძლია მივუახლოვდე. საშინლად მწყურია წყალი — გასათენებს ამ წამების ღამეს, ყინავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 ივლისი. დილა.

ინათა და ყველაფერი გამოირკვა. მე და პავლე თოკით გამოვდებივართ კლდის ქიმს და იმან გადაგვარჩინა, თორემ უფსკრულში ჩავიჩეხებოდით. პავლე დაჭრილია, მაგრამ ძვალი არსად არ აქვს გატეხილი. ძლივს მივუახლოვდი. ძალიან სუსტადაა. ჭრილობები შევუხვიე. ორიოდე გალეტი მივაწოდე. კიდევ კარგი, რომ თოკი გვიმაგრებს, თორემ საშინელი უფსკრულის პირას ვართ. ჩვენს პირდაპირ ამართულია მაღალი კედელი, თითქო დერეფანში ვიყოთ მომწყვდეული. დღეს ვცადე ისევ ზემოთ ასვლა, მაგრამ მუხლები არ მემორჩილება. ალბათ, ძალიან ბევრი სისხლი დავკარგე, დავსუსტდი, პავლე ჩემზე უფრო ცუდათაა. ცხადია თუ მალე არ მოგვეშველნენ, ჩვენ აქედან ვერსად ვერ წავალთ.

7 ივლისი. საღამო.

... რა საშინელება ყოფილა წყურვილი. პავლე მეტად შეაწუხა. ლოდზე მივეყრდნე და გადავცქერი დაღარულ უდაბურ კლდეებს. მზე ჩადის, შორს მოჩანს შეფერადებული ღრუბლები და მწვანით შემოსილი მთები. რა სიჩუმეა გარშემო. ხანდახან ქვები თუ მოსწყდებიან და ხმაურით ცვივიან ქვემოთ. იციან, რომ აქ მარტონი ვართ და გვართობენ თავიანთი ხმაურით. გადმოვარდება ერთი, დაგორდება და ირღვევა ეს საზარელი მყუდროება. აღარ გრძნობ მარტოობას. ყველაზე უფრო ის მაწუხებს, რომ საბადოს ნახვა არ დაგვცალდა. ძარღვი ზემოთაა თუ ქვემოთ არ ვიცი, მე კი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შემიძლიან. ეს კლდეები მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიარო როდესაც სრულ ჯანღონეზე ხარ. მე მხოლოდ წევრა შემიძლია, განძრევის მეშინია, რადგან ჭრილობები მაწუხებს. ახლო-მახლო არსად არ არის წყალი. პავლე სულ კვნესის და წყალს ითხოვს, მაგრამ არ შემიძლია, ვუშველო. მთელი დღე ეს კლდეები ისე იყო გავარვარებული მზისაგან, რომ სუნთქვა აღარ შემეძლო. სასა გამიხმა და თვალები ამიჭრელდა. ქვემოთ ნაპრალებში მოჩანს ყინვარი. რა კარგია ყინვარი! ზედ რომ დავცემულიყავ, ვსვამდი და ვსვამდი ცივ წყალს. პავლე ბოდავს და, როგორც ეტყობა, თავი მდინარეში ჩავარდნილი ჰგონია, ვიხრჩობი, ცურვა არ ვიცი ყვირის.

8 ივლისი.

...წუხელ იღბლად ჰეჭა-ჭუხილი იყო და ხოშორა ფოველ მოვიდა. ელვის სინათლეზე ვაგროვებდით თოვლს და ვულაპავდით. [illegible] ვიგრძენით. საშინლად ციოდა მთლად დავსველდით და პავლე მთელი ღამე მგელივით ყმუოდა... მე მაინც მოვახერხე და თოვლით მათარა ავავსე, მაგრამ მათარა გატეხილი აღმოჩნდა და წყალი დაღვრილიყო. უკვე მესამე დღეა მშივრები ვართ. ნუ თუ არ მოგვეშველებიან? დღეს უკანასკნელ ძალღონეს ვიკრებ. თუ საღამომდე არ მოგვეშველნენ, ველარ გავათენებთ. წყურვილი ძალზე გვაწუხებს. პავლე კვნესის და ცოლშვილს ეძახის. ჩემ შეკითხვებზე ჩუმდება და გაფართოებული თვალებით მიცქერის...

9 ივლისი. საღამო.

... მეგონა, ველარ გავათენებდი, მაგრამ ბევრი შესძლებია ადამიანს. პავლე ძალიან ცუდათაა. ისე დასუსტდა, რომ აღარც კი კვნესის. თვალდახუჭული წევს. ხანდახან ხელით შევანჯღრევ. თვალს ახელს, მაშასადამე, ჯერ კიდევ ცოცხალია. დღეს კიდევ მქონდა იმედი. მაგრამ ამაღამ, ვფიქრობ რომ უკანასკნელი ღამეა. თვალები ამიჭრელდა და მგონი სმენაც დამისუსტდა.

10 ივლისი.

... თენდება მაგრამ თვალებში სიშავეს ვგრძნობ. უნდა ვიჩქარო და რამდენიმე სტრიქონი დავწერო. მერი, ეს ჩემი უკანასკნელი ბარათია. თუ ოდესმე ეს წიგნაკი ნახეს, ალბათ, გადმოგცემენ და წაიკითხავ. არ მინდა, რომ იგლოვო ჩემი დაღუპვა. არ მიყვარს, როდესაც ადამიანს გლოვობენ. მინდა, რომ შენ თავიდან ბოლომდე განიცადო ახალი ცხოვრების ბედნიერება, ის ბედნიერება, რომელზედაც ჩვენ ორთავე ერთად ოცნებობდით. მინდა, რომ ჩემს შესახებ ვაჟკაცური ხსოვნა შეინახო.

... ჩემო მეგობრებო. თქვენ კომკავშირლები ხართ და ვიცი, რომ ყოველგვარ ზომას მიიღებდით ჩვენს გადასარჩენად. ისიც ვიცი, რომ ბოლოს მომძებნით და ამ მთებში არ დამტოვებთ. წინასწარ გიხდით მადლობას ყურადღებისათვის და მეგობრული თავდადებისათვის... ჩემო რესპუბლიკავ, მინდოდა შენი კარგი მოქალაქე ვყოფილიყავ და დამემტკიცებინა, რომ შენი გულისთვის მე არ მჩვევოდა უკან დახევა. მართალია, დავმარცხდი, მაგრამ იმდენჯერ გადავაბიჯე ამ კლდეებზე სასიკვდილო საფრთხეებს, რომ ჩემი დაღუპვა დამარცხებად არ უნდა ჩამეთვალოს, რადგან შევძელი აქ ამოსვლა და ამას, ალბათ, შემდეგში სხვები უკეთ შეასრულებენ.

... ჩემო მშობლებო, თქვენ თავზარს დაგცემთ ჩემი დაღუპვა. ღარიბი მიწის მუშა გლეხები იყავით და როდესაც დავიბადე, ოცნებაც კი არ შეგეძლოთ იმაზე, რომ თქვენი შვილი „ინჟენერი“ ყოფილიყო. ახალმა დროებამ მოგვცა იმის საშუალება, რომ მე ინჟენერი გავხდეო. ... ეს ... ყველივე დრო არ დაგტოვებთ მარტოს...

...ძალიან დავიღალე. წერაც აღარ შემიძლია. ნეტავ სად არის ახლა მერი? ან ამ წუთში თუ ფიქრობს ჩემზე. ალბათ, თავის ისტორიულ მასალების არქივში ზის და ფურცლავს დრო ჟამისაგან გაყვითლებულ ხელნაწერებს.

... თურმე რა იოლი ყოფილა სიკვდილის მოახლოვება. მე უფრო საშინელი მეგონა. შეიძლება შევეჩვიე და ამიტომ—რამდენიმე დღეა ველოდები. ჭრილობები სრულიად არა მტკივა. ალბათ, სისუსტის გამო. ღონეც თანდათან მელევა და წერაც აღარ შემიძლია. დაწერილ სტრიქონებსაც ვერ ვარჩევ...

... რამდენ ხანს ვიყავი უგრძნობლად, არ ვიცი. არც ის ვიცი, რა რიცხვია. პავლე, მგონია, უკვე მოკვდა, ღამეა თუ ველარ ვხედავ, უცნაური ბინდია გარშემო. სტრიქონებს ვერ ვარჩევ. და ინსტინქტით ვწერ.

... ქარია. ზევიდან ქვები ცვივა. ცივა. მერი მე შენთანა ვარ...“

3 აგვისტო

„საშინლად გამიკვირდა, რომ მერიმ რაღაც წაიკითხა ჩემგან დამალულად და ტირილი დაიწყო. კარგა ხანს იტირა და როდესაც გული მოიჯერა, უცბად მობრუნდა და გადამეხვია. როდესაც მიზეზი ვკითხე, ჩემი დღიურები გამომიწოდა. კლდეზე რომ აღმომაჩინეს, დღიურები ხელში მჭეროდა, მერის თავის ჩანთაში შეენახა და, რადგანაც მაშინ ჩემს გრძნობაზე მოყვანას ცდილობდნენ, დავიწყნოდა. მხოლოდ ახლა შემთხვევით გახსენებია. ამოეღო, წაეკითხა და, მართალი უნდა ვთქვა, როდესაც მეც წავიკითხე, ცოტა არ იყოს, შემრცხვა. თუმცა, რა არის აქ სასირცხო. სიკვდილის პირას ვიყავ და გადავრჩი. გამომგლიჯეს სიკვდილს ხელიდან ბიჭებმა. ახლა ბარემ ამ დღიურებს დავაბოლოებ, თორემ ვინმემ რომ წაიკითხოს, გული დასწყდება. დავამთავრებ ბარემ ჩემს თავგადასავალს.

ხელს მაინც არავინ შემიშლის, რადგან ყველას სძინავს. ჩემს კუპეში არიან მერი, ზაალი და დათიკო. მეორე კუპეში მთასვლელები არიან. მესამე კუპეში პავლეა თავისი ცოლშვილით. ექიმებმა ახტალის აბაზანები დაუნიშნეს. ძველი რევმატიზმი ჰქონია და წამოვიყვანეთ. ერთის სიტყვით, მთელი ვაგონი ჩვენ გვიჭირავს. მატარებელი შხუილით მიჰქრის ტფილისისაკენ. და მე მიხარიან, რომ ხვალ დილით ჩვენს ტფილისს ქალაქში ვიქნებით. იეთიმ გურჯივით მეც დავიძახებ დილას:

„გამარჯობა ჩემო ტფილისს ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი...“

„მარტო ჩასვლით კი არ გავიხარებთ“, ზაალს რამდენიმე ყუთი ვოლფრამიტის ნიმუშები მოაქვს, შესანიშნავი საბადო აღმოჩნდა ის ძარღვი, რომელმაც ასე შემიტყუა ზემოთ. ახლა ტიტიკო აწარმოებს საძიებო სამუშაოებს.

არასოდეს არ ვყოფილვარ მჭმუნვარე, მაგრამ ამ საუცხოვო დაბოლოებამ რაღაცა განსაკუთრებულად მაგრძნობინა სიცოცხლის სიტკბო. თუმცა ამას ყოველი გამარჯვების შემდეგ განიცდის ადამიანი, მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნო ყოფილა ბრძოლითა და გაჭირვებით მოპოვებული გამარჯვება.

ზემოთ ბილიკი რომ ამოიყვანეს, ზაალი მაშინვე ამოვიდა ჩვენს კარავში. მე და მერი ერთად ვისხედით. მერი წიგნს მიკითხავდა. ზაალმა კარავის კალთა რომ გახსნა, შემოიხედა და დაგვინახა ორივე ერთად, თვალი ეშმაკურად მოჭუტა და ძველებურად, ქალაქურად ჩამოიღიღინა:

„მოგიფრინდა სიხარულის ფრინველი,
შიზეზისა გამო სხვისა და სხვისაა“.

შემდეგ გადამეხვია და კოცნით კინაღამ დამახრჩო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ როდესაც ზაალმა პავლეს შეპირებული ასი თუმანი გაუწოდა, პავლე კინაღამ გაგიჟდა, იუარა და იუკადრისა. იმას დარდობდა პირველადაც რომ ვითხოვე იმდენი ფული, ის სამარცხვინო საქმე არ უნდა ჩამედინა, ისა მკლავსო. ახლა სიცოცხლე მაჩუქეთ და ფული ავიღოო. შემდეგ შემეხვეწა, სოფელში არ გამივრცელოთ ხმა, რომ საჩუქარზე უარი ვთქვი, თორემ მომკლავს ჩემი ცოლიო. ზაალმა ბევრი იცინა ამის გამო.

როგორი ზეიმი გაიმართა, როდესაც სოფელში ჩავედით. მთელი სოფელი გაიძახოდა, ამისთანა წელიწადი ჯერ არ მოგვსწრებიაო. მადნების აღმოჩენა, პარაშუტებით დაშვება, გზის გაყვანა, ყველა ეს ამბავი ისე მიეწყო ერთმანეთს, რომ თავი სიზმარში გვგონიაო, ამბობდნენ სოფლელები.

ისმაილმა ერთი კალათა ბაყაყები დაიჭირა და ყველას დასანახავად მოედანზე გაუშვა. აღთქმული მქონდა, ოღონდ ოსიკო ცოცხალი აღმოჩნდებოდეს და ბევრიც რომ დამცინონ ჩემმა მეზობლებმა, ერთ კალათ ბაყაყს დავიჭერო. მე კი წავედი და საპასუხოდ ქვას სამჯერ ვუკბინე. ბევრი ვიცინეთ ამის გამო. ძალიან დავმეგობრდით მე და ისმაილი.

ნაშუალამევის პირველი საათია. ყველას სძინავს. მეც მეძინება. მაშ ხვალ ტფილისში ვართ, ჩვენს ტფილისში! იქ ერთ კვირას დავრჩები და შემდეგ მე და მერი ზღვის პირზე წავალთ ერთი თვით, დასასვენებლად. მინდა ვიგრძნო ზღვის სილბილე და მზის ცხუნვარება.“

(დასასრული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო ადამია

ჩვიდმეტი წელი

ეს თითო წელი, შრომა, ხალისი, ალერსიანი დედის თვალივით
არის ზეიმი ქართველ ხალხისთვის დიდი საბჭოთა თებერვალივით!

იგი სიმღერა არის მჭექარი, ორლესილია მტრისთვის მახვილი
ის გამარჯვების ზეიმი არის, — ხალხის სიმღერა და შეძახილი!

ახლა ჩვენს ზეიმს და ფურჩქვნილობას, ვით ვაჟკაცური გზების მსახველი
მარად თან ახლავს დიდი გმირობა, როგორც უკვდავი ნაცვალსახელი,

როგორც აპრილში კვირტების დაყრა, ფოთოლფენობა თვეში მაისის,
ისე სიცოცხლე ჩვენს ქვეყანაში არის უკვდავი და მარადისი...

უკრავენ გმირულს, ან და სალხინოს მღერიან შინ და მღერიან გარე,
ვერ შეეხება მტერი ვერასდროს აყვავილებულ სამშობლო მხარეს!

უკრავენ გმირულს, დიადს, ვაჟკაცურს, ხმა ეფინება სახლიდან სახლებს,
მღერიან დიდი სტალინის ქებას, მღერიან დიდი სტალინის სახელს!

და ჩვენ, ბედნიერ ახალგაზრდობას, გენიის ზრუნვით ასე დაზრდილებს,
დღე მოგვაგებეს ცისკარიანი, მზის ამოყვანა გაგვიადვილეს, —

ვიხარით ისე, როგორც ბალნარი, დავიზარდენით ასე უვნები,
გამოგვივლია თეთრი ზამთარი და ვარდიანი გაზაფხულები! —

იდიდოს ხალხთა დიდმა გენიამ და დაბადების დღიდან ამიერ
ბავშვი რომ არის, ბავშვიც იმღერის მისი სიცოცხლის მრავალჟამიერს!

ველარ იხილონ ხალხის ვარამი, ხალხი სამშობლოს არის ერთგული, —
არ ჩარჩენილა გულში ბალღამი და ნაღვლიანი გუთნიდედური, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ააწყვეს ყველა ათასი სიმი, წკრიალებს ძალა ჩვენი ხმებისა,
ახალის მოსვლის ეს არის ჰიმნი და უახლესის გამოცხადებისა!

ველარ იხილონ ხალხის ვარამი და სალამური ობლად მკვნესარი, —
დღეს საქართველო არის ბალნარი და ტკბილი არის დედის რძესავით!

ეს თითო წელი! შრომა, ხალისი, ალერსიანი დედის თვალივით...
არის ზეიმი ქართველ ხალხისთვის დიდი საბჭოთა თებერვალივით!

ვადიდოთ მისი სარდალის ძალა და დაბადების ნორჩი წამები,
მან იაზრა და მანვე დასტამბა დიდი ქარტიის დიდი პწკარები!

ათიათასჯერ ათასი წელი წავა, დაიცვენს დღეებს ფურცლებად,
მაგრამ ძალა და სიმღერა ჩვენი იჭექებს, აღარ მოინუსხება, —

ზღვებიც რომ დაშრეს, გადაითხაროს თვალშეუდგამი მთანი მრავალი,
სტალინის აზრი მზე და დროშაა ხალხიდან ხალხში გარდამავალი!

იდიდოს მუდამ დიდმა გენიამ და დაბადების დღიდან ამიერ
ბავშვი რომ არის, ბავშვიც იმღერებს მისი სიცოცხლის მრავალჟამიერს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

მესაზღვრის წერილი დედას

ჩემო ძვირფასო! მაპატიე, ნუ მემდურები,
მოხუცი დედა რომ აქამდე ვერ გინახულე,
შორიდან ვხედავ, აგვსებია საყვედურებით
ეგ თვალები და თბილი გული, მოჭირნახულე.
მელოდებოდა ალბათ ჩემი ეზო და ბაღჩა,
ლობის ნაპირას მოდარაჯე ალვის ხეები...
ვერ გინახულეთ, მოყვარულ გულს ტკივილად ჩაგრჩა,
უძილო ღამე, მოლოდინით სავსე დღეები.
ნუ თუ ვერ იგრძენ? ან და იქნებ გასტეხე ღამე,
როცა განწირვით მტერს ვებრძოდი დაჭრილი მძიმედ,
იქნებ ჭრილობებს მიამებდა ხელი მთრთოლვარე
და შვილს დაკოდილს დამაყრიდი თვალთაგან მძივებს?

ეს ასე მოხდა: ერთი თვის წინ, გარიჟრაჟისას,
როცა ჰჭრებოდნენ ანთებული ცაზე თვალები,
იდგა სიჩუმე ბუმბერაზი თეთრი ზამთრისა,
სდუმდნენ ველები გამოუცნობ იდუმალებით.
მალულ საფარში მოდარაჯედ ვიყავით ორნი,
მე და (სურათით მოიგონე!) ყურცქვიტა „ალმა“,
რა მარდი იყო... გამოხედვა ჰქონდა მას ორბის
და მეგობრისთვის თავგანწირვა იცოდა ძაღლმა...

მივდევდი ფიქრებს... უცებ თითქო თოვლი ატირდა,
ღამის სიჩუმე მოიპარა ფრთხილმა ნაბიჯმა,
თოფი შევმართე, აგერ! ვხედავ ახლო ნაპირთან
მშობლიურ საზღვარს შავმა ლანდმა გადმოაბიჯა.
შევეხმიანე: „სდექ, ვინა ხარ, ხელები ზევით!“
ლანდი დავკარგე, თოვლის ზვინში გადაწვა ალბად,
წამი და... მალულ საფარიდან ამოვიჭერით,

„მტერი დაგვესხა, აბა მარდად, ეძიე ალმა!“
ვეძებთ ნაკვალევს, მივაგენით... იწივლა ტყვიამ,
გვერდში დავიჭერ, მაგრამ მტრისკენ განვაგრძე ფეხთხვა,
აგერ! მტრისაკენ ძაღლმა უკვე გზა გაიკვლია,
მესმის ხრიალი, შებრძოლება და მძიმე ოხვრა.
ახლო მივჩოჩდი, გაშმაგებით იბრძოდა ალმა,
მეც მივეშველე, მაგრამ უცებ... სროლა სხვა მხრიდან...
ერთი საბრალოდ დაიყმუვლა ერთგულმა ძაღლმა,
უკანასკნელად გაიბრძოლა და გაიკმინდა.
წამოვიწიე... მძიმედ ვიყავ გვერდში დაჭრილი
თვალი მერევა... მოვიკრიბე ნარჩენი ძალა,
ორნი ყოფილან, მეკარგება კიდეც აჩრდილი,
მაგრამ გაქცევა ჩემმა ტყვიამ აღარ აცალა.

...როცა სროლაზე მომეშველენ განთიადისას,
თურმე ლაჟვარდი დაგვცქეროდა დაფიქრებული,
თოვლის ზეწარი შეეღება წითლად სისხლის ღვარს...
ვიწექით ოთხნი, უმოძრაოდ, გაფითრებულნი.

იმ ოთხში მხოლოდ მე გადავრჩი, — ალმა აღარ მყავს,
მისი დაკარგვა სინანულად დამრჩება გულში,
მაგრამ ძვირფასო! რითი შევსძლო მისი ასახვა,
რაც განვიცადე პალატაში მწოლარემ გუშინ?
გავხსენ გაზეთი: შიგ უეცრად რა ნახა თვალმა?
ჩემი სურათი და ჩემს გვერდით ერთგული „ალმა“.
ამდენ სიხარულს ვერ გავუძელ, დავხუჭე თვალი,
უხვად მაყრიდა მოგონება წარსულის ფიფქებს,
ბედნიერებით მოლალული, ვიყავი მთვრალი,
დავემორჩილე მოგონების მღელვარე ფიქრებს...
ვნატრობდი, — მომცა მე სიცოცხლე დაულეველი
უშრეტი ძალა, უთვალავი ხელი და გული,
ვიდგე გუშაგად შეუმკრთალი, დაუძლეველი
უდიდეს გრძნობით, კოცონივით ცად ანთებული“...

ჩემო ძვირფასო! მაპატიე, ნუ მემდურები,
რომ თმებს შეევრცხლილს მხოლოდ ფიქრით ვეამბორები,
მნახავ ორდენით,
არ შემხედავ საყვედურებით
და ვიცი ერთურთს მოვეხვევით ნაზი გრძნობებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იეთიმ გურჯი

სიმღერა

იეთიმ გურჯი გილოცავთ
მხიარული დღისა ვარ,
ოცი წელი შესრულდა
სიხარულის თქმისა ვარ.
სალამი ჩვენს ქვეყანას
შვილი წითელ მზისა ვარ,
ნამგალ-ჩაქუჩს ვემთხვევი,
მე ორივე ძმისა ვარ.
სამოთხე რომ შენდება
მეც იმ ბაღის ხისა ვარ,
ბაყაყებს არ ვეკუთვნი,
ორაგულის წყლისა ვარ.
ვისი ქვეშევრდომი ვარ? —
ბელად ფოლადისა ვარ,
ხალხის მოძმე ვიყავი —
თუმც დავბერდი, ისა ვარ.
ჩემს რწმენას ვინ დაღეჭავს,
გულით სპილოს ძვლისა ვარ,
ჭაღარას ნუ მიყურებთ,
განა დიდი ხნისა ვარ!
რაც რო მეფე დავამხეთ,
ეხლა ოცი წლისა ვარ,
ვაშა ჩვენ მეთაურებს,
მხიარული დღისა ვარ!
ჩემი კალმით დარაჯათ
იმათ კარებისა ვარ,
საით ბელადს მივყევართ
მეც იმათი გზისა ვარ,
ჩემი თავი თავის ხმით
მთლად მე სტალინისა ვარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზიორგი ქუჩიშვილი

წითელი პარტიზანელი

სამოქალაქო
ომის გრიგალში
ის იყო იმავ
გრიგალზე მალი
და შიგ შუაგულ
ბრძოლების ალში
ელავდა მისი
შიშველი ხმალი.
წითელ ჩოხაში
ქურანზე მქროლი
ვერსად იხელთეს
დიდხანს თეთრებმა;
ბევრჯერ ადინა
მათ ზურგზე ბოლი,
ბევრჯერ გაექცნენ
პირისპირ შებმას.
მან ხშირად ერთმა
იფრინა მტერი
და მის წახდენას
ვინც დაიკვეხდა, —
ცხენშემართული,
მკლავით ძლიერით,
ხმლის ერთი დარტყმით
შუაზე სჩეხდა.
და ერთხელ,
როცა ბრძოლა მიყუჩდა
და ტყის ბილიკით
ვიდოდა მშვიდათ, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხენი ფრუტუნით
შედგა, გაურჩდა,
და მხედარი რომ
ეხსნა საფრთხიდან, —
შემოტრიალდა
ჭიხვინით უმალ,
მაგრამ ფუღურო
ვეება ხიდან
გამოიჭექა,
შაშხანის ლულამ
და მსხვერპლი ცხენზე
ჩამოეკიდა...

. . . . . .

ქარი ქვითინით
და ვალალებით
აყრიდა ცხედარს
ფოთლებს ნამიანს
და ცრემლიანი
დახრილ თვალებით
სტიროდა ცხენი
გმირ-ადამიანს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

წითელარმიელის სიმღერა

წინ გაშლილა ლურჯი სივრცე
ტალღა ტალღას მოაგორებს;
ჩვენ საზღვარზე ვდგევართ მტკიცედ,
ვიცავთ მშობელ მთებს და გორებს.

დეე ბრაზით ჰქროდეს ქარი
და ჰკიოდეს ღამით ჭოტი, —
არ გვაშინებს ავი დარი,
არ გვაშინებს ქარაშოტი.

ვიცით ფაშიზმს პირსისხლიანს
აბრაზებს და ავსებს შურით
ჩვენი ქვეყნის წარმატება
და კავშირი ჩვენი ძმური.

კვლავ მხეცივით გვიღრენს იგი,
უნდა საზღვრის გადმოქელვა,
მაგრამ აკრთობს ჩვენი ხმალის
და ვარსკვლავის ჩვენის ელვა.

თუ დასძლია სითავხედემ
და შეეხო ის ჩვენს მიწას —
ნახავს წითელარმიელი
დიდ სამშობლოს როგორ იცავს.

ნახავს როგორ დაუზრდია
სტალინს თავის შევარდნები,
რა ირაოს აკეთებენ
მაგარი და სწრაფი ფრთებით.

წინ გაშლილა ლურჯი სივრცე,
ტალღა ტალღას მოაგორებს;
ჩვენ საზღვარზე ვდგევართ მტკიცედ,
ვიცავთ მშობელ მთებს და გორებს.

ჯანტე ალიგჰიერი

საღხინებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქება მეცხრე.

უკვე ანტიურ ტიტანისა ძველმა მიჯნურმა
აღმოსავლეთის მკრთალი ღაწვი აღანთო გზნებით
და გაეცალა თვის საყვარლის ვნებიან ხვევნას;

4 ამოციმციმდნენ თავის მისის გარშემო თვლები
და მიემსგავსა ფორმა მათი გაყინულ ცხოველს,
რომელიც გესლავს ადამიანს თვისივე კუდით;

7 და ღამემ ორი აღმავალი გადადგა ბიჯი,
იმ ადგილს ზემოთ, სადაც მაშინ ვიდექით ჩვენა,
მესამე ნაბიჯს დაეხარა დაბლა მისი ფრთა.

10 მე მომერია ამ წუთშიაც ადამის ვნება
და ძილისაგან დაძლეულმა იქვე ჩავთვლიმე
ხშირ ბალახებში, სად ხუთივე ვისხედით მაშინ.

13 სწორედ ისეთ დროს, როს მერცხალი განთიადის წინ
მოყვება ხოლმე სევდიანად კუთვას და ჭიკჭიკს
თავის პირველად მწუხარების მოსაგონებლად,

16 და სული ჩვენი ხორცისგან განკერძებული
და აზატქმნილი ფიქრებისგან ნაწილობრივად
ვიზიონერულ განცხადებით დაიტვირთება;

19 მეზმანა ვითომც დაჰქროლავდა მაღლა არწივი,
ოქროს ნაკრტენით შემოსილი ცისა ქვეშეთზე,
ფრთებდაწურული დასაშვებად ემზადებოდა.

22 და მომეჩვენა მიტაცებდა ვითომ არწივი,
ვით განიმედი ვეყრებოდი თავისიანებს
ისეთ წუთებში, როცა იგი ღმერთებს მიგვარეს.

---

23. გ ა ნ ი მ ე დ ი, ძველესის მერიქიფე. არწივმა მოიტაცა და წაიყვანა ოლიმპის მთაზე.

25 და ვფიქრობ ჩემთვის, ეგებ იყოს ჩვეული-ეგი
ამ ადგილიდან გაიტაცოს ნადავლი თვისი
და სხვა ადგილზე არ უნდოდეს წაღება ბრძოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

28 მერმე მეზმანა ტრიალებდა ასე მცირე ხანს,
უცებ მეხივით გამოქანდა, დაეშვა ველზე
და გამიტაცა, ამიყვანა ცეცხლოვან ცაში.

31 კვლავ მომეჩვენა, ჩვენ ორივეს მოგვედო ალი,
ზმანება ჩემი კიდეც უნდა შეწყვეტილიყო,
ალბათ ასევე გამოფხიზლდა ერთხელ აქილევს,

34 თვალს აცეცებდა, აქეთ-იქით იმზირებოდა,
ვერ ცნობილობდა იგი თავის ადგილსამყოფელს,
როდესაც დედამ გამოსტაცა იგი ხირონსა,

37 მკერდზე მიკრული თან მიჰყავდა, მერმე ბერძნებმა
სკიროსისაკენ გაიტაცეს მაშინვე იგი,
ასევე მეცა უეცრად შევკრთი, შევშინდი,

40 მთელი სხეული გამეცივდა, გამიკრთა ფერი,
როგორც მავანი კაცი კრთომის ელდანაცემი;
როს გამოვფხიზლდი და მომეშვა თვალთაგან თვლემა,

43 ჩემს გვერდით იდგა ნუგეშინის მომგვრელი ჩემი;
ორი საათით მზეს აესწრო ეთერში გასულს,
ხოლო მე თავათ ვიდექ ზღვისკენ პირშექცეული.

46 „ნუ გეშინია, მეუბნება ჩემი ბატონი,
„დამშვიდდი, უკვე მოვაღწიეთ წყნარ ნავთსაყუდელს,
„ნუ დაძაბუნდი, მოიკრიფე, პირიქით ღონე,

49 „სალხინებელსა მოაღწიე აჰა, ხო ხედავ,
„ის მწვერვალები გარს არტყია მთას განწმენდისას,
„შესავალიც სჩანს მთაგრეხილთა შორის მდებარე.

52 „გარიჟრაჟისა მიწევამდის, ბინდისა პირზე,
„როდესაც შენში სული სთვლემდა ძილმორეული,
ე, მანდ ველის პირს, ყვავილებით მორთულ წალკოტში

---

[33]. აქილევი აღზარდა კენტავრმა ხირონმა. აქილევის დედამ მოიპარა მძინარე ბავი და სკიროს კუნძულზე გადამალა.

55 „მოვიდა ქალი და მომმართა: „მე ვარ ლუჩია,
„ნება მომეცი ეს მთვლემარე თან წავიყვანო,
„მოგეხმარები, ამ გზის განვლას შეგაძლებინებ.

58 „სორდელო დარჩა წარჩინებულ სულებთან ერთად,
„შენ წაგიყვანა, როგორც სხივი ბნელს გაეყარა,
„შეუდგა მაღლობს და მივყევი მის ნატერფალსა.

61 „აქ დაგასვენა; ამის შემდეგ მე მიმითითეს
„მშვენიერ თვალთა მისთა კარი აქ განმზადილი
„და შემდეგ ორნივ უკუიქცნენ იგი და ძილი.

64 „როგორც რომ კაცი მეჭოქმანე გაჯიქდეს ნებით,
„და მღელვარება შეეცვალოს გულდაჯერებულს,
„როს სინამდვილეს აეხსნება პირსაბურველი,

67 ასე ვიცვალე მე გუნება განვაგდე იქვი,
მნახა ბელადმა გადმომდგარი ვიყავ ბექობზე,
მყის დავიძარით და გავსწიეთ მწვერვალისაკენ.

70 ხომ გრძნობ მკითხველო ვით ამაღლდა ჩემი სიუჟეტი,
ნურც გაგაკვირვებს ამიტომაც თუ მეტყველება
ჩემი შევამკო უფრო დიდის ხელოვანებით.

73 ასე ვიარეთ, მივაღწიეთ შემდეგ იმ ადგილს,
სადაც კლდეები გაპობილად მეჩვენებოდა,
როგორც კედელი შენგრეული და შელეწილი,

76 და აქ ვიხილე მცირე კარი და საფეხურნი
ფერად ფერადი ქვებისაგან გაკეთებული.
მუნ სდგა მეკარე, არ იძვროდა, ხმას არ იღებდა.

79 თვალის უპენი გამიდიდდა უფრო და უფრო,
ვნახე ვით იჯდა უკანასკნელ კიბეზე იგი,
ველარ შევძელი ამეტანა შეხედვა მისი.

82 ხელთ ეპყრა ხმალი მას ვადამდის გაშიშვლებული,
სხივთა ირისე ციმციმებდა მახვილის პირზე,
მრავალგზის ვცადე, მაგრამ თვალი ვერ გავუმართე.

---

65. კომენტატორებს ჯერაც გამორკვეული არა აქვთ, თუ ვინ უნდა იყოს ეს ლუჩია, რომელსაც დანტე ახსენებს თავის პოემაში.

118 ერთი ოქროსი და მეორე იყო ვეცხლისა,
ჯერ თეთრი კლიტით, ხოლო შემდეგ ფერად ყვითელით,
შესდო მოქლონში, ამ ამბავმა მე გამახარა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

121 უკეთუ ერთიც კლიტეთ შორის არ მობრუნდება,
თუ თავისუფლად არ მოიქცეს მოქლონის შიგნით,
გვამცნო მეკარემ: დახურული იქნება გზაო.

124 „უფრო ძვირფასი პირველია, ხოლო მეორით
„კარის გაღებას უნდა დიდი გამოცდილება,
„რადგანაც იგი თვით კავშირთა განმთიშველია.

127 „პეტრემ გადმომცა მიანდერძა სჯობს შემეშალოს
„მათი გაღება, ვიდრე მათი კლიტით დაკეტვა,
„ოლონდ ჩემს ფერხთით თავს იდრეკდნენ აქ შემოსულნი.

130 შემდეგ ამისა, მან განახვნო წმინდა ბჭეები,
გვითხრა: „შემოდით, მაგრამ ერთი გახსოვდეთ მხოლოდ,
„უკან მომხედავს მოუხდება გამობრუნება“.

133 მაგრამ როდესაც დაჟანგული კარის რაზები
დაიძრენ მძიმედ, აჭრიალდა მძიმე სპილენძი
და ურდულებმა გაადინეს მყის ყრუ ჟღარუნი.

136 ასე ტარპეის მძიმე ბჭენიც არ გრუხუნებდნენ,
როცა ლომგული მოაშორეს კარებს მეტელი
და ამის შემდეგ გაძარცული დარჩა საუნჯე.

ქება მეათე

როგორც კი ჭიშკრის გავიარეთ ორივემ ზღურბლი,
რომლის გადასვლა ანგარ სულებს აღკვეთილი აქვს,
სულებს, რომელთაც ცთუნების გზა უჩანთ მართალად

---

124. თეთრი, ვერცხლის გასაღები კათოლიკური ეკლესიის სიწმიდის სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

127. იგულისხმება პეტრე მოციქული.

136. ლუკანის პოემაში ნათქვამია: როცა იულიუს ცეზარის ჯარები შევიდნენ რომში, მხოლოდ ტრიბუნმა მეტელმა გაუწია წინააღმდეგობა გამარჯვებულს, მეტელს არ უნდოდა რესპუბლიკის საუნჯე, რომელიც სატურნის ტაძარში ტარპეის კლდეზე იმყოფებოდა, მოწინააღმდეგესთვის დაენებებინა. მეტელი ძალით მოაშორეს და ტარპეის ჭიშკარმა მძიმედ დაიგრუხუნა.

4 და შევიცანი მის გრუხუნზე ვით დაიგმინა,
უკან მოხედვა მცირე ხანსაც რომ განმეზრახა,
აღარ ვიცოდი ვით შევძლებდი თავის მართლებას.

7 შემდეგ გაბზარულ ტინს ავყევით, ავცოცდით ძაღლა,
ქვის ზედაპირი ლივლივებდა აღმა და დაღმა,
როგორც ზღვის ტალღა მიქცევის და მოქცევის ჟამსა.

10 „აქ ცოტა მარჯვედ უნდა ვიყვეთ, ვიაროთ ისე"
მითხრა ოსტატმა „ალაგ-ალაგ მივყვეთ ამ კედელს,
ამ ქვის გალავანს გზის ნაპირად თან გაყოლებულს".

13 ამან იმდენი დაგვაყოვნა სიარულისას,
ამასობაში მთვარის რკალმა მოასწრო კიდეც
თავის ადგილთან მიბრუნება და დავანება,

16 იქ, სადაც ტკბილად მას ეძინა ჩვენს აქ მოსვლამდის.
ვიდრე შევძლებდით ამ ორწოხში გზისა გაკაფვას,
ავედით მაღლა, გაიშალა უკვე სანახი

19 იმ ადგილებში, სად მთის ზურგი იწევა ქვევით.
მე დავიქანცე და ორთავეს მხარი აგვექცა,
გზას ვერ ვაგნებდით და გარშემო იყო ტაფობი,

22 უდაბნოს გზაზე უფრო მეტად უკაცრიელი.
უფსკრულის პირად იყო ფლატე, რომლის სიმაღლე
უდრიდა სამი კაცის ზომას ერთად აღებულს

25 და სანამდისაც თვალის ჩემის მზერა სწვდებოდა,
ირგვლივ იგივე ფლატე სჩანდა გარს მოვლებული,
როგორც მხარმარცხნივ, ისე მარჯვნივ თანაბარ ზომის.

28 ჯერ კიდევ ფეხი ჩვენ არ გვქონდა ზედაც შედგმული,
და მე შევნიშნე რომ ეს ფლატე სჩანდა ყოვლის მხრივ
და არსაიდან აღსავალი ბილიკი რამე.

31 ეს მარმარილოს გალავანი ისე შეემკოთ
ქანდაკებებით, ჩუქურთმებით, რომ პოლიკრეტი
და უფრო მეტი, თვით ბუნებაც სწორს ვერ შეჰქმნიდა.

---

[32]. დანტე ხმარობს „პოლიკრეტს" იგულისხმება ბერძენი მოქანდაკე პოლიკრეტ, ფიდიასის თანამედროვე, ცხოვრობდა 480 წ. ქრისტემდის.

34 მუნ ანგელოსი იმ ზავისა მახარობელი,
რომელსაც მრავლ წლის მანძილზე ცრემლით ვითხოვდით,
და ვინაც ზეცას აკრძალვისა შეხსნა კლიტენი,

37 იდგა ჩვენს თვალწინ ისე ცოცხლად და ისე ცხადლივ,
პოზაც იმდენად ბუნებრივი მიეღო ქანდაკს,
ჩვენ არ გვეგონა ეს ხატება თუ იყო მუნჯი.

40 ასე იტყოდით შესძახებსო იგი მყის „Ave"-ს
და ეს ქანდაკი ატარებდა სახეს იმისას,
რომელმაც წმინდას ჩვენ გაგვიღო კარიბჭეები,

43 და მის კვარცხლბეკზე ზედ ეწერა Ancilia dei
ისე მკაფიოდ, ისე ნათლად სჩანდა წარწერა,
თითქოს მოეჭრათ იგი წმინდა სანთლის ნაჭერზე.

46 „ნულარ მიაპყრობ მარტოოდენ ერთ საგანს მზერას",
მითხრა ოსტატმა ჩემს მახლობლად იმ მხარეს მდგარმა,
რა მხარეზედაც გული უცემს კაცსა ხორციელს.

49 ახლა მე მზერა გადვინაცვლე და დავინახე:
დედაჲ ღვთისა სწორედ იმავ მიმართულებით,
სადაც ოსტატი ჩემი იდგა, ჩემი მხმობელი.

52 სულ სხვა ამბავი იყო ქვაზე ამოკვეთილი.
მე გავუარე ვირგილიუსს და მივეახლე,
რათა პირდაპირ დამენახა ეს ყოველივე.

55 იმავ მარმარზე ამოჭრილი შევნიშნე ეტლი,
იქვე ხარები კიდობანში წყვილად გაბმული,
რათა ყოველი განერიდოს, რაც მას არ ანდვეს.

58 ბრბო ზიმზიმებდა დაყოფილი იქვე შვიდ ხოროდ,
მე ვჭოჭმანობდი, ორ გრძნობაში ერთი ამბობდა:
მღერისო ხალხი და მეორე ამბობდა „არას";

---

40. Ave — ლათ. გიხაროდეს.
43. Ecce ancilia dei — ვარ მონა ღვთისა.

61 აქ ყნოსვისა და მხედველობის ორგანოები
შეეკამათნენ ერთმანეთსა, საკმევლის კვამლი
იდგა მართლაც თუ მომეჩვენა ნახატი რომელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

64 იქვე ცეკვავდა მეფსალმუნე თავმოდრეკილი,
სამოსის ბალთებს ხელს ჰკიდებდა და ზევით სწევდა
და ამ მომენტში სჩნდა მეფეზე აღმატებული.

67 ხოლო პირდაპირ დიდ სასახლის ღია სარკმელთან
იჯდა მელქოლა, განცვიფრება აჩნდა სახეზე
ამ გაწბილებულ და გულბოროტ დიდსა ქალბატონს;

70 დავწინაურდი და გადავაგდე ადგილი იგი,
სადაც ვიდექი, რათა უკეთ ეს დამენახა,
მელქოლას უკან სხვა სურათი ბრწყინავდა ახლა.

73 წარმოდგენილი იყო რომის კეისრის ვაჟის
მაღალი სვე და უებარი ძალმორიდება
რამაც უბადლო გამარჯვება არგუნა გრეგორს.

76 მე აქ ვგულისხმობ თვით ტრაიანს, რომის კეისარს;
მის ცხენის აღვირს ქვრივი ქალი მოსჭიდებოდა
ძაძით მოსილი და მდუღარე ცრემლთა მნთხეველი.

79 ირგვლივ მხედრების, მეომართა მთელი ლაშქარი
შემოჰხვევოდა კეისართა აღმხედრებულსა,
ქარი არხევდა თითქოს დროშებს არწივებიანს.

82 და მოზიმზიმე ხალხის წრეში იდგა ის ქვრივი,
ეევედრებოდა, რომ კეისარს შური ეძია;
მისი ძვირფასი ვაჟის მკვლელის ითხოვდა დასჯას.

85 იმპერატორი ამშვიდებდა: მოიცადეო,
ვიდრე კვლავ მოვალ, ხოლო ქალი სევდით აღვსილი
მუხლმოდრეკილი შეევედრა: „ჰე, მეუფეო,

---

89. მელქოლა ტექსტში Micol საულის ასული, დავითის ებრაელთა მეფის პირველი ცოლი.

88 „თუ არ დაბრუნდი მაშინ რა ვქნა?“ და მან მიუგო:
„ჩემი მემკვიდრე მოგცემს განსჯას“ და ისევ ქალმა:
სხვის სამართალი შენ რას მოგცემს, თუ შენ დასთმე“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

91 და კეისარმან: „ნუ გეშინის, ასე სჯობია
„მოვალეობა მოვიხადო, ვიდრე მე წავალ
„ამას მოითხოვს სამართალი, გულმოწყალება“.

94 იმან ვისთვისაც არ არსებობს რამე ახალი,
მოაწყო ესე საუბარი მოჩვენებითი,
რადგან მიწაზე ასეთი რამ აროდეს ხდება.

97 ვიდრე მე ასე ვერთობოდი და ვეკვრეტდი თანაც
თავმოდრეკილი სათნოების დიად მაგალითს,
თვალის მომლხენელ საოცარი ნახელოვნებით,

100 მითხრა ოსტატმა: მოდიანო ნელის ნაბიჯით
ლანდები ჩვენსკენ ამ მხარიდან განუწყვეტელად,
ჩურჩულით ამბობს ვირგილიუს, ისევ განაგრძო:

103 „სწორედ ესენი აგვიყვანენ მაღლა და მაღლა“.
მყისვე ჭვრეტაში ჩაფლობილი თვალები ჩემი,
გაოცებულნი უჩვეულო სანახაობით,

106 ახლა მიექცა მოზღვავებულ ლანდების ხროვას.
მინდა მკითხველო, შენ შეგაკრთოს სმენამ იმისამ
რა გვარ სინანულს ითხოვს ჩვენგან ცათა უფალი?

109 შენ ნუ უყურებ მარტვილობის სახეს გარეგანს.
იფიქრე მხოლოდ, რომ ამ ტანჯვის ყავლისა სიგრძე
არ გადასცდება უზენაეს განკითხვის საგანს.

112 მე ვუპასუხე: „რასაც ვხედავ, ოსტატო ჩემო
„არ უნდა იყვნენ ჩემის აზრით ადამიანნი,
„რასაც ვერ ვხედავ ურთიერთში აღწერილია“.

**. დანტეს ტექსტში ამ სურათების შემქმნელს ეწოდება fabro, რაიცა ნიშნავს მჭედელს, მეჭარხნეს და სხვა ფრანგულ თარგმანში raifste — გერმ Bildner ქართულში, ტექნიკური დაბრკოლების გამო სხვარიგად მოვაქციე სიტყვა.

115 ვირგილიუსმა მიპასუხა: „ტანჯვის სიმძიმეს
„სულნი ესოდენ მოუხრია მტვერში განრთხმულნი,
„რომ თვალნი ჩემნიც ძლივს არჩევდნენ ფარფატ ალუბალსა.

118 „კარგად დაძაბე მზერის ნიჭი და გაარჩიე
„გამჭრიახ თვალით ქვათა შორის მცოცავნი ლანდნი,
„ჯერ აქიდანაც დაინახავ ვით ფართხალებენ".

121 ჰე, ქრისტეანნო, გულამაყნო და საცოდავნო,
გონებით ბეცნო, სიდუხჭირით დაბრმავებულნო,
ცთუნების გზაზე ამპარტავნად ხართ მოარულნი,

124 ნუ თუ არ ხედავთ ჭია-ღუად რომ გაჩენილხართ
ანგელოსისებრ ფარფლის დარად გამოსაჩეკი.
უნდილ ფარფატით მომფრინავნი განკითხვისაკენ,

127 მაშ რად ამაყობს სული თქვენი ამპარტავანი?
როცა თქვენ მწერებს მიაგავხართ უდღეოდ შობილთ,
მატლებს, რომელთაც არ შესხმიათ ჯერ კიდევ ფრთები.

130 როგორც სხეული ლოდებისგან ნაქანდაკები
სახლის ზედძირკვლის სახურავის დასამაგრებლად,
ქედმოდრეკილი მკერდით მუხლზე გადაყრდნობილი

133 (ასეთ სახეზე ხელოვნური მოსჩანს ტკივილი
მნახველის თვალში), სწორედ ასე დაცუცქულიყვნენ
სულები, როცა დავაკვირდი და ჩავაცქერდი,

136 ერთნი ნაკლებად მოდრეკილი მოსჩანდა, ზოგიც
მომეტებულად განიცდიდა დაწოლილ ტვირთსა,
მაგრამ ყველაზე დამშვიდებულს და მოთმენილსა

139 ზედ ეხატვოდა: ვერ ვუძლებო ამდენ სიმძიმილს.

კონსტანტინე გამსახურდია მიერ თარგმნილი

---

125. ტექსტში nati a formar angelica—დაბადებული ანგელოსურ „ფარფალას" ჰეპლის გასაკეთებლად, სხვათაშორის სიტყვა ფარფალა შემოსულა მეგრულში. ჰეპელა — ფარფალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. ჭეჭელიშვილი

წითელი არმია ქართულ საბჭოთა პოეზიაში

წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩვენი სამშობლოს მშრომელი მილიონების უღრმესი სიყვარულით და მზრუნველობით არიან გარემოცულნი. წითელ არმიას „ურიცხვი მეგობარი და მოკავშირე ჰყავს მსოფლიოს ყველა ნაწილში, შანხაიდან ნიუ-იორკამდე, ლონდონიდან კალკუტამდე“ (სტალინი). წითელარმიელი, წითელფლოტელი — ეს სიტყვები ჩვენს სამშობლოში ამაყად გაისმის. იყო დიდი საბჭოთა კავშირის ღირსეული დამცველი, იყო სოციალიზმის ბედნიერი მხარის ფხიზელი გუშაგი, ნამდვილი პატრიოტი, წმინდათაწმინდად ინახავდე ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის თითოეულ გოჯს — ყოველი საბჭოთა მოქალაქის, წითელარმიელისა და წითელფლოტელის საპატიო, დიადი მოვალეობაა, რომელიც აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში.

ჩვენი არმია და ფლოტი — ეს შეიარაღებული ხალხია. ჩვენი არმია სახალხოა. იგი მტკიცე და მონოლიტურია. ის სცხოვრობს იმავე ფიქრებით, სულისკვეთებით, ჯანსაღი იდეებითა და მისწრაფებებით, რითაც მთელი საბჭოთა ხალხი. მისი გმირული ისტორია თვალმწარტაცი ეპოპეაა, — ისტორია სახელოვანი ბრძოლებისა წარსულის კოშმარული დღეების წინააღმდეგ, თავისი ბედნიერებისათვის, ნათელი მომავლისათვის, სოციალიზმისათვის. ეს ბრძოლები წარმტაც თემას წარმოადგენენ საბჭოთა ლიტერატურისათვის. ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ შეჰქმნა ისტორიაში ჯერ არნახული სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო. წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა ეს მოწოდება. სამოქალაქო ომის ფრონტებზე მან მოიგერია თოთხმეტი სახელმწიფოს შემოტევა, განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან თეთრი გენერლების ბანდები, რომელნიც, ინგლისური ტანკებით და ფრანგული არტილერიით შეიარაღებულნი, სცდილობდნენ სისხლში ჩაეხრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა.

სოციალისტურ სამშობლოს დაცვისათვის წარმოებული ამ ბრძოლების ყოველი დღე ეპოქალური და მანამდე არნახული თემაა მხატვრული შემოქმედებისათვის. რომელ ნამდვილ საბჭოთა მწერალს არ აღაფრთო-

ვანებს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ახალი არმიის ორ-ერთი და ორი გმირული ბრძოლა. წითელი არმიის ბრძოლა თავით ფეხამდე შეიარაღებულ გერმანელ მტაცებელთა შემოტევის წინააღმდეგ — ხარკოვთან და პსკოვთან; მისი სიმამაცე და გაბედულება კალედინის, კრასნოვისა და კორნილოვის სისხლიან ბანდებთან შეტაკების დროს; ცარიცინის, პერმისა და პერეკოპის დაუვიწყარი დღეები; ანტანტის პირველი, მეორე და მესამე ლაშქრობის სრული განადგურება, რითაც წითელმა არმიამ და ფლოტმა მარად უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს, და, ბოლოს, იაპონელი დამპყრობების, მათ სამსახურში მყოფი ატამანების — სემიონოვიჩისა და კალმიკოვის ბანდების დამარცხება, შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციონური არმიების ლეგენდარული გმირობა ვოლოჩაევსკთან და სპასკთან, ვლადივოსტოკის აღება, — აი საბრძოლო ფრონტების არასრული სია. ეს არის, შეიძლება ითქვას, წითელი არმიის გმირული ბრძოლების ყველაზე სამაგალითო ეპიზოდები და მხატვრული შემოქმედების ყველა დარგის,—ამ შემთხვევაში მხატვრული ლიტერატურის, — შთაგონების დაუშრეტელი წყარო. ეს წყარო უხვად მოჩუხჩუხებს და თვალწარმტაც თემებს აძლევს მწერალს. ამ თემების სრულყოფილი ასახვით, გმირული რომანტიკით, აზრის სიღრმითა და ემოციური სიმძაფრით ახალი ფურცელი უნდა გადავშალოთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში.

საბჭოთა ხალხების ლიტერატურას უკვე მოეპოვება ისეთი ნაწარმოებები, რომელნიც მიზნად ისახავენ დაგვიხატონ ამ ბრძოლების ვითარება, წითელი არმიის სახელოვანი ადამიანები. ვგულისხმობთ ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც უკანასკნელი წლის მანძილზე გამოქვეყნდა.

კერძოდ, აღსანიშნავია **ალექსეი ტოლსტოის** მოთხრობა „პური", რომელიც ახლახან დაიბეჭდა. „პური" — ეს ნათელი რეალისტური გადმოცემაა ცარიცინის დაუვიწყარი ბრძოლებისა. ცარიცინის დაცვა სამოქალაქო ომის ბრწყინვალე ფურცელია. სამართლიანად არის ცარიცინი ცნობილი წითელი ვერდენის სახელწოდებით. მარჯვნიდან, მარცხნიდან, — ყოველი მხრიდან უტევდნენ თეთრები ცარიცინს, მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაო აღმოჩნდა. ბრძოლის ეს ცხარე დღეები საუცხოოდ არის დახატული ალექსეი ტოლსტოის მოთხრობაში. ეს მოთხრობა, რომელიც სოციალისტური რეალიზმის პრინციპების განხორციელებას წარმოადგენს, შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ვსწერდეთ წითელი არმიის ბრძოლების შესახებ: აქ მწერალი გვიჩვენებს, რომ წითელი არმიის ყოველ გ[illegible]ვებას, ყოველ წარმატებას საფუძვლად უდევს კომუნისტური პარტიის, ბოლშევიკების პარტიის განუწყვეტელი, უმჭიდროესი კავშირი მუშათა კლასთან და ყველა მშრომელთა მრავალმილიონიან მასებთან. მწერალი გვიხატავს, თუ როგორ გაიყოლია პარტიამ მილიონები, დააყენა ისინი ფეხზე სამოქალაქო ომის წლებში სამშობლოს,

თავისუფლებისა და ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. ამასთან ერთად მწერალს ყურადღების ცენტრში მოქცეული აქვს წითელი არმიის ორგანიზატორების, მისი სახელოვანი ფუძემდებლებისა და ხელმძღვანელების გმირული საქმიანობა.

ამ მოთხრობაში ჩვენ ვხედავთ დიდ **ლენინს,** რომელიც განუწყვეტელივ ზრუნავდა წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის ამაღლებაზე, მილიონების შეიარაღებაზე, ვხედავთ **სტალინს,** რომლის სახელიც განუყრელად დაკავშირებულია წითელი არმიის შექმნასთან, მის გამარჯვებასთან. ალექსეი ტოლსტოი უხვი მხატვრული საღებავებით მოგვითხრობს გენიალური **სტალინის** ინიციატივაზე, მის შორსმჭვრეტელობაზე, მის ფოლადის ნებისყოფაზე, მოგვითხრობს იმ ლაშქრობაზე და ლეგენდარულ ბრძოლებზე, რომლებშიაც იმარჯვებდა **სტალინის** გენიალური სტრატეგია. ამ ბრძოლებში ამხანაგ **სტალინს** გვერდში ედგა ნაწრთობი ლენინელი, საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი, წითელი არმიის საყვარელი სარდალი ამხანაგი **ვოროშილოვი.**

ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს ამ გმირი ადამიანების წარმტაცი ცხოვრება და ბრძოლა. ამ ამოცანის დაძლევის თვალსაზრისით ალექსეი ტოლსტოიმ ხსენებული მოთხრობით გაბედული ნაბიჯი გადადგა.

ამავე მიდგომითაა დაწერილი **ვს. ივანოვის** ახალი მოთხრობა ლეგენდარული დივმეთაურის პარხომენკოს შესახებ. ვს. ივანოვის მოთხრობა ნათელი ფერებით გვიხატავს წითელი კავალერიის გმირულ ბრძოლას პოლონელთა თეთრგვარდიული ჯარების წინააღმდეგ, რომელნიც შემოიჭრნენ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე და რომელნიც პირველმა ცხენოსანმა არმიამ გაანადგურა. ვს. ივანოვის მოთხრობაში ჩვენ ვხედავთ ვოროშილოვს და ბუდიონს, ვხედავთ მათ მასების სათავეში, ვხედავთ ხელჩართულ ბრძოლაში ხმალ და ხმალ პოლონელი პანების წინააღმდეგ.

რუსულ ლიტერატურაში თავდაცვითი თემა — საბჭოთა პატრიოტიზმის თემა—უკვე წამყვან თემად გადაიქცა. ამას მოწმობენ, აღნიშნულ მოთხრობებს გარდა, ვ. კატაევის „მე, მშრომელი ხალხის შვილი“, ვს. ვიშნევსკის რომანი-ფილმი „ჩვენ რუსი ხალხი“, მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ IV ტ. და სხ. თავდაცვის თემა, წამშობლოს თემა ჩვენს ქართულ პროზაშიც წამყვან თემად უნდა გადაიქცეს.

*

* *

ისტორიას შემონახული აქვს მეფის დროინდელი ჯარისკაცის უმწეო ბედის, ტრაგიკული ბედის ურიცხვი და უთვალავი შემაძრწუნებელი ფაქტი და დოკუმენტი. თითქოს მძიმე კატორგაში, ისე მიდიოდა წინათ ჯარში ახალგაზრდა. მას სწამდა ძველი რუსეთის — ხალხთა საპყრობილის — ჯარისკაცების საშინელება. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჯარისკაცი

დაშინებული, დაბეჩავებული და უუფლებო არსებაა. და ახალგაზრდულებიც მხოლოდ მწარე ნაღველით, მხოლოდ ცრემლის ფრქვევით და ეიდედობით სტოვებდნენ ნაცნობ ადგილებს, ამხანაგებსა და მეგობრებს.

ალსანიშნავია, რომ ძველი არმიის ჯარისკაცის ბედისწყევრება ფოლკლორში უკეთაა გამოხატული, ვიდრე ლიტერატურაში. ქართულ ხალხურ ზეპირ-შემოქმედებაში შემონახულია მრავალი საგულისხმო თქმულება და სიმღერა ჯარისკაცზე, მის უმწეობაზე.

განსაკუთრებით მძიმე იყო ჯარისკაცის ხვედრი ყაზარმაში. მეფის ყაზარმა, როგორც ბუდიონი ამბობს, იყო საპყრობილე საპყრობილეში.

მეფის არმიის ჯარისკაცს ოფიცერი თავის კლასობრივ მტრად მიაჩნდა. ხალხური პოეზია ნათლად გამოხატავს ამ მწვავე ანტაგონიზმს. აი, მაგალითად, როგორ სჩივის ჯარისკაცი:

„რამთვენიც ძაღლ შემეყრების, ჩესტზე მაღებინებს ხელსა.
თუ მაღლა ხელს არ ავიღებ, ციხეს მაჩვენებენ ბნელსა.
ამით მასძულდა სიცოცხლე ამ საბრალოს თავსა ჩემსა.
ესენ კი დამლალოიან, როგორც ჩობნებ მსუქან ცხვრებსა.
გამაივლის აფიცერი, მალ-მალ დამკრავს მხარზე ხელსა:
„ეს ბიჭ ყველგან გამადგების, ეუბნების სალდათებსა.
შე გულ-ნაწლევნ ბერევიან, ის რომ მხარზე მისომს ხელსა.
რატო შირაქში არა ვართ? გამაგიყენებდი ცხვრებსა,
აპელატრებსაც აგყრიდი, აგკიდებდი გუდის ძველსა,
უფროსად დაგიდგებოდი, სახელს გასწავლიდი ჩემსა,
ქართულ ქალალდს დაგიწერდი, არც მაგგვრიდი მეენესა.
თუ ჩქარა არ ისწავლიდი, მუშტით ჩაგამტვრევდი ყბებსა“.

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ მეფის რუსეთში სამხედრო ბეგარა სასჯელს წარმოადგენდა. კაცობრიობის ტანჯვის ისტორია ძნელად დაივიწყებს გასული საუკუნის რუსული ლირიკის საუკეთესო წარმომადგენელს პ ო ლ ე ქ ა ე ვ ს, რომელსაც მეფის წინააღმდეგ მიმართული მახვილი პოეტური პამფლეტის დაწერისათვის ჩააცვეს ჯარისკაცის რუხი მაზარა და უკრეს თავი არმიაში, საიდანაც ადამიანები ან სულ არ ბრუნდებოდნენ, ან კიდევ ბრუნდებოდნენ მოხუცებულნი, შეეერცხლილი წვერით, ჯანგატეხილნი და წელმოწყვეტილნი...

თავის ერთ ლექსში პოლექაევი სწერდა:

„... От стальных тесаков
У нас спины трещат,
От учебных шагов
У нас ноги болят.
День и ночь на подряд,
Как волов наповал,
Бьют и мучат солдат
Офицер и капрал.“

პოეტის დასასრული ასეთია: მოკვდა სამხედრო ჰოსპიტალში. მისმა მეგობრებმა რამდენიმე დღის ძებნის შემდეგ ძლივს იპოვეს სარდაფში ვირთაგვების მიერ ნახევრად შეჭმული და დაღრღნილი მისი ცხედარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

დღევანდელი საბჭოთა პოეზია წითელარმიელის შინაარსით მდიდარ და ლამაზ ცხოვრებას გვიხატავს. ქართულმა ლიტერატურამ, ქართულმა პოეზიამ აყვავების ნამდვილი ნიადაგი მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში ჰპოვა. ქართველი პოეტები, რომლებიც აღაფრთოვანა დიადი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, კაცობრიობის ამ გაზაფხულმა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე ჰქმნიან სოციალისტური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს. სავსებით ბუნებრივია, რომ მათი ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩენილიყო სამოქალაქო ომების ქარიშხალი, წითელი არმიის თავგანწირული ბრძოლა, მისთვის მხარის დაჭერა მშრომელთა მილიონების მხრივ.

სამოქალაქო ომების გმირულ ქარტეხილებს უმღერის ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე. თავის „ე პ ო ქ ა შ ი“ გალაქტიონ ტაბიძე, ბრძოლის სხვა მომენტების ასახვასთან ერთად, ნამდვილი პოეტური ოსტატობით და წრფელი განცდებით გადმოგვცემს სამოქალაქო ომის დროის გმირი ბავშვის სახელოვან თავგადასავალს. პატარაა ეს ბავშვი. სულ შვიდი წლისაა. მისი მამა ბოლშევიკია, შეუდრეკელი მებრძოლი. იგი ფრონტზეა, ცეცხლის ხაზზე. წითლები თეთრებს ებრძვიან. თეთრები სრულიად შემთხვევით იჭერენ ბავშვს. მაგრამ იგი იმედს არ ჰკარგავს, მისი თვალებიდან როდი ცვივა ბავშვური შიშისა და ტკივილების მდუღარე ცრემლები. ამ მომენტში იგი ბავშვი კი არა, ვაჟკაცია, მტერს რომ ზარსა სცემს. ბავშვი მოხერხებულად იპარება თეთრების ბანაკიდან და გმირულად უბრუნდება თავის საყვარელ ფრონტს, თავის საყვარელ წითელ არმიას.

გალაქტიონ ტაბიძის შემდგომი დროის ლექსები — „ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს“ და „ყველა წითელარმიელი იდგეს, როგორც ლომი“ — ლამაზი საღებავებით გვიხატავენ წითელი არმიის სახელოვან გზას. მის მშვენიერ აწმყოს და საპატიო ამოცანას.

ქართულ საბჭოთა თავდაცვითს ლიტერატურაში უთუოდ საყურადღებო მოვლენაა პოეტ ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი ს ბალადა „ს ნ ა ი პ ე რ ი“. საინტერესოა ეს ლექსი თავისი სუჟეტით. მასში მოთხრობილია ამბავი ახალგაზრდა ხევსურის გორდასი, რომელიც გმირულად იღუპება საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვის დროს. შანშიაშვილის ლექსში ნაჩვენებია ჩვენი წითელარმიელის საუკეთესო თვისებები, მისი ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე და მხნეობა. კითხულობ ამ ლექსს და

თვალწინ გიდგება ოცი წლის ახალგაზრდა, რომელსაც „სიმარდე აქვს კანჯარის, მუხლი—მთაში ნავალი მგლის, თვალებს შემოგაბათებს, თითქოს დარი იდგეს მზის“. აი, მიჰყავთ ის ჯარში, [illegible] დედა და ახალგაზრდა ცოლი. აცილებენ არა როგორც ძველად ჯარისკაცებს აცილებდნენ დედები— ტირილით და ცრემლით, არამედ სიხარულით იმის გამო, რომ შვილი მიდის მსოფლიოში ყველაზე უფრო საპატიო, ყველაზე უფრო საამაყო მოვალეობის მოსახდელად — სამშობლოს დასაცავად, და დედა აბარებს შვილს:

„იყავ ხალხის ერთგული,
მოიმარჯვე მკლავია,
არ დაინდო ორგულნი,
თავსა დაეც ზარია.
შენი ნებით მიდიხარ
წაგემართოს გზანია.
მშრომელთ გამარჯვებისთვის
არ დაზოგო თავია,
დედა ამას გავალებს“ და სხვა.

და გორდაც მიდის წითელ არმიაში იმ შეგნებით, რომ, თუ გათავხედებული მტერი გაბედავს საბჭოთა საზღვრის გადმოლახვას, ძალას ძალა დაახვედროს, ტყვიას — ტყვია და სიძულვილს — სიძულვილი.

და მართლაც, გორდა გმირულად იბრძვის სამშობლოს სადარაჯოზე, აჩერებს და უკუაქცევს რა მტრის ბანდას, იგი მსხვერპლად ეწირება თავის საპატიო მოვალეობის შესრულებას.

ს. შანშიაშვილის ლექსი „მიმართვა ბელადისადმი“ მგზნებარე ჰიმნია სამშობლოსადმი. პოეტი, როგორც სამშობლოს პატრიოტი, ბელადს გულწრფელ სიტყვას აძლევს:

ჯებირად ხალხი გარტყია,
რკინა — დულაბის არშიად;
თუ ვოროშილოვს დავჭირდით,
ყველაც გვიგულოს ჯარშია.
თვითონ ხარ დროშა უძლევი,
შენი მზე ჩვენში ანთია;
დღეს და ხვალ ჩვენი ძახილი
მტრისთვის ზარი და ზათქია!

ორდენოსანმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა ჯერ კიდევ თავის პიესა „განგაშში“ დაგვიხატა წითელარმიელის სახე, როგორც მებრძოლის, ორგანიზატორული უნარით აღჭურვილი ადამიანის ტიპი. პოეტმა გვიჩვენა მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, რომელიც წითელმა არმიამ აღზარდა და რომელიც მოწინავეა ყველგან — შრომაშიც და ბრძოლაშიც.

მაშაშვილმა ლირიკაშიც მძაფრად გადმოგვცა საბჭოთა პატრიოტიზმის უკვდავი გრძნობა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსი „ჩემი სამშობლოს“. პოეტი ანთებული მხურვალე ოპტიმიზმით უმღერის სამშობლოს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჩემო სამშობლო, შენ გიხაროდეს,
აზრთა გენიის რომ ხარ მშობელი,
ამიერიდან შენ გენიჭება
ხალხთა მადლობა დაუშრობელი...

. . . . . .

ბედნიერი ხარ: „ქართლის ბედისთვის“
ღღეს აღარ ჰგოდებ, აღარ მუნჯდები,
ჰქუხარ სიცოცხლით, შენში მდინარის
ძარღვიც არ არის უხმო, უჩქეფი.
განათებულან ხილთა სინათლით
შენი ხეები, შენი ბუჩქები,
ბედნიერი ხარ! დილის მზესავით
მაღლა იზრდები და იფურჩქნები!“

და შემდეგ პოეტი განაგრძობს:

„ბედნიერი ხარ შენი ერითვე...
და თუ ოდესმე მტერმა ინება —
სცადოს წამითაც რომ შეაჩეროს
შენი აღდგენა, აღორძინება,
სცადოს საბჭოთა ხალხებისაგან
შენი მოწყვეტა და მოცილება, —
შენ გაიმარჯვებ ისევ გმირულად,
გაქვს საამისო გამოცდილება!“

მაშაშვილმა დასწერა აგრეთვე მშვენიერი სიმღერები წითელი არმიისათვის, რომლებიც უკვე გადატანილია მუსიკაზე. ამ სიმღერებს მღერიან ახლა წითელი არმიის ქართული ნაწილები.

სიყვარული წითელი არმიისადმი, სიყვარული მისი მჭიდროდ დარაზმული ლეგიონებისა და ბატალიონებისადმი, სიყვარული ჩვენი ესკადრილიებისადმი, რომელნიც ამაყად დაფრინავენ მშობლიურ ცაზე, — ეს არის სიყვარული სოციალისტური სამშობლოსი. სწორედ ამიტომ ენიჭება უღრმესი მნიშვნელობა თავდაცვის თემას ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაში. ყოველი კარგად დაწერილი ლექსი თავდაცვის თემაზე ზრდის მკითხველის სულში საბჭოთა პატრიოტიზმს, ყოველი კარგად დაწერილი ლექსი წითელ არმიაზე მრისხანება და ტყვიაა ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ეს სიმძაფრე და სიმახვილე უნდა ახასიათებდეს ჩვენს პოეზიას. სამართლიანად ამბობდა საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი ვ. მაიაკოვსკი: „მე მინდა, რომ კალამი ხიშტს გაუთანაბრდეს“. მაიაკოვსკიმ ამით მთელი დიდი პოეტური ეპოქის, მთელი საბჭოთა ლიტერატურის სულისკვეთება გამოამჟღავნა.

ამ სიმახვილისა და მგზნებარე პათოსისაკენ უნდა ისწრაფოდეს ჩვენი პოეზია.

დამახასიათებელია ამ მხრივ ალექსანდრე ჯორჯიაშვილის ლექსი — „ლაშქრული“. ამ ლექსში პოეტი მისთვის დამახასიათებელი ნათელი სახეებით ამბობს, რომ დროშა, სიტყვა და ხმალი ერთი აზრის მთესველნი არიანო. ეს აზრია ჩვენი სამშობლოს ძლიერება, რომელსაც ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში იცავენ სტალინური მოდგმის არწივები, წითელი არმიის სახელოვანი ადამიანები, ღვიძლი შვილები იმ არმიისა, სადაც რიგითი წითელი არმიელიც და მარშალიც ერთი სამშობლოს შვილები არიან, ერთის სიხარულით და ბედნიერებით სუნთქავენ. დიადი ლოზუნგები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ გადმოისროლა, ამ ლექსში ლამაზი მხატვრული სახეებით არის გამოთქმული. აი, მაგალითად, როგორაა გამოხატული წითელი არმიის განწყობილება ომის შესაძლებელ შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს სამშობლოს მტრები შემოესევიან:

„საზღვარს გადავევლებით,
მტრებზე მოხადირენი,
რომ ცეცხლს მივცეთ ველები
დღე და ღამის ბრუნვაში.
დაუნდობლად ვუმტრიოთ
თავხედს სახლის დირენი,
ვჟლიტოთ მხეცი უმგზავსი
მის საკუთარ ბუნაგში.“

სანდრო ეულის ლექსებიდან აღსანიშნავია „გმირი“. ლექსი ეხება წითელი მესაზღვრის გმირობასა და თავდადებას სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე. საზღვარზე, სამშობლოს მიწა-წყლის დაცვის დროს გმირულად იღუპება ახალგაზრდა მესაზღვრე. და იმ ადგილას, სადაც მტერთან ბრძოლაში დაიღუპა წითელარმიელი, სადაც მან ვაჟკაცურად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, თოფით ხელში გმირულად დგება მისი ძმა, და მტერს დაატყდება „როგორც რისხვა და მეხი, თუ გადმოადგა ჩვენსკენ მან ფეხი“.

გიორგი ქუჩიშვილი ლექსში „დიად სამშობლოს“ ამბობს:

„ვიდრე ვსულდგმულობ
ღედამიწაზე,
ჩემო სამშობლოვ,
გწამდეს, იცოდე:
შენს ძლიერებას
და სილამაზეს
შევუქმნი შენებრ
მშვენიერ ოდებს.“

და მართლაც, მის ყოველ ლექსში, მის ყოველ სტროფში იგრძნობა გულწრფელი ხმა და სიყვარული ჩვენი ლამაზი სამშობლოსადმი, საბჭო-

ია ქვეყნის თავდადებული შვილებისადმი. ყოველი მნიშვნელოვანი მომენტი, წითელარმიელთა თუ მფრინავთა უმაგალითო გამარჯვება, გმირული ეპიზოდი, რომელიც კი ჩვენს ბედნიერ აწმყოს [illegible] ებავებით აფერადებს და სოციალიზმის ქვეყანას დიდებ[illegible] ანდედით მოსავს, შესაფერ გამოხატულებას პოულობს გიორგი ქუჩიშვილის ლირიკაში.

ალ. გომიაშვილის ლექსებში სამხედრო-თავდაცვითი თემების შესახებ („ამირანის მეორედ მოსვლა", „ვარსკვლავები კრემლზე", „სნაიპერი", „სნაიპერის სიყვარული", „ფიცი", „სამშობლოსადმი" და სხვა) იგრძნობა ნამდვილი პოეტური აღმაფრენა და პოლიტიკური მგზნებარება. ზემოქმედების მძლავრი ემოციით ხასიათდება „ფიცი". ახალგაზრდა მეომარი, რომელიც მთიდან ჩამოვიდა, მაისის მზიან დღეს ფიცს სდებს:

„.... და სახეში შმაგი ქარი
თუნდაც სცემდეს ფრუნზელს.
ჩხრიალებდეს ნიაღვარი
მეომარის გულზე.
ვფიცავ: მთიდან მოვარდნილი
ახალ ქარიშხალებს, —
არ გასწირავს ხალხის შვილი
რესპუბლიკის მხარეს."

არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ახალგაზრდა მებრძოლის გულის შეშინება. მებრძოლი მზადაა, შაშხანით ხელში, საკუთარი მკერდით დაიცვას ჩვენი წმინდა საზღვრების ხელშეუხლებლობა.

ირაკლი აბაშიძის ლექსი „გმირები" პოეტის დაუცხრომელი აღტაცება და სიყვარულია ჩვენი მშენებლობის ახალი ადამიანებისადმი, საბჭოთა გმირებისადმი. ამ ლექსში პოეტი ამბობს:

„ნუ გაეჭცევი დაბრკოლებას, მოჰყევ, ედავე,
სამხელ მოვიდეს, მდევ-კაცური დაჰკარ სამხელვე;
მხოლოდ ვაჟკაცებს, მხოლოდ მარჯვეთ და გამბედავებს
ვაუნაწილებს ეს ქვეყანა გმირთა სახელებს".

გიორგი კაჭახიძის მიერ თავდაცვის თემაზე დაწერილ ლექსებიდან, კერძოდ, წითელი არმიისა და მისი მებრძოლისადმი მიძღვნილი ლექსებიდან აღსანიშნავია ლექსი „აღლუმზე წითელარმიელებს".

აი იწყება აღლუმი. მტკიცე ნაბიჯით მოდიან მებრძოლები და თან შეუყობრად მოარხევენ შაშხანებს. პოეტი აღტაცებულია მათი მჭუხარე ვაშათი და მზადყოფნის შეძახილებით. მას გულს უფოლადებს ასეთი მძლეთა-მძლე და სახელოვანი არმია.

გ. კაჭახიძე ამ ლექსში ამჟღავნებს მაღალ პოლიტიკურ ალღოს; მან იცის, რომ ჩვენი ქვეყანა 'განმარტოებულ კუნძულზე არ იმყოფება. მის

გარშემო მრავალი კაპიტალისტური ქვეყანაა, რომლებიც ჯერ ითმენენ ჩვენს გამარჯვებებს, და ომისათვის, ინტერვენციისათვის ილესენ კბილებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პოეტის ხმა მძლავრად სჭექს:

„... რომ ძლიერება მეტი გვქონდეს, და მზის ვარაყი
ემატებოდეს ჩვენს ეზოებს, გზებს და სადგურებს,
ომს გაბედავენ? ავდგებით და მტერს იარაღით
მტრულად საკუთარ მიწა-წყალზე გავანადგურებთ!"

შეუძლებელია ამ წერილში განეხილოთ ყველა ის საბრძოლო სიმღერა, რომლებიც შექმნეს ქართველმა საბჭოთა მწერლებმა სამხედრო თავდაცვის თემატიკაზე და რომლებიც შევიდნენ სოციალისტური პოეზიის საუნჯეში. სამხედრო თავდაცვითს თემაზე არა ერთი და ორი ლექსი დასწერეს ვ. გაფრინდაშვილმა, კ. კალაძემ, ი. მოსაშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, ვ. გორგაძემ, ვ. გაბესკირიამ, პ. სამსონიძემ, კ. ბობოხიძემ, ვ. ჟურულმა და სხვებმა. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წარმატება, რომელსაც მიაღწია ჩვენმა საბჭოთა პოეზიამ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ თანამედროვე პოეზიის მიერ წითელ არმიასა და მის მებრძოლზე შექმნილი ლიტერატურული სალარო, როგორც გორკი იტყოდა ხოლმე, ბლომად შეიცავს უნაყოფო ყვავილებსა, ჩენჩოსა და ჩალას. უნდა ვესწრაფოდეთ მხატვრული შემოქმედების უფრო მაღალ ხარისხისაკენ, მრავალფეროვნებისაკენ, თემატურ აქტუალობისა და ენის სიწმინდე-სისადავისაკენ.

და თუ წითელი არმიის და მისი გამოჩენილი მებრძოლების სიმამაცე, სივაჟკაცე, უშიშროების გრძნობა და მზადყოფნა სამშობლოს სასახელოდ თავდადებისათვის ცოტად თუ ბევრად მოცემულია მხატვრულ ტილოებზე ქართველი საბჭოთა მწერლების მიერ, თუ ახალგაზრდობას აღაფრთოვანებს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, საუკეთესო სიმღერები წითელარმიასა და მის მებრძოლებზე, სამწუხაროდ, ქართველი პოეტების კალამი არ შეხებია წითელ ფლოტსა და მის მებრძოლ წითელ ფლოტელს. ჩვენ არ მოგვეპოვება მხატვრული ნაწარმოებები ჩვენი მეზღვაურების ნამდვილ გმირულ ისტორიაზე, სიმღერები წითელ-ფლოტელის ბედნიერ აწმყოზე, მის სიმამაცეზე, თავგანწირვაზე, მის თავდადებასა და უსაზღვრო ერთგულებაზე სოციალიზმის ქვეყნისადმი, ლენინ-სტალინის პარტიის ბრწყინვალე საქმისადმი.

რით უნდა აიხსნას საზღვაო ფლოტის თემატიკით ქართული პოეზიის ასეთი სიღარიბე?

მხოლოდ იმით, რომ საბჭოთა მწერლები ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ მეზღვაურთა წარსული ბრძოლების ისტორიას და თვით წითელ

ფლოტს. ან იქნება ზოგიერთი ფიქრობდეს, თითქოს დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებაში მეზღვაურთა როლი უმნიშვნელო ყოფილიყოს?

ასეთ მოსაზრებას საერთო არაფერი აქვს მეზღვაურთა ბრძოლების ნამდვილ ისტორიასთან, რომელიც ესოდენ მდიდარია თავგანწირვისა და სიმამაცის მაგალითებით.

განა რევოლუციური მეზღვაურები არ იყვნენ, რომლებიც 1917 წელს სათავეში ჩაუდგნენ გემებს, განდევნეს მესაბოტაჟე კონტრრევოლუციონერი ადმირალები და გაბედულად შეებრძოლნენ პირველხარისხოვან გერმანულ ფლოტს? განა მსოფლიოს მშრომელთა აღტაცება არ გამოიწვია, როცა სამოქალაქო ომის ცეცხლოვან წლებში ბალტიკის ნაღმოსნებმა დალეწეს ვერაგი მტრის ურდოები? განა წითელარმიასთან ერთად წითელფლოტელთა განსაცვიფრებელი სიმამაცის წყალობით არ გახდა შესაძლებელი პეტროგრადის მისასვლელთან ინგლისის გემების თავდასხმის მოგერიება? განა ვოლგის ფლოტილია არ იყო, რომ პეტროგრადიდან გაგზავნილი ნაღმოსნების დახმარებით გააცამტვერა თეთრგვარდიელთა ბანდები? ერთის სიტყვით, წითელი მეზღვაურები სამოქალაქო ომის ყველა ხაზზე იყვნენ. დნეპრისა და ვოლგის ფლოტილიების სახელოვანმა წითელფლოტელებმა, შავი ზღვის მეზღვაურებმა, ბალტიელებმა აღმაფრენი დიდების შარავანდედით შემოსილი ფურცლები ჩასწერეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიაში.

ამხანაგი **სტალინი** სწერდა:

„ბალტიელმა მატროსებმა კვლავ ჰპოვეს თავისი თავი და თავისი საგმირო საქმეებით გააცოცხლეს რუსეთის რევოლუციური ფლოტის საუკეთესო ტრადიციები“.

ჩვენ გვაქვს ოქტომბრის ძლევამოსილი რევოლუციისათვის ჩვენი მეზღვაურების ბრძოლის ნამდვილი გმირული ისტორია. ის ცოცხლობს ამ ბრძოლების მონაწილეთა ნაამბობებში, გადმოცემებში, ხალხურ თქმულებებსა და იმ დროინდელ დოკუმენტებში. ისტორია ინახავს და არასოდეს არც დაივიწყებს იმ ახალგაზრდა გმირთა სასახელო გაწვევას, რომლებმაც აღადგინეს სამოქალაქო ომის ცეცხლში ჩაფერფლილი ჩვენი პირველი გემები კრონშტადტსა და სევასტოპოლში და თავისუფლად გასცურეს ბალტიისა და შავ ზღვებში. ისტორია ინახავს და არასოდეს არც დაივიწყებს იმ თავდადებულ ადამიანთა ვაჟკაცობას, იმ ადამიანთა სახელებს, რომელთაც დიდი ოქტომბრის გამარჯვებას შესწირეს თავიანთი ძალა და სიცოცხლეც კი. ეს მაგალითები ჩვენს სამშობლოს ადამიანებს აღფრთოვანებენ, ეს მაგალითები, საზღვაო ფლოტის ეს სახელოვანი წარსული უფრო გაზრდიან ახალგაზრდობის მისწრაფებას — იყოს წითელი ფლოტელი და თავისი მონაწილეობით უკვდავყოს ჩვენი მძლავრი ფლოტების დიდება და უძლეველობა.

ჩვენმა პოეტებმა უნდა მოგვცენ გმირ მეზღვაურთა ეპოპეა, მგზნებარე, სიმხნევისა და გამარჯვების სიმღერები წითელ ფლოტზე, სიმღერები წითელფლოტელის ბედნიერ აწმყოზე და მით უფრო მომავალზე. სულ მალე ქართული პოეზია უნდა გავამდიდროთ სამხედრო-საზღვაო ფლოტის თემატიკით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, გვინდა ერთხელ კიდევ მოვაგონოთ ჩვენს საბჭოთა მწერლებს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე:

„მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენს გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში ღირსეული მხატვრული სრულფასოვანი ასახვა“.

ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ეს სიტყვები ქართული ლიტერატურის შესახებ დღესაც სავსებით ძალაში რჩება, მით უმეტეს ქართული პოეზიის, სოციალისტური ლირიკის მისამართით, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოგვცა ეპოქის შესაფერისი თავდაცვითი სიმღერები და სამხედრო თემატიკით ვერ გააფართოვა თავისი შემოქმედებითი ჰორიზონტი.

საბჭოთა მწერალი უნდა დაეუფლოს თავდაცვითს თემას, თავდაცვითს მეცნიერებას, ჩვენ უნდა შევქმნათ მძლავრი სამხედრო თავდაცვითი ლიტერატურა. ჩვენმა მწერლებმა მხატვრულ სახეებში უნდა გვიჩვენონ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, ჩვენს ლიტერატურაში თავისი სახე უნდა დაინახონ ჩვენი დიადი სამშობლოს ამ მგზნებარე პატრიოტებმა, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგულმა ადამიანებმა, სოციალიზმის ქვეყნის საიმედო დამცველებმა, ჩვენი აყვავებული სამშობლოს და ჩვენი მშვიდობიანი შრომის ფხიზელმა გუშაგებმა. ჩვენმა ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს წარმტაცი ცხოვრება იმ ადამიანებისა, რომლებიც გამოაწრთო ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ და რომელთათვისაც არ არსებობს აუღებელი ციხე-სიმაგრე.

და თუ სისხლიანი ყორნები გაბედავენ ჩვენი ქვეყნის წმინდა საზღვრების გადმოლახვას, მთელი საბჭოთა ხალხი მკერდით დადგება საყვარელი სამშობლოს დასაცავად. ამ მომენტში ბრძოლის სიმღერით, მგზნებარე სიტყვით, მარჯვე გასროლით, ვაჟკაცური წიგნით საბჭოთა მწერლებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მრ. ასტვაცატურიანი

ნ. ა. ნეკრასოვი

ცხოვრება და შემოქმედება

რევოლუციონერი დემოკრატი, დიდი რუსი სახალხო პოეტი ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვი დაიბადა 1821 წლის 4 დეკემბერს აზნაურის ოჯახში. პოეტის წინაპრები ოდესღაც ძალიან მდიდრები ყოფილან. მისმა მამამ მემკვიდრეობით მიიღო მხოლოდ რამდენიმე ათეული ყმა-გლეხი და „ცოტაოდენი" მიწა. ალექსი ნეკრასოვი (პოეტის მამა) მეფის ოფიცერი იყო. მას ცოლად ჰყავდა შეძლებული პოლონელი მემამულის ქალიშვილი, ელენე ანდრეის ასული ზაკრევსკი. იგი კულტურით და ხასიათით ქმრის სრულიად ანტიპოდურ პიროვნებას წარმოადგენდა. ალექსი ნეკრასოვი გახრწნილი, საშინელი დესპოტი და უკულტურო ადამიანი იყო, ელენე კი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული, ნაკითხი, ხელოვნების მოყვარული და ჰუმანური გრძნობების პატრონი. როცა ნიკოლოზი დაიბადა, მამამ სამსახურს თავი დაანება და დაიწყო ცხოვრება თავის სოფელში, გრეშნევოში. იქ ის სავსებით ფუქსავატ ცხოვრებას მიეცა. მთელ დროს ქალებთან გართობაში, ქაღალდის თამაშში, სმასა და ნადირობაში ატარებდა, მხეცურად ექცეოდა გლეხებსა და ცოლს. იშვიათი არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ქმარს შვილის თანადასწრებით სასტიკად უცემია ცოლისათვის და ხეზე მიუბამს იგი. ელენე ქმრის ოჯახში ისე გრძნობდა თავს, როგორც მოსამსახურე სასტიკი ბატონის ხელში. იგი ბაღში ჩადიოდა, სევდიანი, მთელ დღეებს ბავშვებთან ალერსსა და ტირილში ატარებდა. ნიკოლოზს ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში განმარტოებული დედის წამება, და შემდეგში როცა კი პოეტს დედის ამბავი გაახსენდებოდა, მის ლირიკულ ჰანგებს სევდის მოტივები მოიცავდა ხოლმე. პოეტს ძალიან უყვარდა დედა, მამა კი სძულდა, თავის ლექსებში მას ჯალათად და დამღუპველად იხსენიებდა.

დედის მძიმე მდგომარეობასთან ერთად პოეტი ბავშვობაშივე ხედავდა გლეხთა და ბურლაკთა საშინელ შევიწროებას ბატონებისაგან. ნეკრასოვის სახლის გვერდით შარა გზა მიდიოდა. ამ გზით ხშირად მიჰყავდათ

ციმბირისაკენ ხელფეხშეკრული პატიმრები. ეს გარემოება ბავშვის თვალს არ გამოჰპარვია, ის უკვირდებოდა გლეხთა მძიმე და უუფლებო მდგომარეობას, მაგრამ მისი მიზეზების ასხნა მას, როგორც ბავშვს, ჯერ არ შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურმა ბავშვობამ და იმ მძიმე ბატონყმურმა რეჟიმმა, რომელსაც ნეკრასოვი თავის ოჯახსა და სოფელში ხედავდა, ინსტიქტურად შთაუნერგეს მას, ერთის მხრით, ღრმა სიძულვილი მებატონეებისადმი, ბატონყმურ უფლებისადმი, ექსპლოატაციისადმი საერთოდ, ხოლო მეორეს მხრით — გულითადი სიყვარული დაჩაგრულ ხალხისადმი. ამასთან ნეკრასოვში ბავშვობიდანვე გამომუშავდა ხასიათის სიმტკიცე, გამბედაობა-გულადობა.

განზრახვისა და სურვილის მისაღწევად ნეკრასოვი ბავშვობიდანავე შეეჩვია დაბრკოლების გადალახვას, „გმირობის" გამოჩენას. უკანდახევა და განზრახვაზე ხელის აღება მის ჩვეულებას არ შეადგენდა. განზრახულის შესრულება მისი ღრმა „რწმენისა" და თავმოყვარეობის საგანი იყო. რწმენა და თავმოყვარეობა კი ნ. ნეკრასოვისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე ყველაფერს წარმოადგენდა.

ნ. ნეკრასოვს ძალიან უყვარდა გლეხის ბავშვები, თავისუფალი დროის დიდ ნაწილს მათთან ატარებდა. გლეხის ბავშვების სიყვარული მან ბოლომდე შეინარჩუნა. მისი ჰუმანური გრძნობები რაღაც უშუალო მშობლიური სიყვარულის ცეცხლით აინთებოდნენ ხოლმე სოციალური პირობებით დაჩაგრულთა შვილების დანახვაზე. ნ. ნეკრასოვს უყვარდა გლეხებიც. მათთან უშუალო შეხვედრის დროს სწავლობდა გლეხთა მდგომარეობას და მათ ნაამბობს სამახსოვრო წიგნაკში იწერდა. ნიკოლოზ ალექსის-ძეს, — იგონებს ერთი მოხუცი კოლმეურნე გლეხი, — ძალიან უყვარდა ბავშვები. როცა კი მოვიდოდა ჩვენთან, აუცილებლად კამფეტებსა და ნამცხვრებს მოგვიტანდა, შემდეგ დაჯდებოდა და დიდხანს გვეთამაშებოდა და გვებაასებოდა. ნეკრასოვი ამ დროს უკვე მოზრდილი იყო. მას ჯიბეში ყოველთვის ჰქონდა ფანქარი და უბის პატარა წიგნაკი. ჩვენთან თამაშსა და ბაასს რომ გაათავებდა, დაიწყებდა საუბარს ბაბაჩემთან. ამ საუბრის თემა უმთავრესად გლეხთა მდგომარეობა იყო. ნადირობის დროსაც, როცა კი რომელიმე გლეხს შეხვდებოდა, ნეკრასოვი ყოველთვის გამოჰკითხავდა, თუ როგორ ცხოვრობდნენ, რა აწუხებდათ და როგორ ეპყრობოდნენ მათ ბატონები. შემდეგ დაჯდებოდა და ყველაფერს დაწვრილებით ჩასწერდა თავის წიგნაკში.

ნ. ნეკრასოვი, — ამბობს იგივე კოლმეურნე, — ეხმარებოდა გლეხებს, იგი ალერსიანი და კეთილი კაცი იყო.

ნ. ნეკრასოვის ცხოვრების გასაცნობად მდიდარ მასალას იძლევა მისი მოწაფეობის პერიოდი. ამ პერიოდმა განსაკუთრებული კვალი დააჩნია

ნეკრასოვის ცხოვრებას და ძლიერი იმპულსის როლი შეასრულა მისი გონებრივი გაღვიძების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერთმეტი წლის ნეკრასოვი (1832 წ.) მშობლებმა ტვერის გიმნაზიაში შეიყვანეს. იქ ბავშვს საშინელი რეჟიმი დაუხვდა. ბატონებული ბიუროკრატიზმი და სქოლასტიკა ვერ იზიდავდა ჭკვიან, თავისუფალ გონებისა და სპეტაკი გრძნობის ბავშვს. იგი გულგრილად უსმენდა მასწავლებელთა ახსნას, ცუდად სწავლობდა გაკვეთილებს. თითქმის მთელ დროს წიგნების დამოუკიდებელ კითხვას ანდომებდა. ნეკრასოვი ვერ იტანდა აგრეთვე მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისადმი ცუდ მოპყრობას. ნეკრასოვი ამხანაგებისაგან პოეტური ნიჭითაც გამოირჩეოდა: სწერდა ლექსებს. ამ ლექსების დიდი ნაწილი სატირიკული ხასიათისა იყო, უმთავრესად მიმართული მოსწავლეების მიერ ათვალწუნებულ მასწავლებლების წინააღმდეგ.

გიმნაზიის კურსი ნეკრასოვმა ვერ დაამთავრა. იგი გამორიცხეს, როგორც იმდროინდელი ბიუროკრატიული სკოლისათვის შეუფერებელი მოწაფე. მისი გამორიცხვის საბაბად გახდა უმთავრესად მასწავლებლების წინააღმდეგ მიმართული სატირიკული ლექსები და მამის მიერ სწავლის ფულის გადაუხდელობა. მამა საერთოდ დიდი სიყვარულით არ ეპყრობოდა თავის შვილს და ხალისით არ იხდიდა სწავლის ფულს.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, — ამბობს ხალხური ანდაზა. გიმნაზიიდან გამორიცხვამ ნეკრასოვს ერთგვარი სარგებლობაც კი მოუტანა. გიმნაზიიდან გამორიცხვის შემდეგ ნეკრასოვის მთელი არსება წიგნების დამოუკიდებელმა კითხვამ გაიტაცა. წიგნების დამოუკიდებელმა კითხვამ დააჩქარა მისი შეგნების გაღვიძება, არსებულისადმი შეურიგებლობის გრძნობის გაღვიძება. ნეკრასოვის ცნობილი ბიოგრაფის ჩუკოვსკის გადმოცემით, ნეკრასოვს განსაკუთრებით შეჰყვარებია წიგნი „Корсар" (რომანტიკული ტრაგედია სამ მოქმედებად, გამოცემული 1827 წელს). ამ წიგნიდან მისი ყურადღება მიუპყრია მტარვალების წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებს და მოწოდებას თავისუფლებისაკენ:

„Он должен погибнуть, этот тиран коварный!...
Источить свободу из крови, пронзить сердце тирана!..
Любовь и свобода, укрепите руку Гюльнары!.."

არ შეიძლება ეჭვის შეტანა, რომ ამ წიგნს მართლაც შეეძლო პირველი ნაპერწკლის როლი შეესრულებინა ბატონყმური ურთიერთობისადმი შეურიგებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის იმ ძლიერი ცეცხლის გაღვივებაში, რომელსაც ვხვდებით რუსულ ლიტერატურაში ნეკრასოვის პოეზიის სახით. მაგრამ, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული გავლენა ნეკრასოვის პროგრესიული სულის გამომუშავებაზე იქონიეს რუსული პოეზიის ისეთმა მწვერვალებმა, როგორიც იყვნენ პუშკინი და ლერმონ-

ტოვი, სახელდობრ, ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა, ალბათ, პუშკინის „თავისუფლება“-მ, რომელიც ნეკრასოვს ბავშვობაშივე წაუკითხავს, მისმა „სოფელ“-მა, ლერმონტოვის „პოეტის სიკვდილ“-მა, და სხვა. პუშკინის ოდამ „თავისუფლება“-მ, გააღვივა ნეკრასოვის სპეციალურ ბავრისა და უსამართლობისადმი შეურიგებლობის ცეცხლი, რომლის ალიც შემდეგში თანაბარის ძალით სწვდებოდა საზოგადოებრივ ასპარეზზე მომქმედ ახალგაზრდობას, განმანთავისუფლებელი იდეებისათვის მებრძოლ თაობებს. პუშკინის ეს ლექსი იმ თავითვე იპყრობდა პროგრესიული ახალგაზრდობის ყურადღებას. ლექსი დაწერილია რადიშჩევისა და საფრანგეთის რესპუბლიკელთა იდეური ზეგავლენით. იმდროინდელი რუსეთისათვის, კერძოდ რუსული პოეზიისათვის იგი საკმაოდ რევოლუციურ მოვლენას წარმოადგენდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აღნიშნული ლექსი დეკაბრისტებისათვის ხელიხელ საგოგმანები გახდა. დეკაბრისტების ხელში „თავისუფლება“ და „სოფელი“ მეფის საწინააღმდეგო პროკლამაციების როლს ასრულებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფის მოხელეებმა ოსტატურად მოაწყეს დიდი პოეტის ვერაგული მკვლელობა, როცა პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ რუსულ პოეზიაში გაბატონდა თავადაზნაურულ-ლიბერალური მოტივები, როცა პოეზიის „წამყვან“ ძალებად გადაიქცნენ ნაკლები ნიჭის პოეტები, როცა პუშკინისა და ლერმონტოვის სისხლჭარბი პოეზია „შესცვალა“ სისხლნაკლულმა პოეზიამ, ცხადია, პუშკინის ყოველ ლექსს, განსაკუთრებით მებრძოლი რევოლუციური ხასიათის ლექსებს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ბუნებრივად უნდა მივიჩინოთ ის, რომ სწორედ პუშკინის „თავისუფლებამ“ და სხვა ამგვარმა ლექსებმა გააღვიძეს ნეკრასოვის პოეტური ნიჭის ჯანსაღი ტენდენციები. ამ გარემოებაზე თვით პოეტიც მიგვითითებს ერთერთ თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსში:

„Хотите знать, что я читал? Есть ода
У Пушкина, названье ей: „Свобода“.

6. ნეკრასოვის გიმნაზიიდან გამორიცხვის შემდეგ მამამ გადასწყვიტა გაეგზავნა იგი პეტერბურგს სამხედრო სამსახურში. დედას არ უნდოდა შვილი სამხედრო ბიუროკრატიულ მოხელედ აეზარდა. თითონ ნეკრასოვსაც მოლვაწეობისა და „კარიერის“ სრულიად სხვა სფერო იტაცებდა. მამის გადაწყვეტილება მისთვის მეტად მძიმე იყო. ნეკრასოვმა იცოდა, რომ ძვირად დაუჯდებოდა დესპოტი მამის სურვილის წინააღმდეგ წასვლა, მამა ასეთ საქციელს არ აპატიებდა, მაგრამ ის მაინც არ გაჰყვა მამის მიერ არჩეულ გზას. როცა მამამ ნეკრასოვი პეტერბურგს გაგზავნა სამხედრო სამსახურში შესასვლელად, იგი უნივერსიტეტში შევიდა თავისუფალ მსმენელად. ნეკრასოვი ფიქრობდა, რომ თან ისწავლიდა და

თანაც მოახერხებდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან დაახლოვებას, ლექსების დაბეჭდვას. მამა სასტიკად განარისხა შვილის მოულოდნელმა საქციელმა, ურჩობისათვის შეუწყვიტა ყოველგვარი მატერიალური დახმარება და სრულიად უპატრონოდ და უნუგეშოდ დასტოვა ნაოცდაოცდალი ახალგაზრდა უცხო ქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ნეკრასოვი საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა. მას არა ჰქონდა საქმელი პური, ჩასაცმელი და ძალიან ხშირად ღამის გასათევიც კი. დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე იგი ქუჩაში დარჩა მახლობლებისაგან მიტოვებული, ნახევრად მშიერ-მწყურვალი. ქუჩაში დარჩენილს ხშირად მთელი დღე იმაზე უხდებოდა ფიქრი, თუ როგორ ეშოვა ფული ლუკმა პურისათვის. მწარე სინამდვილემ პოეტი მიიყვანა პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. რედაქციებთან დაახლოვება მის საოცნებო საგანს შეადგენდა, მაგრამ ახლა ნეკრასოვი მივიდა იქ არა შემოქმედებითი წვის ზეგავლენით, არამედ გაჭირვებით იძულებული. რედაქციებში მან დაიწყო წერა ყველაფერზე, სწერდა დაკვეთით რედაქციებისათვის ყოველდღიურად ისეთ საგნებსა და თემებზე, რომლებიც ხშირად არ ეფარდებოდა მის სულიერ მოთხოვნილებას, პოეტურ მოწოდებას.

ასეთი იყო ის მძიმე გზა, რომელიც აირჩია ნ. ნეკრასოვმა თავისი სურვილით. მაგრამ პირვანდელმა, ოდნავ გაღვიძებულმა ცხოვრების ჭეშმარიტი მხარის ინსტიქტურად შეგრძნობის უნარმა ბუნებრივად წაიყვანა ნეკრასოვი იმ მიმართულებით, სადაც მის პოეტურ ნიჭს შეეძლო ეპოვნა თავისი შესატყვისი სულიერი საზრდო და გამხდარიყო დიდ სახალხო პოეტად.

როცა ნ. ნეკრასოვმა უარი სთქვა მამის მიერ არჩეულ გზაზე, ამით მან ზურგი შეაქცია არა მარტო თავის დესპოტურ, ფეოდალურ ოჯახს, არამედ მთელ ძველ ცხოვრებას და იმ კლასს, რომელმაც იგი წარმოშვა. ნ. ნეკრასოვი ამაღლდა თავისი ეპოქის მოწინავე იდეებამდე და გახდა დაჩაგრული ხალხის სასიცოცხლო ინტერესების პოეტური გამომხატველი.

როგორც ვიცით, პეტერბურგში წასვლამდე ნეკრასოვს მრავალი ლექსი ჰქონდა დაწერილი. იქაც დასწერა რამდენიმე ლექსი. ეს ლექსები თავიანთი ფორმით და შინაარსით არაფერს ეუბნებოდნენ ახალს მკითხველს. ამ ლექსებში მოსჩანდა ფრაზიორი და ეპიგონი დამწყები პოეტი. რომელიც დიდ გავლენას განიცდიდა მეორე ხარისხოვან თავადაზნაურულ პოეზიისას და ბაძავდა თითქმის ყველა ლექსს, რომელსაც კი კითხულობდა. ეს იყო პირველი წლები, როცა პოეტს ჯერ კიდევ არა ჰქონდა ჩამოყალიბებული ლიტერატურული შეხედულებები, არ ესმოდა პოეზიის საზოგადოებრივი როლი და პოეზია გასართობ საგნად მიაჩნდა. აშკარაა, ამ ეტაპზე თვითონ პოეტს არ შეეძლო ეგრძნო თავისი სუსტი მხარე და სათანადო ანგარიში გაეწია მისთვის. ნ. ნეკრასოვში ბუნებრი-

ვად მოცემული იყო შინაგანი პოეტური წვა, ნიჭი, მოწოდება. ამას გრძნობდა თვითონ და ეს ყველაფრად მიაჩნდა. დაჯერებული იყო, რომ მისი ლექსები ყურადღებას მიიქცევდნენ და პოეტის სახელს მოუხვეჭდნენ. ამიტომ ნეკრასოვი შეუდგა საოცნებო საქმის განხორციელებას — ლექსების გამოცემას. ამასთან ნეკრასოვი ფიქრობდა, რომ წიგნის გამოცემით პოეტის პოპულარულ სახელსაც მოიხვეჭდა და სახსრებსაც შეიძენდა. მაგრამ გამოუცდელი ახალგაზრდა პოეტი მწარედ მოსტყუვდა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში.

1840 წელს პოლევოის დახმარებით და რედაქტორობით ნეკრასოვმა მოახერხა ლექსების პირველი წიგნის—„Мечты и звуки"-ს გამოცემა. ის იყო წიგნმა გავრცელება დაიწყო, რომ პოეტს სასტიკად დაესხა თავს პროგრესიული კრიტიკა, თუმცა ლიბერალურმა კრიტიკამ შეაქო უმნიშვნელო შენიშვნებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი მოაზროვნისა და კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის გამოხმაურება. ულმობელი იყო ბელინსკის კრიტიკა ნეკრასოვის ამ ეპიგონური და მოწაფური ლექსების მიმართ. ბელინსკის კრიტიკა ისეთი ძლიერი იყო თავისი ლოგიკით და დამაჯერებელი არგუმენტაციით, რომ აიძულა პოეტი ღრმად ჩაჰკვირებოდა თავის ნაბიჯს და იქიდან სათანადო დასკვნა გამოეყვანა. ნ. ნეკრასოვი სავსებით დარწმუნდა თავისი ნაბიჯის შეცდომაში, იგი მაშინვე წავიდა წიგნის მაღაზიებში, გამოიტანა თავისი წიგნები და გაანადგურა — დასწვა ისინი.

ამ პირველმა მარცხმა უარყოფითად არ იმოქმედა პოეტზე. პესიმიზმისა და დაცემულობის ნაცვლად, მარცხმა ახალი ძალა და შემოქმედებითი ენერგია შემატა პოეტს, თვალები აუხილა, პოეზიის საზოგადოებრივი ძალა და მნიშვნელობა აგრძნობინა. მან მწარედ დასცინა საკუთარ წიგნს, დაბეჭდილ ლექსებს „ბავშვობის ცოდვები" უწოდა და სამუდამოდ აიღო ხელი იმ ყალბ სტილზე, რომლითაც დაწერილი იყო ისინი. შემოქმედებითი გზის გადაფასებას მოჰყვა ახალი, ორიგინალური და დიდი პოეტური პოტენციის მქონე ლექსები, რომლებმაც სულ მალე გვიჩვენეს ავტორის პოეტური ძალა და ნიჭი.

მარცხის პირველ წლებში პოეტმა შრომისმოყვარეობის არაჩვეულებრივი უნარი გამოამჟღავნა. ასეთი შრომისმოყვარეობა იშვიათი მოვლენა იყო ლიტერატურის ისტორიაში და, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ნაწარმოებთა ხარისხი, მარტო ეს მოვლენა ღირდა ყურადღების ღირსად. „მათი რაოდენობა, — ამბობს ჩუკოვსკი, — თითქმის დაუჯერებელი იყო. 1840 და 1841 წლებში მან დასწერა იმდენი ვოდევილი, სტატია, ზღაპარი, ლექსი, მოთხრობა, რეცენზია, რომ სხვა მწერალს მთელს სიცოცხლეში ეყოფოდა... შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როდის სჭამდა, როდის იძინებდა... ტყუილად არ უთქვამს მას სიკვდილის წინ თავის სიჭაბუკის წლების შესახებ: გონებისათვის მიუწდომელია, თუ

რამდენს ვმუშაობდი!“ ორმოციანი წლების დასასრულისათვის პოეტი უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, მან 1843 წელს გამოსცა მეორე წიგნი, რომელმაც მკითხველი მასის ყურადღება მიიპყრო.

მაგრამ გადამწყვეტი გავლენა ნ. ნეკრასოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე იქონია ჯერ ბელინსკთან, ხოლო შემდეგ ჩერნიშევსკისთან და დობროლუბოვთან დაახლოვებამ. ბელინსკისთან დაახლოვებამ სავსებით შესცვალა ნ. ნეკრასოვის პოეზიის ხასიათი, მისი მიმართულება და პოეტური გამოსახვის სტილი. ამიერიდან მან პროგრესიულად დაიწყო აზროვნება და დემოკრატის თვალით შეხედა საზოგადოებრივ მოვლენებს. მის მეხსიერებასა და გონებაში ახლებურად წამოისახა ბავშვობის დროის ნახული და განცდილი, გლეხობის დუხჭირი ცხოვრება, თავად-აზნაურთა აღვირასხსნილება. თავისი მამის სიმხეცეს ის უკვე უყურებდა არა როგორც ადამიანის პირად ვიწრო ზნეობრივ საქციელს, არამედ როგორც კანონზომიერ სოციალურ მოვლენას. ნეკრასოვი ცდილობს თავისი შემოქმედებით დაუახლოვდეს მშრომელთა ინტერესებს და ემსახუროს მათ, რასაც აღწევს კიდეც. ნეკრასოვზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ბელინსკის წერილმა გოგოლისადმი, რომელსაც ლიტერატურულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ წერილით დიდხანს სწავლობდა იგი მხატვრული სიტყვის ფასსა და საზოგადოებრივ-ისტორიულ დანიშნულებას. ამ წერილით მიაგნო მან ჭეშმარიტი სახალხო შემოქმედების ნამდვილ გზას. ამიერიდან პოეტის ცხოვრება და შემოქმედება ერთი დიდი მიზნის განუყრელ ნაწილებად გადაიქნენ. ნეკრასოვს აღარა ჰქონდა პირადი ცხოვრება, ამ სიტყვის მეშჩანური ინდივიდუალიზმის გაგებით, იგი სულ მალე გადაიქცა მასებისათვის, კერძოდ რევოლუციური ახალგაზრდობისათვის უაღრესად საყვარელ პოეტად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მწერალს, მაქსიმ გორკის გამოკლებით, სიცოცხლის დროს, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში, არ ღირსებია მკითხველი მასის ისეთი პატივისცემა და სიყვარული, როგორიც წილად ხვდა ნ. ნეკრასოვს. ნ. ნეკრასოვი გარემოცული იყო რევოლუციური ახალგაზრდობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის უზომო სიყვარულით. ეს ახალგაზრდობა ნეკრასოვს ყველაზე მაღლა აყენებდა, რადგან იმ დროს სწორედ მისი, ფორმითა და შინაარსით ახალი და გასაგები ლექსები ახდენდნენ ყველაზე ძლიერ იდეურ ზეგავლენას. რაც უნდა გადაჭარბებულად გვეჩვენოს ახალგაზრდობის ასეთი გატაცება ნეკრასოვით, ის მაინც ბუნებრივი იყო. სწორედ ნეკრასოვი აძლევდა რევოლუციურად განწყობილ მასების ბობოქარ სულს შესატყვის მხატვრულ საზრდოს უდიდესი ექსპრესიითა და პათოსით.

ამ სიყვარულის აზრი უფრო გასაგები გახდება ჩვენთვის, როცა ზოგადოდ მაინც გავეცნობით ნეკრასოვის მრავალმხრივად მნიშვნელოვან

პოეტურ შემოქმედებას, მისი პოეზიის ბუნებას, რეალისტური სტილის თავისებურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ეპოქა, რომელშიაც მოუხდა პოეტს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, იყო ნიკოლოზ პირველის საშინელი რეაქციის ხანა. გერცენის სიტყვებით რომ ვსთქვათ, იმ მომენტიდან, როცა 1825 წლის 14 დეკემბერს ნიკოლოზ პირველი ზამთრის სასახლის კიბეზე ავიდა, რუსეთში რეაქციის ძალზე სუსხიანი ყინვა დასადგურდა. დეკაბრისტების გამოსვლამ ნიკოლოზ პირველს სამუდამოდ დაუკარგა მოსვენება, რევოლუციის ლანდი სიზმარშიაც კი თვალწინ ედგა და ძილს უფრთხობდა. ამ შიშს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ მისი მეფობის პერიოდში ევროპაში ადგილი ჰქონდა რევოლუციებსა და გლეხთა მრავალ აჯანყებას. ასეთი იყო: 1830 წლის რევოლუცია საფრანგეთში, 1848 წლის რევოლუციები საფრანგეთსა და გერმანიაში, პოლონეთის აჯანყება 1830 წელს და გლეხთა აჯანყების ზრდა რუსეთში.

რევოლუციის თავიდან ასაცილებლად ნიკოლოზ პირველმა სახელმწიფოში ჟანდარმული რეჟიმი გაამეფა. ყოველნაირად ზღუდავდა იგი თავისუფალ აზრს და სასტიკად უსწორდებოდა ურჩებს.

ამგვარ პირობებში ბუნებრივი იყო, რომ ისეთი დიდი გენიოსები, როგორიც იყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი და სხვები, არსებულისადმი უარყოფითად უნდა ყოფილიყვნენ განწყობილი. პუშკინი და ლერმონტოვი, რომლებიც ებრძოდნენ ნიკოლოზ პირველის ჟანდარმულ რეჟიმს და ბატონყმური ურთიერთობის საზიზღარ ფორმებს, ამ ბრძოლაში ვერ ხედავდნენ დასაყრდენ ძალას, რის გამოც ისინი დარჩნენ განმარტოებულ აბსტრაქტულ ბუნტარებად პოეზიაში. გოგოლი უარჰყოფდა კაპიტალიზმის განვითარებას და ფეოდალურ ურთიერთობის თვალსაზრისზე იდგა, იძლეოდა მხოლოდ თავისი კლასის მახინჯი მხარეების მახვილ კრიტიკას. მწერალთა დიდ ნაწილში მაგრა ჰქონდა ფეხი მოკიდებული ლიბერალურ განწყობილებას. ამ მწერლებს ბევრი რამ არ მოსწონდათ, მაგრამ მაინც უარყოფითად უყურებდნენ აქტიურ ბრძოლას არსებულის წინააღმდეგ. ამასთან ჟანდარმულმა რეჟიმმა წარმოშვა წვრილფეხა მწერლებისა და პოეტების მთელი წყება, რომელიც ქება-დიდების შარავანდედით მოსავდა მეფის ტახტს.

პუშკინისა და ლერმონტოვის ფიზიკური წასვლით ლიტერატურული ფრონტიდან ნ. ნეკრასოვის გამოსვლამდე პოეზიაში გაჰქრა ჯანსაღი სიტყვა და აზრი და როცა ნ. ნეკრასოვი სამწერლო ასპარეზზე გამოდიოდა რუსულ პოეზიაში ერთგვარად „წყნარი“ სიტუაცია „მეფობდა“. სუსტი იყო დემოკრატ-რევოლუციონერთა წრე. ის მხოლოდ ერთეულებისაგან

შესდგებოდა, და ამ წრეს არც ისე დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ ინტელიგენციაზე. ამიტომ ბუნებრივიც იყო, რომ თავადაზნაურულ წრიდან წარმოშობილმა პოეტმა ნეკრასოვმა, თუ გინდ კიდევ [illegible] ეკუთვნოდა მას ნათელი წარმოდგენა პოეზიის წმინდათა წმინდა [illegible], განიცადა თავადაზნაურულ მწერალთა ერთგვარი გავლენა შემოქმედების პირველ ეტაპზე. ნ. ნეკრასოვს ჯერ კიდევ არ ესმოდა მაშინ ნიკოლოზ პირველის მონარქიისა და ბატონყმური ურთიერთობის პოლიტიკური აზრი, ვერ იხედებოდა იგი მოვლენათა სოციალურ სიღრმეში. „Мечты и звуки"-ს პერიოდის ლექსები ავტორის სწორედ ამ სუსტი მხარეების დემონსტრაცია იყო და ისინი მოკლებული იყვნენ მწერლის ინდივიდუალურ თავისებურებას. მაგრამ ბელინსკის ზეგავლენით ნეკრასოვმა ხელახლა შეაფასა თავისი პირველი გამოსვლა და ახალი თვალსაზრისით შეიარაღებულმა დაიწყო ნოვატორული პოეზიისა და საკუთარი პოეტური მეტყველების სტილის შექმნა, ჩამოყალიბება. მან რუსულ ლიტერატურაში შეიტანა ახალი იდეური ტენდენციები, ახალი შინაარსი და ფორმის სისადავე.[1] ნეკრასოვმა ლექსს ახალ თემასთან ერთად მოუნახა ახალი მიზანსწრაფვა. „მართლის თქმა არის ჩემი მიზანი", ამბობდა იგი და ამ მართლის თქმაში გულისხმობდა არა თავისი წარმომშობი კლასის ლიბერალურ კრიტიკას მისი გამოსწორების მიზნით, არამედ ტიპიური გარემოს ზოგად ხასიათის რეალისტური სურათების შექმნას, სოციალურ უსამართლობასთან აქტიურ ბრძოლას მისი ძალდატანებით შეცვლისათვის.

დემოკრატ-რევოლუციონერთა აშკარა გავლენამ ორმოციანი წლების დასასრულიდან მკვეთრად ჩამოაყალიბა ნეკრასოვის პოეტური მრწამსი და მოქალაქობრივი უფლებისა და მოვალეობის მაღალი შეგნება. ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის დახმარებით ნ. ნეკრასოვმა შესძლო პოლიტიკურად და სოციალურად სწორად გაეგო არა მარტო მოსახლეობის დიდი ნაწილის — ქალაქისა და სოფლის მშრომელების გაჭირვებული და უუფლებო მდგომარეობის მიზეზები, არამედ იმის მიზეზებიც, რაც ცხოვრებამ მწარედ აწვნია მას ბავშვობიდანვე. ნ. ნეკრასოვმა 50-იანი წლების დასაწყისიდან გარკვეული პერსპექტივა მოუნახა თავის ფანტაზიას. ეს პერსპექტივა მან დაინახა იმ პოლიტიკური ბრძოლის განვითარებაში, რომელიც დაიწყეს ორმოცდაათიანი წლების დემოკრატებმა და განავითარეს შემდეგ 60-70-იანი წლების ხალხოსნებმა ცარიზმისა და პატონყმური უფლების წინააღმდეგ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს, ნეკრასოვმა ღირსეულად დაიცვა ამ თაობათა

[1] შემცდარია პროფ. ს. დანელიას მოსაზრება, თითქოს ამ შემთხვევაში ნეკრასოვი დაშორდა პუშკინის პოეზიას, როგორც მიუღებელს. პირიქით, ნ. ნეკრასოვმა ღიდად ისარგებლა პუშკინის პოეზიით და განავითარა მისი საუკეთესო მხარეები: ხალხურობა, სისადავე, იდეურობა.

ტრადიციები და შეჰქმნა ეპოქის მოთხოვნილების სიმაღლეზე მდგომი პოლიტიკური პოეზია.

ახალმა, რევოლუციურმა რწმენამ უდიდესი ძალა მისცა პოეტს, დააკავშირა იგი ხალხის სულსა და გრძნობასთან, გადააქცია ხალხის სევდისა და მისწრაფების გამომხატველ პოეტად, თავისი ეპოქის მოწინავე პოეტად. ნ. ნეკრასოვის პოეზიის მომაჯადოებელი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთ მოწინავე პოეტს მეოცე საუკუნემდე არ გამოუსახავს თავისი დროის მოწინავე იდეები ისე მკვეთრად და რელიეფურად, როგორც გამოსახა ისინი თავის პოეზიაში ნეკრასოვმა, არც ერთი პოეტი არ მისულა თავისი გრძნობებით ხალხის განცდებთან ისე ახლოს, ისე თბილად, როგორც მივიდა ნეკრასოვი.

ახალი პოლიტიკური შეხედულებებით შეიარაღებამ ნეკრასოვს, როგორც პოეტს, საშუალება მისცა თავისი პოეტური სტილი ნათელ ხაზებსა და აქტიურ ფორმაში ჩამოეყალიბებინა. ნეკრასოვმა თვისობრივად განავითარა პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიის საუკეთესო მხარეები. ხალხურობა მან გადააქცია თავისი პოეტური მეტყველების საფუძვლად. ამ საფუძველზე შეჰქმნა ნეკრასოვმა პოეტური ხელოვნების დამოუკიდებელი ფორმა, რიტმი, ინტონაცია, რაც ძალიან უახლოვდებოდა ხალხური ლექსების ფორმას, რიტმსა და ინტონაციას. ნ. ნეკრასოვმა ახალი რამ შეიტანა რეალიზმის მანამდე არსებულ გაგებაშიც. ნეკრასოვის წინამორბედი (და ბევრი მისი თანამედროვე) კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები ასახავდნენ ცხოვრების უარყოფით თვისებებს, გაბატონებული კლასისა და რეჟიმის ბოროტ მხარეებს, უკეთეს შემთხვევაში ჰგმობდნენ ბოროტებას, მაგრამ არ აღიარებდნენ მის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების, ბრძოლის საჭიროებას. სრულიად სამართლიანად შენიშნავდნენ ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი ასეთ მწერალთა გმირების შესახებ: ისინი არიან ლამაზი სიტყვის ადამიანები, მაგრამ შორს დგანან პრაქტიკული საქმისაგან, ეშინიათ განახორციელონ ცხოვრებაში თავიანთი მოწინავე შეხედულებები და ამ განხორციელების პროცესში დასძლიონ წამოჭრილი სიძნელეებიო. დაახლოვებით ამავე აზრს გამოსთქვამდა ნეკრასოვი მათ შესახებ:

„Это в простом переводе выходит,
Что в разговорах он время проводит;
Если не за дело возьмется — беда,
Мир виноват в неудаче тогда“.

ნ. ნეკრასოვის რეალიზმს ფესვები აუცილებლად წარსულში აქვს, იქიდან გამოდიან ისინი და არ შექმნილან დამოუკიდებლად ჰაერიდან, როგორც ზოგიერთი ფიქრობს. მაგრამ ის ა ხ ა ლ ი, რაც მან შეიტანა ადრინდელ რეალიზმში — ეს არის მოვლენის აქტიური ხედვა, სოციალურ-პოლიტიკური გააზრება, მოქმედება და დამახასიათებელი დეტა-

ლების ზოგად ტიპიურ ხასიათებად განზოგადების უნარი. თუ ჩვენ ნ. ნეკრასოვის რეალიზმს რევოლუციურს ვუწოდებთ, მისი თავისებურება უფრო კონკრეტულად შემდეგნაირად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ:

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები ასწერდნენ გამატრებული ბოროტების ცალკეულ მოვლენებს, ჰქმნიდნენ ცალკეულ დამოუკიდებელ სურათებს და არ აკავშირებდნენ მათ, როგორც ზოგად მოვლენას, ბატონყმური ურთიერთობის სინამდვილესთან. ნეკრასოვი მწარე სინამდვილის ცალკეული სურათის, ეპიზოდისა და ბოროტების ცალკეული მოვლენისაგან ჰქმნის ბატონყმური წყობილების ერთ მთლიან, განზოგადებულ სურათს, რომელიც უნდა შეიცვალოს ბრძოლის გზით.

ამ თავისებურებამ ნეკრასოვის შემოქმედება გადააქცია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსული რევოლუციური ლიტერატურის სათავედ.

მას შემდეგ, რაც ნეკრასოვმა დაჰგმო თავისი ძველი „შეხედულება" პოეზიაზე, როგორც „სათამაშო ნივთზე", პოეზიას ივი უაღრესად უტილიტარულად უყურებდა, სთვლიდა მას ხალხის ხელში იარაღად ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნეკრასოვმა რუსულ პოეზიაში პირველმა წამოსწია წინა პლანზე შინაარსი და იდეა. მის შესახებ თავისუფლად შეგვიძლიან გავიმეოროთ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას სიტყვები, ნათქვამი მეორე დიდ ქართველ მწერალზე, ილია ჭავჭავაძეზე, რომ პოეზიას „საფუძვლად აზრი ჩაუდო, ზედ დასდგა გრძნობის ტაძარი"-ო.

ნ. ნეკრასოვმა თავისი შემოქმედების თემატიკურ ფონად აირჩია ცხოვრების სრულიად ხელუხლები სწერო; მან ლიტერატურაში შემოიყვანა დაბალი ფენების წარმომადგენლები და ნათელ სურათებად გადაშალა მათი მდგომარეობა, განცდები, ოცნებები, დახატა ლიტერატურისათვის „ახალი ცხოვრების" პლასტიკური სურათები.

ნ. ნეკრასოვმა თავისი შემოქმედების ზოგადი პრინციპები გამოამჟღავნა ჯერ კიდევ 1846 წელს ლექსში „სამშობლო". შემდეგ ეს ზოგადი პრინციპები მხატვრული აზროვნების დასრულებულ პროგრამად ჩამოაყალიბა ლექსში „პოეტი და მოქალაქე". პოეტი გრძნობდა, რომ პოეზია დასცილდა თავის დანიშნულებას და მრავალმილიონიან ხალხში ცოტა მოიპოვებოდა ნამდვილი მოქალაქე. ამიტომ პოეტმა თავის პოეზიაში პოლიტიკური ბრძოლა მტკიცედ შეუთავსა „მშობელი ქვეყნის მოქალაქის" მაღალი მოვალეობის პროპაგანდას, რაც მისი ეპოქისათვის უპირველესი ამოცანა იყო. მოქალაქე, პოეტის გაგებით, უნდა ემსახურებოდეს დაჩაგრული ხალხის თავისუფლებას, თავისუფალი სამშობლოს მოპოებას. პოეტიც, მისი თქმით, „მშობელი ქვეყნის მოქალაქის" ღირსებით უნდა იყოს აღჭურვილი. მისი ღრმა რწმენა, რომ მშრომელი გლეხობა აუცილებლად მიაღწევს გამარჯვებას და თავისუფალი შრომის სა-

ფუძველზე შეჰქმნის თავისთვის ბედნიერ ცხოვრებას, აქტიურსა და მებრძოლს ხდიდა პოეტს, იგი აღვიძებდა ხალხს „საკაცობრიო“ იდეისათვის საბრძოლველად:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სირცხვილი არის, დროა დგებოდე!
ხომ იცი, ხანა დაგვიდგა ძნელი,
ვისაც აქვს გრძნობა მოვალეობის,
გული მართალი, მოუსყიდველი,
ვისაც აქვს ნიჭი, გამჭრიახობა,
არა, მას ძილი არა შვენის დღეს...
გამოიღვიძე; ბოროტი დაჰგმე“.[1]

„ბოროტად“ პოეტი გულისხმობს მეფის მონარქიასა და ბატონყმობას. სანამ ეს ორი მაჯლაჯუნა თავს აწვა ხალხს, თავისუფალ სამშობლოზე ფიქრი შეუძლებელი იყო. ამიტომ მთელი მახვილი მან ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართა, დაიწყო ხალხის გამოღვიძება და პოლიტიკური პროპაგანდა დემოკრატ-რევოლუციონერთა გავლენით.

ნ. ნეკრასოვი ამაღელვებელი ფერებით ხატავდა გლეხთა მდგომარეობას და პოლიტიკურ უუფლებობას. ამ ფონზე დამაჯერებლად და მიმზიდველად იძლეოდა იგი ღირსეული მოქალაქის ვალს თავისი სამშობლოს წინაშე, ამ სიტყვის კარგი გაგებით. იმდროინდელი მკითხველიც პოეტის ყოველ სიტყვას სწრაფად აიტაცებდა და საბრძოლო დროშად გაიხდიდა ხოლმე:

„ვით დედის ტანჯვას და მწუხარებას
მშვიდად უცქიროს, ვერ შესძლებს შვილი,
ვერც მოქალაქე შესძლებს ვარგისი
სამშობლოსადმი იყოს გულგრილი.
კვლავ უმწარესი სად არის დარდი!
სამშობლოსათვის ცეცხლში ჩავარდი,
მოკვდი რწმენისა და ტრფობისათვის...
მოკვდი ამაყად დაუძრახველი.“

უფრო გაბედულ მოთხოვნას უყენებს ნეკრასოვი პოეტს. თუ არ ვარგიხარ როგორც პოეტი, — მიმართავს იგი პოეტს, — „არ გევალება შენ პოეტობა, მოქალაქის კი მუდამ გდევს ვალი“. მაგრამ თუ პოეტი ხარ, „სანამ ვერ ხედავ ვერსაიდან მზეს, სამარცხვინოა იყო მძინარი“-ო, და დასძენს:

„შენ კი, პოეტო! რჩეულო ზეცით,
სიმართლეს შენგან რომ ელის ერი,
არ დაიჯერო, რომ შენი ქნარის
არ იყოს ღირსი კაცი მშიერი“.

[1] ნ. ნეკრასოვის ლექსები ქართულად მოგვყავს გრ. ცეცხლაძის თარგმანის მიხედვით.

ნ. ნეკრასოვს ძალიან აწვალებდა მოქალაქის პრობლემა. მას, უნდოდა ყველა ადამიანში, მათ შორის პოეტშიაც, დაენახა ნამდვილი მოქალაქე — „ერთგული შვილი სამშობლო ქვეყნის“. ნ. ნეკრასოვს სამშობლო სრულიად სხვანაირად ესმოდა, ვიდრე ფეოდალურ პატრიოტებს — სამშობლოდ იგი გულისხმობდა ბატონყმური მონარქიისაგან [illegible] მომავალ რუსეთს, სადაც თავისი თავის პატრონი თვითონ კერძო მესაკუთრე მშრომელი გლეხი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით, მან გაჰკიცხა ბატონყმური რუსეთი ჯერ კიდევ 1846 წელს, რისთვისაც მას ლიბერალები „სამშობლოს“ ღალატსა და სიძულვილს სწამებდნენ. ვერ წარმოიდგენთ, გვეუბნება პოეტი, თუ ამ „სიძულვილში“ ჩემი სამშობლოს რაოდენი სიყვარულიაო. მართლაც, თავისუფალი, მომავალი სამშობლოს ეს სიყვარული მისი ლექსის ყოველ სტრიქონში მოსჩანს. მას სძულდა სევდისა და მწუხარების „სამშობლო“, ფეოდალური რუსეთი, სადაც იტანჯებოდა მშრომელი ხალხი.

პოეტი გულისწუხილით აღნიშნავს, რომ ყველა ჯურის ხალხი გამრავლდა, „მოქალაქე კი სამშობლო ქვეყნის“ ძალზე ცოტაა.

„ბარონ ვაჭრები და კადეტები,
მოხელეები, აზნაურები,
საკმარისი გვყავს თუნდ პოეტებიც,
მაგრამ ჩვენ გვინდა მოქალაქენი.

...დღეს ვინ არ მგოსნობს,
არ წინამძღოლობს, არ სენატორობს,
ვინ გნებავთ, რომ თავს გმირად არ სცნობს,
არ მეურნეობს, არ პლანტატორობს,
მოქალაქე კი მშობელი ქვეყნის,
აბა, მიჩვენეთ ერთი სად არის?“

ნ. ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქე“ იმდროინდელ რუსეთში ნამდვილ ყუმბარასავით გავარდა, მან დაარღვია „მყუდროება“ და საბრძოლო განწყობილება შეჰქმნა. ამ ლექსის რევოლუციური ხასიათი კარგად შეაფასა მეფის მთავრობამაც. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო ჟურნალ „სოვრემენიკის“ წინააღმდეგ, სადაც ეს ლექსი გადაიბეჭდა. გაცემულ იქნა განკარგულება, არსად არ ეხსენებინათ ეს ლექსი, არ მოეყვანათ ციტატები, ან არ დაებეჭდათ ხელმეორედ. ამავე განკარგულებით დასაშვები იყო პოეტის გინება, ქება კი არა.

ნ. ნეკრასოვმა საკუთარი შემოქმედების მაგალითზე გვიჩვენა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პოეტი-მოქალაქე.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ნეკრასოვმა თავის პოეზიაში უმთავრესად სოფელი გვიჩვენა. სოფელი მან დაგვანახა სრულიად ახალი კუთხით. თავადაზნაურული მწერლები თითქმის ყოველთვის მხოლოდ ზედაფენის ცხოვრებას გვიჩვენებდნენ, ასწერდნენ ამ ცხოვრებას იდეალურ ფერადებში. უკეთეს შემთხვევაში იძლეოდნენ „მორალური“ სიმახინჯის ცალკეული მოვლენების კრიტიკას. მათ ნაწარმოებებში არა სჩანდა ხალხი, გლეხი თავისი მდგომარეობით და მოქალაქობრივი უფლებით. ნ. ნეკრასოვმა გაბედულად გაუღო ლიტერატურის კარები ხალხს, შეიყვანა ლიტერატურაში მანამდე უცნობი ტიპები და დახატა მათი სისხლჭარბი სურათები მეფის რუსეთის ტიპიურ ფონზე. ასევე მოიქცა ნეკრასოვი ქალაქის მიმართ. ნაცვლად პეტერბურგის გრანდიოზული, საზეიმო სახისა, მან გვიჩვენა შიმშილისა და გაჭირვების, ავადმყოფობისა და სიკვდილის პეტერბურგი. ნეკრასოვმა დაგვიხატა პეტერბურგის უაღრესად რეალისტური სურათი. „საზეიმო“ პეტერბურგს, სადაც მუქთახორები ნეტარებით ცხოვრობდნენ, ნ. ნეკრასოვმა დაუპირდაპირა „შავი“ პეტერბურგი ვიწრო და ბინძური ქუჩებით, ბნელი და ცივი სარდაფებით, სადაც იტანჯებოდნენ და გაჭირვებაში სულს ღაფავდნენ მშრომელები. მან გვიჩვენა პეტერბურგის ის უბანი და ის კუთხე, სადაც ცა მუდმივად მოღუშული იყო, ცხოვრება კი უხალისო.

პირველი ლექსები, რომლებითაც მიიქცია ნეკრასოვმა მკითხველის ყურადღება, როგორც დემოკრატმა პოეტმა, იყო „გზაში“ და „იავ-ნანა“. ეს ლექსები დაიბეჭდა 1845 წელს „პეტერბურგის კრებულში“, რომელშიაც, გარდა ნეკრასოვისა, მონაწილეობას იღებდნენ ტურგენევი, გერცენი, ბელინსკი, დოსტოევსკი. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელი იყო როგორც თემატიკური, ისე პოლიტიკური ტენდენციების სიახლე. პირველ ლექსში პოეტი იძლევა ბატონყმური ძალადობის მსხვერპლი ქალის ტრაგედიას. მეორე ლექსში სასტიკად დასცინის „ჩინოვნიკობას“, მსხვილ ფეოდალურ-მემამულურ კერძო მესაკუთრეობას. პოეტი „იავ-ნანაში“ მიმართავს ბავშვს: იძინე მშვიდად, სანამ უდანაშაულო ხარ, გაიზრდები, გარეგნულად „ჩინოვნიკი“ გახდები, სულით კი საძაგელი (подлец), მრავალ სართულიან სახლს იყიდი, მიიღებ დიდ ჩინს, გახდები ბატონი, რუსი მემამულე და ჩვეულებრივად გაატარებ შენს საძაგელ და მომაბეზრებელ ცხოვრებასო. ეს იყო სასიკვდილო დაცინვა იმ თავადაზნაურული ახალგაზრდობისა, რომელიც მეფის მოხელეობასა და მაღალ „ჩინებზე“ ოცნებობდა. ამ ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს გერცენზე და ბელინსკზე. გერცენი მიესალმა ნეკრასოვს, ბელინსკიმ დიდად შეა-

ფასა მისი ბუნებრივი ნიჭი: „იცით კი თქვენ, — სწერდა ბელინსკი ნეკრასოვს ამ ლექსების გამო, — რომ თქვენ პოეტი ხართ — ეროვნული პოეტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლექსები არც მოწინააღმდეგე ბანაკს გამოჰპარვია ყურადღებიდან. რეაქციონური წრეები მტრულად შეხვდნენ პოეტის ასეთ გამოსვლას. მწერალმა ბულგანინმა საჭიროდ დაინახა დაებეზღებინა პოეტი ჟანდარმთა სამმართველოს წინაშე რევოლუციური აზრებისათვის, რათა მიღებული ყოფილიყო სათანადო ზომები:

„ნეკრასოვი, — სწერდა ის, — უაღრესად თავზე ხელაღებული კომუნისტია: საკმარისია წაიკითხოთ ს.-პეტერბურგის ალმანახში მოთავსებული მისი ლექსები და პროზა, რომ დარწმუნდეთ ამაში. ის საშინლად გაჰყვირის რევოლუციის სასარგებლოდ“.

ნ. ნეკრასოვის ეს ლექსები გადაიქცნენ იმ ბიძგად, რომელმაც გამოიწვია მისი პოეტური პოტენციის უაღრესი გაფურჩქვნა.

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ნეკრასოვზე, როგორც რეალისტზე და მოაზროვნე პოეტზე, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ მისი რამდენიმე ლექსი და პოემა („დავიწყებული სოფელი“, „ფიქრები საპარადო შესავალთან“, „პაპა“, „რკინისგზა“, „ვინ ცხოვრობს კარგად რუსეთში“ და სხვ.).

„დავიწყებულ სოფელში“ ნეკრასოვმა დახატა სოფლის უნუგეშო მდგომარეობა, გლეხთა გაჭირვება და მათი ადამიანური უფლების მასხარად აგდების სურათი: მოხუცს გლეხს ქოხი თავზე ენგრევა, მაგრამ ტყიდან ქოხის შესაკეთებელი მასალის გამოტანის უფლებას არ აძლევენ. ახალგაზრდა ქალს გათხოვების ასაკი დაუდგა, მაგრამ გათხოვების ნებას არ აძლევენ და სხვა. აქ უაღრესად მუქი ფერებით არის აღწერილი ის თავაგდებული და დამამცირებელი დამოკიდებულება გლეხებისადმი, რომელსაც იჩენდნენ თავადები.

სიმართლის მომღერალმა მწერალმა ლექსში „ფიქრები საპარადო შესავალთან“ არაჩვეულებრივი სიცხადით გვიჩვენა გულუბრყვილო გლეხთა უნაყოფო ოცნება სამართალზე და მისი ძიება „უზენაეს“ მოხელეებთან. გლეხები დიდი რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე, სოფლებსა და ქალაქებში ვერ პოულობენ სამართალს, გმინავენ ბატონყმური მონარქიის ქუსლის ქვეშ. მდგომარეობით იძულებულნი უკანასკნელად მიმართავენ იმ ადგილს, სადაც „სამართალი იბადება“. მიდიან იქ, მაგრამ იქაც იმედები უცრუვდებათ: „ულამაზო სტუმრებს“, რომელთაც „სახეები და ხელები აქვთ მზით დამწვარი, აცვიათ ძველი, დაკონკილი არმიაკები, ხალთა-გუდები მათ ჰკიდიათ მოხრილ ზურგებზე, სისხლიანი უჩანთ ფეხები, დაუცვეთიათ ქალამნები შორეულ გზებზე“, არ იღებენ, რადგან ბატონს „არ უყვარდა დაგლეჯილი ბრბო“. სამართლის მაძიებელი გლე-

ხები გარეკეს პოლიციელებისა და მეეზოვეების საშუალებით... გლეხებმა უიმედოდ ჩაიქნიეს ხელი და გაუდგნენ თავიანთ გზას.

აქ პოეტმა თავისი აზრი გამოსთქვა ბიუროკრატიულ-ლიბერალებზე და გაბედულად უთხრა ხალხს, რომ არ შეიძლება სიმართლის ძებნა იქ, სადაც იგი ეძებს. სიმართლე უნდა მოიპოვოს ხალხმა საკუთარი ძალით. პოეტმა ამ ლექსის ეპილოგში დიდი მხატვრული სიძლიერით აგრძნობინა მკითხველს ბარბაროსული რუსეთი. რუსულ კლასიკურ ლიტერატურაში არ მოიპოვება მეორე ლექსი, რომელიც ასე სრულყოფილად, ძლიერი ექსპრესიითა და ნათელი ფერებით გვიხატავდეს იმდროინდელი რუსეთის ნამდვილ ვითარებას:

„...ჰოი, ჩემო მიწავ მშობელო!
დამისახელე თუნდაც ერთი კუთხე ისეთი
(არ მეგულება, არ მინახავს მე არასოდეს),
რომ მხვნელ-მთესველი რუსი გლეხი არა კვნესოდეს
კვნესის გადაშლილ მინდორ-ველში და შარა-გზაზე,
კვნესის ციხეში წამებული, გულსაკლავ ხმაზე,
მაღაროების ჯურღმულებში ხუნდებ-შეყრილი,
თავის ზვინის ქვეშ მოდრეკილი, წელში მოხრილი,
ტრიალ ტრამალზე, როცა ურმის ქვეშ ათევს ღამეს,
კვნესის საკუთარ ღარიბ ჭოხში, როდესაც არის,
დღის გათენებას არ შეხარის, არ გრძნობს სიამეს;
ყოველ მივარდნილ ქალაქებში ის კვნესის მწარედ,
სასამართლოს და პალატების კარებთან მდგარი.
გადით ვოლგაზე: ნახეთ, ვისი გაისმის კვნესა,
ვრცელ და უდიდეს მდინარეზე რუსეთის დიდის.
ამ კვნესას ჩვენში ეძახიან სიმღერას დღესაც —
და ბურლაკები, საბრალონი, დარდს იკვლენ მითი...
ო, ვოლგავ, ვოლგავ! მრავალწყლიან გაზაფხულისას
ისე არ ავსებ ნიაღვარით შენ ველს და ყანას,
როგორც უდიდეს მწუხარებით ხალხის გულისა
ავსებულია წამებული ჩვენი ქვეყანა“.

ნ. ნეკრასოვი, როგორც სიმართლის მომღერალი, სინამდვილის დამახასიათებელი დეტალებისა და ტიპიური გარემოს ასახვისაკენ მიიწრაფოდა ისეთის უშუალობით, რომ მკითხველს პირდაპირ განეცადა იგი და მის სულიერ სამყაროში შესატყვისი რეაქცია გამოეწვია. ნეკრასოვის დროის ტიპიური გარემო ხალხის სევდითა და მწუხარებით იყო სავსე. პოეტიც თავის პოეზიაში ილძევა განსაცვიფრებელი მოთმინების მქონე ხალხის უსაზღვრო ტანჯვას, ტანჯვას ყველგან და ყველასას — ქალისას და მამაკაცისას. მაგრამ ნ. ნეკრასოვის პოეტური ნიჭისა და მოვლენათა შემეცნების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ხალხის მძიმე ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის აღწერისას არ ჰკარგავს ზომიერებას, არ იწ-

ყებს ნავარდს შეუცნობ უსაზღვრო სივრცეში და არ სწყვეტს კავშირს „მიწასთან". ტანჯვისა და სევდის ის დიდი ნიაღვარი, რომელიც უცბად მოვარდა ნეკრასოვის პოეზიაში, პირველად მძიმე განცდებით ტვირთავს მკითხველს, მაგრამ სრულიადაც არ იწვევს მასში, ისევე, როგორც პოეტში, პესიმისტურ განწყობილებას. პოეტი გასცქერის ნათელსა და ფართო გზას, რომელიც ხალხმა საკუთარი ძალით უნდა გაიკვლიოს. ნეკრასოვი თავისი ლექსებით აიარაღებს მკითხველს მომავლის რწმენით, რაც მის შემოქმედებას, მიუხედავად ნეკრასოვის მსოფლმხედველობის უტოპიურობისა, რევოლუციურ ხასიათს აძლევს. რევოლუციური პოეტის ეს დადებითი თვისებები გამომჟღავნებულია მისი ლექსებისა და პოემების დიდ ნაწილში.

6. ნეკრასოვისათვის ჩვეული ექსპრესიით და შინაგანი ლირიკული სითბოთია დაწერილი ლექსი „სიმღერა იერემიკასთვის". ამ ლექსში ნეკრასოვი პატარა ბავშვს უმღერს თავისუფლების სიყვარულს, მისთვის თავდადებას. ეს ლექსი თავის დროზე რევოლუციური შთაგონების ისეთი ძალის მქონე იყო, რომ აღვიძებდა რუსი ხალხის საუკეთესო შვილებს და ამხედრებდა მათ გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობისა და სახელმწიფოებრივი რეჟიმის წინააღმდეგ. „გიყვარდეს თავისუფლება, ძმობა, ერთობა, უანგარო მარჯვენის შრომა" და „უსამართლობის ბნელსა და ბოროტს მოევლინე ვით რისხვა ზეცისა"-ო, ეუბნებოდა პოეტი იერემიკოს სახით მთელ რუს ხალხს.

ხალხის ტანჯვისა და მწუხარების ამსახველი პოეტი დიდი უშუალობით აგვიწერს მშრომელთა ისტორიულ ტრაგედიას. ის გარკვევით ხედავს მშრომელის საშინელ შევიწროებას, არაადამიანური ცხოვრების ჯურღმულებს, რომლებშიაც მილიონები იღუპებიან ფიზიკურად და სულიერად. პოეტს ყოველთვის გულთან მიაქვს ამ მილიონთა სულიერი დრამა. ასეთი უშუალობითა და სხვისი ტანჯვის საკუთარ განცდებში გადატანით არის დაწერილი პოემა, „ყინვა ცხვირწითელა". ამ პოემაში აწერილია ღარიბი გლეხის ოჯახი. პოემის მთავარი პერსონაჟი ქალია — დედა დარია, რომელსაც თავს დაატყდება ქმრის მოულოდნელი სიკვდილი. სასაფლაოდან დაბრუნებულ დედას სახლში დახვდებიან მშიერი და სიცივისაგან გაყინული პატარა შვილები. ბავშვებს მეზობლებს მიაბარებს და თითონ ტყეში წავა შეშის მოსატანად. ტყეში დარია სიცივისაგან გაიყინება. დარია პოემაში დახატულია მიმზიდველად და თანაგრძნობით. მართალია აქ აღწერილია მხოლოდ დიდი მწუხარება, მეფის რუსეთში სოციალური უსამართლობით გამოწვეული გლეხი ქალის ტრაგედია, მაგრამ ქვრივი ქალის ამ ტრაგედიაში პოეტი შინაგანად გვაგრძნობინებს იმ ისტორიულ პერსპექტივას, რომელიც გარდუვლად მიაჩნია მას.

ასეთი იყო ნ. ნეკრასოვის შემოქმედების საერთო ტენდენცია. პოეტი უარყოფითად უყურებდა მეფის რეჟიმს, ბატონყმობას, კაპიტალიზმს. ის იყო მებრძოლი მოსარჩლე ექსპლოატირებული მასისა და, როგორც პოეტი და მოქალაქე, იწოდა ამ მასის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი აქ, როცა ასეთ მებრძოლ სახალხო პოეტთან გვაქვს საქმე, ბუნებრივად იბადება კითხვა თუ როგორ შეხვდა ის გლეხთა „განთავისუფლებას", 19 თებერვლის მანიფესტს. ამ პრობლემის გაშუქება იძლევა გასაღებს ნეკრასოვის მთელი შემოქმედების რევოლუციური ბუნების გასაგებად.

ჩვენის აზრით, რეფორმის შემდგომ დროინდელი შემოქმედება პოეტისა უფრო რელიეფურად და ნათლად მეტყველებს მწერლის აზროვნების ჯანსაღ ბუნებასა და პროგრესიულობაზე, ვიდრე ადრინდელი.

გლეხთა „განთავისუფლების" რეფორმამ ბევრ ინტელიგენტს აუბნია გზა და შეუქმნა ყალბი ილუზია ნამდვილ განთავისუფლებაზე. მოწინავე ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ვერ გაიგო ამ რეფორმის მოჩვენებითი „თავისუფლება", რომლის მიღმაც აშკარად იფარებოდა მემამულეთა ინტერესებისა და გლეხთა უზომო ექსპლოატაციის დაცვა.

„ბატონყმობის გაუქმება მოახდინა არა აჯანყებულმა ხალხმა, არამედ მთავრობამ, რომელიც ყირიმის ომის წლების შემდეგ აშკარად ხედავდა ბატონყმური ურთიერთობის დაცვის შეუძლებლობას" (ლ ე ნ ი ნ ი, ტ. XV, გვ. 132). მანიფესტის გამოცემამდე ხუთი წლით ადრე მეფე ალექსანდრე მეორე, რომელიც, ნიკოლოზ პირველთან შედარებით, ჭკვიანი დამცველი იყო მემამულე თავადაზნაურთა ინტერესებისა, საჯაროდ ეუბნებოდა მათ წარმომადგენლებს, რომ „უკეთესია ბატონყმური უფლება შეიცვალოს ზევიდან, ვიდრე მოვიცადოთ იმ დრომდე, როცა ის თავისთავად დაიწყებს შეცვლას ქვევიდან". ალექსანდრე მეორე კარგად ხედავდა, რომ ბატონყმური უფლების გაუქმება აუცილებელი იყო. ამ აუცილებლობის წინაშე რუსეთი დააყენა, ერთის მხრივ, საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა წინააღმდეგობამ, ხოლო მეორეს მხრივ და უმთავრესად — გლეხთა აჯანყებების, მასების რევოლუციური განწყობილების ზრდამ.

მაგრამ ამ „განმათავისუფლებლებმა" ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხები „განთავისუფლდნენ" გაძარცვულ-გაღატაკებულნი, გამოვიდნენ მემამულეთა მონობიდან და იმავე მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ" (ლენინი, იქვე).

მანიფესტის ეს მოჩვენებითი „თავისუფლება" კარგად დაინახეს რევოლუციურმა „რაზნოჩინელებმა". ვერ მოატყუა ისინი რეფორმამ, და მის შემდეგ მათ უფრო გაბედული პოლიტიკური ბრძოლა გააჩაღეს ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ გლეხთა ნამდვილი განთავისუფ-

ლებისათვის. ნეკრასოვიც, როგორც თავისი ეპოქის ლირსეული შვილი, რევოლუციური მოწოდების სიმაღლეზე დადგა და სწორი შეფასება მისცა მანიფესტს. ჩერნიშევსკის გადმოცემით, ნეკრასოვი რეფორმას უწოდა „აშკარა მოტყუება, გლეხობის დაცინვა“. რეფორმის შემდგომი დროის ლექსებში („თავისუფლება“, „ელეგია“, „რკინიგზა“ და სხვა) ნეკრასოვი აშკარად ამბობდა, რომ „დროა წინ წავიდეთო“. „ხალხი „განთავისუფლდა“, მაგრამ ბედნიერია თუ არა ის?“ სვამდა კითხვას ნეკრასოვი და თვითონვე უარყოფითად უპასუხებდა:

„Знаю: на место сетей крепостных
Люди придумали много иных“.

რეფორმის შემდგომი პერიოდის ლექსებსა და პოემებში ნ. ნეკრასოვმა მკვეთრად გამოხატა პროტესტი და შეურიგებლობა არსებულისადმი და დაიწყო იმ გზების გაბედული ძიება, რომლებსაც გლეხობა ნამდვილ თავისუფლებამდე უნდა მიეყვანა. ამ შემთხვევაში ნეკრასოვზე უდაოდ დიდი გავლენა იქონიეს 70-იანი წლების ხალხოსნებმა, რომლებიც მიდიოდნენ სოფლად ხალხში პოლიტიკური აგიტაციისათვის. ხალხოსნების გავლენით, ნეკრასოვმა დასწერა პოემა „პაპა“ („дедушка“). პოემაში ნეკრასოვმა გვიჩვენა თავისი პოეტური ფანტაზიის ძალა. მან გვიჩვენა ის, თუ როგორ აყვავდებოდა ცხოვრება და მოღონიერდებოდა გლეხობა თავისუფალი შრომის საფუძველზე. რა საამური და წარმტაცი იქნებოდა ამ გლეხობის ცხოვრება, რომ შებოჭილი და დამონებული არ ყოფილიყო ის.

პოემაში პაპას სახით მოცემულია დეკაბრისტის ტიპი, რომელმაც მრავალი ტანჯვა გადაიტანა თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. მან დაკარგა ჯანმრთელობა, ახალგაზრდობა და გენერლის მუნდირი. აი ეს პაპა მაინც არ ჰკარგავს იმედს, გმირულ სულიერ სიმტკიცეს. იგი თავის შვილისშვილს საშას აგრძნობინებს გლეხობის ტანჯვას, გაჭირვებას, შეგიწროებას, იგი შვილისშვილს უხატავს სოციალურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებული გლეხობის მომავალი ბედნიერი ცხოვრების სურათს. თუ როგორ აყვავდებოდა სოფელი და მოღონიერდებოდა გლეხის ოჯახი, როცა ისინი აღარ იქნებოდნენ შებოჭილი მეფის მოხელისა და ბატონისაგან.

„ორმოცდაათ წელიწადში
აშენდება იქ სოფელი —
რას არ შეჰქმნის თავისუფალ
მშრომელ ხალხის მარჯვე ხელი!
ყველაფერი უხვად კეთდა,
ღორები ჰყავთ უთვალავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თეთრ ბატთა სიმრავლისგან
აღარ მოსჩანს მიწა შავი!
რა მოვლილი ყანები აქვთ,
ნახირი და იალაღი!
ხალხი მხნე და ახოვანი,
მხიარული-მუდამ ლაღი.
სჩანს, უმყავით მათ გროშები!
უქმე დღეს აქვთ ფუფუნება —
გლეხის ცოლიც ბეწვეულით
დასეირნობს ნება-ნება!"

განსაკუთრებული განხილვის ღირსია პოემები „რკინისგზა" და „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად". ორივე ეს ნაწარმოები დაწერილია გლეხთა „განთავისუფლების" შემდეგ და ერთგვარ ჯამს უკეთებს პოეტის მთელს შემოქმედებას.

„რკინისგზა" დაწერილია დიდი მხატვრული ოსტატობით და ჭარბი იდეურობით. იგი უადრესად სოციალური და პოლიტიკურ-რევოლუციური ნაწარმოებია. ყოველ სიტყვას, სახეს და საგანს იქ მკვეთრი კლასობრივი მიზანდასახულობა აქვს. პოეტმა, როგორც კონტრასტების ოსტატურმა მხატვარმა, ყველაზე ძლიერად „რკინისგზაში" იჩინა თავი. პოემაში ადამიანებთან ერთად პეიზაჟიც სოციალურად არის გაპიროვნებული. პოემის თემატიკური ფონი იშლება პეტერბურგ-მოსკოვის რკინისგზის მშენებლობაზე.

60—70-იანი წლები სარკინისგზო მშენებლობის გაცხოველების პერიოდი იყო. ამ გზების მშენებლობაზე მეფის მოხელეები, კაპიტალისტები, მტაცებლები ობობებივით სწოვდნენ სისხლს მუშებს, საშინელ ექსპლოატაციას უწევდნენ მათ. ხალხის ოფლით გაჰყავდათ რკინისგზები, მათი შრომით ჰქმნიდნენ თავიანთ კაპიტალს და ამ ხალხს კვლავ აბუჩად იგდებდნენ და დასცინოდნენ. ნეკრასოვი ამ პოემაში სასტიკად ილაშქრებს მეფის მოხელეებისა და მოიჯარადრეების ასეთი აგდებული დამოკიდებულების წინააღმდეგ მუშებისადმი. პოეტმა დიდებულად დააფასა ხალხის შრომისმოყვარეობა, ძალა და მტკიცე რწმენა გამოსთქვა, რომ რუსი ხალხი გადაიტანს ყოველ სიძნელეს და თავისი მკერდით გაიკაფავს ფართო და ნათელ გზას.

„რკინისგზამ" თავიდანვე მიიპყრო საზოგადოებრივი ყურადღება. თუ როგორი იყო პოემის რევოლუციური გავლენა მკითხველ ახალგაზრდობაზე, ამის შესახებ საკმარისია მოვიყვანოთ გ. ვ. პლეხანოვის მოგონებიდან მხოლოდ პატარა ამონაწერი:

„ჩვენ ვისხედით სადილს შემდეგ ჯგუფად რამდენიმე კაცი და ვკითხულობდით ნეკრასოვს. ის იყო ვათავებდით „რკინისგზას", რომ მოისმა

ნიშანი, რომელიც მოგვიხმობდა საფრონტო სწავლებისაკენ.[1] შევინახეთ წიგნი... წავედით იარაღის საწყობში თოფებისათვის ახლად წაკითხულის ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ. როცა ვეწყობოდით, ჩემი მეგობარი ს. მოვიდა ჩემთან თოფით ხელში და წამჩურჩულა: „ეს, ავიღებდი მე ამ თოფს და წავიდოდი რუსი ხალხისათვის საბრძოლველად". ეს ფარულად, სასტიკი სამხედრო უფროსებისაგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით წარმოთქმული სიტყვები ღრმად ჩაიჭედა ჩემს მეხსიერებაში. ყოველთვის მახსენდებოდა ეს სიტყვები, როცა მიხდებოდა „რკინისგზის" ხელახლა გადაკითხვა".

ნ. ნეკრასოვი თავისი ეპოქის შვილი იყო. მაშინ რუსეთში პროლეტარიატი არ წარმოადგენდა ჩამოყალიბებულ კლასს, არა ჰყავდა მას თავისი პარტია და არა ჰქონდა მეცნიერულად გარკვეული მოქმედების ტაქტიკა, იბრძოდა დაქსაქსულად და სტიქიურად. ამ მუშებს არ შეეძლოთ მოეხდინათ რაიმე იდეური გავლენა ნეკრასოვზე, და ის „რკინისგზაში" თავის ძველ გლეხური დემოკრატ რევოლუციონერის თვალსაზრისზე იდგა. ნეკრასოვი ამ პოემაში მუშებს უყურებდა, როგორც სოფლიდან გაჭირვებით გამოდევნილ გლეხებს, რომლებიც შემთხვევით გამხდარან ქალაქის მუშებად და რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ ახლად ფეხადგმული კაპიტალი და ცარიზმი. ამ მუშებში ნეკრასოვი არ ხედავს ახალ კლასს. ნეკრასოვის კონკრეტულ მაგალითზე შეგვიძლიან გარკვევით დავასკვნათ, რომ მუშის ხსენება არ ნიშნავს ყოველთვის მუშათა კლასის დანახვას.

გლეხური იდეოლოგიის მიმდევარი ნეკრასოვი მტერია კაპიტალიზმის განვითარებისა, მისთვის უცხო მოვლენაა მუშათა ბრბო, რომელიც წამოსულა სოფლიდან და ქალაქად ზოგი კალატოზობს, ზოგი მჭედლობს, დურგლობს და სხვა. ერთ თავის ლექსში მან კიდეც გამოსთქვა სურვილი ამ „მუშა ხალხის" კვლავ სოფლად დაბრუნებისა:

„Я доброго всем им желаю пути. —
В родные деревни скорее притти".

პოემა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად" ცამეტი წლის განმავლობაში იწერებოდა. ავადმყოფობამ და სიკვდილმა ხელი შეუშალეს პოეტს დაემთავრებინა პოემა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ფართო დასრულებული მხატვრული ტილოა, რომელზედაც რეალისტურად არის ასახული ეპოქის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ყოფა თავისი მძაფრი სოციალური ტენდენციებით. ამ პოემაში ნეკრასოვმა შეჰქმნა საინტერესო პერსონაჟთა ფართო გალერეა. ერთის მხრივ, გააშიშვლა ცხოვ-

[1] გ. ვ. პლეხანოვი სწავლობდა სამხედრო გიმნაზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების კალაპოტიდან ამოვარდნილი, გადაგვარებული და უქნარა ფეოდალები, რომლებიც წინაპრების მოგონებით ცხოვრობდნენ, მეორეს მხრივ — დაგვიხატა დევგმირი ხალხი და მისი ინტერესებისათვის მებრძოლნი. პოემაში გამოყენებულია მოვლენისა და ტიპების მოგონებს სხვადასხვა ხერხი. პოემას თავს დასტრიალებს ხალხურობის ძლიერი სული, უხვად არის გამოყენებული ფოლკლორი, სატირა, ეპიური აღწერის მანერა. პოეტმა მონახა ცხოვრების მეტად საინტერესო შტრიხები და მძაფრად და ხაზგასმით მოგვცა ისინი. თვით ზოგიერთი გვარის ოსტატური შერჩევით მან გონებამახვილად გაუსვა ხაზი ტიპიურ ხასიათებს და წინდაწინ აგრძნობინა მკითხველს, თუ საით არის მიმართული მისი სიმპატია-ანტიპატია. რევოლუციონერი ხალხოსანი დობროსკლონოვი (კეთილის მოსურნე), მემამულე ობოლდეევი (უქნარა) თავისთავად მოქმედების გარეშეც ლაპარაკობენ საკუთარ თავზე.

პოემაში ნეკრასოვმა დასვა კითხვა — ვინ არის ბედნიერი? ეს კითხვა გამოსავალი წერტილია პოემის როგორც სუბიექტური აღნაგობის, ისე იდეური სრულყოფისა. ამ „საიდუმლო“ წერტილის მონახვასთან არის დაკავშირებული ხალხის აწმყო და მომავალი. რაში ხედავს პოეტი ადამიანის ბედნიერებას? ადამიანის ბედნიერებას ის ხედავს შრომისმოყვარეობაში, ხალხთან კავშირსა და ამ ხალხთან ერთად თავისუფლებისათვის ბრძოლაში ექსპლოატირების წინააღმდეგ. გრიშას სახით პოეტმა შეჰქმნა რევოლუციური ხალხოსნის ძლიერი ტიპი. მიუხედავად იმისა, რომ გრიშამ იცის, რაც მოელის:

„Ему судьба готовила
Путь славный, имя громкое
Народного заступника,
Чахотку и сибирь“. —

მაინც სხვა გზა, გარდა რევოლუციური ბრძოლისა, მისთვის არ არსებობს. ცხოვრების ამოცანა და მიზანი მისთვის ერთია:

„Доля народа,
Счастье его,
Свет и свобода
Прежде всего!“

პოეტი რევოლუციურ ხასიათებთან ერთად ჰქმნის გლეხის ჩვეულებრივი ცხოვრების უაღრესად ტიპიურ სიტუაციასაც. მისი სახლის წინ ატუზული არიან მისი უბადრუკი შემოსავლის მუდმივი მოზიარენი: ლმერთი, მეფე და ბატონი:

„Работаешь один,
А чуть работа кончена,
Гляди, стоят три дольщика:
Бог, царь и господин“.

ამ პოემაში ნ. ნეკრასოვმა გვიჩვენა „თავისუფალი“ რუსი გლეხის ისეთი სილატაკე, ისეთი დამცირება და დაცინვა, როგორიც არ განუცდია გლეხს არც ერთ ქვეყანაში „განთავისუფლებამდეც“-კი. ამასთან რუსი გლეხი, რომელიც ასეთ მძიმე მდგომარეობას რაღაც გასაოცარი ეთმინებით იტანდა, ნეკრასოვმა დაგვიხატა დეევგმირად, გვიჩვენა მისი მაღალბუნებოვანება და საუკეთესო თვისებები: გამბედაობა, შემჭიდროება, ბატონყმური უფლებისა და მემამულური მეურნეობის დამხობის გარდუვალობის შეურყეველი რწმენა. ყველა ეს თვისება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, სრულქმნილი და განმტკიცებული, მაგრამ პოეტი იძლევა მათ როგორც უმაღლესი სოციალური შეგნების ნაყოფს, რომელსაც რუსი გლეხი, მისი აზრით, ახლო მომავალში მიაღწევდა. ამ შემთხვევაში მწერალმა იმდენად რეალური სინამდვილე კი არ მოგვცა იმდროინდელი გლეხის ბუნებისა, რამდენადაც თავისი რწმენის პერსპექტივა.

პოემაში გრიშას სახით პოეტი მოუწოდებს საზოგადოებრივ ასპარეზზე მომქმედ რევოლუციურ თაობას:

„Иди к униженным,
Иди к обиженным —
По их стопам.
Где трудно дышится,
Где горе слышится,
Будь первым там?“

მაღალი ოპტიმიზმის პოეტი, პოეტი, რომლის რევოლუციური სულიც ხალხისნურ ეპოქაში თავისუფლებისათვის მებრძოლთა ჩირაღდანს წარმოადგენდა, კიბოს საშინელმა ავადმყოფობამ ფიზიკურად გასტეხა. ნეკრასოვი ორი წლის განმავლობაში (1876-77) ლოგინში იწვა და ფიზიკურად დნებოდა. იგი გრძნობდა:

„Нет! не поможет мне аптека,
Ни мудрость опытных врачей:
Зачем же мучить человека?
О, небо! смерть пришли скорей!“

ავადმყოფობისაგან შეწუხებული პოეტი სიკვდილზე ოცნებობდა. მის სულს თანდათან იპყრობდა ინდივიდუალური სევდის ბურუსი. იგი „ჩამოსცილდა“ თავის საყვარელ საქმეს და მწუხარებამ მოიკალათა მის სარეცელთან. მიუხედავად ამისა, ნ. ნეკრასოვი ისე ჩავიდა საფლავში, რომ არ დაუკარგავს საზოგადოებრივი მოვლენების ჯანსაღი ხედვა. პირადი სევდა, გამოწვეული ხანგრძლივი ავადმყოფობით და ფიზიკური დასუსტე-

ბით, არ შეხებია მის რწმენას, მის აზრს ცხოვრებაზე. მწოლიარე ავადმყოფი ლენინიდანაც საუკეთესოდ ხედავდა, რომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Дни идут... все так же в воздух душен,
Человек — до ужаса бездушен,
Слабому спасенья не найти!"

მაგრამ, — Дряхлый мир — на роковом пути...

ო, რუსეთო! შენ უიღბლო ხარ, მე ვიცი, — ეუბნებოდა უკანასკნელად პოეტი თავის საყვარელ სამშობლოს და აიმედებდა:

„Но все ж, озирая мой пройденный путь,
Я к лучшему шаг замечаю".

მიდიოდა რა ამ ძალალი რწმენით, ნეკრასოვმა უსაზღვრო სიყვარული დასტოვა თავის ხალხში. იგი შევიდა მე-19 საუკუნის მსოფლიოს რევოლუციურ პოეტთა რიცხვში და მათ შორის ერთი უთვალსაჩინოესი ადგილი დაიკავა თავისი მებრძოლი ბუნებით და მომავლის რწმენით, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ სცილდებოდა თავისი ეპოქის საზღვრებს და რჩებოდა გლეხურ დემოკრატად.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ამ სიყვარულმა უდიდესნიაღვრად გადმოხეთქა ნეკრასოვის დასაფლავების დღეს. მის საფლავზე თავი მოიყარა უამრავმა ხალხმა და პოეტის სახელი დიდების შარავანდედით შემოსა. ნეკრასოვი დასაფლავებულ იქნა ხალხისანთა ხელმძღვანელობით და ეს დასაფლავება რევოლუციონერთა ნამდვილ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

ძალიან აფასებდა ნეკრასოვს მსოფლიო პროლეტარიატის დიდი გენიოსი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინიც. ვლ. ლენინი ხშირად კითხულობდა ნეკრასოვის ლექსებს. ნეკრასოვის ლექსები ყოველთვის მოიპოვებოდა ლენინის ბიბლიოთეკაში. ამ ლექსებს იგი კითხულობდა „თავისუფალი" ცხოვრების დროს, გადასახლებაში, ემიგრაციაში. ლენინის თქმით, ნეკრასოვი გვასწავლიდა სასტიკ შეურიგებლობას ფეოდალებისა და კაპიტალისტებისადმი, მათი მლიქვნელობისა და უსულგულობისადმი. მაგრამ ამავე დროს ყველაზე უკეთესად ლენინი ხედავდა ნ. ნეკრასოვის იმ ჩრდილებსა და ზიგზაგებს, რომლებსაც პოეტი ვერ ასცდა თავის შემოქმედებაში და რომლებსაც იგი სწრაფად შეიგნებდა და ასწორებდა ხოლმე დიდი რევოლუციონერების დახმარებით. ნ. ნეკრასოვს ახასიათებდა ერთგვარი „პირადული" სისუსტე, რის გამოც ის ზოგჯერ ამჟღავნებდა მერყეობას, მერყეობას დემოკრატებს და ლიბერალებს შორის. მაგრამ ამ მერყეობის დროსაც მისი სიმპატიები დემოკრატების მხარეზე იყო.

„ნეკრასოვი, — ამბობს ვლ. ლენინი, — იყო რა პირადად სუსტი, მერყეობდა ჩერნიშევსკსა და ლიბერალებს შორის, მაგრამ მისი სიმპატიები

მაინც ჩერნიშევსკის მხარეზე იყო. ნეკრასოვი იმავე პირადული სისუსტის მეოხებით სცოდავდა ლიბერალური პირფერობის სიმულირებით, მაგრამ თვითონვე მწარედ დასტიროდა თავის „ცოდვებს“ და ესაჯაროდ ინანიებდა მათ:

„Не торговал я лирой, но бывало,
Когда грозил неумолимый рок,
У лиры звук неверный исторгала
Моя рука“...

„უმართებულო ხმა“, — აი როგორ უწოდებდა ნეკრასოვი თავის ლიბერალურ პირფერულ ცოდვებს“.

ვლ. ლენინს აქ განსაკუთრებით მხედველობაში აქვს ერთი შემთხვევა, რომელმაც დიდად იმოქმედა თვით პოეტზედაც. ეს იყო სამოციან წლებში. ნეკრასოვს თავის ჟურნალ „Современник-“ში რევოლუციური ხაზის მტკიცედ გატარების გამო ჩამოსცილდნენ ადრინდელი მეგობრები— ტოლსტოი, ტურგენევი, დრუჟინინი, გრიგორევიჩი, ანენკოვი, ფეტი, რომლებიც შეხორცებოდნენ თავადაზნაურულ ლიბერალურ შეხედულებებს და ვერ ითმენდნენ ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის თანამშრომლობას, მათ დემოკრატიულ იდეებს. ამის შემდეგ ნეკრასოვმა მალე დაჰკარგა იდეურად ერთგული მეგობრებიც: დობროლუბოვი გარდაიცვალა, ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს. მთავრობამ დაიწყო შურისძიება, გადასწყვიტა მოესპო მტრულად განწყობილი ჟურნალი. ჯერ რამდენიმე თვით შეაჩერა იგი, შემდეგ სრულიად შესწყვიტა (1866 წ.) მისი გამოცემა.

ნ. ნეკრასოვმა გადასწყვიტა თავისი ჟურნალის გადარჩენა. ამისათვის მან მეტად გაბედული და მოუფიქრებელი ნაბიჯი გადასდგა, რისთვისაც შემდეგ მწარედ ინანა. ნეკრასოვს უნდოდა თვალები აეხვია მთავრობისათვის, მან პირფერული ქებით სავსე ლექსი უძღვნა მეფის გენერალს მ. მურავიოვს. ნეკრასოვის ასეთმა ნაბიჯმა აღაშფოთა რევოლუციური თაობა, მან თავისი საყვარელი პოეტის საქციელში დაინახა ღალატი ძველი შეხედულებებისადმი. ამის გამო პოეტს ყველა მეგობარი ჩამოსცილდა. ამაზე უფრო ტრაგიკული მომენტი პოეტს მთელ თავის სიცოცხლეში არ განუცდია. ნეკრასოვი განმარტოვდა, იგი დარჩა უჟურნალოდ, უმეგობროდ, დაჰკარგა მან მკითხველის თანაგრძნობაც კი. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დროებითი იყო. პოეტმა დაინახა თავისი დანაშაული, მწარედ მოინანია ის და შესთხოვა თავის საყვარელ „სამშობლოს“ — ხალხს პატიება:

„За то, что я остался одиноким,
Что я ни в ком опоры не имел,

Что я, друзей теряя с каждым годом,
Встречал врагов все больше на пути,
За каплю крови, общую с народом,
Прости меня, о родина, прости!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო პოეტი კვლავ საყვარელი გახდა თავისი ხალხისათვის.

ნ. ნეკრასოვის პოეზიის ძალა და მნიშვნელობა უმთავრესად იმაში გამოიხატა, რომ მან დიდი მხატვრული ოსტატობით, მძაფრი სოციალური ტენდენციებით ასახა მეცხრამეტე საუკუნის 50-60-70-იანი წლების საზოგადოებრივი განვითარების სოციალური სიტუაცია, დაგვიხატა თავისი ეპოქის სრული და, მოწინავე ადამიანის თვალსაზრისით, ისეთი რეალისტური სურათი, როგორიც არ მოუცია არც ერთს მისი დროის რუს მწერალს. ნეკრასოვმა თავის ლექსებსა და პოემებში აღწერა ხალხის ტანჯვა და მწუხარება, მან დაგვიხატა ხალხის საშინელი შიმშილის, სიღარიბისა და ჩაგვრის სამყარო. მაგრამ პოეტის ეპოქალურ-ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ტიპიურ მოვლენათა აღწერის დროს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ტიპიურ გარემოებაში პასიურად არ იყო განწყობილი ფაქტებთან, თავის მხატვრულ ტილოებს სევდის ცრემლებით არ ასველებდა. ნ. ნეკრასოვი გულხელდაკრეფილი არ უცდიდა, ლიბერალების მსგავსად, იმ დროს, როცა ცხოვრება თავისთავად შეიცვლებოდა. პოეტი, როგორც მოწინავე მოქალაქე, აქტიურად იბრძოდა თავისი ლექსებით ცხოვრების ძალდატანებითი გარდაქმნისათვის და მწარე სინამდვილის იქით ხედავდა ხალხის ბედნიერ მომავალს.

„Я к лучшему шаг замечаю" ამბობდა პოეტი და დაუსრულებლად მიისწრაფოდა წინ, უკეთესი მომავლისაკენ.

ნ. ნეკრასოვის პოეზიას დღეს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი გვეხმარება, ერთის მხრივ, იმისათვის, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ სწორად შეიცნოს წარსული და დაუპირისპიროს მას სოციალისტური სინამდვილე, ტანჯვის ქვეყანას დაუპირისპიროს ბედნიერი და საამური ცხოვრების სხივებით გაბრწყინებული თავისუფალი სამშობლო, გაიგოს წარსულ თაობათა გმირული ბრძოლების შინაარსი. მეორეს მხრივ — ნ. ნეკრასოვის პოეზია საუკეთესო მაგალითია საბჭოთა მწერლობისათვის იმ მხრივ, რომ ის იყოს თავისი ეპოქის მოწინავე მებრძოლი მწერლობა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის აზრით და გრძნობით აღჭურვილი მწერლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ბ.

ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მწერლები

სესარ მ. არკონადა

ესპანეთის ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი მწერალი სესარ მ. არკონადა დაიბადა 1902 წელს. ბავშვობა არკონადამ სოფლად გაატარა. იზრდებოდა სიღარიბესა და გაჭირვებაში. სოფლის ცხოვრების მძიმე პირობები გადაიქცა მისი შემოქმედების მთავარ საგნად. მას აღეძრა ძლიერი სურვილი წერისა იმის შესახებ, რაც მის გარშემო ხდებოდა. მგრძნობიარე ბუნებისა და გამჭრიახი თვალის პატრონი არკონადა კარგად იხედება სოფლის ცხოვრების სიღრმეში. მისი რომანები სოფელსა და მის ცხოვრებაზე „ტურბინი", „ღარიბები მდიდრების წინააღმდეგ", „მიწის განაწილება" გვიჩვენებენ ესპანეთის სოფლის ცხოვრების სიმართლეს ყოველგვარ შელამაზების გარეშე. მას აინტერესებს არა საერთოდ მთელი გლეხობა, არამედ მხოლოდ რევოლუციური გლეხობის ცხოვრება და ბრძოლა. იგი თავის ნაწერებში გვიჩვენებს ამ ბრძოლის განვითარების ეტაპებს. ასეთია მისი პირველი ორი რომანი „ტურბინი" და „ღარიბები მდიდრების წინააღმდეგ".

რომანში „მიწის განაწილება" ნაჩვენებია ესპანეთის ერთ-ერთი პროვინციის — ესტრამადურას სოფლის ცხოვრება უმუშევრობისა და გლეხთა სტიქიური მოძრაობის ფონზე. შემდეგში ეს მოძრაობა მემამულეთა მიწების დატაცებამდე მივიდა. რომანის ერთ-ერთი მომქმედი პირი, ინტელიგენტი, ექიმი პედრო ალვარო გლეხებთან საუბარში გადმოგვცემს კაპიტალისტური სისტემის მანკიერებას და სიდუხჭირეს და ანვითარებს ერთიანი ფრონტის შექმნისა და განმტკიცების საჭიროებას.

არკონადას მხატვრულ შემოქმედებაში მთავარ ჟანრს წარმოადგენს სოციალური რომანი. ეს ჟანრი მას საშუალებას აძლევს შეეხოს ეპოქის აქტუალურ პრობლემებს და მკითხველებს თვალწინ გადაუშალოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები. მას, როგორც შემომქმედს, ახასიათებს მოვლენის სიღრმეში ჩაწვდომა და ცხოვრების სიმართლის მზეზე გამოტანა. იგი არასოდეს არ ღალატობს სინადვილეს და ყოველთვის მას თავისი ნამდვილი სახით გვიჩვენებს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ესტეტებს არ მოსწონთ მისი ნაწერები, იქ ასახული მკაცრი და შეულამაზებელი სინამდვილე მათ თვალში ხვდებათ და განსაზღვრული კლასობრივი მოსაზრებებით თვალებს არიდებენ. სამაგიეროდ არკონადას ყოველი ახალი წიგნი უდიდეს ინტერესს იწვევს მუშათა აუდიტორიებში.

მწერლის ბუნებაში თავიდანვე ჰარმონიულად შეზავებული იყო ორი საწყისი: მებრძოლისა და შემომქმედის. რეაქციის დროს, ეგრეთწოდებული „შავ ორწლიან მეუფების" დროს (1934 — 35), არკონადა გადავიდა არალეგალურ მუშაობაზე და არალეგალურად სცემდა ჟურნალს „ელ ტემპო პრესენტეს". არკონადა კომუნისტია, ფაშიზმის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი. სხვა ამხანაგებთან ერთად ის აწყობს ინტელიგენციის ანტიფაშისტურ კავშირს, მუშაობს აგიტრაზმებში და ომის შესახებ ნარკვევებს ბეჭდავს „მუნდო ობრეროში" და „ფრენტე როხოში", რომელთა სამხედრო კორესპონდენტადაც ის ითვლება.

ჯერ კიდევ 1934 წელს არკონადა სწერდა:

„ყველა ის, ვინც უკან იხედება, ფაშისტია. პირიქით, ვისაც თვალი მომავლისაკენ აქვს მიმართული, შეიძლება ჯერ კიდევ არ იყვეს კომუნისტი, მაგრამ ცალია, ის მიდის კომუნიზმისაკენ და მივა კიდეც“. დღეს არკონადა, რომელიც ასევე მზადაა, როგორც ძველად, შესცვალოს კალამი იარაღზე და იარაღი კალამზე, იმედიანად უყურებს მომავალს და გვეუბნება: „დროება შეიცვლება. ღამე გაივლის. გაიფანტება საზიზღარი წარსულის წყვდიადი. ღარიბთათვის აინთება გამარჯვების ახალი და წითელი დღის შუქი. ეს დღე შორს არ არის. მაღლა აესწიოთ თავები, ამხანაგებო!“

ლუის დე ტაპია

ლუის დე ტაპია ძველი პოეტია. დაიბადა 1871 წელს. ეკუთვნოდა „1898 წლის თაობას“, — ასე უწოდებდნენ ესპანეთის მწერალთა იმ ჯგუფს, რომელიც უკმაყოფილო იყო ესპანეთის მთავრობის მაშინდელი პოლიტიკით. ამ პოლიტიკას მოჰყვა ამერიკასთან ომი, რომლის შემდეგაც ესპანეთმა დაკარგა კუნძულები.

პოეტი-სატირიკოსი ძველი თაობის მწერლებიდან პირველი გამოეხმაურა რესპუბლიკურ ესპანეთს და, როგორც კი დაინთო სამხედრო ფაშისტური აჯანყების ცეცხლი, პირველი ჩადგა რესპუბლიკისათვის მებრძოლთა რიგებში. გაზეთ „ლა ლიბერტადში“ დაიბეჭდა მისი მგზნებარე ლექსი. საკითხი იმის შესახებ, „თუ ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო“, მან გადასწყვიტა დიდი ესპანეთის ხალხის სასარგებლოდ. მისი ცეცხლოვანი ლექსები მოწოდებაა დაუნდობელი ბრძოლისაკენ ფაშიზმის წინააღმდეგ. ხალხის გულში მან სამაგალითო ძეგლი აიგო და მის მარშს: „იერიშზე, მეხუთე პოლკო“ დღეს იმღერის მთელი ესპანეთის მშრომელი მოსახლეობა, განსაკუთრებით კი იმღერიან მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი. მისი სხვა ლექსებიც ასევე გადავიდა ხალხში და გადაიქცა სასიმღერო ლექსებად. ფაშისტები სასტიკად სჯიან ყოველ ესპანელს, რომელსაც უნახავენ ლუის დე ტაპიას ლექსთა კრებულს.

მანუელ დოგინგო ბენავიდესი

ეს მწერალი ეგრეთწოდებული „დიდი რეპორტაჟის“ ოსტატია.

კითხულობთ მისი ნაწარმოებს „ხმელეთა შუა ზღვის უკანასკნელი პირატი“ და ხედავთ ესპანეთის ბურჟუაზიის გახრწნას, სამშობლოს გამყიდველობას, გაუმაძღრობას, არისტოკრატიის სიმხდალეს, იეზუიტების სიყალბეს. ეს სახეები დიდხანს, ძალიან დიდხანს რჩება თქვენს მეხსიერებაში. და როდესაც იწყებთ მეორე მისი წიგნის ზენ. ბენავიდესი სწერს პარიზში ახალ ნაწარმოებს: „ასე მოხდა რევოლუცია“. წიგნი და გასაგები ხდება, რატომ ჩააქრეს ასე სასტიკად 1934 წლის აჯანყება, რატომ დაიყენეს სისხლის გუბეები ასტურიაში.

ბენავიდესს სამაგალითოდ ეხერხება თემის არჩევა. 1934 წელს, როდესაც რადიკალური პარტია და მისი ბელადი ლერუსი გაერთიანდნენ ესპანეთის მშრომელების მტრებთან, ბენავიდესი ფარდას ხდის „ლერუსიზმს“ და ამეღავნებს წარმომშობ ეკონომიურ მიზეზებს, რომლებმაც ბურჟუაზია აუწერელ გახრწნამდე და გამყიდველობამდე მიიყვანეს.

პოლიციამ დააპატიმრა ბენავიდესი და დააკავა მისი წიგნი. ავტორი ერთ თვეს იჯდა ციხეში. განთავისუფლების შემდეგ იგი სამშობლოდან გარდაიხვეწა და პარიზს შეაფარა თავი. 1934 — 35 წლებში ესპანეთში ტერორი მძვინვარებს. აჯანყების მო-

ნაწილეებს დაუნდობლად ხვრეტენ. სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლების მიმართაც ეჭვი აქვთ, რომ ისინი მემაღარეულებს ეანაუგრძნობენ. ბენავიდესი სწერს პარიზში ახალ ნაწარმოებს: „ასე მოხდა რევოლუცია". წიგნი გამოდის ესპანეთში, იბეჭდება არალეგალურ სტამბაში და [illegible] ბენელდება მშრომელთა შორის.

ქართული ბიბლიოთეკა

ბენავიდესი 43 წლისაა. იგი დაიბადა პუენტეარესში. სწავლობდა სასულიერო სემინარიაში, შემდეგ უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსზე მან შეიგნო მწვავე წინააღმდეგობა ბურჟუაზიულ კანონებსა და მშრომელთა მისწრაფებებს შორის. 1933 წელს სცემს ახალ წიგნს „ადამიანი 30 წლის ასაკში". წიგნი ეხება ესპანეთის რევოლუციას. ესპანეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბენავიდესი ბრუნდება ესპანეთს და იწყებს აქტიურ მუშაობას ანტიფაშისტურ პრესაში. 1937 წელს გამოვიდა მისი უკანასკნელი წიგნი: „ხუცესი და მათხოვრები". ეს არის ესპანეთის მონარქიის ქრონიკა 30 წლის მანძილზე. ეხლა ბენავიდესი ბარსელონაში სცხოვრობს და ფრონტის ერთ-ერთ გაზეთს რედაქტორობს.

ხოსე ბერგამინი

ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში საპატიო ადგილი უჭირავს ესპანელ მწერალს ხოსე ბერგამინს. ბერგამინი დაიბადა 1895 წელს. მან განვლო განვითარების მეტად საინტერესო გზა და ამჟამად იგი თავისი ქვეყნისა და კულტურის დაცვისათვის მგზნებარე მებრძოლია.

პოეტი და ბელეტრისტი ბერგამინი ერთხანს კათოლიკურ ჟურნალის „პლუს და მინუსის" რედაქტორი იყო.

მიუხედავად ასეთი წარსულისა, იგი ერთბაშად და უყოყმანოდ შეუერთდა სახალხო ფრონტს: მასში არავითარი შერყეობა, არავითარი დაეჭვება არ მომხდარა. ის სახალხო ფრონტის მხარეზე გადასვლისთანავე სათავეში ჩაუდგა ფაშისტების მოწინააღმდეგე ინტელიგენციის კავშირს. რაფაელ ალბერტთან და მარია ტერეზა ლეონთან ერთად ბერგამინი რედაქტორობს ფრონტის ჟურნალს „მონო ასულ"-ს.

მწერალი თავის ნაწერებში იყენებს ხალხური სატირული რომანსის ჟანრს. მისი რომანსი „მულ მოლა", რომელიც მან ომის პირველ დღეებში დასწერა, ძალიან გავრცელდა ხალხში და მკითხველი საზოგადოების საყვარელ ნაწარმოებად გადაიქცა. ის გამოდის მადრიდის ინტელიგენციის მასობრივ მიტინგზე და მხურვალე სიტყვას ამბობს ესპანეთის ხალხის კულტურის დასაცავად. ხელს აწერს აგრეთვე მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალურ სამდივნოს მიმართვას, რომელიც მიღებულ იქნა მადრიდში 1936 წლის 7 ოქტომბერს.

ეს ისტორიული მიმართვა მოკლედ ასეთი შინაარსისაა: ესპანეთის კულტურა შექმნილია ესპანეთის ხალხის მიერ. ვინც იცავს ესპანეთის ხალხს, ის დაიცავს ამ ხალხის მიერ შექმნილ კულტურასაც, მსოფლიოს კულტურის ამ მარგალიტს.

ამ აზრს ანვითარებს მწერალი სხვა თავის გამოსვლებსა და წერილებში. ეს აზრი მისი რწმენის სიმბოლოა, მთელი მისი მოღვაწეობის ლოზუნგი.

ერთ თავის წერილში, რომელსაც ეწოდება „ჩვენ ვიცავთ კულტურას", ბერგამინი ეხება ესპანეთის ხალხის წარსულს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ესპანეთის კულტურა სავსებით ხალხურია. კულუტურასა და მის შემქნელ ხალხს შორის იგი იგივეობის ნიშანს სვამს და ასეთ დასკვნას აკეთებს: ვინც ესვრის ტყვიას კულტურას, ესვრის ხალხსაც და, პირიქით, ხალხის მტერი კულტურის მტერიც ხდება.

ბერგამინი ცხოველ და ენერგიულ მონაწილეობას იღებს ანტიფაშისტური ინტელიგენციის კავშირში. მუშაობს დაუცხრომლად, გულმხურვალედ, იცავს სამშობლოს და მედგრად ებრძვის მის მტრებს. აღსანიშნავია განსაკუთრებით მისი გამოსვლა

მწერალთა საერთაშორისო კონგრესზე. იქ მან გაილაშქრა ანდრე ჟიდის საბჭოთა კავშირზე ცილისწამებით აღსავსე წიგნაკის წინააღმდეგ. ბერგამინი მოუწოდებს მსოფლიო კულტურის ყველა ჭეშმარიტ დამცველს, მის რაინდებს და ოსტატებს:

„ჩვენი წმინდა მოვალეობაა, ინტელიგენციის მოვალეობა [illegible] კულტურისათვის, ბრძოლა ხალხისათვის, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ [illegible] კულტურის ნამდვილი შემქნელი და დამცველი“.

ანტონიო მაჩადო

1936 წლის 24 ნოემბერს მადრიდში, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, მოხდა ისტორიული შეხვედრა კომუნისტებისა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან. პარტიამ გამოიჩინა თავისი ჩვეულებრივი მზრუნველობა მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებისადმი და ურჩია მათ, დროებით დაეტოვებიათ მადრიდი, რომ სხვაგან უფრო მყუდრო პირობებში განეგრძოთ თავიანთი მუშაობა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა სამოცი წლის მოხუცი ანტონიო მაჩადო და ახალგაზრდული აღგზნებით წარმოსთქვა:

„მე არ მინდა წასვლა, თუმცა მოხუცი და ავადმყოფი ვარ. მე მინდა ბრძოლა თქვენთან ერთად, მინდა ჩემი ცხოვრება დავასრულო ღირსეულად, განვაგრძო მუშაობა, მოვკვდე ასევე... მე ვიბრძოლებ თქვენთან ერთად იმ საერთო საქმისათვის, რომელსაც თქვენ აკეთებთ“.

ანტონიო მაჩადო ესპანეთის სახელგანთქმული პოეტია. მას ხალხში დიდი სახელი და დიდება აქვს მოხვეჭილი. მაჩადო პროფესორია და ესპანეთის აკადემიის წევრი. 1903 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული სახელწოდებით „მარტოობა“. ის მართლაც მარტოობაში იმყოფებოდა მაშინ და ცხოვრობდა პროვინციის ერთ-ერთ მიყრუებულ ქალაქში. ლექსთა მეორე კრებული („კასტილიის სოფლები“) გვიხატავს გლეხთა ყოვლად უმწეო მდგომარეობას. ამ პერიოდში პოეტი ჰუმანისტია და თანაგრძნობით ასახავს დაჩაგრული ფენების ცხოვრებას.

მაჩადო თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ვიწრო ინდივიდუალიზმის რკალში იმყოფება. მასში იდეური გარდატეხა მოამზადა და მოამწიფა თანამედროვე ცხოვრების ორმა ფაქტორმა: რესპუბლიკური წყობილების დამყარებამ ესპანეთში და სოციალიზმის გამარჯვებამ საბჭოთა კავშირში.

ამ ფაქტორების ზეგავლენით განთავისუფლდა მაჩადო უნაყოფო ინდივიდუალიზმისაგან და თამამად მიემხრო ასტურიის მემაღაროელებს. მან ლუის დე ტაპიასთან ერთად ხელი მოაწერა ესპანეთის ინტელიგენციის განცხადებას, რომლითაც იგი უერთდებოდა სახალხო ფრონტის მთავრობას ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი სწერს ლექსს ფაშისტების მიერ დახვრეტილი პოეტის გარსია ლორკის სახსოვრად და პრესის წარმომადგენლებთან საუბარში აცხადებს თავის თავს „ხალხის სამსახურში მყოფ კულტურისათვის მებრძოლად“.

მაქსიმილიანო ალვარეს სუარესი

სუარესი დაიბადა 1902 წელს ასტურიის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლის ოჯახში. 15 წლისა იყო სუარესი, როდესაც პირველად ჩავიდა მაღაროში, სადაც 11 წლის განმავლობაში მუშაობდა. 1923 წელს სუარესი კომუნისტურ პარტიაში შედის. 1926 წელს ალტიმირებენ გაფიცვაში აქტიური მონაწილეობისათვის. 1927 წელს სუარესმა მოახერხა მადრიდში გაქცევა. შემდეგ ისევ ბრუნდება ასტურიაში, მაგრამ მაღაროში მუშაობას ველარ ახერხებს, რადგან მაღაროს პატრონები უარს ეუბნებიან სამუშაოს მიცემაზე. ხელს ჰკიდებს სხვადასხვა საქმეს. ცხოვრობს სიღარიბეში და ნახევრად დამშეული. მუშაობს ხან გზებზე, ხანაც მტვირთავად ნავსადგურებში.

1933 წ. კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის ეველაგ ამატიმრებენ. საპყრობილიდან გამოდის 1934 წლის ოქტომბრის გადატრიალების წინა სანებში. ოქტომბრის დღეებში სუარესი იბრძვის როგორც მუშათა რაზმის ერთ-ერთი წევრი. მოძრაობის დამარცხების შემდეგ მთებს აფარებს თავს. შემდეგ [illegible] — მადრიდში, ხოლო იქიდან საფრანგეთში. პარიზში სწერს წიგნს ასეთი [illegible] „ოქტომბრის სისხლი, ძმაბო პროლეტარებო, გაერთიანდით". წიგნის შინაარსს მისი სახელწოდება ამჟღავნებს. ესპანეთში სუარესი 1936 წელს დაბრუნდა. სამოქალაქო ომის პირველ დღეებშივე მწერალმა ფრონტს მიაშურა.

ბრძოლებისაგან თავისუფალ დროს სუარესი მუშაობს ახალ რომანზე. რომანში ასახული იქნება სამოქალაქო ომი აჯანყებიდან ნოემბრის დღეებამდე.

ხოაკინ არდერიუსი

ესპანეთის ცნობილი რევოლუციონური რომანისტი ხოაკინ არდერიუსი დაიბადა 1893 წელს. მისი პირველი რომანი „ჩემი მათხოვრები" გამოვიდა 1916 წელს მადრიდში. ეკონომიური კრიზისის წლებში არდერიუსი ცხოვრობდა სოფლად. მან პირადად განიცადა უმიწაწყლო გლეხის მძიმე მდგომარეობა. შემდეგ საფრანგეთში გადავიდა და შუშის ქარხანაში მუშაობდა.

მხოლოდ ესპანეთში დაბრუნების შემდეგ იწყებს არდერიუსი მარტოოდენ ლიტერატურული მუშაობით ცხოვრებას. სწერს რომანებსა და მოთხრობებს, სადაც ესპანეთის ცხოვრების სინამდვილე დიდის სიმართლით და დამაჯერებლობით არის ასახული.

1928 წელს პრიმა დე რივერას წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის არდერიუსს აპატიმრებენ.

რომანებში „ლუმპენ პროლეტარიატი" და „გლეხები" და პიესაში „დანაშაული", რომლებიც რესპუბლიკური წყობილების დამკვიდრების შემდეგ გამოვიდა, ასახული ესპანელი გლეხების ცხოვრება, ბრძოლა და კლასობრივი შეგნების ზრდა მაოში.

არდერიუსი წევრია ესპანეთის რევოლუციონურ მწერალთა და მხატვართა ასოციაციისა, დღიდან მისი დაარსებისა.

ისიდორო ასევედო

ასევედო ასტურიელია, დაიბადა 1857 წელს. იგი ესპანეთის რევოლუციური პროფმოძრაობის ერთი უხუცესი წევრთაგანია, მესტამბე, მემარცხენე კომუნისტი. რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში, როგორც კომინტერნის კონგრესების დელეგატი. 1914 წლიდან 1925 წლამდე ცხოვობდა და მუშაობდა ასტურიაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 და 1917 წლების გაფიცვებში. რამდენჯერმე ყოფილა დაპატიმრებული. უკანასკნელად დააპატიმრეს 1935 წელს, გერმანიის მადრიდელი ელჩის მოთხოვნით, იმ მიზეზით, თითქოს მან ტელმანის დასაცველად გაგზავნილ მიმართვაში შეურაცყო ჰიტლერი.

ასევედომ დასწერა წიგნი იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მასზე მოახდინა საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ. წიგნი გამოიცა 1922 წელს. მეორე მისი წიგნი, „მეცნიერება და გული", წარმოადგენს ბურჟუაზიული ოჯახისა და ქორწინების კრიტიკას.

რომანმა „თხუნელებმა", რომელიც 1930 წ. გამოვიდა, მწერალს დიდი პოპულარობა და სახელი მოუხვეჭა. „თხუნელები" პირველი ესპანური რომანია მემარცხენ-

ელთა ცხოვრებიდან. მასში ასახულია ასტურიის მემაღაროელთა გმირული და თავდადებული ბრძოლა მყვლეფელების წინააღმდეგ.

ისიდორო ასევედო კულტურის დაცვის საერთაშორისო ასოციაციის ბიუროს წევრია. ამჟამად იგი საბჭოთა კავშირში ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოსე ერერა პეტერე

პეტერე ნიჭიერი და სახელგანთქმული პოეტი, პროზაიკი და დრამატურგია. მადრიდის უნივერსიტეტი მან დოქტორის ხარისხით დაამთავრა. მისი პირველი წერილები იბეჭდებოდა მადრიდის სალიტერატურო გაზეთში 1930—1931 წლებში. პეტერე შაშინ სურრეალისტების ჯგუფს ეკუთვნოდა და ამ ჯგუფის ორი ჟურნალის დამაარსებელი იყო. ამჟამად ის ესპანეთის რევოლუციური მწერლებისა და მხატვრების ასოციაციის წევრია და ჟურნალ „ოქტომბრეს“ თანამშრომელი.

1931 წელს პეტერე კომუნისტურ პარტიაში შევიდა. 1934 — 35 წ.წ. მუშაობდა კომუნისტური პარტიის არალეგალურ ორგანოში „ელ პუებლოში“.

1936 წლიდან ფრონტზეა, სადაც კულტმუშაობას აწარმოებდა მეხუთე პოლკში. შემდეგ ხდება გაზეთ „მილისია პოპულიარის“ რედაქტორად. მუდმივად თანამშრომლობს „ხევუნტდში“, „აორაში“ და „მონო ასულში“. მე-5 პოლკის რეორგანიზაციის შემდეგ რედაქტორობს ლისტერის დივიზიის გაზეთს „პასარემოსს“.

პეტერეს ეკუთვნის მოთხრობა „ტანკებზე მონადირეები“ და პიესები „ტერედანხალი“, „ესპანეთის ძახილი“, „შაშხანას მონოლოგი“ და სხვა. მასვე ეკუთვნის მრავალი ლექსი და რომანსი. მას კარგად იცნობენ რესპუბლიკის მებრძოლნი. ეხლა პეტერე სწერს ნარკვევების ორ წიგნს ესპანეთის ტანკისტებისა და საბჭოთა მფრინავების შესახებ.

პლია-ი-ბელტრანი

ბელტრანის ლექსთა პირველი კრებული, რომელიც დაიწერა 1930 წელს, პრიმა დე რივერის ფაშისტური დიქტატურის დროს, შეიცავდა განყენებულ თემაზე დაწერილ, ეგრეთწოდებულ „ესთეტიურ“ ლექსებს. მაშინდელი მმართველი წრეები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდა მწერლებს და ცდილობდნენ ამ მწერლების თავიანთ გავლენის ქვეშ მოქცევას. „წმინდა ხელოვნება“, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, — აი რა იყო მათი შემოქმედების ლეიტ-მოტივი.

მაგრამ ახალგაზრდა პოეტი მალე განთავისუფლდა ამ გავლენისაგან.

პოეტის ცხოვრების გზა, განსაკუთრებით სიყმაწვილეში, მეტად მძიმე და ნარეკლიანი იყო. დაიბადა 1908 წელს, და ჯერ კიდევ ბავშვი იყო, რომ მწყემსობის მძიმე სამუშაოს ეწეოდა. ცოტა ხნის შემდეგ წისქვილში გადავიდა სამუშაოდ, შემდეგ ვხედავთ მოსამსახურედ ველოსიპედების ფირმაში. ბოლოს ხდება მუშა ფეიქრად.

ოქტომბრის რევოლუცია მან ძხოლოდ 1920 წელს გაიგო და ამ რევოლუციაშ იმედის ფრთები შეასხა და გაიტაცა. მან უკუაგდო ძველი გზა, ზურგი შეაქცია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მოქადაგე უნიჭო ეპიგონებს და ოქტომბრის დიდი რევოლუციის გავლენით იწყო პროლეტარული ლექსების წერა. მისი ამ პერიოდის ლექსთა კრებულები — „სისხლის ეპოპეია“ და „კოცონები სამხრეთში“ მოუმწიფებელ და ნაწილობრივად გულუბრყვილო ლექსებს შეიცავენ. ამ ლექსებში სჭარბობს აბსტრაქტიულობა, მყვირალა ლოზუნგები და საზეიმო განწყობილება.

ესპანეთში რესპუბლიკური წყობილების დამკვიდრება და სოციალიზმის ქვეყნის გამარეგვლუციონერებელი როლის ზრდამ დიდი გარდატეხა მოახდინა პოეტში. მან კარგად დაინახა, რომ „წმინდა ხელოვნების“ მაღალი მთების უმანკო სითეთრე ნაშ-

დვილად ტალახით და სისხლით არის მოსვრილი. ბელტრანი ეწარმეა კომკავშირში და ესპანეთის ახალგაზრდებში ეწევა დიდ რევოლუციურ მუშაობას. რეაქციური მთავრობა სდევნის პოეტს. ცოტა ხნის შემდეგ ის ვალენსიაში აარსებს პროლეტარულ მწერალთა და მხატვართა კავშირს. კიდევ ცოტა ხანი და მას ესაბამება კომუნისტური პარტიის რიგებში იღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის პროლეტარულ ლექსთა შორის აღსანიშნავია კომკავშირული მარში, მიძღვნილი დოლორეს იბარურისადმი. ამავე ლექსთა კრებულში მოთავსებულია ლექსები უმუშევარი და გაფიცული მუშების, ახალშენთა მონების, დამშეული გლეხებისა და სხვათა შესახებ. ინტერნაციონალური სოლიდარობის თემაზე პოეტს დაწერილი აქვს ლექსთა კრებული „სისხლიანი ეპოპეა", სადაც ასახულია ჩინეთის ხალხის ბრძოლა იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. პოემა „მიწის ხმა" მოგვითხრობს ასტურიის ამბებს. პოემაში ბელტრანი იყენებს ხალხური ეპოსის ლირიულ-ეპიურ ჟანრს. ეს ჟანრი ბელტრანმა განვითარების დიდ სიმაღლეზე აიყვანა. მან შექმნა რომანსი სახალხო გმირზე სერვანტ ანტონიო-კოლზე, რომელმაც ააფეთქა მტრის ოთხი ტანკი და რომელიც გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე. მან შექმნა რომანსი ანდალუზიისა და არაგონის ველებზე მებრძოლ გლეხების შესახებ. ამ რომანსებმა პოეტს დიდი სახელი და პოპულიარულობა მოუპოვეს.

ბელტრანი სხვაგვარადაც მუშაობს — რედაქტორობს ფრონტის კედლის გაზეთებს, ადგენს საბრძოლო ლოზუნგებს და პლაკატებს, მუშაობს აგიტრაზმში. იგი არის ესპანეთის რესპუბლიკის არა მარტო თვალსაჩინო პოეტი, არამედ საუკეთესო მოქალაქეც.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი — „ლექსები“

გამომც. „ფედერაცია“, 1937 წ. გვერდ. 110, ფასი 4 მ. 80 კ.

ვალერიან გაფრინდაშვილის წიგნი შეიცავს მისი პოეტური შემოქმედების ნიმუშებს, დაწერილს 1926 — 1937 წლის მანძილზე. ეს არის ერთგვარი შეჯამება იმ ახალი იდეურ-მხატვრული მუშაობისა, რომელსაც პოეტი თანმიმდევრულად ეწევა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. კრებული შეიცავს 36 ლექსს, რომელიც რამდენიმე რკალად არის დაყოფილი: „ოქტომბრის სტრიქონები“, „ბუნება“, „ანთოლოგია და ბეტონი“ და „მიმართვები“.

ვალ. გაფრინდაშვილი საკმაოდ ცნობილი პოეტია საქართველოში. მისი შემოქმედებითი გზა არ ყოფილა თანაბარი და იდეურად და მხატვრულად ერთფეროვანი. მან, როგორც ერთმა ყველაზე უფრო კოლორიტულმა პოეტურმა ფიგურამ ქართველ სიმბოლისტებში, განსაკუთრებულის რელიეფობით გამოამჟღავნა წარსულში თავის შკოლისა და მიმართულების მსოფლმხედველობითი და შემოქმედებითი პრინციპები. ვ. გაფრინდაშვილის „ყანწელური“ პერიოდის ლექსები, რომელიც შეკრებილი იყო 1926 წელს გამოცემულ წიგნში, საუკეთესოდ გამოხატავდა იმ იდეურად რეაქციული და მხატვრულად ანტისაზოგადოებრივი ტენდენციებს, რომელიც საფუძვლად ედო სიმბოლისტურ პოეტიკას საერთოდ და კერძოდ „ცისფერი ყანწების“ შემოქმედებას საქართველოში. უკიდურესი ინდივიდუალიზმი, ეგოცენტრიზმი, რელიგიური მისტიციზმი, „იმა ქვეყნიურ“ სამყაროსადმი ლტოლვა, სრული ინდიფერენტიზმი საზოგადოებრივ საკითხებისადმი, „პრინციპიალური“ უგულებელყოფა ხალხის ცხოვრებისა და მისი ჭირვარამისა, — აი ის „საფუძვლები“, რაზედაც ემყარებოდა ქართული სიმბოლიზმის პოეტური შემოქმედება. ვ. გაფრინდაშვილის ადრინდელი პერიოდის ლექსები ამ შემოქმედებითი „პრინციპების“ რეალიზაციას წარმოადგენს. დაისები, აჩრდილები, ლანდები, მისტიური ჩვენებები, ქიმერები — აი ის თემატიური არე, რომელსაც ვერ სცილდებოდა პოეტის შთაგონება. სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა, — აი ის იდეალი, რომლის აპოლოგიას შეეწირა ვ. გაფრინდაშვილის ახალგაზრდული შემოქმედებითი პოტენციის დიდი მარაგი. ცხადია, ეს იყო ჩიხი, რომელსაც არ ჰქონდა და არც შეეძლო ჰქონოდა გასავალი დიდს შემოქმედებაში, ხალხისათვის გასაგებსა და საჭირო ხელოვნებაში. მართლაც გაუგებარი, უსარგებლო და მიუღებელი იყო ხალხისთვის ასეთი მწერლობა. ხელოვნება, — ამბობდა დიდი ლენინი, — ეკუთვნის ხალხს. იგი თავისი ფესვებით ღრმად უნდა სწვდებოდეს ფართო მშრომელი მასების გულში, იგი ამ მასებისათვის გასაგები და საყვარელი უნდა იყოსო. მუშათა კლასის გენიალური ბელადის ეს ცხოველმყოფელი მოძღვრება საფუძვლად უდევს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის მთელს განვითარებას, ჩვენი საბჭოთა მწერლობის მთელს შემოქმედებით მუშაობას. წინარეოქტომბერი თაობის ქართველ მწერლების საუკეთესო ნაწილმა ამ მოძღვრების საფუძველზე, მუშათა კლასის მსოფლმხედველობის დაუფლების საფუძველზე, დიად სოციალისტურ სინამდვილესთან დაახლოვების შედეგად, შესძლო ძველი იდეურ-შემოქმედებითი პოზიციების უკუგდება და ახალი იდეურობით, ახალი მხატვრული მეთოდით შეიარა-

ლება. ეს იყო ერთადერთი ხსნა შემოქმედებითი უნაყოფობისა და უძლურებისაგან, ეს იყო გზა დიდ იდეურ შემოქმედებისაკენ.

ვალ. გაფრინდაშვილმა, წინარევოლუციური თაობის სხვა სუკეთესო პოეტურ ძალებთან ერთად, შესძლო ძველი მსოფლმხედველობითი [illegible] ძველი იდეურ-მხატვრული რეციდივების საბოლოო დაძლევის შ[illegible] საბჭოთა პოეტების რიგში ჩადგომა და თავისი შემოქმედების მთავარ თემად საბჭოთა წინამდეგილის, სოციალისტური თანადროულობის დიდი საზოგადოებრივი პრობლემატიკის დასახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეცენზიო კრებულის დიდი ნაწილი მიძღვნილია საბჭოთა პოეზიის ამ ძირითადი თემატიკისადმი. აღსანიშნავია ლექსი „ანტოლოგია და ბეტონი“ (1930 წ.), რომელიც წარმოადგენს პოეტის ახალი გზის ერთგვარ დეკლარაციას:

„შეეცვალოთ ლექსების
ძველი აღნაგობა,
ჩვენ სიტყვა დავდაღოთ
ეპოქის ყალიბით.
მშრომელთა გმირობა და ამხანაგობა
ლექსში ახმაურდეს
ახალ ბრწყინვალებით“.

იმავე ლექსში იგი აღნიშნავს, რომ „პოეტების სიმღერამ იცვალა ბინა, იგი ბნელ ნისლებში აღარ იფანტება“, ის მოითხოვს რევოლუციონური ბრძოლით ანთებულ ლექსებს პოეტისაგან:

„რაღა საჭიროა პოეტის წიგნები
და მისი გალობა,
თუ შიგ არ იქნება ბრძოლა ჩაკირული“.

კრებულის პირველი ციკლიდან „ოქტომბრის სტრიქონები“, აღსანიშნავია ლექსები „ოცნება ბელადზე“, „სიმღერა“, „ლენინის ხსოვნას“, „საარჩევნო სიმღერა“, „გმირულ ესპანეთს“.

ეს ლექსები გულწრფელი რევოლუციონური გრძნობით არის აღსავსე, დაწერილია ყოველგვარი მანერულობის გარეშე, სადა პოეტური სამკაულებით. დიდი ბელადის სახე კარგად არის გამოკვეთილი პოეტის ლექსში „ოცნება ბელადზე“:

მტკვარს ახსოვს იგი — კიდევ ჭაბუკი,
და მეტეხს — მისი შუბლი ნათელი,
ციმბირს თოვლიანს ახსოვს სხვა ბუქი
და გზები — მისგან გადანათელი.
დღეს კი კრემლიდან მისი ძახილი
სწვდება მსოფლიოს — დაუშრეტელი,
დღეს მისი სიტყვა, მისი სახელი
ჩვენი ცხოვრების არის მშედელი.

სხვა ციკლებიდან აღსანიშნავია ლექსები „ტყეს“, „ქვიშხეთის ქარი“, „ზღვაზე“, „ინათი და ყორათი“. უკანასკნელი მიძღვნილია კოლხიდის დიდი თემისათვის და დაწერილია ძლიერი პოეტური ექსპრესიით. სამახსოვროა აგრეთვე სტრქონები „ქვიშხეთის ქარიდან“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმარა ლოდინი! აბა, გაბედე!
გადავყირავდეთ ფრინველთ ხმაურში
სწრაფ აირჩიე გზა უცაბედი
და დახავსებულ გზას გადაურჩი.

ნაკლებ ეფექტიურია და სრულს დისონანსად გაისმის წიგნში ლექსი „ხილთა ქება". იგი მოგვაგონებს მე-18 საუკუნის ქართველ მგოსნების ანალოგიურ თემაზე დაწერილ ლექსებს, თუმცა თავისი მხატვრული შესრულებით მათ ვერ სწვდება. ასეთივე ხასიათს ატარებს ლექსი „თივის ზვინი". თავისი განწყობილებით და აგრეთვე პოეტური სახეებით ეს ლექსი გამოძახილია „დაისების" პერიოდის ლექსებისა და სტოვეს ყალბ, ბუტაფორიულ განცდების შთაბეჭდილებას.

სამაგიეროდ გულწრფელი შთაგონებით არის დაწერილი ლექსები ციკლიდან „მიმართვები", რომელიც იხსნება მარქსისადმი მიძღვნილი თეთრი ლექსით:

ნისლიან ლონდონში რა უნდა მის საფლავს? -
ის უნდა ესვენოს ლენინის გვერდით, —

სწერს პოეტი ამ ლექსში. მარქსის გიგანტური ფიგურა პოეტის მიერ სავსებით სწორად გააზრებულია ოქტომბრის რევოლუციის და საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის ფონზე, დიდი ბელადების ლ ე ნ ი ნ ი ს და ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახეებთან ერთად. ლექსი მსჯელობით ფორმებშია გაშლილი, რიტორიზმი და პროზაიზმი სჭარბობს პოეტურ სახეებს და შედარებებს. ამ ლექსის დიდი თემა მოითხოვდა უფრო დიდ მხატვრულ საშუალებათა გამოყენებას.

დასახელებულ ციკლიდან უნდა აღინიშნოს ლექსები: „ილია ჭავჭავაძეს", „ცარსკოე სელო", „შოთას"; როგორც თავისი იდეური შინაარსით, ისე მხატვრული შესრულებით ეს ლექსები ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ მკითხველზე.

სარეცენზიო კრებულის ლექსებს აქა-იქ კიდევ აზის დაღი ავტორის ადელი პოეტური ხერხების გავლენისა. ზოგიერთი მწიგნობრული სახეები და შედარებები (ჰერკულესი, პანი და სხვ.) კიდევ ჩნდებიან წიგნში. აღსანიშნავია აგრეთვე სტერეოტიპიული გამოთქმები: „მეტ მოკრძალებით" (გვ. 83), მეტ აღტაცებით (გვ. 108) და სხვ.

ვალ. გაფრინდაშვილი წარსულში სამართლიანად ითვლებოდა საგრძნობი ესთეტიური კულტურის პოეტად. ბევრ მის ლექსს ახასიათებდა ფანტაზიის სიმდიდრე, ფერებისა და საღებავების უხვი მარაგი. იგივე არ შეიძლება ითქვას სარეცენზიო კრებულში მოთავსებულ ზოგიერთ პოეტურ ნიმუშებზე. კრებულში გვხვდება ამა თუ იმ მომენტის გამო სახელდახელოდ დაწერილი ლექსები, რომელთაც აჩნია სიჩქარისა და ერთფეროვნების დაღი. საჭიროა პოეტმა თავისი ყურადღება უფრო გაამახვილოს ლექსების მხატვრულ-ფორმალური შესრულების მომენტზე, პოეტური მეტყველების უფრო მეტ გამძაფრებასა და გამდიდრებაზე. სოციალისტური ლირიკის ჟანრი უდიდეს იდეურ შინაარსთან ერთად პოეტისგან მოითხოვს მაღალ მხატვრულ ფორმებს, მეტი წინააღმდეგობის გზით სვლას, განუწყვეტელ გამომგონებლობას და სახვითი საშუალებების დიდ ხარისხს.

ვ. გაფრინდაშვილს თავისი კალამი წინათ უცდია ეპიურ ჟანრშიდაც. ასეთია მაგალ. მისი „პარიზის კომუნა" (1925 წ.). სასურველია პოეტმა მომავალში ამ ჟანრის გზითაც წარმართოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა.

ვალ. გაფრინდაშვილის, როგორც საბჭოთა პოეტის იდეურობა და მხატვრული შესაძლებლობანი თავდებია მისი შემდგომი პოეტური გზის განუწყვეტელი აღმავლობისა.

ლ. ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაქტიური შენიშვნა ი. მანსვეტაშვილის მოგონების გამო

„მნათობი“-ს № 12-ში ი. მანსვეტაშვილს მოთავსებული აქვს „მცირეოდენი შენიშვნა ვეფხის-ტყაოსნის თარგმანზე“. ამ წერილში ავტორს დაშვებული აქვს მთელი რიგი შეცდომა, რომლის აღნიშვნაც შეადგენს ჩვენი შენიშვნის საგანს. ი. მანსვეტაშვილი სწერს თითქოს „1887 — 88 წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ განიზრახა ვეფხის-ტყაოსნის გამოცემაო“. ამ ცნობაში თარიღი შეცდომით არის ნაჩვენები, რადგან აღნიშნული გამოცემის რედაქციის პირველი სხდომის ანგარიში ჯერ კიდევ 1880 წლის „დროებაში“ (24 ნოემბრის ნომერში) არის გამოქვეყნებული.

მხატვარი ზიჩიც „ვეფხის-ტყაოსნის“ დასასურათებლად 1884 წელს იქნა მოწვეული და არა 1888 წელს, როგორც ამას სწერს ი. მანსვეტაშვილი.

„ვეფხის-ტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის რედაქციის სისტემატიური სხდომები დაიწყო 1881 წლის 6 თებერვლიდან (იხ. ამ წლის „დროება“ №№ 20, 23, 57, 83 და სხვ.). ამ სხდომებს ი. მანსვეტაშვილი ვერ დაესწრებოდა, რადგან მისი მოგონებების თანახმად (იხ. „ფედერაციის“ გამოცემა 1936 წ., გვ. 60 — 75) იგი ამ დროს, როგორც სტუდენტი, პეტერბურგში ცხოვრობდა.

სოლ. ცაიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
ამხ. ივანოვის წერილი და ამხ. სტალინის პასუხი	3
კ. ე. ვოროშილოვი — სტალინი და წითელი არმია	12

მხატვრული ლიტერატურა

გრიგოლ აბაშიძე — შავი ქალაქის გაზაფხული	17
აკაკი ბელიაშვილი — ახალგაზრდები (მოთხრობა)	47
ალიო ადამია — მეჩვიდმეტე წელი (ლექსი)	125
მარიკა ბარათაშვილი — მესაზღვრის წერილი დედას (ლექსი) .	127
ეთიმ გურჯი — სიმღერა (ლექსი)	129
გიორგი ქუჩიშვილი — წითელი პარტიზანელი (ლექსი) . . .	130
გრიგოლ ცეცხლაძე — წითელარმიელის სიმღერა (ლექსი) . .	132
დანტე ალიგჰიერი—სალხინებელი (თარგ. კონსტ. გამსახურდიასი)	133

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დ. მჭედლიშვილი — წითელი არმია ქართულ საბჭოთა პოეზიაში	142
ერ. ასტვაცატუროვი — ნ. ა. ნეკრასოვი	154

უცხოეთის ლიტერატურის მიმოხილვა

გ. მ. — ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მწერლები	180

ბიბლიოგრაფია

ლ. ა. — ვალერიან გაფრინდაშვილი — ლექსები	187
ს. ცაიშვილი — ფაქტიური შენიშვნა ი. მანსვეტაშვილის მოგონების გამო	190